

სხანი უმკრძლავი

ნოემბერი 2012 №84
ფასი 7 ლარი



...
CKING
...
NGRY!
...
STI

თავა
კოეზია
ქურეზს!

ენო ლოვაძე

პერფორმანსი ტექსტით

დეკუმანიზაცია / პაატა ქურდიძე

ისტორია

ენო ხარატიშვილი / თამთა გელაშვილი

ფოტოგრაფია

სალამი, სეზდავი! / ბესო უზნაძე

ISSN 1512-2220





ცდუნების ფორმულა
DI MODENA



დანარჩენი ზედეტია



სხილი
შოკოლადი
98.5 FM

- 2 985 985
- radio@shokoladi.ge
- radio.shokoladi.ge


	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
07:50	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები		
08:00							
09:00							
10:00							
11:00						უიკენდი	ღვინის გზამკვლევი
12:00					უიკენდი	ტეჩოუ	ნიგნები
13:00	ღვინის გზამკვლევი	ტეჩოუ		არტ ჰუსი	ნიგნები	არტ ჰუსი	ცოცხალი ზონა
14:00						ცხოვრების საუნდტრაკი	უიკენდი
15:00							
16:00							
17:00							
18:00	ტეჩოუ		არტ ჰუსი	ნიგნები	ღვინის გზამკვლევი		
19:00	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
20:00				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრაკი		
21:00						სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები
22:00							
23:00							
00:00							
01:00							
02:00	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
02:30	ტეჩოუ		არტ ჰუსი	ნიგნები	ღვინის გზამკვლევი		
03:15				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრაკი		



გადაცემა „წიგნები“ მიზანია მხატვრული ცნობიერების ამალღება, რომელიც მიიღწევა ცალკეული წიგნების იდეური, შინაარსობრივი, ტექსტოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი და სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე.



გადაცემა „ტექნო“ ტექნოლოგიებით დაინტერესებულთათვის, ახალბედებისა და ამ სფეროში მომუშავე ადამიანებისთვისაა, რომლებსაც დარგის სიახლეები და მათი განხილვა აინტერესებთ.



ყოველდღიური პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ტოკ-შოუ „ლიბერალი“ მსმენელს მიმდინარე მოვლენებსა თუ პრობლემებზე, ფაქტებზე დაყრდნობით, განსხვავებულ თვალსაზრისებს სთავაზობს.



გადაცემა „ღვინის გზამკვლევი“ მსმენელს ღვინისა და კულინარიის სფეროდან კომპეტენტურ, საინტერესო და ექსკლუზიურ ინფორმაციას აწვდის.



მუსიკალური გადაცემა „ცოცხალი ზონა“ მიზნად თანამედროვე ქართული მუსიკალური ხელოვნების და მისი წარმომადგენლების პოპულარიზაციას ისახავს.



გადაცემა „უიკენდი“ ერთგვარი ინფორმაციული გზამკვლევაა მათთვის, ვისაც მოდა, სილამაზე, თავის მოვლა, ფიტნესი და, ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების წესი აინტერესებს.



გადაცემა „სანდროს ზღაპრები“ მსმენელს თანამედროვე საბავშვო ლიტერატურას და იმ ავტორების ნაწარმოებებს აცნობს, რომლებიც ქართული გამომცემლობების ყურადღების მიღმა დარჩნენ.




„ცხოვრების საუნდტრეკის“ სტუმრები არიან მელომანები, ცნობილი ადამიანები (ძირითადად შოუბიზნესის და არტისტული წრიდან), რომელთა მუსიკალურ მისწრაფებებსა და გემოვნებას აცნობს მსმენელს გადაცემა.



გადაცემა „არტ ჰაუსი“ მიმდინარე კულტურული მოვლენებისა და სიახლეების შეჯამებაა. გადაცემის მთავარი პრინციპია, ყურადღების მიღმა არ დარჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა თუ ფაქტი.

სხალი შოკოლადი

№84, ნოემბერი 2012



ფოტო ყდაზე:
ლევან ხერხეულიძე

	8	რედაქტორის სვეტი
	10	ავტორთა სვეტები
ნარდგენა	12	გიორგი რობაქიძე, მხატვარი
	14	ქარიშხლის შემდეგ <i>დავით ბუხრიკიძე</i>
ანონსი	16	10 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ <i>სალომე აფხაზიშვილი</i>
რესტორნის კრიტიკა	28	დახვეწილი ჭამა-სმის ტკბობა <i>რესტორნის კრიტიკა</i>
საავტორო სვეტი	30	სამაჯური <i>გაგა ნახუცრიშვილი</i>
	32	აქა მშვიდობა <i>ანა კორძაია-სამადაშვილი</i>
	34	მკვდარი ვერ გაივლის <i>მაია სარიშვილი</i>
	36	რობოტები და ორკები <i>გიგი გულედიანი</i>
	38	როგორ დავაღწიოთ თავი ზიკინას სინდრომს <i>ხათუნა ხაბულიანი</i>
	40	ტანჯული და მონამლული დემონები <i>დავით ბუხრიკიძე</i>
ისტორია	43	ბევრი ნინო ხარატიშვილი <i>თამაზ მელაშვილი</i>
არტიისტი ახლოდან	50	არტი თბილისი – ნიუ იორკს შორის <i>ნინო ჩიმაკაძე</i>
თემა	56	პოეზია ქუჩებს! <i>ნინო ლომაძე</i>
თარგმანი	64	მატრიცას მიღმა <i>ავტორი ალექსანდერ შერმონი</i>
ფოტოპროექტი	76	სალამი, სევდავ! <i>ავტორი ბესო უზნაძე</i>
ლიტერატურა	88	<i>პერფორმანსი ტექსტით</i> დეჰუმანიზაცია <i>პაატა ქურდაძე</i>
	95	<i>საავტორო</i> კრივი და ბურახი <i>აკა მორჩილაძე</i>
	100	<i>საავტორო</i> ჩემი პანკისის ხეობა <i>ბექა ქურხული</i>
საუბრები აბაჟურის ქვეშ	108	თანამედროვე ქალი <i>თამარ ალავიძე</i>
	110	<i>მოთხრობა</i> დეპრესიის წამალი ანუ სანაყლამპარიანი <i>ირაკლი ლომოური</i>
	116	<i>პოეზია</i> ლევან შაქარაშვილი, პოეტი
რეცენზია	118	მო იანი: გარედან წითელი, შიგნიდან გამჭვირვალე ბოლოკი <i>გიორგი ლობჯანიძე</i>
	120	ექსკურსია კულინარიაში <i>სალომე აფხაზიშვილი</i>
ნიგნები	122	მიმოხილვა
რეცენზია	126	უძრავი მოგზაურები, მოძრავი სისასტიკე... <i>დავით ბუხრიკიძე</i>
სტილი	130	1980-იანების „მძიმე“ მემკვიდრეობა <i>თამარ ალავიძე</i>
	132	ტრენდი
	136	მზერა მივაპყროთ Alaïa-ს <i>ინგლისურიდან თარგმნა თამარ ალავიძემ</i>
	142	ფოტოპროექტი შემოდგომა <i>მარიამ სიჭინავა</i>
	150	ALLA BOBOR <i>თამარ სულავა</i>
	152	Impossible Wardrobe <i>თეო ქავთარაძე</i>



ლისი

მ მ რ ა ნ დ ა



გუნება უენი ახალი საპარჯიშო ღარბაზია

თბილისის ცენტრიდან მხოლოდ ათ წუთში თქვენ აღმოჩნდებით ლისის ტბის განსხვავებულ გარემოში. სუფთა ჰაერი, ბუნებასთან შერწყმული, თანამედროვე, კეთილმოწყობილი სახლები... ყველა შესაძლო კომფორტი თქვენს ხელთაა. ნარმოიდგინეთ ეს ყველაფერი? ამიტომ, დროა მოემზადოთ და შეეგებოთ ახალ გარემოს. გადმოდი და დაინჯე ახალი ცხოვრება.

2 48 47 44 | 595 134 134 | tbi@lisi.ge | www.lisi.ge

მთავარი რედაქტორი

თამარ ბაბუაძე
„ლიტერატურა“

ბექა ქურხული
„სტილი“

თამარ ალავეძე
რედაქტორების ასისტენტი

მარიამ სამადაშვილი
რედაქტორ-სტილისტი

რატი ქართველიშვილი
ვებგვერდის რედაქტორი

ნინო ჯაფიაშვილი
არტრედაქტორი

არჩილ თაბუკაშვილი
ლიზინი

თორნიკე ლორთქიფანიძე
კორექტორი

თამარ ლონღაძე

ნომარა მუშაობდნენ:

თამაზ მელაშვილი, ნინო ლომაძე, ანიტა თეაფური, დავით ბუხრიკიძე, აკა მორჩილაძე, გიორგი ლობჯანიძე, მია სარიშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, თამარ კვინიკაძე, სალომე აფხაზიშვილი, თამარ სულავა, თეო ქავთარაძე, ნინო ჩიმაკაძე, პაატა ქურდაძე, ბექა ქურხული, ირაკლი ლომოური

ფოტო:

მაკა გოგალაძე, ლევან ხერხეულიძე, ბესო უზნაძე, მარიამ სიჭინავა

გამომცემელი

შორენა შავერდაშვილი
ზინუასის ბანკითარების მენეჯერი

რუსუდან ფურცელაძე
პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი:

ქეთევან ქავთარაძე, მარიამ მიქელაშვილი, სოფო პაპუნაშვილი, ნინო გონიაშვილი

დისტრიბუცია

მიხეილ მამუჩაშვილი



გამომცემლობა:

შპს „მედია ჰაუსი დეკომი“
მისამართი: თბილისი 0183, საქართველო
ფლენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 247 10 05
სხვა გამომცემლობა:

„ლიბერალი“, „დიალოგი“, ქართული ღვინის გზამკვლევი
სტამბა:

„სეზანი“, თბილისი, წერეთლის 140,
ტელ.: 235 70 02

ჟურნალი გამოდის 2004 წლის
25 დეკემბრიდან

© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.
„ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი არ ერევა შინაარსის შექმნაში.



ფიქრები რჩის ნივ

ჯერ კიდევ ვერ აღვიდგინე წონასწორობა. დაგროვილ თემებთან და მომხდარ ძვრებთან რა მოსატანია, მაგრამ აღარ მაქვს სამუშაო დღის ბოლო რიტუული განტვირთვისთვის: ამოჩემებული ბლოგების გადაკითხვა და ახალი იდეებისა და რეცეპტების პოვნა უკვე ჩემს კარგ ნაცნობებად ქცეული კულინარი და კრეატიული დიასახლისებისგან. უბრალოდ, აღარ შემიძლია ამის კეთება და ეს ჩემთვის უპრეცედენტო შინაგანი დელვის ინდიკატორია.

ვერცერთი წამით ვერ ვეთიშები რეალობას, რომელიც უკიდურესად დანაწევრებული და პოლარიზებულია. ეს არაა უბრალოდ აზრთა მრავალფეროვნება; ესაა რამდენიმე, რადიკალურად განსხვავებული მოცემულობა, რომელსაც სხვადასხვაგვარად გადამუშავებული ინფორმაციის საძირკველზე ყველანი ჩვენებურად ვაშენებთ. რეალობა – რევეანსისტული და შავ-ბნელი; რეალობა – პარტიული და პერსპექტიული; რეალობა – ოპოზიციური და ჩასაფრებული; და რეალობა – რაციონალურ აზრზე აგებული. მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ, რომ უნიკალური წამის მონანილე ვარ. ესაა მომენტი, როდესაც ძველი პოლიტიკური ბიოგრაფიების ამოტივტივების მიუხედავად (რომელთა დეტალებიც, ზოგ შემთხვევაში, საკუთარზე უკეთ გახსოვს), მაინც არ მტოვების გააზრებული იმედი, რომ ამჯერად საკუთარი არჩევანის მართვას შევძლებ. ეს ფიქრი სიმშვიდისმომგვრელია.

ხვალ ვაშინგტონში მივფრინავ. ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის პროგრამა მე და 49 სხვა ქვეყნის ჟურნალისტს აშშ-ს არჩევნების გასაშუქებლად გვეპატიჟება. ჩვეულ, წასვლისწინა ეიფორიას და ემოციებს ახლა ათმაგი სიძლიერით ვგრძნობ. იქნებ, აეროპორტში, ჩემებთან გამომშვიდობების და იმ უხილავ ზღურბლზე გადაბიჯების შემდეგ დავწყნარდე, რომლის მიღმაც მხოლოდ შორეულ, ყრუ ექოდ რჩება ყველაფერი ის, რაც 10 წუთის წინ ხმაურობდა ყურებში. ამ ზონას აეროპორტის თავისუფალი ზონა ჰქვია. ისე მშვიდად საკუთარ თავთან არსად არასდროს რჩები, როგორც აქ.

თუმცა, ახლა ჯერ ისევ სამსახურში ვარ. სვეტისთვის მუზას ვეძებ და „ნიუ იორკერის“ ვებს ვათვალიერებ. პირველივე სტატია, რომელიც თვალში მხვდება, აშშ-ს არჩევნებზეა. „არჩევანი“ – ჰქვია სტატიას, რომელსაც ხელს ჟურნალის რედაქტორები აწერენ. ის ამ ფრაზით მთავრდება: „ყოველი საპრეზიდენტო არჩევნები არის შეჯიბრი ამერიკის იდეის შესახებ. ობამას ამერიკა – რომელიც მიდის წინ (თუნდაც ბორძიკით) სოციალური სამართლიანობის, შემწყნარებლობისა და თანასწორობისკენ – მომავალია, რომელსაც ეს ქვეყანა იმსახურებს“. ნეტა, რამდენი წელი და რამდენი საპრეზიდენტო არჩევნები დასჭირდება იმას, რომ მომავლის სურათი ჩვენთვისაც იყოს ასე მკაფიო; როცა იმგვარი წონიანი და ღრმად გააზრებული არგუმენტებით ვიხელმძღვანელებთ არჩევანის გაკეთებისას, როგორებიც ამ სტატიაშია. პირად ოცნებებთან ერთად, ეს იქნება უპასუხოდ დარჩენილი კითხვა, რომელსაც აეროპორტის თავისუფალ ზონაში შევიტან.

თამარ ბაბუაძე, მთავარი რედაქტორი



**CARTE
NOIRE**
Un café nommé désir

ყავის, სანამიყვანის უნაძინებელი სიკეთეები



ნინო ლომაძე

ქვაფენილის ქვეშ – პლიაჟია! 1968 წელს, პარიზში ახალგაზრდული ამბოხის დროს, ეს სტუდენტების ერთ-ერთი სლოგანი იყო. პლიაჟი თავისუფალი სივრცის გამოხატულებაა, რომელიც ხელოვნურად შექმნილი, მკვეთრად სტრუქტურირებული რეალობის მიღმა არსებობს. სივრცე, რომელიც შეიძლება მხოლოდ გარღვევით, შეღწევით, დეკონსტრუქციით მოიპოვო.

„თუკი სწორი იდეები, ზუსტი სლოგანები, შენს რიგებში კი, ავტორიტეტები გყავს, მოთხოვნების კულტურულ თრენდად ქცევას სულ ადვილად შეძლებთ,“ – არიგებდა ახალგაზრდა აქტივისტებს სოლ ალინსკი, ამერიკელი რადიკალი, რომელსაც სამოქალაქო მობილიზების უნიკალური გამოცდილება ჰქონდა. ალინსკის აზრით ეს პირველი ნაბიჯია.

არავინ იცის რა არის უკომპრომისობა დღეს. ბოლომდე შიშველი ხელებით ბრძოლა, მოლოტოვის კოქტილით ჟანდარმერიის კორდონში შევარდნა, თუ თამიმდევრული, გათვლილი სტრატეგიით მოქმედება? პრაგმატული გეგმაა თუ არა, არსებული თამაშის წესების გამონვევად მიღება იმისთვის, რომ სისტემაში შეაღწიო – გაარღვიო და ცვლილება სიღრმიდან დაიწყოს? ეს მუდმივი დილემებია.

ალინსკის „მოსწავლეებმა“ ისიც იციან, რომ თუ ბრძოლისთვის ემზადები, პირველ რიგში გახსოვდეს, რომ სენტიმენტებმა არ უნდა გძლიოს. რევოლუციას „ხატები“ აღარ სჭირდება. ახლა მოქმედების დროა.

პოეზია ქუჩებს!
გვ. 56



ნინო ჩიმაშვილი

ლადო ფოჩხუას და საშა ჭავჭავაძეს თბილისში, თანამედროვე ხელოვნების ფესტივალ „არტისტერიუმზე“ შევხვდით. საერთაშორისო არტ-ფორუმი, რომელიც წელს მეხუთედ ჩატარდა, ყოველწლიურად უამრავი ქართველი თუ უცხოელი არტისტის ნამუშევრების ნახვის საშუალებას გვაძლევს. მათგან ზოგი საინტერესოა, ზოგიც ნაკლებად, მაგრამ ყოველთვის პოულობ რაღაცას, რაც საგამოფენო დარბაზიდან გამოსულს, ბევრ რამეზე დაგაფიქრებს და კიდევ დიდხანს გრჩება ცნობიერებაში.

საშაზე და ლადოზე ბევრი არაფერი ვიცოდი, თუმცა, როცა ფესტივალის პროგრამას გადავხედე, მათი ნამუშევრების დასათაურებამ ყველაზე მეტად დამაინტერესა: „ტანსაცმელი რევოლუციისთვის“ და „ნიგნი ახალი ქართული არისტოკრატიისთვის“ – ასე ერქვა პროექტებს, რომლებიც ავტორებმა ერთ სივრცეში, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამოფინეს. ინტუიციამ არ მიმტყუნა: ორივე პროექტი ვიზუალურადაც და კონცეპტუალურადაც მართლაც საინტერესო აღმოჩნდა.

საშა და ლადო ემიგრანტები არიან. ორივე ნიუ იორკში, ბრუკლინში ცხოვრობს. ერთმანეთიც რამდენიმე წლის წინ სწორედ იქ გაცივნეს სრულიად შემთხვევით. მათი ცხოვრების ისტორიები თავისუფლად გამოდგებოდა რომელიმე ფილმის სიუჟეტად, თუმცა ამჯერად ამ ყველაფრის ჩატევა ერთ პატარა ინტერვიუში მოგვიწევს.

არტი თბილისი-ნიუ იორკს შორის
გვ. 50



თამთა მელაშვილი

ერთხელ, მე და ნინო ხარატიშვილი ერთმანეთს ფრანკფურტში შევხვდით. მაშინ, ასე თუ ისე, უკვე ვიცნობდით ერთმანეთს. ნინო რომელიღაც წვეულებიდან მოდიოდა, მე საიდან მივდიოდი – აღარ მახსოვს. ძალიან გაბრაზებული იყო, თითქმის გაცოფებული. ექსპრესიულიც. ჩემთან არ დაუმალავს. საქმე ის იყო, რომ იმ წვეულებაზე, რომელიღაც იქაურმა „სვეცკაია ვალჩიცამ“ ანორექსიკი წმინდანის გარეგნობით, ხაზგასმული აროგანტულობით, პირი არაფერს დააკარა და შესასმელად ორჯერ გადადუღებული წყალი მოითხოვა. მე და ნინო, იმავე დღეს, უფრო სწორად, იმავე ღამეს „მაკდონალდსში“ წავედით და ღამის პირველ საათზე ორმაგი ჩიზბურგერ მენიუ არნახული სისწრაფით ავითვისეთ. მერე მივხვდი, ეს იმდენად შიმშილი არ იყო, რამდენადაც ჩვენი პროტესტი, უფრო სწორად, ნინოს პროტესტი, რომელიც მეც იმწუთშივე გადმომეღო. ჰო, ეს უფრო პროტესტი იყო, სიყალბის, ქალებისთვის თავსმომხვეული და ქალების მიერ ათვისებული სიყალბის წინააღმდეგ.

ამ ამბავს დღემდე ვისხენებთ, უკვე ღიმილით. როცა ნინოს ისტორიას ვწერდი, მაშინაც რამდენჯერმე გამახსენდა. მინდოდა, აქაც მეთქვა, რამ გაგვეერთიანა მე და ნინო ხარატიშვილი.

ბევრი ნინო ხარატიშვილი
გვ. 43

Schwarzkopf

პროფესიონალთა გამოცდილება ქვენი თმისათვის.



Perfect Mousse

№1

სალეზავი-მუსი*

ინოვაცია

პირველი მდგრადი სალეზავი
მუსის ტექსტურით

- ამიაკის გარეშე
- ინტენსიური მდგრადი ფერი
- ჭაღარის არანაირი კვალი
- დაუფურეבלად მოსახერხებელი



შეუძლია



შენიშნავს



ბუნებრივად



*Nelsen, YTD PB 2011 ბუნის ბრის მუცელების მიხედვით



გვ. 96



გვ. 98



გვ. 112



გვ. 114

გიორგი რობაკიძე

მხატვარი

ადამიანური განწყობისა და გრძობების, ზოგადი ადამიანური პრობლემებისა და განცდების, მათ შორის, პროტესტის გადმოცემას გიორგი რობაკიძე ყველაზე თვალსაჩინოდ პორტრეტის საშუალებით ახერხებს. ამ დროს გრძობის უსაზღვრო თავისუფლებას და არ ემორჩილება მხატვრობის კანონზომიერებებს, როდესაც „იძულებულია“ გაითვალისწინოს ბევრი ნატურალისტური და რეალისტური ელემენტი – ფერი, ხაზი, შუქი და ა. შ.

ახალგაზრდა პორტრეტისტი ნამუშევრების უმეტესობა განმარტოებული, მიტოვებული ადამიანების/ბავშვების თემას ეთმობა. თუკი მის ნამუშევრებს დააკვირდებით, ადვილად მიხვდებით, რომ ბედისგან თუ ადამიანებისგან მიტოვებული, გმირები განსაკუთრებული დრამატიზმით, მაგრამ, ამავე დროს, უჩვეულო ინდივიდუალიზმით ხასიათდებიან. პორტრეტზე მუშაობისას ხატავს ხასიათებს და არა გარეგნულ თვისებებს, ამ დროს საკუთარ განწყობასაც გადმოსცემს, ამიტომ ამბობს, რომ მისი ყველა პორტრეტი გარკვეულწილად ავტოპორტრეტიც არის. ამბობს, რომ ხატვის პროცესში ქვეცნობიერის განსაკუთრებულ გავლენას განიცდის, სადაც ხელოვნების ისეთი აღიარებული სახეები

ჩნდებიან, როგორცაა – ფაიუმის პორტრეტები.

გიორგის მიერ დახატული გმირები კონკრეტული ადამიანები თითქმის არასდროს არიან, ამიტომ თავის ნახატებს აბსტრაქტულ პორტრეტებს უწოდებს, პორტრეტებს, სადაც ადამიანის ვიზუალიზაციას მხოლოდ თვალით, ყურით, ცხვირით და სახის სხვა ნაწილებით არ ახდენს.

მისი ძალიან პასიური ბუნებიდან გამომდინარე, სამხატვრო აკადემიის საგამოფენო სივრცის გარდა, მისი ნამუშევრები საჯაროდ არსად გამოფენილა. ამბობს, რომ საკუთარი თავის „გაპიარებას“ ურჩევნია ბევრი იფიქროს და ხატოს. ალბათ, ხასიათის ეს თვისება ჩანს მის მიერ შესრულებული განმარტოებული ადამიანების პორტრეტებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ ესპანეთში წასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწავლის გაგრძელება გახდა, მას, ემიგრაციაში საღებავები, ფუნჯები და სხვა მასალები არ ნაუღია, ამიტომ მხოლოდ წიგნაკში ხატავს, ფუნჯისა და ზეთის საღებავების ნაცვლად კი, ჩვეულებრივ სანერკალამს იყენებს.

გიორგი ინსპირაციას და ხატვის პრო-

ცესს შიმშილთან აკავშირებს და მას ასე აღწერს: „ვიდრე ხატვას დავიწყებდე, ძალიან ძლიერ კულტურულ შიმშილს ვგრძობ, რის შემდეგაც ვხვდები, რომ უნდა დავხატო. მეც ვდგები და „ჭამას ვიწყებ“.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ყოფნის ოთხი წელი მისთვის ნიშნავს ბევრ საინტერესო მეგობარს და არააკადემიურად გატარებულ დროს. განსაკუთრებულად, მაინც, ოლეგ ტიმჩენკოსთან ერთად განვილილ ორ წელს იხსენებს. ამბობს, რომ ამ ადამიანთან ურთიერთობამ ის მხატვრობაში გაათამაშა და გემოვნების ჩამოყალიბებაში დაეხმარა. ყოფილი მონაწილე ყოფილ მასწავლებელს „გურმან მხატვრად“ მოიხსენიებს, რომელმაც ყველა მონაწილეს მხატვრობაში სწორედ გურმანობა შეაყვარა.

მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ არარეალიზებული მხატვარია, რომელიც ახლაც შემოქმედებით ძიებაშია. საქართველოში დაბრუნებას ჯერ არ აპირებს. ვიდრე გიორგი „პორტრეტების ესპანური დღიურით“ საქართველოში დაბრუნდება, დაინტერესებული ადამიანები მის ნამუშევრებს „ფეისბუქში“ მის გვერდზე ნახავენ – facebook/giorgi robakidze. არავირტუალურად კი პორტრეტების დათვალიერება „ტიფლის ავენიუში“ შეიძლება.



იდეალური კანი - ეს რეალობაა!

ინოვაციური კრემი - IDÉALIA

ხავერდოვანი კანი - თანაბარი ფერი - გაღასწორებული ნაოჭები

VICHY-ს პირველი კრემი კანის სრული გარდასახვისთვის.

უნივერსალური დღის კრემი ნებისმიერი ასაკის ქალისთვის და ნებისმიერი ტიპის, მათ შორის მგრძობიარე კანისთვისაც. მეცნიერების 5 წლიანი მუშაობის შედეგად შექმნილი კრემის ინოვაციური ფორმულა.

შედეგი: **ხავერდოვანი კანი** - კანის ზედაპირი გადასწორდება და ფორები მცირდება.

თანაბარი ფერი - კანი იძენს ჯანსაღ და თანაბარ ფერს, მცირდება სინთლუ და ჰიპერპიგმენტაცია.

გაღასწორებული ნაოჭები - ნაოჭების სიღრმე მცირდება და ფერხდება მათი ხელახალი წარმოქმნა

www.vichyconsult.com

12 კლინიკური ტესტი

5 წლიანი კვლევა

2 პატენტი



VICHY
LABORATOIRES

მგრძობიარე კანი
პარაბენების გარეშე
ვიშის თერაპიული წყალი



შეიძინეთ ზი პი სი-ს ავთენტიკუმი

ქარიშხლის შემდეგ

კოტე მარჯანიშვილის „კომუნარის ჩიზუსი“, როგორც რევოლუციური კოლიფონია

ავტორი ღვინო ბუხრიძე

დიდი თეატრალური რეჟისორის, კოტე მარჯანიშვილის კინემატოგრაფიული შემოქმედება ექვსი ფილმით შემოიფარგლება: „ქარიშხლის წინ“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „გოგი რატიანი“, „ამოკი“, „კრაზანა“ და „კომუნარის ჩიზუსი“.

ეს ფილმები განსხვავებულია, როგორც ჟანრობრივად, ისე თემატიკურად: „ქარიშხლის წინ“ რევოლუციამდელ ეპოქას ასახავს, „კომუნარის ჩიზუსი“ – პარიზის კომუნის დამარცხებას, „კრაზანა“ - ვოინიჩის ამავე სახელწოდების რომანის ეკრანიზაციაა, „სამანიშვილის დედინაცვალი“ – დავით კლდიაშვილის მოთხრობის სატირულ-კინემატოგრაფიულ ენაზე ამეტყველების მცდელობა, „ამოკი“ – შტეფან ცვაიგის მოთხრობის ერთ-ერთი პირველი ეკრანიზაცია. ყველაზე საინტერესო და გამორჩეული, ჩემი აზრით, მაინც „გოგი რატიანია“, რომელიც „ცხელი შოკოლადისა“ და „ქართული ფილმის“ ერთობლივ პროექტში უკვე შევიდა და ფილმს რამდენიმე თვის წინ გაცნო ჟურნალის მკითხველიც.

კინოს ისტორიკოსები და კრიტიკოსები მარჯანიშვილის შემოქმედებიდან ყველაზე მეტად „სამანიშვილის დედინაცვალს“ იხსენებენ, რაც ლოგიკურია. სხვა ფილმები ნაკლებად ხვდებოდა კინოგაქირავებაში, ხოლო „გოგი რატიანი“, ბევრი უცნაური მიზეზის გამო, დიდი ხნის განმავლობაში თარიღზე შემოიკრებოდა. რეჟისორმა დავით კლდიაშვილის ცრემლნარევი ოქროსი ფილმში უფრო სატირით გაამძაფრა და გაამდიდრა, ვიდრე სოციალური კრიტიკულობით.

მელოდრამა ის ჟანრია, რომელიც რეჟისორს ყველაზე მეტად უყვარდა და რომლის საზღვრებსაც მან ვერ გადააბიჯა. თუმცა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შეგნებული არჩევანი იყო, მარჯანიშვილი ხომ, თავის დროზე, პრინციპულად დაუპირისპირდა 20-იანი წლების საბჭოთა კინემატოგრაფიულ ავანგარდს. განსხვავებით ახალგაზრდა კინორეჟისორებისგან, რომლებმაც კინემატოგრაფის პოლიფონიურ, სინთეზურ ბუნებაზე უარი თქვეს და ე.წ. „სუფთა კინოს“ შექმნას ცდილობდნენ.

საინტერესოა მარჯანიშვილის მოსაზრება „კომუნარის ჩიზუსის“ გადაღებისას (სწორედ ამ ფილმს გთავაზობთ „ქართული ფილმების კრებული“): „ქრება ტიპი, იცვლება ცხოვრება, იქმნება ახალი ყოფა და ძველი მალე ჩაბარდება ისტორიას... ამიტომ, ვიდრე გვიან არ არის და ყოველივეს ევროპული სახე არ მიუღია, უნდა აღვებჭლოთ ჩვენი მრავალფეროვანი ქვეყნის ყოველი კუთხე“.

„კომუნარის ჩიზუსი“ გადაღებულია ილია ერენბურგის ამავე სახე-



წოდების მოთხრობის მიხედვით. მართალია, ფილმი შეიცავს აუცილებელ „ბურჟუაზიის კრიტიკას“, მაგრამ ძალიან შთამბეჭდავია სოციალურ-პოლიტიკური ფონი და მასობრივი სცენები. ფილმი ასახავს საფრანგეთის დედაქალაქის სოციალურ და პოლიტიკურ სურათს 1870-1871 წლებში და პარიზის კომუნის დაცემას. პრუსიასთან ომში დამარცხებული საფრანგეთი იძულებული გახდა კაბალური ზავი დაედო გერმანიასთან. ამასობაში კი, პარიზში აჯანყებამ იფეთქა; მუშებმა საკუთარი დროებითი მმართველობა გამოაცხადეს...

ისტორიული მოვლენები მხოლოდ ფონია, რომელიც კონტრასტებს მხოლოდ ამძაფრებს. კალატოზ ლუის ისტორია (ამ როლს უცნაური მეღან-ქოლიერობით თამაშობს დიდი თეატრალური მსახიობი უშანგი ჩხეიძე), რომელსაც აჯანყებული კომუნარების მსგავსად კლავენ, უცნაურადაა გადაჯაჭვული ვერსალის კაპიტულანტური მთავრობის სამხედროების ბედთან. ერთ-ერთ მათგანს სახელწოდება კომიკოსი, სანდრო ჟორჯოლიანი თამაშობს. ხალხის წილიდან აღმოცენდნენ კომუნარი ქალი, რომელსაც თამარ ჭავჭავაძე (მარჯანიშვილის მუზა სპექტაკლში „ცხვრის წყარო“) თამაშობს და ლუიზა (ახალგაზრდა ვერიკო ანჯაფაროვი, რომელიც უცნაურად ნააგავს ალისა კოონენს), რომელიც ცდილობს კომუნარის პატარა შვილი გადაარჩინოს, მაგრამ ამაოდ...

აღსანიშნავია მსატვარ ვალერიან სიღამონ-ერისთავის მსატვრობა და სერგეი ზაბოზლავეის ოპერატორული ნამუშევარი. თუმცა მსახიობის სახე და ზუსტი მიზანსცენა მარჯანიშვილისთვის მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია: „საბოლოოდ განმტკიცდა აზრი, რომ თუ თეატრისთვის საჭიროა მსახიობი და არა სცენისმოყვარე, მით უმეტეს, კინოსთვისაა საჭირო მსახიობი და მხოლოდ მსახიობი“.

არსებობს მოსაზრება, რომ „კომუნარის ჩიზუსის“ გადაღების შემდეგ, მარჯანიშვილმა ცენზურისა თუ ხელისშემშლელი პირობების გამო, კინოში მუშაობის სურვილი დაკარგა. თუმცა, ეს უფრო მითს ნააგავს და არ დასტურდება... ჯერ ერთი იმიტომ, რომ სწორედ ამ პერიოდში ერთდროულად რამდენიმე სპექტაკლზე დაიწყო მუშაობა (მათ შორის, „ყვარყვარე თუთაბერზე“) და მეორეც, მას რამდენიმე, თითქმის დასრულებული კინოსცენარის გადაღება შეეძლო, თუმცა საბოლოოდ მაინც უარი თქვა.



ბანკი
კონსტანტა

სამომხმარებლო სესხი



ტატო ახალკაციშვილი „გარეჯას გზა“, 2011

10 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი სლომე აფხაზიშვილი

გამოფენა

„...მუსიკა, რომელიც სიჩუმეშია...“

ტატო ახალკაციშვილის პერსონალური გამოფენა

სად: გალერეა „ვანდა“

როდის: 16/11 – 1/12

გახსნა: 19:00

მისამართი: ჭონქაძის ქ.14



„მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, ვცდილობ ჩემს ნამუშევრებში გადმოვცე ის მუსიკა, რომელიც მხოლოდ სიჩუმეშია“, – შემოქმედებითი ცხოვრების ამგვარი ფორმულირება ახალგაზრდა ქართველ მხატვარს, ტატო ახალკაციშვილს ეკუთვნის, რომლის მხატვრობა კი-

დეც უფრო მუსიკალურია, ვიდრე თავად მუსიკა. გალერეა „ვანდა“ შემოდგომის სეზონს სწორედ ამ მხატვრის პერსონალური გამოფენით დაასრულებს, რომელიც აბსტრაქციებს და პეიზაჟებს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ მხატვარმა ნამუშევრები სპეციალურად ამ გამოფენისთვის შექმნა. მისი ნახვა დამთვალეირებელს გალერეა „ვანდაში“ პირველ დეკემბრამდე შეეძლება.

ლევ ბაიახჩევის „უცნობი სამყარო“

როდის: 2/11 – 14/11

სად: გალერეა „ვანდა“

გახსნა: 19:00

მისამართი: ჭონქაძის ქ.14

გალერეა „ვანდა“ 60-იანი წლების მხატვრის ლევ ბაიახჩევის გამოფენას უმასპინძლებს, რომელიც 2 ნომბერს გაიხსნება და 14 ნომბრამდე გაგრძელდება. ეროვნებით სომეხმა მხატვარმა ლევ ბაიახჩევმა ცხოვრების ძირითადი ნაწილი თბილისში გაატარა. სწორედ ამ ქალაქში შექმნა შემოქმედება, რომელიც გამორჩეულად მრავალფეროვანია, როგორც ჟანრის, ისე შესრულებს თვალსაზრისით – პორტრეტები, პეიზაჟები, ნატიურმორტები, კოლაჟები მხატვარმა, თავის დროზე, ფერწერასა და გრაფიკაში შექმნა. 60-იანი წლების მხატვრის შემოქმედების კიდევ ერთხელ გაცო-

ცხლებას გალერეა „ვანდა“, ლევ ბაიახჩევის ოჯახის წევრების დახმარებით შეეცდება. მნიშვნელოვანია, რომ დამთვალეირებელი გალერეაში მხატვრის ბევრ უცნობ ნამუშევარს იხილავს, რადგან ნახატების ძირითადი ნაწილი მისი სახლიდან გალერეაში სწორედ ამ გამოფენისთვის გადაინაცვლებს.

გია გუგუშვილის საიუბილეო გამოფენა

სად: „თიბისი არტ გალერეა“

როდის: 12/10 – 1/12

მისამართი: მარჯანიშვილის ქ.7

„თიბისი არტ გალერეა“ თანამედროვე ქართული მხატვრობის კიდევ ერთ წარმომადგენელს მასპინძლობს. ამჯერად ახლად გახსნილი საგამოფენო სივრცე 80-იანი წლების მხატვრის, გია გუგუშვილის ნამუშევრებს დაეთმო. პერსონალური გამოფენა მხატვრის საიუბილეო 60 წლისთავს ეძღვნება, რომელზეც სხვა ნამუშევრებთან ერთდ, წარმოდგენილია სპეციალურად ამ გამოფენისთვის შექმნილი ფერწერული ტილოებიც. „ფერადი ნამუშევრების სერია“ მხატვარმა ნელს შექმნა და ამით სწორედ ის გზა გამოხატა, რაც მან ბავშვობიდან ამ დრომდე გაიარა. გია გუგუშვილი ამ გამოფენას თავის შემოქმედებაში ერთ-ერთ ყველაზე „გახსნილ და ფერად სერიას“ უწოდებს.



ინფორმაცია უფასოდ*

უკაბელო ტელეფონის ახალი მოდელი



სილქნეტის ქსელში საუბრობთ
სრულიად უფასოდ

2 100 100
www.silknet.com

ჩვენი ტარიფი უკეთესია



* დღეში 20 უფასო ინფორმაცია


„ფიროსმანი და თანამედროვე ხელოვნება“

გამოფენა და საუბრები მრგვალ მაგიდასთან

როდის: 20/10 – 5/11

სად: თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)

მისამართი: სიონის ქ.8



პროექტი – „ფიროსმანი და თანამედროვე ხელოვნება“ გამოფენების და ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანების საუბრების ციკლს მოიცავს, რომლის ფარგლებშიც დამთვალეირებული ქართველი და უცხოელი თანამედროვე მხატვრის 100-ზე მეტ ნამუშევარს (ფერწერული და გრაფიკული ტილოები, ქანდაკება, ფოტო და საოუველირო ნაწარმი) იხილავს.

აღნიშნული პროექტი პირველად 2006 წელს განხორციელდა და წელს უკვე მეოთხედ ტარდება. გამოფენის იდეა და ორგანიზება გერმანელ მოქანდაკეს, ჰაინს შაიბს ეკუთვნის. პროექტის მიხედვით, თითოეული მონაწილე თავად არის თანაორგანიზატორი, რომელიც ცდილობს მოიხილოს და ჩართოს პროექტში სხვა დაინტერესებული ადამიანები, რათა გახდეს ხელოვნების კეთილი ნების ელჩი.

პროექტში მონაწილეობენ მხატვრები: თორნიკე აბულაძე, დავით ალექსიძე, ვახო ბულაძე, კლაუს დენჰარდტი, მამუკა დიდუბაშვილი, რუდოლფ დრაჰაიმი, ბინე ფელდი, ფრენკ საბინი, დიტერ გოელჩე, გრაფ პეტერი, ჰანს-ჰენდრიკ გრიმლინგი, ზეპა-პია ჰაგსტრომი, პეტერ ჰერმანი, იურგენ კ. შულტენრაიხი, ისაუს ბერლინ-მეტა, გოგა ჯაფარიძე, გურამ ხეცურიანი, ფრენკ ლამბერტი, ნიკოლაი მაკაროვი, რუდიგერ მოეგელინი, ქეთი ნადიბაძე, თამარი ოხტიანი, ფრენკ როდელი, ჰანს-ოტო შმიდტი, ინგე ჰ. შმიდტი, რაინჰარდ შტანგლი, გეზინე შტროკი, გერო ტროიკე, ლუკა ცეცხლაძე, ოტო ვაგნერი, რობერტ

ვებერი, ოლაფ ვეგეცი, მარტინ ვიგსტრომი, კატარინა ვორინგი; მოქანდაკეები: ჰარი ბარონი, ერიკა ინგერი, ნენსი ლიოვენდალი, ვალტერ მოროდერი, ჰანს შაიბი, ვოლფგანგ ვოლფარტი; ფოტოგრაფები: მარიამ ამურველაშვილი, თინათინ კილურაძე, ფრანკ როდელი; შუქის ინსტალაციის ავტორი: პაულ გოემელი; იუველირი: ბორის კოელბეხერი.

თეატრი

„კარმენი“ თეატრში

როდის: 3/11, 4/11, 8/11, 9/11, 17/11, 18/11

სად: ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი

დასაწყისი: 19:00

ბილეთის ფასი: 10 ლარი

მისამართი: აღმაშენებლის გამზ.182

ქორეოგრაფმა „კარმენის“ დადგმა რეჟისორსა და ქორეოგრაფს, კონსტანტინე ფურცელაძეს ეკუთვნის, რომელმაც სპექტაკლი ბიზესა და შჩედრინის მიერ შექმნილი მუსიკის – „კარმენ-სუიტას“ მიხედვით განახორციელა. პროსპერ მერიმეს ნოველის სიუჟეტურ სიმძაფრეს ამჯერად საბალეტო დასის ნაცვლად, თეატრის მსახიობები პლასტიკისა და სამსახიობო ოსტატობის შერწყმით წარმოადგენენ. სწორედ ეს სინთეზი განსაზღვრავს სპექტაკლს, როგორც ქორეოდრამას.

სპექტაკლის მონაწილეთა როლები ასე გადაწარმოდა: კარმენი – ანა ალექსიშვილი, ხოსე – ბაჩო ჩაჩიბაია, ტორეადორი – არჩილ სოლოლაშვილი, ლეიტენანტი – გიორგი ტორიაშვილი, ქორო – ქეთევან ასათიანი, ნუცა გუჩაშვილი, ეკატერინე დემეტრაძე, ანა ჯავახიშვილი, ლევან კახელი, ანა ნერეთელი, გიგი ქარსელაძე და გიორგი ბახუტაშვილი. კოსტიუმების ავტორი ანანო მოსიძე გახლავთ, განათება კი ია ნადირაშვილს ეკუთვნის.

„კარმენი“ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრისა და ბრიტანული „Moving Theatre“-ის ერთობლივი ნაწარმოებია, რომელიც მონაწილეობას იღებს ევროკავშირის განათლებისა და კულტურის პროგრამების საერთაშორისო პროექტში. სპექტაკლის პრემიერა თბილისში 16 სექტემბერს წლევანდელი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში შედგა, 23 და 25 სექტემბერს კი სპექტაკლი ლონდონში უჩვენეს.

„სინეტიკ-თეატრის“ წარმოდგენები თბილისში

როდის: 3/11, 4/11, 8/11, 9/11

სად: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

დასაწყისი: 19:45

ფასი: 15, 25, 30, 40 ლარი

მისამართი: რუსთაველის გამზ.17

აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, რუსთაველის თეატრი, ნოემბერში თბილისელ თეატრალებს „სინეტიკ თეატრის“ ქართული დასის სპექტაკლებს შესთავაზებს. ქართული „სინეტიკის“ დამაარსებლები პაატა (მსახიობი და რეჟისორი) და ირინა (ქორეოგრაფი) ციქურიშვილები არიან, რომლებმაც ვაშინგტონის საზოგადოება და თეატრალური სამყარო თავიანთი ინდივიდუალიზმით მოხიბლეს. თავისი არსებობის 11 წლის მანძილზე „სინეტიკ თეატრმა“ ვაშინგტონის „თეატრალურ ოსკარად“ აღიარებული ჰელენ ჰეისის სახელობის პრემია 89 ნომინაციაში მიიღო და 25-მდე პრიზით დაჯილდოვდა. აღსანიშნავია, რომ თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი ამერიკაში მოღვაწე ქართველი მსახიობი ირაკლი კაცსაძე გახლავთ, რომელიც სპექტაკლში ლირს განასახიერებს, ქორეოგრაფიული ნაწილი კი ირინა ციქურიშვილს ეკუთვნის, რომელმაც „მეფე ლირისთვის“ შექმნილი დადგმისთვის, ბენ ჟუნისთან ერთად საუკეთესო ქორეოგრაფის ჯილდო მიიღო.

ამჯერად ქართველი მსახიობი უილიამ შექსპირის მიხედვით დადგმულ „მეფე ლირს“ (8/11, 9/11) და ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს“ (3/11, 4/11) იხილავს, რომელშიც მთავარ როლს – კახი კაცსაძე თამაშობს.

სინეტიკის თეატრის მონვევა საქართველოში რუსთაველის თეატრის განვითარების ფონდისა და აშშ-ს საელჩოს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა, რომელიც აშშ-საქართველოს მეგობრობის 20 წლისთავს ეძღვნება.

„პრინცი ჰომბურგი“ რუსთაველის თეატრის სცენაზე

როდის: 10/11, 11/11, 30/11

სად: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

დასაწყისი: 19:45

ფასი: 6, 7, 8, 10, 12, 15 ლარი

მისამართი: რუსთაველის გამზ.17

ცნობილი გერმანელი დრამატურგის, პოეტისა და პროზაიკოსის ჰაინრიხ ფონ კლაის-



შუიძინეთ მგზურსასრუტი
VT 1833

გიილეთ სარქრად უთო VT 1235



იკითხეთ მალაზიებუი



5 საფიხურიანი
ფილტრაციის სისტემა
HEPA-ფილტრით



გზვის ბანოფილბის
მოსაბრბობლი ღა
კიბინვარი ნბინღა



ბარბო-ჯაბრისი



X-cross ფილტრი



ტის პიესას, ქართველი რეჟისორი გომა გორგოშიძე ორმოქმედებიან დრამად წარმოადგენს. პიესას საფუძვლად უდევს ისტორიული ბრძოლა, რომელიც 1675 წელს, ფერბელინთან გერმანელებსა და შვედებს შორის გაიმართა.

სპექტაკლის სცენოგრაფიას გიორგი ალექსი-მესხიშვილი ხელმძღვანელობს, მუსიკის ავტორი ია საკანდელიძე გახლავთ, ქორეოგრაფია კოტე ფურცელაძეს ეკუთვნის, კოსტიუმების მხატვარი – ეკა სოლოლაშვილი, ხოლო მხატვარი ნინო თათარაშვილია.

ისტორიულ დრამაში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობები: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ლაღანიძე და სხვები.

ოპერა, ბალეტი

თანამედროვე ქართული ბალეტი მითიურ საფუძველზე

როდის: 30/10, 31/10

სად: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

დასაწყისი: 19:45

მისამართი: რუსთაველის გამზ.17

„ალვა“ ერთმოქმედებიანი თანამედროვე ბალეტი, რომელსაც რუსთაველის თეატრის სცენაზე გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი წარმოადგენს. სპექტაკლი ამავე ფონდის ინიციატივით დაარსებული პროექტის – „ფანტაზია ქართული ფოლკლორის თემაზე“ – ხორციელდება, რომლის პირველი წარმოდგენა 2011 წლის 11 ივნისს რუსთაველის თეატრის სცენაზე გაიმართა. სპექტაკლი სახელწოდებით „აჭარპანი“ აფხაზური

ფოლკლორის თემაზე შექმნილ თანამედროვე საბალეტო დადგმას წარმოადგენდა.

„ალვა“ პროექტის მეორე სპექტაკლია, რომლის განხორციელების იდეა ხევსურული ხმალას მთავარანგელოზის მირონმდინარე ალვის ხის ცნობილ მითოსზე დაყრდნობით განხორციელდა.

სპექტაკლის ქორეოგრაფი და იდეის ავტორი მარიამ ალექსიძე გახლავთ, რეჟისურა კი გელა კანდელიას ეკუთვნის. მუსიკალური გაფორმების ავტორი ეკა ჭაბაშვილია, რომელმაც სპექტაკლისთვის იოჰან სებასტიან ბახის, გაი ყანჩელის, არვო პიარტის, ვალენტინ სილვესტროვისა და ვიქტორ კისინის კომპოზიციები გამოიყენა. ერთმოქმედებიანი ბალეტის წამყვანი სოლისტები არიან – ნაჭუელ-ალექსანდრო ვევა (არგენტინა), ნინო გოგუა და ეკატერინე სურმაჯა.

კინო

„კომუნარის ჩიბუხი“ ქართული ფილმების კრებულში

ფილმის ჩვენება და DVD-ის პრეზენტაცია

როდის: 26/10

სად: კინოთეატრი „რუსთაველი“

დასაწყისი: 20:00

მისამართი: რუსთაველის გამზ.5

ჟურნალ „ცხელი შოკოლადისა“ და „ქართული ფილმის“ ერთობლივ პროექტში – „ქართული ფილმების კრებულის“ ამჯერად კოტე მარჯანიშვილის ფილმი – „კომუნარის ჩიბუხი“ მოხვდა. რეჟისორმა ფილმი 1929 წელს, ილია ერენბურგის ამავე მოთხრობის მიხედვით გადაიღო, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს საფრანგეთის დედაქალაქის სოციალურ და პოლიტიკურ სურათს ასახავს. ფილმში კომუნარის როლს უშანგი ჩხეიძე ასრულებს, რეჟოლუციონერ ქალს კი თამარ ჭავჭავაძე თამაშობს. ფილმში ასევე მონაწილეობენ ქართული კინემატოგრაფიის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც არიან – ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა ლაბაშვიძე და სანდრო ჟორჟოლიანი.

პროექტის მიზანია ძველი ქართული ფილმების ციფრულ ფორმატში გადატანა, რაც მათ განადგურებისგან დაიცავს. პროექტის ფარგლებშიც უკვე ხუთი ფილმი გაციფრულდა. მათ შორისაა: „ქრისტინე“, „არსენა ჯორჯიაშვილი“ „გოგი რატანი“, „ხანუმა“ და „ელისო“. პროექტის სპონსორები არიან: „ბანკი კონსტანტა“, „ავერსი“, „გურიელი ექსპორტი“ და „კაპაროლ ჯორჯია“.

უნიკალური ქართული ფილმების კრებულის რჩეულ ფილმს – „კომუნარის ჩიბუხი“ – დაინტერესებული ადამიანები, ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ 84-ე, ნომბრის თვის ნომერთან ერთად მიიღებენ.

სხვადასხვა

„ტროტუარი ფეხით მოსიარულეთათვის“

ფოტო-გამოფენა და კონკურსი

როდის: 17/11, 14:00 – 18:00

სად: „იმელის“ შენობა, რუსთაველის გამზირზე

„დაიცავი პარკირების წესები, ან იარე ფეხით! თქვენ გააჩერეთ მანქანა ტროტუარზე, რომელიც ქვეითის მოძრაობისთვისაა. ტროტუარზე პარკირება აბრკოლებს ქვეითის მოძრაობას, ექვემდებარება ჯარმის და ევაკუაციას, როდესაც გზის სავალ ნაწილზე დგას პარკირების ამსხველი ნიშანი – „დგომა აკრძალულია“ ან „გაჩერება აკრძალულია“. გთხოვთ, პატივი ეცით ფეხით მოსიარულეთა უფლებებს!“ – არ გაგიკვირდეთ, თუკი ერთ დღეს, ტროტუარზე გაჩერებულ თქვენს ავტომანქანაზე განცხადებას აღმოაჩინთ ამგვარი ტექსტით. ორგანიზაცია „იარე ფეხით“ ფეხითმოსიარულეთა უფლებების დასაცავად სპეციალურ კონკურსს და ფოტოგამოფენას იწყებს.

აქციის მიზანია, ტროტუარზე მანქანების პარკირების პრობლემის მნიშვნელობის და მოცულობის გამოკვეთა, იმისთვის, რომ პრობლემის გადაჭრა სწორედ მუნიციპალურ დონეზე განხორციელდეს. მასში მონაწილეობა ყველა იმ მსურველს შეეძლება, რომელიც ღონისძიების „ფეისბუქის“ გვერდიდან (facebook/ „ტროტუარი ფეხითმოსიარულეთათვის“ – ქუჩის ფოტოგამოფენა და კონკურსი) ჩამოტვირთავს სპეციალურ განცხადებას, რომელშიც ხაზგასმულია პარკირების წესების და ფეხითმოსიარულეთა უფლებების დაცვის აუცილებლობა. მონაწილეს ევალება, აღნიშნული გაფრთხილება მოათავსოს ტროტუარზე უკანონოდ და დამაბრკოლებლად გაჩერებული მანქანის საქარე მინაზე, გადაულოს მას ფოტო და 15 ნომბრამდე გაავაზვნოს შემდეგ მისამართზე (iarepekh@gmail.com) და რაც მთავარია, არ დაავიწყდეს საკუთარი სახელის, გვარისა და ფეხის ზომის მითითება.

ფოტოგამოფენა 17 ნოემბერს გაიმართება და ლატარიის პრინციპით, სამი გამარჯვებული გამოვლინდება, რომელიც საჩუქრად „კონვერს ოლ სტარის“ მწვანე ფერის მაღალყელიან კეტებს მიიღებს.

Perwoll

ახალიცაობა



პერვოლი

მოდური შავი ქსოვილი ისევ ახალიცაობით ბრწყინვალეა!

- თხევადი სარეცხი საშუალება შავი და მუქი ქსოვილის სამოსისთვის
- იცავს გაბუნებისა და ახორბულისაგან, რომლებიც ქსოვილს სძენს ნაცრისფერ ელფერს
- აღადგენს შავი და მუქი ფერების ბრწყინვალეობას და ინტენსივობას
- გამოსადეგია როგორც ხელით, ასევე მანქანით რეცხვისას



ჯადარი ფილმიდან „კისარის უნდა მოკლდეს“, კეზი ტაქინაზი

მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალის თბილისში

ავტორი სალომე აფსაზიშვილი

დეკემბრის დასაწყისში, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალს უკვე მეცამეტედ უმასპინძლებს. ფესტივალის 3 დეკემბერს გაიხსნება და 9 დეკემბრამდე გაგრძელდება. კინოფესტივალის, ტრადიციულად, მაყურებელს ევროპული, ამერიკული და ქართული კინემატოგრაფიის ახალი და საუკეთესო ნამუშევრების ჩვენებას ჰპირდება. კინოთეატრებში მისულ სტუმრებს საშუალება ექნებათ, დაესწრონ სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული რეჟისორების, მსახიობებისა და პროდიუსერების მასტერკლასებს.

მნიშვნელოვანია, რომ წელს პირველად ჩატარდება მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსი. ამ კონკურსის ფარგლებში თავიანთ ნამუშევრებს ახალგაზრდა კინორეჟისორები 6 ქვეყნიდან წარმოადგენენ – საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი და რუსეთი. საკონკურსო ფილმებს შეაფასებს სამკაცრიანი ჟიური, ფრანგი მსახიობის გრეგუარ კოლენის მეთაურობით, გამარჯვებული ფილმი კი სერგო ფარაჯანოვის სახელობის პრიზით დაჯილდოვდება.

ფესტივალის სპეციალური სტუმრები ცნობილი უნგრელი კინორეჟისორი იშტვან საბო, ბრიტანელი დრამატურგი და კინორეჟისორი კრისტოფერ ჰემფტონი

და იტალიელი მსახიობი ჯანკარლო ჯანინი იქნებიან. ფესტივალისთვის თბილისში დიდი ცინცაძე ჩამოვა. მის ახალ ფილმს – „შემოჭრა“ – თბილისის კინოფესტივალზე წელს პირველად უჩვენებენ. აღსანიშნავია, რომ ამ ფილმმა წელს სანკტპეტერბურგისა და მონრეალის კინოფესტივალების ჟიურის მიერ დაწესებული სპეციალური გრანპრი მიიღო. მერაბ ნინიძემ კი ფილმში მონაწილეობისთვის, სანკტპეტერბურგის კინოფესტივალის ჟიურის (თავმჯდომარე – სერბი რეჟისორი ემირ კუსტურიცა) გადაწყვეტილებით, საუკეთესო მამაკაცი მსახიობისთვის დაწესებული პრიზი („ოქროს ანგელოზი“) დაიმსახურა.

კინოხელოვნების ცენტრი „პრომეთე“ ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიის, ეროვნული კინოცენტრის, გოთეს და ფრანგული ინსტიტუტებისა და ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით ახორციელებს. კინოფესტივალის ორგანიზატორები ცდილობენ, საფესტივალო სივრცე სამხრეთ კავკასიაში რეჟისორების, პროდიუსერების, გაყიდვების აგენტების და კინოდისტრიბუტორების შეხვედრის და პარტნიორული ურთიერთობების წამოწყების ადგილი გახდეს. აღსანიშნავია,



ნუსტან საბო

რომ წლიდან წლამდე ფილმის წარდგენისა და მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის თორმეტწლიანი არსებობის ისტორიაში ფესტივალის სტუმრები იყვნენ ისეთი ცნობილი კინომოღვაწეები, როგორებიც არიან: ბობ რაფელსონი, მაიკ ლი, ფრანკო ნერო, ლეოს კარაქსი, კვიშტოფ ზანუში, მიკა კაურისმიაკი, ბრუნო დიუმონი, ჰიუ ჰადსონი, მარიამ დ'აბო, გრეტა სკაკი, ჯაფარ პანაჰი და სხვები.

ფესტივალზე დასწრება დაინტერესებულ ადამიანებს კინოთეატრებში – „რუსთაველი“ და „ამირანი“ შეეძლებათ. ინფორმაციას კინოფესტივალის პროგრამისა და მოწვეული სტუმრების შესახებ უურნალი „ცხელი შოკოლადი“ მომდევნო ნომრებშიც შემოგთავაზებთ.



საპრემიის
სეზონი

THE 13th
TBILISI INTERNATIONAL
FILM FESTIVAL

თბილისის
საერთაშორისო
კინოფესტივალი

03 - 09. 12. 2012



www.tbilisifilmfestival.ge



ჯეიმს ბონდი: ოკეანეცხია სქაიფოლი

რეჟისორი სემ მენდესი

როლებში დენიელ კრეიგი, ხავიერ ბარდემი, ჯუდი დენჩი, რალფ ფაინსი

ჟანრი მძაფრსიუჟეტური, თრილერი



ASTÉRIX AND OBÉLIX: GOD SAVE BRITANNIA — 3D

რეჟისორი ლორან ტირარდი

როლებში ჟერარდ დეპარდიე, ედუარდ ბაერი, კატრინ დენევი

ჟანრი სათავგადასავლო, კომედია



SEVEN PSYCHOPATHS

რეჟისორი მარტინ მაკდონა

როლებში კოლინ ფარელი, ვუდი ჰარელსონი, ოლგა კურილენკო


ჟანრი კრიმინალური, კომედია, დრამა



WRECK-IT RALPH — 3D

რეჟისორი რიჩ მური

ჟანრი ანიმაცია, კომედია, საოჯახო



ბინდი საბა:განთიალი ნაწილი 2

რეჟისორი ბილ კონდოლი

როლებში კრისტენ სტიუარტი, რობერტ პატისონი, ტეილორ ლოტნერი

ჟანრი დრამა, მელოდრამა, ფანტასტიკა,



CLOUD ATLAS

რეჟისორი ლანა ვაჩოვსკი, ტომ ტიკვერი, ენდი ვაჩოვსკი

როლებში ტომ ჰენკსი, ჰოლი ბერი, ჰიუ გრანტი

ჟანრი ფანტასტიკა, დეტექტივი, დრამა

3. Colin Farrell
4. Sam Rockwell
7. Woody Harrelson
2. Christopher Walken
6. Tom Waits
5. Abbie Cornish
1. Olga Kurylenko

From The Academy Award® Winning Writer and Director Of *In Bruges*

SEVEN PSYCHOPATHS

They Won't Take Any Shih Tzu.



1.

2.

3.

4.

5.

6.

7.



ამერიკული განათლება –

მე და ჩემს მეგობრებს სტუდენტობისას ერთი ასეთი ჩვევა გვქონდა: მომავლის წარმოდგენა მოგვწონდა: როგორ დავამთავრებდით უნივერსიტეტს, როგორ გავხდებოდით „საქმიანი ქალები“ და როგორ შევიკრიბებოდით ხოლმე სამსახურის შემდეგ სადმე კაფეში განსატვირთად... როცა ეს ყველაფერი რეალობად იქცა, ახალი წარმოდგენების ჯერაც დადგა. ფანტაზიით უფრო შორს გავიჭვით: შვილები გავაჩინეთ, გავზარდეთ კიდევ და მათთვის გვარიანი განათლების მიცემაზეც დავიწყეთ მსჯელობა. ერთხელაც ნათია თავის ნათესავ ქალზე მოგვიყვა, რომელმაც შვილი მართმ გაზარდა, ბევრს მუშაობდა და ყველაფერი მოიკლო იმისთვის, რომ ბავშვი ამერიკულ აკადემიაში მიეყვანა. „ამისთან რა არის ეს ამერიკული აკადემია?“, – იკითხა მაშინ ლანამ. „რას ამბობ, შვილს გარანტირებული მომავალი შეუქმნაო“, – უპასუხა ნათიამ.

შვილი არ მყავდა, ამიტომ მის გარანტირებულ მომავალზე ბევრს არ ვფიქრობდი, მაგრამ წლების მერე მივხვდი, რომ ნათია ამერიკულ აკადემიასთან მართლაც მართალი იყო.

...

90-იანი წლების ბოლოს ქართველმა ემიგრანტმა გივი ბაღდასტანიშვილმა, რომელიც ამერიკაში ცხოვრობდა და ჰარვარდის კურსდამთავრებული იყო, საქართველოში სკოლის დაარსება გადაწყვიტა. სკოლას მოსწავლეებისთვის დასავლური სტანდარტების შესაბამისი განათლება უნდა მიეცა, თუმცა ამავდროულად ქართული გარემო, კულტურა და ტრადიციები შეენარჩუნებინა. 2001 წელს ამერიკული აკადემია რეალობად იქცა.

ეს ისტორიაც უკვე მოსმენილი მქონდა, როცა სკოლა ახლახან ლისის ტბაზე, არაჩვეულებრივად მშვიდ სასწავლო გარე-

მოში აღმოვაჩინე. ჭავჭავაძიდან აქ გადმოვიდნენ და ლისის ტბას საცხოვრებელ და სარეკრეაციო ფუნქციებთან ერთად საგანმანათლებლო დატვირთვაც შესძინეს. ნათიას წლების წინანდელი ნათქვამი გამახსენდა და გადავწყვიტე ყველაფერი საკუთარი თვალთ მენახა.

შენობა, რა თქმა უნდა, თანამედროვეა, ეზო კი სიმწვანით გამორჩეული. „ლისი დეველოპმენტისა“ და ამერიკული აკადემიის ერთობლივი პროექტი ქართველი არქიტექტორების, architects.ge-ს ნახელავია, თუმცა ყველაზე საინტერესო წინ მელის: მთავარი, რაც შენობის ინტერიერიდან ჩემს ყურადღებას იქცევს, ჰარვარდის ოვალური მაგიდებია, რომლებიც ყველა საკლასო ოთახში დგას. სწორედ ასეთ მაგიდას იყენებს ამერიკაში ფილიპ ეგზეტერის აკადემიაც. ოღონდ ეს მხოლოდ ჩვეულებრივი ოვალური მაგიდა არ არის, ის სწავლების იმ განსაკუთრებულ და ინტერაქტიულ მოდელს გამოხატავს, რომელიც ამერიკულ აკადემიას ყველასგან გამოარჩევს. ჰარვარდის მაგიდა იმიტომ მომწონს, რომ მის გარშემო გაკვეთილები მუდმივი დისკუსიის რეჟიმში მიმდინარეობს, ბავშვებიც საშინაო დავალებას ისე კი არ აბარებენ, როგორც ერთ დროს მე – თხრობით ან ზეპირად, არამედ დისკუსიის დახმარებით, ის კი ისეთ დეტალებს მოიცავს, რომ მოყოლა სულაც არაა საჭირო, ისედაც ნათლად ჩანს – იგი თუ არა.

სწავლების ეს მოდელი წერის ტექნიკასთან ერთად ანალიზის უნარსა და კრიტიკული აზროვნების განვითარებასაც უწყობს ხელს, თანაც ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მოკლედ, აქ ყველა საგანი დისკუსიით ისწავლება – ჰუმანიტარულიც და ტექნიკურიც.

ეს ინტერაქტიული დაფები, თანამედროვე ლაბორატორიები და მდიდარი ბიბლიოთეკაც, 10 000-მდე წიგნს რომ აერთიანებს, განსხ-



გარანტირებული მომავალი

ვაგებულები მიდგომის შედეგია. თურმე სპეციალური ლაუნჯებიც უნდა შეიქმნას, სადაც მოსწავლეებს შესვენების დროს ან გაკვეთილების შემდეგ დასვენება ან მეცადინეობა შეეძლებათ. აქაურ გარემოს თუ გავითვალისწინებ, ლაუნჯს და ეზოს მართლაც ბევრი სტუმარი ეყოლება, მით უმეტეს, ზაფხულში.

სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მასწავლებელია. მის გარეშე არც თანამედროვე შენობას და არც გამორჩეულ სწავლის მეთოდს წარმატება არ მოაქვს. აკადემიის მასწავლებლები, რომლებიც ჰარვარდის უნივერსიტეტისა და სიმონსის კოლეჯის განათლების მაგისტრის ხარისხს ფლობენ, ახლა საკუთარ ცოდნას აკადემიაში მოსულ ახალ მასწავლებლებს უზიარებენ და საინტერესო გაკვეთილების ჩატარების ტექნიკასა და უნარ-ჩვევებს ასწავლიან. მასწავლებლებისა და მოსწავლეების დამოკიდებულებაზეც მსმენია. ვიცი, რომ აქ თავისუფალი, მეგობრული და აბსოლუტურად თანასწორი გარემოა. საკმაოდ ბევრია სტიპენდიანტიც, მოსწავლეების თითქმის 20%-ის სწავლას სკოლა აფინანსებს.

წლების წინ მოსმენილ „გარანტირებულ მომავალს“ ამერიკული აკადემიის საუნივერსიტეტო პროგრამამდე მივყავარ. სკოლის წარმატება ხომ, როგორც წესი, იმით ფასდება, რამდენად კარგ უნივერსიტეტებში აგრძელებენ მისი მოსწავლეები სწავლას. პროგრამა მე-11 კლასის მეორე სემესტრიდან მშობლებთან და ბავშვებთან შეხვედრებითა და კონსულტაციით იწყება. აკადემია ჯერ იმას არკვევს, ვის საით აქვს გეზი ალებული - ევროპაში, აშშ-ში თუ საქართველოში აპირებს დარჩენას. ყველა მოსწავლეს მისი სურვილებისა და შესაძლებლობების საფუძველზე უნივერსიტეტების ბაზას უქმნის და მე-11 კლასის მეორე ნახევარსა და მე-12 კლასში სასურველი უმაღლესი სასწავლებლისთვის ამზადებს. ასეთ დროს და ამდენი უმაღლე-

სი სასწავლებლის არსებობის პირობებში კი ამგვარ შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველა მოსწავლის დოკუმენტაცია უცხოურ უნივერსიტეტებს ელექტრონულად ეგზავნება - ნიშნებიც და რეკომენდაციებიც. წერილებს ამერიკულ აკადემიაშიც იღებენ, ოღონდ მაღლობის... აქაურ მოსწავლეებს ხომ ყოველთვის ძალიან კარგი შედეგები აქვთ.

...

ახლა ამ სტატიას რომ ვამთავრებ, თან ნათიას „ფეისბუქზე“ „ვუკაკუნებ“ და დასაწყისს ვაკითხებ. ვიცი, მოეწონება ძველი ამბების გახსენება.

„ფილადელფიაში სწავლობს, იცი?“ - მწერს პასუხად.

„ვინ?“ - ვეკითხები ისევ.

„ის ბავშვი, ამერიკულ აკადემიაში რომ სწავლობდა“, - თვალს მიკრავს ნათია.

ავტორი ნინო ბერძენიშვილი



დახვენილი ჭამა-სმის ტკბობა

ავტორი თამარ ჯინიკაძე



რესტორანი და ბარი „გუსტო“

კოსტავას ქ. 37/39; აქვს კერძო ავტოსადგომი; მომსახურების საფასური ფასში გათვალისწინებული არ არის.



„Gusto – არსებითი სახელი – სიამოვნება; მხნეობა; ისეთი ძლიერი ტკბობა, როგორც შეიძლება იყოს ჭამა-სმა“, – როდესაც ბრიტანული რესტორნის, „გუსტოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე შეხვალთ, დასაწყისშივე წააწყდებით ამ განმარტებას ლექსიკონიდან. არ ვიცი, რა კავშირი აქვს თბილისის „გუსტოს“ თავის ბრიტანულ სენსიასთან, მაგრამ ეს ლექსიკური განმარტება მასაც უხდება.

პირველ გულისგახეთქვას (ამ საცობებით განთქმულ ადგილას სად უნდა გააჩერო მანქანა) მომენტალური კომფორტი ცვლის – ფასიანი ავტოსადგომი ყველანაირ საზრუნავს გაცილებს. რესტორნის ფართო და თითქმის იატაკამდე დაშვებული ფანჯრების ნაწილი კოსტავაზე გამოდის, ფარდები ან გადაწეულია, ან ძალიან გამჭვირვალე, ამიტომ გამულელებიც ხედავენ დაბალი მაგიდების გარშემო ფუმფულა სავარძლებში მოკალათებულ და საუბარში გართულ სტუმრებს. რაც მთავარია, თითქოს, ხმაურიან ქუჩაზეც კი იღვრება შიგნიდან გამოსული ყვითელი განათების სითბო.

„გუსტო“ მაღალი კლასის რესტორნების კატეგორიას მიეკუთვნება. ინტერიერიც ამაზე მიუთითებს და სერვისიც – პრილა ვერცხლისფერი დანა-ჩანგალი და თეთრი, ორიგინალური მოყვანილობის თევზები საავტოროა. სამზარეულო ღიაა, დარბაზისგან მხოლოდ ბარით გამოყოფილი და ცალკე ნათურებით განათებული. ეს იქაურობას კუთხეში უჩუმრად დადგმულ სცენას ამსგავსებს, სადაც დროდადრო გამოჩნდება ხოლმე შეფის შავ ქუდასა და უნიფორმაში




გამოწყობილი მზარეული, რომელიც უსიტყვოდ და უხმაუროდ საქმიანობს. 15-20 წუთის შემდეგ კიდევ ერთი გარემოება მიიპყრობს თქვენს ყურადღებას: დარბაზში არაფრის სუნი არ დგას – არც სიგარეტის, მიუხედავად იმისა, რომ არამწვევლთა სალონს მხოლოდ ერთი პატარა კუთხე უკავია და ყველგან, სხვაგან გაბმულად ეწევიან. რესტორანში მხოლოდ ცივი, უსუნო ჰაერი ტრიალებს, რომელსაც სულ წამიერად გამოაცოცხლებს ხოლმე სამზარეულოდან გამოტანილი ცხელი კერძის სურნელი, მაგრამ ვიდრე სუნის შემადგენლობის გაშიფრვას დაინწყბდეთ, მიმტანი გოგონას ჩავლისთანავე, ისევ ქრება. ჩვენი შეკვეთა თანმიმდევრულად მოაქვთ (რიგითობა დაიცავით, ამის თხოვნა მიმტანისთვის არ გვჭირდება). სუპი, სალათი, ორი მთავარი კერძი და ბოლოს, დესერტი.

სუპის ზომიერი ულუფა უზომოდ გემრიელია. თეთრი ღვინით შეზავებულ თევზის ბულიონში, მიდიებთან და კრევეტებთან ერთად, ზეთისხილისა და კაპერსების სასიამოვნოდ მომჭავო გემოს გამოვყოფ, ორგანოსა და პომიდვრის მსუბუქი აქცენტებიც თავისას შვრება. მთლიანობაში, ამ კრემოვანი ფაქტურის

რის სუპში დახვენილი გემო მომწონს. ასევე ვახასიათებ ჩეზარეს კრევეტებით, რომელსაც სინატიფეს სქენს (რა ვქნა, ზუსტად ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვები უხდება ამ სალათს) შეფის საავტორო ჩეზარეს სოუსი, პატარა ლილისხელა, ჩერი პომიდვრები და ნახევრად მაგარი იტალიური ყველის, გრანა პადანოს თხელი ნაჭრები. ღორის ხორცის ფილე გარნირით – ჩვეულებრივია, გემრიელი, მაგრამ ჩვეულებრივი. აი, ქათმის რულეტი კი... ამ კერძში მთავარ მისიას შავი ქლიავის ჩირი ასრულებს (ნაღებისა და ყველის სოუსის ანსამბლთან ერთად), რომელიც ხორცის პატარა ნაჭერში გარედან არ ჩანს, პირში კი უცხოდ სასიამოვნო გემოს ტოვებს. დაბოლოს, საფირმო დესერტი „გუსტო“ – წითელ ღვინოში შემწვარი მსხალი, ზემოდან მოსხმული შოკოლადის მინაქრით – უბრალოდ დღესასწაულია.

კიდევ ერთი დაკვირვება, უკვე დანაყრების შემდეგ: „გუსტო“ ჩუმი რესტორანია და ამიტომ – ძალიან მყუდრო. ხმები, რომლებიც ყურში ჩაგესმის: საუბარი გვერდითა მაგიდიდან, ქიქების წკრიალი, მიმტანი გოგონების გადალაპარაკება, მუსიკის ენაზე რომ გითხრათ, პიანოს არ სცდება.

რა თქმა უნდა, „გუსტოზე“ მაღალი კლასის რესტორნებიც არსებობს – თუნდაც მომსახურე პერსონალის თავაზიანობა-განსწავლელობის, ინტერიერის სიმდიდრის, თუ შეფ-მზარეულის კრეატიულობის გათვალისწინებით. თუმცა, „გუსტოსაც“ აქვს თავისი „მაღალი კლასის“ ხიბლი და სჯობს ის თავად შეაფასოთ.



ბეილისი, „ცხელი შოკოლადი“ და ლიტერატურული კაფე

თუ ლიტერატურულში დაჯდომა, „ცხელი შოკოლადის“ კითხვა და ბეილისის დაგემოვნება გიყვართ, მაშინ ეს სიახლე თქვენთვისაა ზედგამოჭრილი.



სხანი შოკოლადი

პირველი ნოემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც 2 პორცია ბეილისს ან ბეილისით დამზადებულ ყავას თუ კოქტეილს შეიძენს, საჩუქრად ყურნალ „ცხელ შოკოლადს“ მიიღებს და წამახალისებელ აქციაშიც ჩაერთვება. აქციაში ჩასართავად მას ლიტერატურულ კაფეში ვაუჩერი გადაეცემა, რომელსაც შევსების შემდეგ იქვე, ბეილისის სპეციალურ ყუთში მოათავსებს. 25 დეკემბერს ყველა ლიტერატურულ კაფეში ლოტოს პრინციპით თითო გამარჯვებული გამოვლინდება, რომელსაც საჩუქრად კომპანია ამაზონის პოპულარული ბუკრიდერი ქინდლი გადაეცემა.

ენვით ლიტერატურულ კაფეს, გადაიკითხეთ „ცხელი შოკოლადი“, დააგემოვნეთ ბეილისი და მოიგეთ ქინდლი, რომელიც წინასახალწლოდ საუკეთესო საჩუქარია კითხვის მოყვარულთათვის.





სამაჯური

ბაბა ნახუსრიშვილი

მოსკოვში დავიბადე 1971 წელს. იმავე წელს ლუი არმსტრონგი გარდაიცვალა. გენიალური ადამიანი და ჯაზმენი.

იმ დროს, თურმე, შეიძლებოდა მოსკოვში გადაფრენილიყავი, ესკიმო გეჭამა, არაყი დაგელია და უკანაც გამოფრენილიყავი. თანაც, ეს სიამოვნება სულ რაღაც მანეთები ღირდა. ამას, ზოგი დიდი სიამაყითა და ნეტარებით იხსენებს. მე არ მახსოვს, ვერ ვიამაყებ, ახალი დაბადებული ვიყავი...

91 წლის მარტში ისევ აღმოვჩნდი მოსკოვში. კრასნოვის კლინიკაში და სასტუმრო „აკადემიჩესკაიაში“, თვალის მქონდა საოპერაციო. მშობლებმა წამიყვანეს. ნერვიულობდნენ და შეძლებისდაგვარად მაკონტროლებდნენ. ალკოჰოლი სასტიკად ამიკრძალეს. წინ, რთული ოპერაცია მელოდა!...

მოსკოვერი მარტი... ჭყაპი!... ნაცრისფერი ცა... სკვირთური „ТОСКА“ მეძალეობდა. სასტუმროდან ჩუმად გავძვერი და არბატზე ბარში გამოვთვერი...

ნარკოზმა ვერ დამაძინა. ანესთეზიოლოგს მაიაკოვსკის ლექსებს ვუკითხავდი და რესტორანში ვეპატიჟებოდი. ბოლოს, მგონი, ცხენის დოზა გამიკეთეს, რათა დამეძინა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ექიმებიც თან გადამყვანენ. სხვანაირად თბილი ხალხი იყო. საკუთარ მთავრობასაც მაგრად ავინებდ-

ნენ. ვგრძნობდი, რომ არ ცრუობდნენ, არ თვალთმაქცობდნენ. იმათაც ჩვენსავით უნდოდათ ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება და გულწრფელები იყვნენ. იმასაც ამბობდნენ, რომ ცოტანი არიან, ვინც ასე ფიქრობენ. ცამდე მართლები იყვნენ. უმეტესობა ამბობს, რომ „ზა ძერჟავუ აბიდნა“ და ლე-

**უკვე გრებენშიკოვზე
ვსაუბრობდით.
ვერასდროს
წარმოვიდგენდი,
რომ გრებენშიკოვი
კონფორმისტი
გახდებოდა, კრემლის
ორდენს აიღებდა
და დაიმალეობდა.**

ნინის დამარხვაც არ უნდათ. ბელადს კი ნელ-ნელა წამალი ჭამს. ნელ-ნელა პატარავდება, იღვევა. და მალე ალბათ „ჭირისუფლებს“ ცარიელი ადგილი დახვდებათ. ყველა ბელადის ბოლო ხომ ეს არის.

ბარი „არბატზე“ და... ის გოგო!.. ნახევრად რუსი, ნახევრად ბოზა. ასე გამეცნო – ალისა საოცრებათა ქვეყნიდან. ასე ერქვა. სიზავემდე ლურჯი თვალები ჰქონდა. ნაბლისფერი თმა. ცალ ყურზე

საყურე ეკეთა – მეკობრესავით. ხელზე კი – ფერად-ფერადი სამაჯურები, გემოვნებიანად შეხამებული. წვრილ სიგარას ეწეოდა. ბუნებრივად, თავისუფლად იქცეოდა (ვულგარულობის გარეშე), ამითაც მიმიზიდა.

არაყს ვსვამდით და გვეკიდებოდა. აქვს არაყს ასეთი კარგი თუ ცუდი თვისება, მთავარია, როგორ შვირგებ.

უკვე გრებენშიკოვზე ვსაუბრობდით: „поколение дворников и сторожей“ (ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ გრებენშიკოვი კონფორმისტი გახდებოდა, კრემლის ორდენს აიღებდა და დაიმალეობდა. ისე, როგორ ცვლის დრო ადამიანებს. უფრო სწორად – ავლენს, ააშკარავებს). მერე, ესენინი გამახსენდა: „ведь ты не знаешь, что жить на свете стоит...“

ჰო, ხშირად ასეთები იკლავენ თავს, ლალები და სიცოცხლის მოყვარულები.

ყავაზეც მიმიკითხავა. თვალის ოპერაცია კარგად ჩაივლის და ბევრი ცოლი გეყოლებაო, მიწინასწარმეტყველა. ბევრი შვილი მაინც გეთქვა-მეთქი – გამეცინა. რას იზამ, ეს ფინჯანი ასე ამბობსო, დამამშვიდა. ისე, მაგარი წინასწარმეტყველი გამოდგა – ჯერაც უცოლო ვარ.

განთიადისას ფერადი სამაჯური მაჩუქა, ხელზე გამიკეთა. ატარე და ბედნიერებას მოგიტანსო, მითხრა. ჩუმად მოვისხენი და ჯიბეში ჩავიდე. არ მიყვარს, როცა ბიჭს სამაჯური უკეთია. ჯიბით დამქონდა, ბოლოსდაბოლოს, სამახსოვრო იყო. ერთხელაც, ამომივარდა და დამეკარგა. ნეტა, ვის უკეთია ახლა ის სამაჯური...

აქტიურებს თქვენს ბუნებრივ სილამაზას

მე ვიხ ბანსახუთხებუდი



მეჩინის სპეციალური დრაჟე
გლუვი ანტი-მეჩინება თვა

ენიკალური ეოგინაჟია
და გბიკა ფრჩხილუბი

MERZ
სპეციალური ბანსახუთხებუდი
www.merz-spezial.com

ABC PHARMACEUTICALS
ABC PHARMACEUTICALS
www.abc-pharm.com

საინფორმაციო მასალაა. არ არის რეკლამა. ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს. ყველაფერი ინფორმაციის მიხედვით შეიძლება შეიცვალოს.



აქა მშვიდობა

ანა კორძია-სამადაშვილი

გოტილბ ბიდერმანი არ არსებობდა. გამოგონილი კაცია. 1848 წელს ის ლუდვიგ აიხდორფმა და ადოლფ კუსმაულმა გამოიგონეს. ბატონი ბიდერმანი – ან ბიდერმაიერი, როგორც მოგახსენეთ, გამოგონილი კაცი და გვარია – უალრესად სიმპათიური მასწავლებელია, ცოტა ლექსებსაც წერს, პატარა სახლი აქვს და კობტა ბალი, სენტიმენტალური ვინმეა, თან სუფთა, მონესრიგებული.

აიხდორფი მთელი ცხოვრება იფიცებოდა, 1847-ში დაბეჭდილი ლუდვიგ პფაუს „ბატონი ბიდერმაიერი“ საერთოდ არ წაგვეკითხა, ჩვენი ლექსები დამოუკიდებლად დავეწერეთო. კაცმა არ იცის, როგორ იყო. ან რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ეს პატარა, არარსებული კაცი მთელ ცნებად იქცა: ბიდერმაიერი, ბიურგერული კულტურა.

ბიურგერები პირად და ოჯახურ ცხოვრებას ყველაზე მაღლა აყენებდნენ, თავს ევლებოდნენ ოთხ კედელშუა მოქცეულ ბედნიერებას, სახლს, რომელიც თავშესაფარი იყო. სიბეჯითე, პატიოსნება, ერთგულება, მოვალეობის ერთგულება ძირითადი პრინციპების დონემდე იყო აყვანილი. „ბიდერმაიერები“ თავიანთ მყუდრო მისაღებ ოთახებში ყავას სვამდნენ, ოჯახურ კონცერტებს მართავდნენ, ხანდახან ვენის ყავახანებში იკრიბებოდნენ და „ვენის საყოველთაო თეატრალურ გაზეთში“ გამოქვეყნებულ წერილებს არჩევდნენ. პირველ ვენის კონგრეს-

სა და 1848 წლის რევოლუციას შორის ეს გახლდათ საშუალო კლასის პირველი, როგორც წყაროებშია მითითებული, „თვითკმარი“ სტილი – ბიდერმაიერი. ბიდერმაიერის ცხოვრების წესი, არქიტექტურა, ფერწერა, მუსიკა და ტანსაცმელი – ვარდებით მოჩითული კაბა უზარმაზარი სახელოებით, რომელიც ფორტეპიანოზე დაკვრისას ცოტა ხელს გიშლის, მაგრამ ეგ არაფერია.

ნიკოლიკომ მითხრა, ქუჩაში ნუ ვინანწალებთ, ჩემთან მოდიო. ჩემების ბიდერმაიერშიო. ცოტა გამიკვირდა – სულით მეამბოხე ნიკოლიკოს ის სახლი სძულდა, მაგრამ ვიფიქრე, რა არ ხდება, ეგებ შვიდი წლის უნახავს მთლიანად შეეცვალა მსოფლმხედველობა და ახლა ოჯახის მიმართ სიყვარულის შემოტევა აქვს-მეთქი, და წავედი.

დიდი სიხარულით წავედი, რადგან მე ძალიან მიყვარს ნიკოლიკოს მშობლებთან სტუმრობა და ის ბიდერმაიერის სახლიც. ისიც მომწონს, რომ მართლა ნიკოლიკოს მშობლებისაა, მამაძაღლობით ნაყიდი კი არა, მემკვიდრეობით მიღებული. ნიკოლიკო ორმოცდამეათე თაობის ვენელია, ჯანმრთელად სნობი, ვენურად მოლაპარაკე, მუდამ აღელვებული და ძალიან ლამაზი ქალი.

ნიკოლიკოს შინ დაბრუნების მიზეზი მისვლისთანავე გავარკვიე. გარკვევა არ დამჭირვებია: კარშივე

მომახსენა, რომ ოჯახი დასასვენებლად იყო წასული და ის ძალიან (ციტატა – „ქოფაკივით“) დატოვეს სახლ-კარის და ბალის მოსაველეად. გადააყოლეს ბიდერმაიერს! ნიკოლიკო შფოთავდა, მე კი ალტაცებული ვიყავი, რადგან იმ სახლზეც და იმ ბალზეც ვგიჟდები. ცხადია, ნიკოლიკოზეც.

ბალში ვისხედით. ბინდებოდა. ზღაპრული ყვავილები, დიდი ბუჩქები, ჭრიჭინა. მალე შემოდგომა დადგება, სამწუხაროდ. ნიკოლიკომ სანთლები დაანთო, შესანიშნავი ვახშამი და შესანიშნავი ჭორები დამახვედრა – შვიდი წელი დიდი დროა, უამრავი რამაა მოსაყოლ-გასარჩევი... მერე, გამოსვლისას, ვთხოვე, როდისღა ვნახავ აქაურობას, სახლში გამატარე-მეთქი. გაუკვირდა, მაგრამ გამატარა.

მერე არხის ნაპირს მივუყვებოდი და ვფიქრობდი, რომ მე ვგიჟდები ბიდერმაიერზე. მეც მინდა და არასოდეს მექნება. სახლი კი არა, მშვიდობა, თან მოჩვენებითი კი არა, ნამდვილი. მინდა, არხენად ვიჯდე ვენის ყავახანაში, დილანდელ გაზეთს ტყუილად ვფურცლავდე, და გარეთ ბინდებოდეს. მეტყვიით, მანდ არ ხარ, დაჯექი, ვინ გიშლის, ადრე თუ გვიან ხომ დაბნელდებაო. კი, მართალია, წავალ, დავჯდები – მაგრამ მე ხომ არ გამომივა! ამისთვის, სულ მცირე, მეორმოცე თაობის ვენელი უნდა ვიყო და ცოტა სხვანაირი ნევროზები უნდა მქონდეს.

creative home

დეკორატიული აქსესუარები თქვენი ინტერიერისათვის



თბილისი, ჭავჭავაძის 34, სავაჭრო ცენტრი პიქსელი
ტელ: +995 32 2183507
ქავთარაძის 1, ჰიპერმარკეტი გუდვილი
ტელ: +995 32 2145014

ბათუმი, მემედ აბაშიძის 44
ტელ: 422 2359004

 <http://www.facebook.com/pages/Creative-Home/>



მკვლარი ვერ ბაივლის

მაია სარეზილი

მეჩვენებოდა, რომ მე უფრო დანგრეული ვიყავი, ვიდრე ჩემი ქალაქი და არ მეცოდებოდა, არ მესამშობლოებოდა. 20 წლის ვიყავი და მე და თბილისი ძალიან ვგავდით ერთმანეთს – ორივენი შუაზე გაყოფილები, ორივენი დამარცხებულები. უბრალოდ, მე ნამდვილად უფრო ცუდად ვიყავი, ვიდრე ქალაქი და არც მაშინ მრცხვენოდა, ასე რომ ვფიქრობდი და არც ახლა მრცხვენია მგონი. რატომ არ შეიძლება ერთი ადამიანი უფრო ცუდად იყოს, ვიდრე ქალაქი ან მთელი სამშობლო?.. სკოლაში ვმუშაობდი. დაავიანდა ერთხელ მშობელს, პირველკლასელი ანა ფონია მიმყავდა სახლში გადამწვარი რუსთაველის გავლით და ნატყვიარ სახლებზე მკითხა: ჩუტყვიავილა სჭირთ, მასწავლებლო, სახლებს?.. ასე მტკივნეულად არცერთი პოლიტოლოგისა თუ ეროვნული გმირის შეფასება არ მომხვედრია გულზე და მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არავისიანი არა ვარ, მხოლოდ ამათიანი – ბავშვების პარტიას ეკუთვნის ჩემი არსება და გული... ტრანსპორტი არ მოძრაობდა მაშინ და საბურთალოდან ფილარმონიაში დე ფეხით მოვდიოდი სკოლაში. სამინლად გამოვიყურებოდი იმ ზამთარს, თავს ვერ ვუვლიდი და სასწავლო ნაწილის გამგე საგონებელში იყო ჩავარდნილი. ტაქტით მანიშნებდა, რომ უარი მეთქვა მასწავლებლობაზე, ვიდრე ასე ვიყავი და მართალიც იყო. ისედაც საზარელი ატმოსფერო იდგა ირგვლივ და ახლა კიდევ მე – თმადაუფარცხნელი, უღიმილო, მძიმე და წაბლისფერი მზერით. ბავშვებს კი რატომღაც მაინც ვუყვარდი. მაშინ მეგონა, რომ საინტერესო ვიყავი და იმიტომ, ახლა კი ვხვდები, რომ სულაც არ იყო ასე... მოკლედ, ერთ

დილას გაგებრაზდი გადამწვარ ქალაქზე და უვარგის საკუთარ თავზე და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები და დედაჩემის გაქუცული ქურქი ჩავიცვი. უკანასკნელი კაპიკებით საპარიკმასხეროში შევედი. იქ ლუდით დამისველეს თმები, უკეთესად დაგეხვევა, დიდხანს არ დაგეშლებო და მართლაც, საღამომდე არ დამშლია. სკოლაში არ წავსულვარ, გავაცდინე და რუსთაველზე ვსეირნობდი ასე გამოპრანჭული. ამეკიდა ერთი სიმპათიური ბიჭი – ალბათ, რომელიღაც უცხოური ჟურნალის კორესპონდენტი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მიღებდა სურათებს და მომწონდა, ამაყად დავედიოდი ამ ნანგრევებში. არ ვიცი, რა უსინდისობა თუ უგულობა იყო – სულაც არ განვიცდიდი ამ ნანგრევებს... მინდოდა მე გავმხდარიყავი უკეთ, მინდოდა წითელი ფერის კაბა გამომჩენოდა და ქურქის ლილეები შევისხენი. მიხაროდა, რომ წითელი ფერი დავიბრუნე და სიხარულით ვივსებოდი. გრძელი და დახვეული თმა ლამაზად მიხტუნავდა სიარულისას, მეჩვენებოდა, თითქოს ქუჩასაც ვკურნავდი და მთელი საათი ზემოთ-ქვემოთ დავაკაუნობდი ღიმილიანი სახით... მერე მარიამი გამახსენდა, დაბადების დღე ჰქონდა. ფსიქიატრიულში იწვა მაშინ. უსაჩუქროდ არ მინდოდა მისვლა და ავედი სახლში. დედა განერვიულებული დამხვდა – სკოლიდან დაგირეკეს, გაკვეთილები გაგიცდენიაო, ერთი ბავშვი სახლში წასულა დაუკითხავადო და რალაც სხვა ცუდი ამბები... ველარ ვუსმენდი, საჩუქარს ვეძებდი მარიამისათვის, რომელიც 50 წლის გახდა. ვერაფერი ვნახე. აბსოლუტურად ვერაფერი. მერე ბოთლები ჩავყარე პარკში და მეტრო დელისთან ჩავედი ფეხით. ჩაიბარეს და

რალაც საცოდავი ფული მომცეს, არაფერი მომდიოდა, დავიარე ჯიხურები. მერე სამი ცალი შოკოლადი „ლუნა“ ვიყიდე და მივედი. მაკა ერქვა მის ექიმს, მიცნო და შემიშვა, მაგრამ დერეფანში დაელოდო. კედელს ავეკარი. დადიოდნენ ქალები საშინელი სახეებით. მაკვირდებოდნენ, მილიმოდნენ, მიბლვედნენ, რალაცებს მეკითხებოდნენ და ყველას ისეთი დამანგრეველი ტკივილი ედგა სახეზე, მივხვდი, ვერ გავუძლებდი. „დაიცადე, მოდის“ – კართან შემაჩერა მაკამ. მართლაც მოვიდა მარიამი – ჩემი ყველაზე ძვირფასი მეგობარი, რომელიც ახლა აღარაა ცოცხალი. მივეცი სამივე „ლუნა“ და ვაკოცე ორივე გამხმარ ლოყაზე, რომლებზეც ბენჯები ამოსვლოდა მას მერე, რაც ბოლოს ვნახე. რა ცუდად გავხდი... წავალ-მეთქი, მაგრამ რა ყრია აქო?! – დამლაგებელი აყვირდა უცებ. შავი ნამცეცებით იყო იქურობა მოფენილი. მარიამმა ფეხსაცმელებზე დამხედა და თვალები გაუფართოვდა, აბსოლუტურად დაშლილიყო ჩემი ფეხსაცმლის ქუსლები. ან კი როგორ ვერ შევამჩნიე. ამ ქუსლების რეზინის ნამცეცებით იყო დაფიფქული იქაურობა. „იცი, რა არის? – დამლაგებელი მეუბნება – მკვდრის ფეხსაცმელები იქნება ეგ. იაფად ყიდულობენ უცხოეთში და მერე აქ ხალხს ატყუებენ. კი, მკვდრების მალაზიაში იქნება ნაყიდი. ისეთი მასალისგან ამზადებენ, რომ არაა გამძლე. მკვდარი ხომ ვერ გაივლის და...“ ნამოვედი. ქუჩაში სულ დაიშალა ორივე ქუსლი... თითქმის შიშველი ფეხისგულებით ვაბიჯებდი გაყინულ ასფალტზე. ცოტა ხურდა კიდევ მეყარა ჯიბეში, მეოთხე „ლუნაც“ მომივიდა და დედაჩემს წავუღლებ-მეთქი, მაგრამ შემომეჭამა გზაში...



ევროპული სტილი განახლებულ **პაპილონი**





რობოტები და ორკები

ბიბი ბულდანი

ის, რაც სექტემბერში თბილისში ხდებოდა, შეიძლება დახასიათდეს ერთი სიტყვით – ფსიქოზი. მოგესხენებათ, ფსიქოზის მთავარი მახასიათებელია რეალობასთან კონტაქტის დაკარგვა, რაც, ხშირად, მოიცავს მცდარ წარმოდგენას მომდინარე მოვლენებზე ან საკუთარ იდენტობაზე (ილუზია), ასევე, საგნებისა ხმების აღმოჩენას იქ, სადაც ისინი არ არსებობს (ჰალუცინაცია).

აქვე უნდა დავაზუსტო, რომ ფსიქოზში ვგულისხმობ არა იმდენად საზოგადოების რეაქციას წინასაარჩევნოდ დაყრილ კომპრომატებზე, არამედ იმ მოვლენების ერთობლიობასა და მათში მოქმედი პირებისა და მკურნალების სახით ჩართული ადამიანების ურთიერთქმედებას დროის ამ მონაკვეთში.

მდგომარეობა ქალაქში ავადსახსენებელი ცოცხების კადრების დაყრამდე კი ასე გამოიყურებოდა:

დღით, სახლიდან კონკრეტული ქუჩით სამსახურამდე მისვლის შემდეგ, რამდენიმე საათში, უკანა გზაზე, იგივე ქუჩა აუცილებლად გადაკეტილი გზებდებოდათ, სადაც მოციმიციმე პატრულის მანქანასთან მდგარი პოლიციელები „გაიარე, გაიარეს“ ძახილით დაფეთებულ მძლოლებს გაურკვეველი მიმართულებით (ხშირად, საბურთალოდან დიღმისკენ) უშვებდნენ. ქუჩაზე კი უკვე აღმართული იყო ახალი ესტაკადის საფუძველი, რომელზეც მეორე დღელს გამოვლისას უკვე ასფალტის მანქანა შეიძლება შეგემჩნიათ, რომელსაც კუდში („ის“ „კუდი“ არ გეგონოთ) გზის დამხაზავი მანქანა მიყვებოდა. ამ გმირული ძალისხმევის წყალობით, ერთი დღით

მიმისტადაც ვიქეცი, როცა ასათიანის ქუჩიდან, ჯერ კიდევ ოხშივარადენილი ცხელი ასფალტისა და იპოდრომის ახალი გვირაბის გავლით, გმირთა მოედანზე აღმოვჩნდი.

ესტაკადების მშენებლობები ის-ის იყო დასრულდა და ყველას უნდა ამოესუნთქა, რომ უეცრად, მიწამიყრილი ყუმბარასავით გასკდა პატიმრების ვიდეოები, რასაც მოჰყვა ქალაქის ისეთი პარალიზება, რომ გზების რეაბილიტაციით გამოწვეული შეფერხებების ამათთან მოტანაც კი უხერხულობას გამოიწვევდა, ამიტომ მათ არც კი შეეძარებ. ჩემთვის, როგორც მძლოლისთვის, ამ აქციების მიმდინარეობისას, ყველაზე დამაფიქრებელი მაინც ის მომენტი იყო, როცა სანაპიროზე საცობში გაჭვდილმა, ჩემი მანქანისკენ მომავალი ფუნჯიანი მღვდლები დავლანდე, რომლებიც შეგუბებული მანქანებისგან შემდგარ ლითონის ფერად მასას ნაკურთხი წყლით ჯვარედინად წუნავდნენ.

ამ დროს, შედარებით სიმშვიდე სუფევდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ხოლო უფრო ზევით – თბილისის ზღვაზე, 14 კილომეტრზე გაშლილ ლაჟვარდოვან ზედაპირზე, საქართველოს აფროსანთა ფედერაციის ტურნირი მოენყო. 9 თეთრი იახტა შთამაგონებლად მიაპობდა რეზერვუარის ტალღებს. პლაჟზე დადებული შეზღონგებიდან მათ თვალს ადევნებდნენ საცურაო კოსტუმებში გამოწყობილი სიმპატიური ახალგაზრდა დედები.

უკანა გზაზე, სანჯონა-ნაძალადევი და ჩუღურეთიც კი არ იძლეოდა არანაირ

მინიშნებას ცენტრში არსებულ დაძაბულობაზე. იდგა ოდესის შეგრძნება, თუმცა, სანაპიროზე უკვე ყველაფერი შეიცვალა. მოძრაობა მდორე და ქაოტური გახდა, ხოლო რადიოში თქვეს, რომ ვაკეში ინვოდა „ლიბერტი ბანკის“ შენობა, რასაც მოჰყვა ორაზროვანი „ნამიოკები“ იმაზე, რომ ხანძარს, როგორც ჩანს, ამ კონკრეტულ ვითარებაში, „თავისი დანიშნულება“ ჰქონდა, კერძოდ... მაგრამ ამაზე არ ღირს. მით უმეტეს, რომ ის მალე ჩააქრეს. თუმცა აქც არ ჩაუვლია პარალიზების გარეშე, და აი, გადაკეტილ ჭავჭავაძეზე დადგა ისეთივე ფერადი ლითონის ზღვა, როგორც იყო ფილარმონიასთან და ასევე, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სანაპიროზე.

თუმცა, გზების პარალიზებასთან ერთად, პირველი ოქტომბრის დადგომის ღამეს შეინიშნებოდა კიდევ ერთი რამის – „ფეისბუქის“ პარალიზებაც. ოღონდ ეს იყო პარალიზება ზიზლისგან, როცა კახეთში დაღუპული ჩვილის ამბავზე ატეხილ ამაზრზენ ვირტუალურ ხავილს ალბათ ძალიან ბევრმა ვერ გაუძლო და ლეპტოპი უბრალოდ დაკეტა. ამდენი არაპროგნოზირებადი მოვლენის შემდეგ, პირველად, მხოლოდ მაშინ შემეშინდა და ვიფიქრე, რომ შეიძლება მომხდარიყო რაღაც საზარელი, ზუსტად არავინ იცოდა – რა!

მაგრამ, საბედნიეროდ, ბალანსი არ დაირღვა, და ის, პირველში „გაფორმდა“ კიდევ, როცა ქვეყანა, საბოლოო შედეგებით, გადანაწილდა რობოტებსა და ორკებს შორის, ორკების მცირე უპირატესობით.



ბუნებრივი სანაწარმობა

!გადაგვატყუანს არაფერი არა

!ყოველ სუნიტობისას ავიღებთ





როგორ დავალნიოთ თავი ზიკინას სინდრომს ანუ დავივიწყოთ უპირობო მოსაფულოზავი

ხათუნა ხაზულიანი

ყველა სოციალური ორგანიზმის ხელოვნების ნიმუშად ქცევა 1960-იანი წლების არტისტული აქტივობების ოცნება იყო და სწორედ უტოპიური მომავლის სქემების გამო აკრიტიკებდნენ ფლუქსუსის წარმომადგენლებსაც, თუმცა რთულია ვერ გაუგო მათ, რომ ცვლილებების სურვილი ასეთი ყოველისმომცველი გახდა. მათ უყვარდათ სპონტანურად შექმნილი ხელოვნება, სხვადასხვა მედიუმის „შემთხვევითი“ დაჯახებები და ტკბებოდნენ ახალი კომბინაციებით, შექმნილი სამყაროების მათ თვალწინ დაბადებით. ამავე პერიოდის საბჭოთა სივრცეს და მათ შორის, რა თქმა უნდა, ქართულ რეალობასაც ასეთი ფუფუნების საშუალება ნამდვილად არ ჰქონდა. აქაც იყო ხელოვნება, რომელიც ხალხის სამსახურში იდგა და ისიც უტოპიას ემსახურებოდა, ოღონდ – განსხვავებულს. ამ უტოპიის იკონოგრაფიის კანონები ურყევი იყო, სიბერე და სიკვდილი – ერთხმად უარყოფილი და თუკი ვინმე მაინც მოკვდებოდა, მისგან მუმიას დაამზადებდნენ და ყველასთვის ხილულ ადგილას დადებდნენ, ამჯერად მარადიული არტიფაქტის ფორმატში. ტოტალიტარული რეჟიმის დასასრული უკვე ილუზიის პაროდიად განვითარდა – ე.წ. „ზასტოი“. ის პოლიტიკურის სხდომების რეპორტაჟებისგან შედგებოდა, ამას, ზოგჯერ, საიუბილეო კონცერტები ემატებოდა, რომლის მუდმივი მონაწილე ფოლკლორული ანსამბლები და, ასევე, უცვლელი სოლისტი – ზიკინა იყო, ყველა საბჭოთა ღირებულებით დაჯილდოებული ქალი...

მოკლედ, ძალიან მოსაწყენი სურათია და არცთუ უვნებლად მოსაწყენი. მწირმა და ერთგვაროვანმა გარემომ, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, შესაძლოა არანაკლები ტრავმა მიაყენა თაობების ფსიქიკას, ვიდრე სისხლიანმა რეპრესიებმა: პომო სოვეტიკუსს

უჭირს ინფორმაციასთან მუშაობა, მისი დიფერენცირება, ანალიზის გაკეთება, ინიციატივის გამოჩენა და, რაც მთავარია, მოქმედება, ამიტომ ამ ყველაფერს ფსევდოსაქმიანობით ანაცვლებს... უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართული კულტურა საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ძლიერი, აქტუალური ხელოვნება შეექმნა და საზოგადოებას ირიბად დახმარებოდა ცნობიერების პრობლემების გააზრებაში, ახალი მოცემულობის იდენტიფიკაციაში... კვლავ გაგრძელდა პოპკულტურის საბჭოთა პრობლემების სტილი, ოღონდ ამჯერად კომპაგმირის თემა ეროვნული ღირებულებების პათოსმა შეცვალა. ყოფილი ავანგარდის წარმომადგენელთა უმეტესობამ ბრძოლის მთავარი მოტივი დაკარგა და უმეტეს შემთხვევაში, რეგრესული დინამიკის გზას დაადგა, იქნებოდა ეს „ხსნა“ კონფორმიზმში, არცთუ წარმატებული ემიგრაცია, თუ სულაც – დეპრესია...

ახლახან კულტურის სამინისტროს მოსალოდნელი სიახლეების თემამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ვფიქრობ, არსებითი ცვლილებებისთვის სამინისტრომ საზოგადოებასთან ერთად, პირველ რიგში, კულტურის პოლიტიკის განსაზღვრაზე უნდა იფიქროს. საბჭოთა რეჟიმის დასრულების შემდეგ, ახალი ისტორიული მოცემულობის პირობებში, ჩვენ ჯერ არ გვიფიქრია იმაზე, თუ რა პრიორიტეტები გვინდა კულტურაში, რა ტიპის ქვეყანა გვინდა, რომ გვქონდეს: ქვეყანა, რომელიც მხოლოდ მემკვიდრეობის ღირებულებებზეა კონცენტრირებული და ეგზოტიკური ფოლკლორით იწონებს თავს, თუ ქვეყანა, რომელიც, ამ უკანასკნელთან ერთად, თანამედროვე ღირებულებების მატარებელ აქტუალურ კულტურას ქმნის და საერთაშორისო პროცესში მონაწილეობს.

მართალია, დღეს აღარ ვართ ჩაკეტილი და

ხელოვნების მკაცრი ცენზურით დამძიმებული ქვეყანა, მაგრამ კულტურული ჩაკეტილობის პრობლემა გადალახული არ არის. ჩვენი ხელოვნები, შეიძლება, მონაწილეობენ საერთაშორისო პროექტებში, თუმცა, უმეტესად, ეს ფორმალური მონაწილეობაა და შორსაა პროდუქტიული კულტურული ურთიერთქმედებისგან, ცოცხალი პროცესისგან.

ამ ეტაპზე საბჭოთა ინერციისგან გათავისუფლება მე ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად მიმაჩნია. კულტურის სამინისტრო აღარ უნდა იყოს საბჭოთა რელიქტი, სადაც ზიკინას აჩრდილები დადინ – უპირობო მოცემულობით დაშვებული სუბიექტები, რომლებსაც მხოლოდ საპასპორტო მონაცემები განასხვავებს ერთმანეთისგან და არასდროს არავინ ინტერესდება მათი რეალური დამსახურებით, კომპეტენციით. აუცილებელი იქნება საგანმანათლებლო პროგრამების გააქტიურება, სახელოვნებო სასწავლებლების განვითარების მხარდაჭერა. მიმაჩნია, რომ პრობლემას, რომელსაც ყოველდღიურად ვაწყდებით და აქტუალურ საბჭოთა ინერციას წარმოადგენს, სწორედ განათლების ნაკლებობა იწვევს. ესაა მხოლოდ ერთი მოდელის აღიარება, მაგალითად, თუნდაც, არქიტექტურაში. საქართველოში პოპულარული შეხედულებით, თანამედროვე არქიტექტურად შუშის კონსტრუქციები, ე.წ. „აკვარიუმის“ ტიპის შენობები და ფლუიდური ფორმები ითვლება მხოლოდ, როცა თანამედროვე არქიტექტურაში უამრავი სხვა ტენდენცია არსებობს... მეოცე საუკუნე ცვლილებების ეპოქა იყო და ამ ცვლილებებისა და გამოცდილებების გაზიარება ჩვენ მოგვიანებით გვინდებოდა. თანამედროვე ხელოვნებაში სრული ლიბერალიზაციის პროცესი ორმოცდაათი წლის წინ დაიწყო და ის სრულიად გამორიცხავს უპირობო მოცემულობებს. ჩვენ კი არჩევანი ახლა გვაქვს გასაკეთებელი...



www.radiotavisupleba.ge



რადიო თავისუფლება

იპოვე თავისუფლება



09:00 - 10:00

FM 107.4

18:00 - 19:00

15:00 - 15:45

FM 105.9

00:00 - 00:45





ტანჯული და მონამული დემონები

ლავით ბუხრიძე

ჩვენს პატარა, პროვინციულ და საყვარლად ნევროზულ სატელევიზიო სივრცეში, რომელიც მშვიდად, ლამის ფელინის „ამარკორდიოთ“ ცხოვრობდა ავტონომიურ რეჟიმში, დიდი მანევრები დაიწყო. იმდენი რამ, რაც არჩევნებიდან 20 დღეში მოხდა, უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში ერთად არ მომხდარა.

ფინანსური თუ პოლიტიკური საეთერო გადანაწილება უკანასკნელი წლების განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა; თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2007 წელს ბადრი პატარკაციშვილისთვის წართმეულ ტელეკომპანია „იმედს“ (რომელიც ახლახან მფლობელს ისევ დაუბრუნეს), ოდნავ მოგვიანებით ამღერებული „მაესტროს“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მაუწყებლობაზე გადასვლას და „მეცხრე არხის“ გამოჩენას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გარიჟრაჟზე. მრავალჯერ გაყიდულ-გასხვიებული „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ უდრტვინველ-პოეტური რიტმი, მგონი, მათ მეპატრონეებსაც არ ახსოვდათ, ვიდრე არჩევნების შემდეგ ყოფილი მეპატრონეების – ქიბარ ხალვაშისა და დათო დვალის აჩრდილები არ წამოიმართინენ.

სამწუხაროდ, კერძო და ნაციონალური მაუწყებლები ისევ დიდი პოლიტიკური თამაშის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. არადა, ნამდვილად არსებობდა შანსი და დრო, თავად მედიას ეთქვა გადამწყვეტი სიტყვა საზოგადოებისთვის; ხელში აეღო ინიციატივა და სამოქალაქო პოზიცია მკვეთრად, მიუკერძოებლად და გასაგებად გამოეხატა. მაგრამ ამისათვის მას მოუწევდა, უარი ეთქვა ცალკეული ოლიგარქების, ჯგუფების და უკვე არაპომოგენური, დანაწევრებული

პოლიტიკური ელიტისათვის. რაც, ცხადია, არ გააკეთა.

იქნებ, მას არც ჰქონია სხვის ხელში მუდმივად სათამაშო იარაღად ქცევის სურვილი, მაგრამ არ აღმოაჩნდა ძალა და გაბედულება, თავად აეღო ხელში ინიციატივა. თავად ჟურნალისტები, მათი პროფესიული სტანდარტი, ეთიკის ნორმები და დამოუკიდებლობა კარგა ხანია, მიტანილია ცვალებადი, მერყევი პოლიტიკური დროის სამსხვერპლოზე. მედიამ რატომღაც ვერ გააცნობიერა, რა ძალა აქვს სინამდვილეში ფაქტებს, რომელთაც საზოგადოება ნდობით მოეკიდება, სარედაქციო დამოუკიდებლობას, ჯერაც დაუმკვიდრებელ მაღალ ჟურნალისტურ სტანდარტებს...

ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ყოველკვირეულ გაზეთ „7 დღეში“ ვმუშაობდი, ბეჭდური მედიის გავლენა გაცილებით მნიშვნელოვანი მეჩვენებოდა. იქნებ, მართლაც ასე იყო. უშუქო, უგაზო და უინტერნეტო გარემოში სატელევიზიო ინფორმაციის სანდობას საზოგადოება ბეჭდური მედიით უფრო „ამონებდა“. თანაც ეს სამოქალაქო და აფხაზეთის ომების შემდგომ პერიოდს დაემთხვა, როცა ყოველ მწვავე პუბლიკაციას სათანადო „რეაგირება“ მოჰყვებოდა. თვე არ გადიოდა, „მხედრონს“, „მოქალაქეთა კავშირს“, ან რომელიმე პარტიის წარმომადგენლებს გარჩევა-დარბევა არ მოეწყობოდა რედაქციაში. გაძარცვა ლამის შეჩვეულ ჭირს ჰგავდა, რომელზეც რეაგირებას კანტი-კუნტად თუ ვინმე ახდენდა.

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, სწორედ იმ „შავ-ბნელ“ დროს, მედია გაცილებით თავისუფალი, თამამი და პოლიტიკურად არანაგაფიერებელი იყო. მასსოვს,

ხვამლის ქუჩაზე, მორიგი დარბევის დროს, როგორ „დახვრიტეს“ ორი ცალი კომპიუტერი საჯაროდ, ისიც მასსოვს, როგორ მოდიოდა მუდმივი ჭირისუფალივით ბატონი გია ნოდია, თავს გადააქნევდა, ხელს ჩამოგვართმევდა, რედაქციას გაამხნევებდა და ჩვენი ამბები სადღაც ზემოთ, სხვა ინსტანციებში მიჰქონდა. ან იქნებ, სულაც, უცხოური ორგანიზაციებისთვის უნდა ეცნობებინა. უშუქობაში, ნათხოვარი გენერატორის წყალობით დაბეჭდილი გაზეთის გვერდების „კალკა“ კი შუალამისას სტამბაში მიჰქონდათ თანამშრომლებს.

ეს ყველაფერი, ჯერ გრომ-კუპონების, შემდეგ კი თვეში 100 ლარის საფასურად ხდებოდა! მოკლედ და პათეტიკურად – ყველაფერი ოქროდ არ გვეჩვენებოდა, რაც ბრწყინავდა. თუმცა, სიმართლე ვთქვა, არც არაფერი ბრწყინავდა და ამის მიუხედავად, რაღაც ჩუმი, ფასეული, მნიშვნელოვანი იყო ჩვენს ცუდად ორგანიზებულ გარჯაში! დღევანდელი გადასახედიდან იმდროინდელი პრობლემები ალბათ ძალიან, ძალიან სასაცილოდ მოგეჩვენებათ, რადგან ფული და გავლენა გაზეთებზე ნაკლებად აისახებოდა. ფული და სახელი ტელევიზიასთან ასოცირდებოდა...




გასული საუკუნის 70-იან წლებში პოსტ-მოდერნიზმით შთაგონებულმა და ახლო აღმოსავლეთში ნავთობის კრიზისით „მონამულმა“ ჟან ბოდრიარმა ტელევიზიას, და ზოგადად, ელექტრონულ მედიას „ხატების ბოროტი დემონი“ უწოდა, რომელიც რეალობას ცვლის და ამახინჯებს. მიუხედავად არცთუ ოპტიმისტური განწყობისა, ვისურვებდი, რომ ეს ტანჯული დემონები და დამახინჯებელი ანარქიკლები, რაც შეიძლება იშვიათად გვესტუმრონ.



ახლოვდება ავერსის მცირედი ბარათის გათამაშება

ავერსის სააფთიაქო ქსელის დაგროვებითი "მტრედი ბარათი" უკვე 5 წლის გახლავთ. გარდა იმისა, რომ ბარათზე დაგროვილი თანხით მომხმარებელს სასაჩუქრე კატალოგიდან სასურველი პრიზის არჩევა შეუძლია, მას საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს წამახალისებელ გათამაშებაშიც.

"ავერსი" მესამე გრანდიოზულ გათამაშებას გთავაზობთ:

-  ავერსის აფთიაქებში ყოველ გაცხადიერ 40 ლარზე დასესხებად მიიღობთ გათამაშების 1 ბილეთს. სოლო რაუნდში თანხის 10% ყოველ მცირედი ბარათზე რაგონდება.
-  ბარათზე რაგონდებულ 50 მცირედი დასესხებად მიიღობთ რამდენიმე გათამაშების 3 ბილეთს!
-  10 მცირედის დასესხებულ მიიღობთ გათამაშების 1 ბილეთს.

თამაშობ

10 000 ლარი - 10 გამარჯვებულს!



მთავარი პრიზი 20 000 ლარი!

გათამაშება შედგება 14 ნომბერს 18:30 სთ.
რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში.



ავერსი გინსურვით დაგმობთ და სულიერ სიხშირეს!
WWW.AVERSI.GE

დავით აღმაშენებლის 148/2
☎ 2-967 227





ბევრი ნინო ხარატიშვილი

ავტორი თამაზ მელაშვილი

ფოტო: ლიანა ხარატიშვილი, ნინო ხარატიშვილის პირადი არქივი

ნინო ჩემი მეგობარია. ცოტა უცნაურად და სწრაფად შექმნილი მეგობარი. აი, ისეთი, ადამიანს რომ შეხვედები და სადღაც 10 წუთში მოგეჩვენება, თითქოს ერთმანეთს ძალიან დიდი ხანია იცნობთ, თითქმის ბავშვობიდან. იშვიათი, მაგრამ სასიამოვნო შეგრძნებაა. ნინო გერმანიაში ცხოვრობს, მე – ძირითადად, საქართველოში. ჩვენ ხანდახან ვნახულობთ ერთმანეთს. „ხანდახან“ – ნიშნავს ნინოს ჩამოსვლას საქართველოში, ან ჩემს ჩასვლას გერმანიაში. ისე, თუ მკითხავთ, მეგობრობას ერთად გატარებული ოცდაათი საათი და პერმანენტული საერთო სივრცე სულაც არ სჭირდება.

ნინო თავიდანვე მომეწონა, როცა გავიცანი. ეს შარშან ზაფხულს, გოეთეს ინსტიტუტში მოხდა, სადაც მისი მეორე და უკვე ძალიან ცნობილი რომანი „ჩემი ნაზი ტყუპისცალი“ წარადგინეს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული ძალიან ცუდად ვიცი, ნინოს დიდი სიამოვნებით მოუწესმინე. ის არაჩვეულებრივი მოსაუბრეა და არაჩვეულებრივად კითხულობს საკუთარ ტექსტებს. მერე, კითხვის ბოლოს, როგორც ხდება ხოლმე, მცირე დისკუსია გაიმართა. როცა ნინო კითხვებს პასუხობდა, მახსოვს, გავიფიქრე: „რა მაგარი გოგოა!“ რიდინგის დაწყებამდე ისიც მახსოვს, როგორ ვცდილობდი გარშემომყოფებში ამომეცნო, რომელია ნინო ხარატიშვილი. ვერ ვიპოვე. „ნინო რომელია?“ – ვკითხე ჩემს მეგობარს და სანამ ჩემი მეგობარი მიპასუხებდა, „მე ვარ“, – თქვა ნინომ. თურმე, ჩემ გვერდით იდგა. ორივეს გაგვეცინა. ხანდახან ვფიქრობ, რომ შეიძლება სულაც იმ წუთში დაინყო ჩვენი მეგობრობა. მეორედ ერთმანეთს ფრანკფურტში შევხვდით. ნიგნის ბაზრობის შემდეგ

თითქმის ყოველდღე, უსიტყვო თანხმობით და რიტუალური გულმოდგინებით ერთად გავრბოდით ჯერ მაკდონალდსში და მერე რომელიმე ბარში. იქ ცოტას ვსვამდით და ბევრს ვლაპარაკობდით.

ახლა, როდესაც ნინოსთან მივდივარ ინტერვიუზე, არცერთი კითხვა მზად არ მაქვს, თუმცა დარწმუნებული ვარ, საუბარი გამოგვივა. ნინო ის იშვიათი ადამიანია, რომელსაც რაც მეტად იცნობ, მით უფრო საინტერესო ხდება. ჩვენ ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ ლიტკაფეში. „მოდი, „ასოციაციობანა“ ვითამაშოთ“, – ვთავაზობ მე, – „მე, სიტყვას გეტყვი და ეს სიტყვა რა ასოციაციასაც დაბადებს, იმაზე ვისაუბროთ“. ნინო მთანხმდება.

„პროტესტი“, – ვუბნები მე. ვუბნები იმას, რაც თავში პირველად მომდის და იქვე ვხვდები – ეს „პროტესტი“, თავად ნინოზეა ჩემი ასოციაცია. ორივეს გველიმება.

პროტესტი

„ესტროგენი საფრთხეა, გრძნობიერი ისტორია საფრთხეა, ნუ გადაიქცევი საფრთხედ, გთხოვ, ძალიან გთხოვ, ნუ იქნები განსხვავებული, ნუ გახდები პრობლემა.“

ჩემი საშინელი ბედნიერების წელიწადი

„მახსოვს, რომ ძალიან ბევრი რაღაც არ მომწონდა. მინდოდა, რაღაცის ჩემებურად გაკეთება, რაღაცის შეცვლა. ამას ხან ვახერხებდი, ხან ვერა. როდესაც პროტესტი გამიჩნდა, საბედნიეროდ, უკვე აღმოჩენილი მქონდა წერა. ასევე, მალე ჩამოყალიბდა ჩვენი თეატრალური დასი სკოლაში. გამიმართლა, რომ ადრევე ჩავერთვე იმაში, რაც მომწონდა.“

ნინოს ერთ-ერთი პირველი პროტესტი ფატმანი აღმოჩნდა. ფატმანი „ვეფხისტყაოსნიდან“. ერთხელ მომიყვა, როგორ დაავალდებულეს მოსწავლეები ქართულის გამოცდაზე „ვეფხისტყაოსნის“ საყვარელ გმირად აუცილებლად ნესტან-თინათინ-ტარიელ-ავთანდილი აერჩიათ და მათზე დაენერათ. ნინომ ნესტან-თინათინ-ავთანდილ-ტარიელი უარყო და ფატმანი არჩია.

„ვიფიქრე, რატომ უნდა დაენერო ის, რასაც მეუბნებიან, რატომ უნდა მომწონდეს ის, ვისზეც მიმითითებენ, რატომ უნდა მოვიყვანო მაინცდამაინც ის ციტატა, რომელსაც ჩამძახიან. თან აბსოლუტურად არ მოდიოდა ჩემთან ახლოს არცერთი ტიპაუი – არც თინათინი, არც ნესტანი, არც ასმათი. მათი პასიურობა ნერვებს ისე მიშლიდა, რომ აბსოლუტური დისტანცია ჩნდებოდა ჩემს და პერსონაჟს შორის. ფატმანი კი მომწონდა იმიტომ, რომ ყველაზე ადამიანური იყო. ის იყო, ვისიც მე უფრო მესმოდა. ისეთი იყო, ვისი წარმოდგენაც შემეძლო. ქალის, რომელიც გრძნობს და მოქმედებს, რომელსაც უყვარს და მხოლოდ იმისთვის არ არსებობს, რომ სხვებმა იგრძნონ მისი არსებობა.“

ნინო, როგორც კარგი მოსწავლე, საშინისთვის დაენანათ და შესთავაზეს, თემა ხელახლა, ფრიადის სანაცვლოდ, ისევე ნესტან-თინათინ-ავთანდილ-ტარიელზე დაენერა. ნინომ ღირსეულად არ დათმო ფატმანური სამიანი.

„აი, რა მომწონს ამ გოგომი“, – ვფიქრობ მე, როცა ნინო თავის ერთ-ერთ პირველ პროტესტზე ლიმილით მიყვება.

- კარგი, მეორე სიტყვას გეტყვი მაშინ, – ვუბნები.
- მითხარი.
- საზღვრები.

საზღვრები

დებორა: არანაირი საზღვრების არ მნამს.
ნოა: სამაგიეროდ, საზღვრებს სწამს თქვენი.
„კოკორო“

„საზღვარი ჩემთვის უფრო შიშია. შიში, რომ ვერ გადალახავ. შიშით შენ თავს აფერხებ. შიშით პატარა, ლოკალური მსოფლმხედველობა გიყალიბდება. პატარა ბავშვს რომ ეუბნებიან: ხელი არ მიაღო, დაინვები, დაინვები, დაინვები. მან კი მაინც უნდა მიაღოს, იმიტომ, რომ მიიღოს ეს გამოცდილება. მიხვდეს, რომ დაინვება. ეს გამოცდილება შეიძლება ყველასთვის არც იყოს აუცილებელი. ყველას თავისი საზღვარი აქვს.

ამიტომ მიყვარს მოგზაურობა. მოგზაურობა საზღვრების გადალახვაა. ძალიან ბევრი რამ მაშინებს, მაგრამ ყოველთვის ვფიქრობ, რომ გარისკვა სჯობს არგარისკვას. გეცოდინება მაინც, რომ სცადე, მიხვდები – ეს არ არის ჩემი და უკან მობრუნდები. რაც ასევე მომწონს არის ის, რომ საზღვრის გადალახვა ძალიან აფართოებს ჰორიზონტს: შინაგანს, გონებრივს, სულიერს. არაჩვეულებრივი შეგრძნებაა, როცა გრძნობ, აღიქვამ, შეიცნობ“.

ნინომ პირველი „საზღვარი“ 9 წლის წინ გადალახა. ის გერმანიაში გადავიდა და საცხოვრებლად. მეორე „საზღვარი“, ალბათ, მაშინ, როცა გერმანულად დაიწყო წერა. ასოციაციობანა მავინცდება და ნინოს უკვე კითხვას ვუსვამ:

– მესმის, რომ თავს მოხვეული დიქტომიაა, მაგრამ შენი ბიოგრაფიის, „სამშობლოგამოცვლილი“ ადამიანები, ძირითადად ორ სამყაროში „გამოკიდებული“ აღიქმებიან – „გამგზავნი“ და „მიმღებ“ სამყაროებს შორის. შენ ამას როგორ გრძნობ? გაქვს მოთხოვნილება, რომელიმე სამყაროს უფრო ეკუთვნოდე, ვთქვათ, მეტი სტაბილურობის შეგრძნებისთვის? ეს ქართულ-გერმანული დიქტომიაა...

ეს, გერმანულ-ქართული დიქტომია

„მართალი ხარ, თითქოს ყოველთვის სადღაც შუაში ვარ და ეს დილემა, ალბათ, მთელი ცხოვრება მექნება. აი, ვისი ხარ, გოგო, შენ? ვისი გოგო უფრო ხარ? პირველი წლები ძალიან მიჭირდა, როცა

მეკითხებოდნენ: შენ ქართველი ხარ, თუ გერმანელი? ამ ენაზე რომ წერ? ამ ენაზე, აბა, რატომ წერ? ენის „გამოცვლა“ იშვიათია და ხშირ შემთხვევაში, ალბათ, ბევრისთვის ძალიან სიმბოლურად დატვირთული აქტი. ჩემთვის გერმანულად წერა არ ყოფილა წინასწარ დაგეგმილი ნაბიჯი, რომელზედაც დიდხანს ვიფიქრე. ხელი შემინეო იმან, რომ სრულყოფილად ვფლობ ამ ენას, ბავშვობიდანვე ვსწავლობდი გერმანულს. ერთხელ, მასსოვს, აქ, თბილისში, ერთი რადიოინტერვიუს დროს, ეთერში ერთმა კაცმა დარეკა. თავიდან ძალიან ბევრი მაქო, მაგრამ ბოლოში ვერ მოითმინა და მაინც საყვედურის ტონით მკითხა: „რატომ წერ გერმანულად?“ თითქოს ენის გამოცვლა რაღაც ღალატის ტოლფასი იყოს. კი, კარგია, რომ გერმანიაში გამოდის შენი წიგნი, ბევრი მკითხველი ჰყავს, აქვს გამოხმაურება, მაგრამ... და ეს მაგრამ ყოველთვის რჩება. თავიდან მანუხებდა ეს საკითხი, მერე რაღაცნაირად შევეგუე. ახლა ვთვლი, რომ ამას დადებითი მხარე აქვს იმიტომ, რომ რახან მე არსად არ ვარ, შემიძლია, ყველაგან ვიყო. რახან მე არავის და არაფერს მივეკუთვნები, შემიძლია, ყველაფერს მივეკუთვნებოდე. არაოპორტუნისტული გაგებით, რა თქმა უნდა“.

მაინც გერმანულ-ქართული დიქტომია

გერმანული
წელს ლაიპციგის წიგნის ფესტივალზე ერთ-ერთმა ცნობილმა გერმანულმა სატელევიზიო არხმა, ARD-მა ნინოსთან ინტერვიუ ჩაწერა, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და რომელსაც ფესტივალის უამრავი სტუმარი ადევნებდა თვალს. მასსოვს, ნინოს ნამყვანმა ისევე გერმანულად წერაზე ჩამოუგდო საუბარი და მერე ჰკითხა, რომელი იყო მისი საყვარელი გერმანული სიტყვა. ნინო არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა: AUSLÄNDERBEHÖRDE. AUSLÄNDERBEHÖRDE რეესტრის მაგვარი დანესებულებაა, სადაც უცხოელები აღირიცხებიან. ნამყვანი უხერხულად შეიმშუმნა და მაშინვე სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. იქ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ნინო მაგარი გოგოა.
„ლამბედუზა ხო გაგიგია? – კუნძუ-

ლი. ევროპის პირველი „გამფილტრაგი“ საზღვარი. „ციხესიმაგრე“. აურაცხელი მიგრანტი აწყდება. ამ კუნძულზე არის ციხე, გალავანი; შემოსაზღვრულია ყველაფერი და დანაწილებული, თითქოს იმისთვის, რომ გითხრას: შენ რჩები აქ, ან უკან მიდიხარ, ან თუ გაგიმართლა, შეიძლება შემოგიშვა კიდეც. შენი მემინია, შენ უცხო ხარ და რაც არ უნდა იყოს, მაინც მეორეხარისხოვანი იქნები ჩემს ქვეყანაში. მერე რა, რომ ევროპაა. თან 21-ე საუკუნე.

არის კიდევ მეორე რამ: მეორე მსოფლიო ომის მერე გერმანიას აქვს კომპლექსი, რომლის გამოც მუდმივად თვითგვემანია. ამის გამო ბევრი რამ ითრგუნება. გერმანული თავს უფლებას არ აძლევს ემოცია გამოხატოს, ოდნავ მეტად პათეტიკური იყოს, ვიდრე ეს მისი რაციონალური კულტურისთვისაა დასაშვები. ეს, ადამიანში ძალიან დიდი რაღაცის ჩახშობას იწვევს, რაც მერე, ძალიან არასწორ და არასამართლიან ადგილას იჩენს თავს. ამის გამო ისეთ აბსურდში ვარდებიან ხანდახან, რომ სასაცილოც კია. არ მომწონს ის, რომ ემოციის შიშია ქვეყანაში. მეორე უკიდურესობაა იმის, რაც ჩვენ გვაკლია. ის, რომ ყველაფერი დეტალურად უნდა გაანალიზდეს, ის, რომ ათასჯერ უნდა დაფიქრდეს, შეიძლება თუ არა, მაქვს ამის უფლება თუ არა, რამე მოჰყვება ამას თუ არა. ყველაფერი თითქოს პროგრამულად გათვლილია. ადამიანები ითრგუნებიან. თეატრშიც ძალიან იგრძნობა ეს. ჩემს სპექტაკლებზე ერთ-ერთი უმთავრესი კრიტიკა ის იყო, რომ ზედმეტად ემოციურია, რომ ამ ყველაფერს მეტი ირონიით და სარკაზმით და ნაკლები ემოციით უნდა მივუდგე. მე კი ვთქვი, რომ ჩემთვის ხელოვნებაა ემოცია. ხელოვნება ემოციის გარეშე არ არსებობს. წარსულის ჭიპლარი ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩაჭრა. ამის გარეშე წინ ვერ წახვალ, ეს რაღაც, ყოველთვის უკან მოგქანავს. მერე რა, რომ საკუთარ წარსულს ასე თრგუნავ, მაინც ხომ არის ნაცისტური დაჯგუფებები, მაინც არის ზიზლი, ბრაზი. ხანდახან შეგრძნება მაქვს, რომ თავის თავს ვერ გრძნობენ, სულ რაღაცის დარწმუნება სჭირდებათ, რაღაცის მტკიცება. ეს ადამიანურ კონტექსტში ძალიან დამთრგუნველია“.

ქართული

ნინო ამ ჯერზე თბილისში სექტემბრის ბოლოს ჩამოვიდა. სექტემბრის ბოლო, გემახსოვრებათ, როგორი იყო. ერთ დღეს, როცა მე და ნინო „მულენში“ ვისხედით, ლესელიძეზე, რომელიღაც ეგზალტირებულმა ჯგუფმა ჯოს-ჯოს შეძახილებით ჩაიარა. შევამჩნიე, ნინო როგორ დაიძაბა. იმ დღეს ორივე ცუდ ხასიათზე ვიყავით. მერე ნინომ შუალამისას „ფეისბუქში“ ნოუთი დადო, რომელშიც მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა.

„ეს არგუმენტი მკლავს, რომ შენ რა იცი, შენ აქ არ ცხოვრობ, შენ იქ ცხოვრობ, სადაც პრობლემები არაა. ამიტომ მე თითქოს არ მაქვს კრიტიკის და შეფასების უფლება. პირიქით, მგონია, რომ როცა დისტანციიდან უყურებ რაღაცას, მეტად ადეკვატურად შეიძლება შეხედო ყველაფერს. რახან აქ, ორომტრიალის ეპიცენტრში არ ვიმყოფები, რატომ არ შეიძლება მქონდეს აზრი, კრიტიკული, რომელსაც თავისუფლად გამოვთქვამ? სასტიკად მაშინებს ეს ბოლოდროინდელი ტენდენცია. თუ მის აზრს ზუსტად, წერტილ-მძიმით არ ვიზიარებ, მის თვალში მტერი ვხდები. მე მასთან დაახლოებული კი არაა, ზუსტად იგივე აზრი უნდა მქონდეს. ეს უკვე ტოტალიტარული აზროვნებაა. არ შეიძლება ომის გამოცხადება იმისთვის, ვინც შენ აზრს არ იზიარებს. მერე ეს ეიფორიაში გადადის და რაციონალურად განსჯის საშუალება იკარგება. რახან მე აქ არ ვცხოვრობ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ეს არ მანუხებს. რახან აქ ახლა არ ვცხოვრობ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე არ ვცხოვრობდი, არ ნიშნავს, რომ ის სასტიკი და ბნელი წლები არ გამომივიღია.“

მე პროტესტს ვამართლებ, მაგრამ არაა აუცილებელი პროტესტი აგრესიით გამოხატო. აგრესია ყველაზე ნაკლებადაა შედეგის მომტანი. არ მახსოვს, აგრესიით ვინმეს რამესთვის მიეღწიოს, ან ვინმეს უკეთ გაეგოს რამე. რაც თავი მახსოვს, სულ ვიღაც ყვირის, ვიღაც ჩხუბობს, რაღაც არ მოსწონს. შეიძლება არ მოგწონდეს, ანდა არ იყო მოსაწონი, მაგრამ უფრო მეტად მიზანმიმართული უნდა იყო, უფრო მეტად თვითკრიტიკული, მეტი კონცენტრაცია გააკეთო იმაზე, ჩვენ რა შეცდომა დავეშვიტ და არა

იმის პერმანენტულ ძალისხმევაზე, რომ მარადიულად ძერწო მტრის ხატი“.

სანამ კიდევ ერთ ფინჯან ყავას დალევედით, ცოტა ხნით ვისვენებთ.

– რა ბრენდის ტანსაცმელს ვატარებ, არ მკითხავ? – იცინის ნინო.

– არა, – ვეუბნები მე. მეც მეცინება.

– მოდი, მედეაზე ვილაპარაკოთ, – ვთავაზობ.

მთანმხლებია.

არ ვთვლი, რომ სიყვარულს ოჯახი, ფორმა ან ნორმა სჭირდება. მისთვის, რომ ეს ქლასიკური ინსტიტუსიებს საფრთხის ქვეშ აყენებს, მაგრამ რას შეტად მიჰყვები შენს ბრძნობას და არა საზოგადოებრივ ნორმას, მადი შენსი გაქნება, ნიზნის ფილმის ბმირად იბრძნო თავი“.

მელაა

„ახლა, როდესაც შენი სახე თვალწინ მიდგას, მგონია, თითქოს გრძნობა, რომელიც მეუფლება, ყოველგვარ შიშს თრგუნავს და აქრობს. ეს სულისშემძვრელი სიახლოვე რჩება მხოლოდ, ეს სისათუთე“.
ჩემი ნაზი ტყუპისცალი

მედეა ნინომ თავის სადბლოგო ნამუშევრად აირჩია. „მედესათვის“ ნინო ერთი წელი ემზადებოდა. სპექტაკლი 2007 წელს დადგა ჰამბურგში. ამბობს, რომ ამ პიესას სიამოვნებით აჩვენებდა საქართველოში. სპექტაკლს ძალიან კონტროლერისიული გამოხმაურება ჰქონდა. ბევრს მოეწონა, ბევრი აღშფოთდა. ნინო ფიქრობს, რომ მსგავსი რეაქცია

ხელოვნებაზე საუკეთესოა.

მედეა ავირჩიე იმიტომ, რომ ის გაუნალიზებელია; იმიტომ, რომ მედეას ქართველები ვერიდებით. აქ მედეა მანამდე გვიყვარს, სანამ ის საქართველოში ცხოვრობს. მოგვწონს ის ვერსია, რომ მედეას არავინ მოუკლავს, რომ ის მსხვერპლია, რომელიც დაიწაგრა, რომ მას ბერძნებმა მოუკლეს შვილები შურისძიების მიზნით და მერე ხელები შეახოცეს. ქართველები შვილების მკვლელობამდე საერთოდ არ მივდივართ. ქართველი ქალი ხომ, პირველ რიგში, დედაა, დედა კი – წმინდანი, და სხვათა შორის, ტაბუდადებული. დედას შეუძლებელია შვილი არ უყვარდეს, შეუძლებელია შვილი მიატოვოს. ტაბუა პოსტნატალური დეპრესიაც, არადა, ხომ ფაქტია, ბევრი ქალი იტანჯება ამით. რა თქმა უნდა, სამშობლოს „ლალატის“ თემაც მტკივნეულია. მედეამ ხომ სამშობლო ბერძენ კაცზე გაცვალა. ალბათ, ეს ნაკლებად მტკივნეული იქნებოდა იასონი რომ ჯუმბერი ყოფილიყო“.

გვეცინება.

„ჩემთვის ტაბუ არ არსებობს, მაგრამ მნიშვნელობა აქვს გამოხატვის ფორმას. სკანდალი თვითმიზანი არ უნდა იყოს. სკანდალით ინსპირირებული გალიზიანება მე იმ შედეგს არ მომიტანს, რაც მინდა. ხელოვნება იმისთვისაა, რომ ადამიანს ემოციურად შეეხოს, დააფიქროს. თუ ის მხოლოდ გაბრაზდება, ეს შედეგი არაა. შეიძლება სხვა გზით მივიტანო მასთან სათქმელი, უფრო შეფარულად, ისე თავხედურად და ისე ლიად არა, როგორც ეს შეიძლება სხვა კონტექსტში გამეკეთებინა. ამიტომ ჩემთვის ორმაგად საინტერესოა, როცა დელიკატურ თემას ვეხები. ხანდახან ეს დამღლელობაა, აქ უფრო მეტად გინევს ფიქრი. რომ ვთქვა, რომ რაღაც ისეთის დაწერა მომწოდებია ან დადგმა, და ვერ გამოიხდებია, არა. არ მქონია ასეთი შემთხვევა. თუმცა შინაარსი ფორმის ხარჯზე არანაირად არ უნდა დაითრგუნოს. თუ რაღაცაზე ლაპარაკი გინდა, უნდა ილაპარაკო“.

ნინოს მელაა

„მედესათან მე სიყვარულის თემით დავინწყე. ძალიან ბევრი ვეძებე, ვიკითხე. მედეას რამდენიმე არაჩვეულებ

ისტორია

„3 ნაბი“, ბაგდადი 2011



„კოკორი“



LE PETIT MAITRE, 2008



„ლივ ზტაინი“, თბილისი 2011



LE PETIT MAITRE, 2009



მე, მისე, მარინა, კაზბეჯიანი, 2011



„თავზიანის სემოვარება“, ბომონსაძენი 2010



LE PETIT MAITRE, 2008



ბრივი ვერსია არსებობს, მაგრამ ის, რაზეც მე მინდოდა ფოკუსირება, არსად შემხვედრია, არცერთ ვერსიაში. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ქალი და კაცი ერთმანეთის იაფფასიან მტრებად არ მექცია. კლიშეს გაცვდენოდი, რომ კაცი მოლაღატა, რომ ის ტოვებს ქალს. ქალი კი მსხვერპლი ხდება და მერე შურს იძიებს. მიმაჩნდა, რომ აქ ბევრად მეტი სიღრმეა, ბევრად მეტი ფაქტორი, რომელთა გამოც ეს ადამიანები გადაწყვეტილებებს იღებენ. მე ჩემი ვერსია შევქმენი. ფოკუსი იმაზე გავაკეთე, რომ ეს არ არის იდეოლოგიამდე აყვანილი სიყვარული. შევეცადე, მედეას „გერმანული“ ხატიც დამემსხვრია, როგორც ეგზოტიკური ჯადოქრის. ჯადოქრობა ჩემთვის სიყვარულის უნარია, რომელსაც მედეა ფლობს. ამიტომ მისი, როგორც შურისმაძიებლის სახე, ძალიან მეთაფფასიანება“.

– როგორ ფიქრობ, სიყვარულს ოჯახი სჭირდება? – სხვაგან მივდივარ. ნინოც მომეყვება.

– არა მგონია, სიყვარულს რამე „მიღებული“ ფორმა სჭირდებოდეს. სიყვარული მარადიული თემაა ხელოვნებაში. ბევრი ფილმი გვინახავს, ბევრი წიგნი ნაგვიკითხავს სიყვარულზე, კულტურა საესეა სიყვარულის მითებით და ისტორიებით. პატარა როცა ხარ, გგონია, რომ შენს ცხოვრებაშიც ასე იქნება, როგორც ფილმში, როგორც წიგნში. რეალობა კი, უფრო ხშირად, სხვანაირია, არამითურა. ფაქტია ისიც, რომ გრძნობა, რომელიც ყველას სურს, რომელზეც ყველა წერს, ყველა ლაპარაკობს ხანდახან მანიპულირების ინსტრუმენტია. ოჯახი, როგორც ინსტიტუტი, დიდი ხანია, კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცა ევროპაში. დღეს, გლობალიზაციის პირობებში, ცხოვრების რიტმიდან და პირობებიდან გამომდინარე, ერთად ყოფნის სხვა ფორმა ხდება უფრო სასურველი. დასავლური კულტურა აღარ ახვევს მის ნევრებს თავს კლასიკური ოჯახის ფორმას, თუმცა ის მაინც ყველაზე პრივილეგირებული ინსტიტუციაა. მე კი მგონია, ყველაზე პრივილეგირებული ინდივიდი უნდა იყოს.

ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება იცხოვროს ისე, როგორც სურს და

არავინ ერეოდეს მის ცხოვრებაში, რაც ჩვენთან, საქართველოში, თითქმის წარმოუდგენელია. გაუთხოვარი ქალი, გამორებული, უშვილო, ან საერთოდ, კაცის გარეშე მყოფი ქალი, დღეს აქ ყველაზე „დაბალი ფენაა“. ჩვენთან შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ქალს შესაძლოა სულაც არ სურდეს ოჯახის შექმნა, კარიერაზე ორიენტირებული ქალი დამცინავ ღიმილს იწვევს, უშვილო ქალი ებრალებათ. არავინ უშვებს იმ აზრს, რომ ქალს შეიძლება სხვა პრიორიტეტები ჰქონდეს ამ ცხოვრებაში.

არ ვთვლი, რომ სიყვარულს ოჯახი სჭირდება, რომ სიყვარულს ნორმა ან ფორმა სჭირდება, რომ გრძნობაში ჩარჩობს და დოქტრინებს უნდა მივყვეთ. მესმის, რომ ეს კლასიკურ, ნორმატიულ, სხვის სურვილებზე და მოლოდინებზე დაფუძნებულ ინსტიტუციებს საფრთხის ქვეშ აყენებს, მაგრამ მგონია, რომ რაც მეტად მიყვები შენს გრძნობას და არა საზოგადოებრივ ნორმას, მეტი შანსი გექნება წიგნის ან ფილმის გმირად იგრძნო თავი“.

– მგონია, რომ ქალზე წერა უფრო საინტერესოა, – ვეუბნები – როგორ ფიქრობ, რატომ?

ქალზე წერა

ლორა: ეს მინდოდა გამეგო, როგორი გრძნობაა შენნაირი რომ ხარ.

ლეო შტაინი

– პირველ რიგში, იმიტომ, რომ მე თვითონაც ქალი ვარ, რაღაცები უკეთ მესმის მისი, ვიდრე – კაცის. უფრო ახლოს მოდის ჩემთან, უფრო აღვიქვამ და უფრო მეხება. მერე ამის ინტერპრეტირება ისე ხდება, რომ ეს ქალის დანახული სინამდვილეა, ქალის ტკევილი. რას ნიშნავს ქალის დანახული სინამდვილე? ისიცაა, რომ ძალიან ცოტა ქალს ჰქონდა, თუნდაც, 50 წლის წინ იმის პრივილეგია და საშუალება, რომ გამოეხატა თავისი პოზიცია, მდგომარეობა და ნუხილი. ამიტომ საუკუნოვანი ისტორია აქვს იმას, რაც კაცებს დანახული, აღქმული და აღწერილი აქვთ. ქალი, უმეტეს შემთხვევაში, მამაკაცის მიერაა ხელოვნებაში ინტერპრეტირებული. ქალი საინტერესო სქესია, ბე-

ვრად უფრო ცუდად შესწავლილი. ქალი პერსონაჟები უფრო პროტოტიპულად დაყოფილია და უფრო კლიშეურად აღქმული. ქალი ან მეძავია, ან წმინდანი, ან ერთგული მეგობარი. დროა, ეს სტერეოტიპული აღქმა დაიმსხვრეს. დროა, მივხვედეთ, რომ ქალს შესაძლოა ბევრი იდენტობა ჰქონდეს ერთდროულად. კიდევ ერთი საკითხია – დასავლურ სამყაროში ქალი-ავტორი ეგზოტიზაციის თემაა, მით უმეტეს, თუ მას მიგრაციული წარსული აქვს. ბოლო ათი წელია, ასეთი ავტორები ძალიან პოპულარულები არიან გერმანიაში. იგივე ტექსტი გერმანელის დაწერილი რომ იყოს, შეიძლება არც მიექცეს ისეთი ყურადღება. მერე ინტენსიურად ხდება ამ ავტორთა წარსულის სტილიზირება. თანდათან რაღაც შტამში გედება და უკვე მოგე-თხოვება, წერო ერთსა და იმავე თემატიკაზე, არ გამოხვიდე ჩაკეტილი წრიდან. ძალიან ბევრი ავტორი იყენებს ამას. ბევრისთვის ეს ხელსაყრელია, მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს ძალიან სახიფათოა. მე არ მინდა, აღქმული ვიყო, როგორც საქართველოზე მარადიულად მაგალობელი ბუღბუღი. კი, მე ვამბობ, რომ მე საქართველოდან ვარ, ეს ჩემი ნაწილია და ასეც იქნება, მაგრამ მე ასევე შევდგები სხვა ნაწილებისგან, სხვა ინტერესებიც მაქვს. ჩემი 16 პიესიდან მხოლოდ 2 ეხება საქართველოს, მეორე რომანი გერმანელის თვალთ დანახული საქართველოა, პირველში მას საერთოდ არ შევხებივარ. მხოლოდ ახლა შემიძლია, თავს უფლება მივცე, რომ საქართველოს თემას ჩაუღრმავდე.

– ერთი მითხარი, შენ უფრო თეატრის გოგო ხარ, თუ უფრო ლიტერატურის? – ვეკითხები.

ისევე გვეცინება.

ქიდეზ ერთი დიპლომატი

თეატრი/ლიტერატურა

„ორივე ძალიან მიყვარს. როცა დიდი ხნით რეპეტიციები მაქვს, ძალიან მენატრება განმარტოება და წერა, იმიტომ, რომ ეს საერთოდ სხვა საქმეა. ეს ინდივიდუალურია. აქ არ ითვალისწინებ არავის აზრს, აკეთებ იმას, რაც გინდა. სპექტაკლის შემთხვევაში ითვალისწინებ ბევრი ადამიანის აზრს, რაც დამლელია, მაგრამ გამდიდრებს. მეორეც

ისაა, რომ როდესაც დიდხანს ვარ გამოკეტილი, მერე ძალიან მენატრება თეატრალური „აურზაური“. ერთი რამ ვიცი, როგორც ლიტერატურის, ისე თეატრის გარეშე ძალიან გამიჭირდება.

– და ბოლო კითხვა მაქვს – ოფიციალური ვხდები – ახლა რაზე მუშაობთ? ფაქტები დაიღოს!

ფაქტები ფაქტების დაღებაზე

პირველად ნინო გერმანიაში 12 წლისა ჩავიდა, დედასთან ერთად. იქ ორი წელი ისწავლა სკოლაში. ძალიან ენატრებოდა თბილისი. როცა დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ სხვანაირია, გაიზარდა. „უკვე აქაც ისე უცხოვრებ და მარტოდ ვგრძნობდი თავს, როგორც გერმანიაში“.

ეს „უცხოობა“ მტკივნეული, მაგრამ, საბოლოო ჯამში, დადებითი გამოცდილება აღმოჩნდა. „საშუალება მომეცა, ისე დამესვა კითხვები, რომ პასუხი მიმელო, იმ ხერხისთვის მიმემართა, რომ თვითგამოხატვა შემძლებოდა, ის ადამიანები მეპოვა, ვინც გამიგებდა“.

სკოლაში მოსწავლეებმა თეატრალური დასი შექმნეს. იქ სანთლის შუქზე სიცივისგან გალურჯებულები ატარებდნენ რეპეტიციებს. „ყველაფერს ჩვენ თვითონ ვაკეთებდით. მე ვწერდი, მერე ვდგამდით. გამიმართლა, რომ ყოველთვის მხვდებოდნენ ადამიანები, რომელთაც სჯეროდათ ჩემი და ჩემი თეატრით გატაცებას ბავშვურ გატაცებად არ თვლიდნენ“.

ნინომ თეატრალურში, კინოფაკულტეტზე ჩააბარა. „თეატრალურის წლები ძალიან კარგად მახსოვს და ძალიან მიყვარს. საუკეთესო მეგობრები იქ შევიძინე, მაგრამ მივხვდი, რომ ვერ ვიღებდი იმას, რაც მინდოდა“. 2003 წელს ნინომ უკვე ჰამბურგში, თეატრალური აკადემიის დრამის რეჟისურაზე ჩააბარა. მისაღებ გამოცდებში მონაწილე 180 ადამიანიდან ჯგუფში მხოლოდ 6 დარჩა. მათ შორის ნინო იყო ყველაზე პატარა.

„თავიდან გამიჭირდა. თითქმის 24 საათს აკადემიაში ვატარებდი. სხვა ცხოვრება თითქმის არ მქონია. ბევრი რამ თავად უნდა გაგეკეთებინა. შენ თვითონ შეგედგინა დასი, თავად დაგერწმუნებინა მსახიობები, მხატვრები, დიზაინერები, რომ შენთან ემუშავათ.“

ეს უდიდესი გამოცდილება იყო. ამ გამოცდილებამ მიზანმიმართული გამხაზვა და“.

ნინო პარალელურად წერას აგრძელებდა. „თავისთვის“ წერდა და მერე უფრაში ინახავდა. „ერთხელაც გამოვაცხადე, რომ საკუთარი პიესის დადგმას ვაპირებდი. სკეპტიკურად შემომხედეს. მე თვითონ ეჭვი მღრღნიდა, არ ვიყავი საკუთარ თავში დარწმუნებული, მაგრამ გავრისკე. პიესას Z ერქვა. ამ სპექტაკლით მერე ბევრ ფესტივალზე მიგვიწვიეს. გამომცემლობაც უცებ გა-

ჩემთვის ტაბუ არ არსებობს, მაგრამ მნიშვნელობა აქვს გამოხატვის ფორმას. სქანდალი თვითმიჯანი არ უნდა იყოს. ხელოვნება იმისთვისაა, რომ ადამიანს ემოციურად შეახოს, დააფიქროს. თუ ის მხოლოდ ბაბრაზდება, ეს შედეგი არაა.

მომეხმაურა. ამან ბევრი რამ შეცვალა, თუმცა ლიტერატურაში „ფეხის შედგმა“ ცოტა უფრო გამიჭირდა. 3 წელს ვეძებდი გამომცემლობას „ჟუჟასთვის“. მერე, ერთი პატარა, მემარცხენე გამომცემლობა დაინტერესდა. პრემიებმა, რეცენზიებმა, გამომხაურებამ ძალიან გააადვილა საქმე“.

ნინო ახლა 29 წლისაა. ის 16 პიესის და 2 რომანის ავტორია. მისი სპექტაკლები იდგმება ჰამბურგში, კასელში, გოტინგენში, ვაიმარში, ბერლინში, ვენაში, ციურიხში. პირველი რომანი „ჟუჟა“ 2010 წელს გამოვიდა. მეორე რომანი, „ჩემი ნაზი ტყუპისცალი“ – 2011 წელს. ნინოს ბევრი მნიშვნელოვანი პრიზი აქვს მიღებული. მათ შორის, დამოუკიდებელი გერმანული გამომცემლობების მთავარი პრიზი „ჩემი ნაზი ტყუპისცა-

ლისთვის“, ბუდენბროკჰაუსის სადებიუტო პრიზი „ჟუჟასთვის“, ჰაიდელბერგის დრამის მთავარი პრიზი „ლივ შტაინისთვის“, პრიზი გერმანული ლიტერატურის განვითარებისთვის, მარესის პრიზი წლის საუკეთესო დადგმისთვის.

ნინოს ტექსტები ითარგმნება ინგლისურად, ფრანგულად, პოლონურად, ბერძნულად, რუსულად, იტალიურად და სხვათა შორის, ქართულადაც. „ჩემს ნაზ ტყუპისცალს“ ნინო ბურდული თარგმნის. ნიგნს „სიესტა“ გამოსცემს.

ფაქტები

„ახლა რომანს ვწერ, რომელსაც სამუშაო სათაურად ჯერჯერობით „მერვე ცხოვრება“ აქვს. ზოგადად, ისტორია ძალიან მაინტერესებს. განსაკუთრებით უახლესი ისტორია და განსაკუთრებით ის პერიოდი, რომელიც მეც მახსოვს – პერესტროიკა. პერესტროიკის გაგება რთულია, თუ წარსული ცოტა მეტად არ იცი. ასე მივყევი ამ წარსულს და მივაღებ იქტომბრის რევოლუციას. არქივებში ვიმუშავე მოსკოვში, პერტერბურგში, თბილისშიც. ძალიან ბევრი, საინტერესო მასალა ვნახე, მაგრამ ძალიან დამთრგუნველი. ერთი დოკუმენტი ვიპოვე. იმ დისკუსიას ასახავს, როცა განიხილავენ, თუ სიკვდილით დასჯის რომელი მეთოდი ყველაზე ეფექტური და ნაკლებბარჯიანი სახელმწიფოსთვის. პროტოკოლებში წერია, ვის რამდენი რუბლის ბანარი დასჭირდა ჩამოხრჩობისთვის. ძალიან რთული იყო ამაზე მუშაობა“.

უცებ სურვილი მიჩნდება, ერთი სტანდარტული კითხვა დავუსვა, რომელსაც მე პირადად, ვერასოდეს ვპასუხობდი.

- ათი წლის მერე შენ თავს სად ხედავ?
- პლაჟზე, ნაკურთხ „კუპალნიკში“, ვინმე 20 წლით პატარა ხესუსთან ერთად.
- ხესუსი რაღაა?
- ხესუსი არ იცი? მადონას კაცი!
- ეუჰ.

10 წლის მერე არ ვიცი და, ნინო ახლა ჰამბურგშია. სანამ მე მის პროფილს ვწერ, ის წერს და თავის სამზარეულოს კედლებს ნაირფერად ლეზავს. პრინციპში, მორჩებოდა უკვე.



არტი

თბილისი-ნიუ იორკს შორის

ავტორი ნინო ჩივაკაძე
 ფოტო: ლევან ხარხელიძე

ნიუ იორკში, ბრუკლინის ერთ ძველ უბანში, რომელიც გოვანუსის არხის პირასაა გაშენებული, უკვე მეშვიდე წელია, ერთი პატარა გალერეაა. „პროტეუს გოვანუსი“ (Proteus Gowanus) – ასე ჰქვია გალერეას, რომელიც იუნიონ სთრითზე, ყოფილი ფაბრიკების ტერიტორიაზე მდებარეობს. ერთ დროს, ეს ადგილი ქალაქის მნიშვნელოვანი საპორტო და ინდუსტრიული ცენტრი იყო, დღეს კი იქაურობა ინდუსტრიული ნარჩენითაა სავსე, გარემოზე მავნე ზემოქმედების დადგენა და ტერიტორიისა და არხის გასუფთავება ჯერაც ვერ მოხერხდა. თუმცა, ეს სასარგებლო აღმოჩნდა არტისტებისთვის, რომელთაც სწორედ ძველი შენობები, გაუქმებული ქარხნები და

ყოფილი ინდუსტრიული ზონები იზიდავთ.

წარმოშობით ქართველმა არტისტმა, საშა (ალექსანდრა) ჭავჭავაძემ გალერეას ბერძნულ მითოლოგიაში ზღვის ღმერთის, პროტეუსისა და ადგილობრივი არხის სახელი დაარქვა. Proteus Gowanus-ი ხშირად მასპინძლობს გამოფენებს, პრეზენტაციებს, ინტერდისციპლინარულ პროექტებს... უკვე წლებია, ეს გალერეა იუნიონ სთრითის ექსინდუსტრიულ ზონაში ცოცხალი, საინტერესო არტსივრცის ფუნქციას ასრულებს.

თავად საშაც საკუთარ პროექტებს პირველად იქ წარადგინს ხოლმე. იქვე ხშირად იფინება კიდევ ერთი ქართველი არტისტის, ნიუ იორკში მცხოვრები ლადო ფოჩხუას ნამუშევრებიც. „ბრუკლინში

იტალიურ რაიონში ვცხოვრობ, ქეროლ გარდენში, ამ ტერიტორიასთან საკმაოდ ახლოს. ერთ დღესაც, ქუჩაში შემთხვევით მოვკარი თვალი ლამაზად დანერილ პოსტერს „Proteus Gowanus“ და შიგნით შევედი. გალერეის დათვალიერებისას ქართული არტეფაქტები და სუვენირები შევნიშნე და საშას მაშინვე გამოვკითხე, საიდან ჰქონდა ეს ქართული ნივთები. მან კი მითხრა, რომ თვითონ წარმოშობით ქართველი, ჭავჭავაძე იყო. ასე გავიცანი საშა შემთხვევით, ნიუ იორკში“, – მიყვება ლადო, როცა მათი ნაცნობობის ამბავს ვეკითხები.

საშა ჭავჭავაძე და ლადო ფოჩხუა წლევეანდელ, მეხუთე „არტისტერიუმზე“ თბილისში ერთად ჩამოვიდნენ და პროექტიც ერთ სივრცეში წარადგინეს.



მათი ნამუშევრები ეროვნული მუზეუმის დარბაზში გამოიფინა. როგორც თავად ამბობენ, ძალიან მოეწონათ ეს სივრცე, თან უნდოდათ, სტანდარტული გალერეისგან ცოტა განსხვავებული ადგილი მოესინჯათ.

„ტანსაცმელი რევოლუციისთვის“, – ასე იყო დასათაურებული საშა ჭავჭავაძის ინსტალაცია, რომელიც ძველებურ, თეთრი ფერის ტექსტილებს, ძველი სერვიზის ნამტვრევებს, უთოს და სხვა არტეფაქტებს აერთიანებს. ლადო ფოჩხუამ კი რამდენიმე დიდი ზომის ნახატი წარმოადგინა, რომლებზეც უსახო, არაიდენტიფიცირებული ადამიანები მე-19 საუკუნის ევროპულ კოსტიუმებში არიან გამოწყობილნი. მის პროექტს „წიგნი ახალი ქართული არისტოკრატიისთვის“ ჰქვია. ლადო ფოჩხუა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 12 წელია, საქართველოში აღარ ცხოვრობს, აქ მაინც ხშირად ჩამოდის და მისი გამოფენებიც თბილისში ბოლო წლების მანძილზე არაერთხელ გამართულა. საშა ჭავჭავაძე კი თბი-

ლისში მეორედ იყო ჩამოსული, პირველად ის საქართველოში მიმდინარე წლის მაისში იყო, როცა ლიტერატურის მუზეუმში პროექტი „ასანთების მუზეუმი“ აჩვენა.

საშა, პირველი კითხვა თქვენთან მექენბა. როგორ მოხდა, რომ აქამდე არ იყავით საქართველოში ნამყოფი და ახლა რამ გიბიძგათ, ჩამოსულიყავით?

საშა: ჩამოსვლა ყოველთვის მინდოდა, მაგრამ რატომღაც ვერ ვახერხებდი. ჩემი და 20 წლის მანძილზე თითქმის ყოველ წელს ჩამოდიოდა აქ, რადგან მას ორგანიზაცია აქვს და ეს მისი სამუშაოს ნაწილია, მაგრამ მე დიდი ხნის მანძილზე არ მიმოგზაურია არსად. 2 შვილი, საქმე, ნიუ იორკის ტემპი... ზოგჯერ საერთოდ აღარ გრჩება დრო, სხვა რამეზე იფიქრო. მერე ბავშვებიც გაიზარდნენ და უფრო მეტი თავისუფალი დრო გამომიჩნდა, თან ბოლო პერიოდში ლადომ დაიჟინა, რომ აუცილებლად უნდა მე-ნახა საქართველო და მაისში მართლაც გადავწყვიტე აქ ჩამოსვლა.

ლადო: ჰო, მე ერთგვარი ზეციური მაცნე ვიყავი, რომელიც შევიდა მის გალერეაში, გაიცნო ის და დაარწმუნა, თავისი წინაპრების სამშობლოში ჩამოსულიყო.

იქნებ უფრო დეტალურად მოგვიყვებოდა, რა გაკავშირებთ საქართველოსთან და როდის ნავიდნენ თქვენი წინაპრები აქედან?

საშა: ჩემი ბაბუა სანკტპეტერბურგში იზრდებოდა, საქართველოში ბოლოს 1918 წელს ჩამოვიდა, მამას რომ გამოშვიდობებოდა, რადგან მერე რუმინეთში მიდიოდა სასწავლებლად. იქიდან ლონდონში გადავიდა, ბოლოს კი – ნიუ იორკში. მამამისი მალე ბოლშევიკებმა დახვრიტეს და ეს იყო ჩვენი ოჯახის საქართველოსთან კავშირის დასასრული. შემდეგ ბაბუჩემმა დაწერა მემუარები, რომელიც, სხვა ამბებთან ერთად, წინანდალზეც ლაპარაკობს – ჩვენს მამა-პაპურ სახლზე, იქ მოგზაურობა ახლა, ამაღლელებელი თავგადასავალი იყო ჩემთვის.

ლადო, თქვენ როგორ მოხვდით ნიუ იორკში?

ლადო: მე, პირველად, ჩემი მშობლიური ქალაქი, სოხუმი, 1993 წლის 27 სექტემბერს, აფხაზეთის ომის ბოლო დღეს დავეტოვე. მაშინ 23 წლის ვიყავი. იმ დღიდან იწყება ჩემი ცხოვრების მოგზაურობა. მე და საშას ესეც გვაერთიანებს – ორივენი დევნილები ვართ; მართალია, სხვადასხვა დროს მოგვინია სამშობლოს დატოვება, სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში, მაგრამ მაინც. ჩვენი აქ წარმოდგენილი გამოფენაც ისტორიის გამეორებაზეა – ელიტების ცვლაზე.

სოხუმიდან წამოსვლის შემდეგ, თბილისში სამხატვრო აკადემია დავამთავრე. 33 წლის ასაკში, თბილისში, ჩემს პერსონალურ გამოფენაზე შევხვდი ჩემს მომავალ მეუღლეს, ამერიკელ ელიზაბეტ იგონს, დავექორწინდით და აქ 2-წლიანი ცხოვრების შემდეგ, ამერიკაში გადავედით. ახლა ნიუ იორკში ვცხოვრობთ. უცნაურია, მაგრამ სოხუმის შემდეგ, ეს პირველი ადგილია, რომელსაც შემიძლია სახლი ვუწოდო. ნიუ იორკს აქვს ეს თვისება...

კი, ეს მეც შევამჩნიე, მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც ერთი კვირით ვიყავი იქ. თუმცა ბევრისგან გამიგია, რომ თრგუნავს მისი მასშტაბურობა და ტემპი. ამიტომ, აქვე გკითხავთ, რას ნიშნავს არტისტიკისთვის, ცხოვრობდე 21-ე საუკუნის ნიუ იორკში – მრავალფეროვან, საინტერესო ქალაქში, რომელიც სიახლეების და საინტერესო ამბების უღვივებელია წყარო?

საშა: არტისტიკისთვის, ეს ქალაქი ზედმეტად გადატვირთულია და ყურადღების კონცენტრირებაში გიშლის ხელს. კომერციული არტსამყარო კი იმხელაა, ძალიან რთულია, იპოვო შენი ხმა, განსაკუთრებით რთულია ეს ახალგაზრდა არტისტიკისთვის. თავიდან მეც ცოტა დავითრგუნე და დავიბენი, მაგრამ მერე, რაღაც დროის მანძილზე, ჩემს სტუდიაში ჩავიკეტე და ასე გავართვი თავი ამას. ვმუშაობდი ძალიან აქტიურად და საბოლოოდ, ჩემი თავიც ვიპოვე მონოლითურ არტსამყაროში.

ლადო: ეს, მართლაც უკიდევანო შესაძლებლობების ქალაქია, რომელმაც შემქმნა მე, როგორც არტისტი. აქ შეგი-

ძლია ყველაფერი გააკეთო, ყველაფერი ნახო. ყველაფერი, რაც კაცობრიობამ შექმნა 2012 წლამდე, ხელმისაწვდომია ნიუ იორკში. მაგრამ იმდენი რამე ხდება ყოველდღე, რომ ყველაფერს თავს ვერ ვართმევ, ზოგადად, სწრაფი ვარ, ბევრ ინფორმაციას ვიღებ და მიყვარს ინფორმაცია, მაგრამ უნდა ვალიარო, რომ ნიუ იორკმა გამაოცა, წარმოუდგენელია, ყველაფერი მოასწრო და გადაამუშაო – ასობით შოუ ყოველდღე, უამრავი ფილმი. თბილისში კი, უნდა დაესწრო რაღაც მოდურ ღონისძიებებს, საღამოებს, რომ გამორჩნდე, ხალხმა გაგიცნოს, ნიუ იორკში ვერ „გამოჩნდები“, აქ 9 მილიონი ადამიანია, 9 მილიონი ამბით.

თუმცა, ალბათ, მაინც სასარგებლოა არტისტიკისთვის, იცოდეს, რა ხდება ახალი, როგორ ვითარდება სხვადასხვა მიმართულებები. ესეც ხომ ძალიან მნიშვნელოვანია?

ლადო: რა თქმა უნდა, არიან არტისტები, ან სტილები და თემები, რომლებიც მინტერესებს. მაგალითად, მიყვარს თანამედროვე ცეკვა და ვცდილობ, ყურადღებით ვიყო, მიყვარს მარკ მორისის საცეკვაო ჯგუფი, ლუსინდა ჩაილდი და მათ წარმოდგენებზე აუცილებლად წავალ. კონკრეტულ რაღაცებს, რაც მინტერესებს, არ ვტოვებ, რადგან ეს ჩემთვის ინსპირაციაა.

ანუ, თუ ამ თქვენს პროექტს გავითვალისწინებთ, მოდაც ინსპირაციაა თქვენთვის, არა?

ლადო: რა თქმა უნდა. მაგალითად, ვერაფრით გამოვტოვებდი ალექსანდრ მაკუჩინის გამოფენას მეტროპოლიტენში. უზარმაზარ, ორსაათიანი რიგში ვიდექი, ასეთი რამ არასდროს მინახავს ამერიკაში – 1970-იან წლებში, ლენინის მავზოლეუმში რიგში რომ იდგა ხალხი, რაღაც ამის მაგვარი იყო. საოცარი გამოფენა იყო. ჩემთვის მაკუჩინი გენიოსია.

გეთანხმებით, სხვათა შორის, რაღაც მაკუჩინისეული თბილისში ჩამოტანილ თქვენს ნამუშევრებშიც არის. საშა, თქვენსად ექვთ ინსპირაციას? თქვენს გალერეას ინტერდისციპლინარულს უწოდებთ, გამოდის, რომ ხელოვნებისგან დაშო-

რებულ სფეროებშიც ბევრ საინტერესოს ხედავთ.

2005 წელს, როცა ეს გალერეა დავაარსე, მინდოდა, რომ ის ინტერდისციპლინარული ყოფილიყო. აქ ჩართულია მათემატიკა, მეცნიერება და ხელოვნება ერთად. მინტერესებს გამოფენების, არტეფაქტების და წიგნების ერთ სივრცეში, ერთი კონცეფციის ქვეშ მოთავსება. ასევე, ძალიან მინტერესებს ისტორია.

ეს თქვენს ამ ნამუშევარშიც აისახა, თუმცა ვიდრე აქ ჩამოტანილ ნამუშევრებზე ვისაუბრებდით, მინდა თქვენი ძველი პროექტი, „ასანთების მუზეუმი“ და „ცივი ომის მუზეუმი“ გაიხსენოთ, რომელიც მაისში თბილისშიც ჩამოიტანეთ და რომელსაც, როგორც ვიცო, რამდენიმე წელი აკეთებდით. მათშიც ჩანს მეცნიერების და ისტორიის გავლენა.

საშა: მე, ბერლინში დავიბადე, ცივი ომის დროს. მამაჩემი აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში მუშაობდა. სულ მინტერესებდა – ვინ იყო, რას აკეთებდა. თან მშობლები გაშორებული იყვნენ, ამიტომაც გამძაფრებული მქონდა ინტერესი მამის მიმართ. თანდათან, უფრო აქტიურად დავინყე ცივი ომის შესახებ მასალების კითხვა. და საბოლოოდ, ეს მუზეუმი შევექმენი. შევექმენი ეს პროექტიც. ხალხი მოდიოდა მუზეუმში და მაძლევდა არტეფაქტებს, მიყვებოდა ისტორიებს. შემდეგ, ეს ყველაფერი წიგნად იქცა.

New York Times-ში თქვენს შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში წავიკითხე, რომ „ასანთების მუზეუმის“ შექმნისას ნაბოკოვი იყო თქვენი შთაგონების წყარო, კერძოდ კი, მისი წიგნი „Speak, memory“. უფრო დეტალურად რომ გვითხრათ, რატომ დაუკავშირეთ თქვენს პროექტს?

ეს წიგნი, ჩემთვის, მოლაპარაკე მოგონებებია. ის, წარსულზე არ საუბრობს, როგორც ნოსტალგიაზე – რადგან ასე წარსულის აღქმა მე თვითონ არ მინტერესებს – არამედ იყენებს წარსულის ფრაგმენტებს იმისთვის, რომ რაღაც ახალი შეექმნა. ნაბოკოვი, თავის წიგნში, ბავშვობის დროს ასანთებით თამაშს აღწერს. მეც დავინყე მამაჩემზე ფიქრი, რომელიც ასევე თამაშობდა ასანთებით.


გამოკითხე მას თამაშის დეტალები და შემდეგ ეს პროექტი გავაკეთე. ასანთები ამ თამაშში ჯარისკაცები არიან, ამიტომ ისინი ცივი ომის კონცეფციასაც კარგად ერწყმინან.

მოდ, თქვენს იმ ნამუშევრებს დავუბრუნდეთ, რომლებიც არტისტერიუმზე ჩამოიტანეთ. საშა, თქვენს პროექტს შქვია „ტანსაცმელი რევოლუციისთვის“. ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ შეგვიძლია მოგონებების გაუთოება, მათი დავინყება. რა არის ეს, ერთგვარი ფუტურისტული განცხადება, რომ ახალი ფურცლიდან დავინყოთ მომავალი?

საშა: არა, პირიქით, ეს საპირისპიროა. ამ პროექტის შექმნისას, რა თქმა უნდა, ვფიქრობდი რუსულ ავანგარდზე, მაგრამ ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ხედავდნენ მხოლოდ მომავალს, წარსული მათთვის მკვდარი იყო. მე კი ირონიულად შევებრუნე ეს მოცემულობა. ტანსაცმელი ამ ნამუშევარში მომავალზეა გათვლილი, მაგრამ ის წარსულსაც ეხმიანება. ყველგან ვეძებდი წარსულის შრეებს. მაგალითად, გამოვიყენე ბებიჩაჩემის ნაქონი ძველი თეთრეული და ტუნიკები შევქმენი, მერე სხვა არტეფაქტები შევურიე: დამტვრეული ნივთები, ნიგნები, ბიბლიოთეკის ბარათები, რომელთაც ახლა აღარავინ იყენებს. მე მაინტერესებს კულტურა, რომელიც უჩინარდება. როცა აუთოებ ნაჭერს, მასზე რაღაც კვალი რჩება, ის იმასხოვრებს – მოგონებასავითაა. მაგრამ, როცა წინ მიდიხარ და რაღაცას ცვლი, ვფიქრობ, არც წარსული უნდა დაივიწყო. ამ ნამუშევრებს მომრგვალებული ფორმები აქვს და ეს მინიშნებაა, რომ ისტორია თავის თავს იმეორებს. სიტყვა „რევოლუცია“ ორიგინალური დატვირთვით ბრუნვას, რაც წრეზე სიარულს მიანიშნებს.

ლადო, თქვენი ნამუშევრები არისტოკრატიას ეხება, თქვენი შთაგონება კი, როგორც ნაკვითხე, საქართველოში მონარქიის აღდგენის იდეა იყო. რა არის ეს, ირონია ამ ყველაფერზე?

ლადო: ეს სატირაა ქართულ საზოგადოებაზე, რომელიც მუდმივად ცდილობს ხელახლა შექმნას არისტოკრატია. ეს ნამუშევარი პოსტმოდერნისტულ



„ასანთების მუზეუმი“, საშა შავჭავჭავაძე



„ტანსაცმელი რევოლუციისთვის“, საშა შავჭავჭავაძე

სტილში შევქმენი, უკვე არსებული სილუეტები ავიღე, გადავაკეთე ისინი, სახეები წაუშალე და ფორმა შევუცვალე, ყველაფერი ხელით დავხატე და საბოლოოდ, ეს მივიღე. ამის შექმნის იმპულსი მაშინ გამიჩნდა, როცა ბაგრატიონის ოჯახზე და მონარქიის აღდგენაზე დაიწყეს ლაპარაკი. რეალურად, ორ საუკუნეზე მეტია, რაც ბაგრატიონები საქართველოს მონარქები აღარ არიან. რატომ უნდა ვარჩინოთ ისინი ჩვენი ბიუჯეტიდან? მე, ამ შემთხვევაში, რესპუბლიკელი ვარ, რესპუბლიკელი არა

ამერიკული გაგებით, არამედ ფრანგული: „ძმობა, ერთობა, თანასწორობა (Liberte, egalite, fraternite)“.

დაახლოებით 5 წლის წინ იყო ჩვენთან მონარქიაზე საუბარი, რატომ გადანყვითეთ ახლა გაგვეუბნინათ ეს ნამუშევრები?

ეს უბრალოდ პირველი იმპულსი იყო, თორემ ეს არაა მარტო მათზე, ეს უფრო უნივერსალურია. მაგალითად, ახლა ახალი მთავრობა გვყავს. და მე მგონია, რომ ზოგადად ყველა მთავრობა


ფიქრობს ასე – საკუთარი თავი არისტოკრატია ჰგონია. დადიან ძვირადღირებული მანქანებით, არავინ ჩაჯდება „ოპელ ვექტრაში“, იცვამენ ბრიონის და არმანის ტანსაცმელს, საუბრობენ ძალიან ნელა. აი, ნახავ, მალე ეს ახალი მთავრობაც ძალიან მოსაბეზრებელი გახდება. როცა ოპოზიციაში ხარ, უფრო საინტერესოა, როცა მთავრობაში მიდიხარ, მოსაწყენი ხდები, თითქოს, საკუთარ თავს კარგავ და უსახო ერთგვაროვანი ჯგუფის ნაწილად იქცევი. ამიტომ გავაშავე ამ პროექტში სახეები – მთავრობა უსახოა. მხოლოდ რამდენიმე გამორჩეული ტიპია, რომელსაც შოუ მიჰყავს, დანარჩენი – მინისტრები, პარლამენტარები – უსახოები არიან.

ქართველებს გვიყვარს ლიდერები, ადამიანების გაკერპება, მათზე მთელი პასუხისმგებლობის აკიდება და იმედების დამყარება. გვჭირდება ვილაც, ვინც „სწორ გზაზე დაგვაყენებს და გადაგვარჩენს“. ასე ხედავთ თქვენც?

ლადო: კი, ეს ერთი მხარეა და მართალია, ჩვენ გვიყვარს თამარ მეფე, ლიდერები, მაგრამ ქართველი ხალხი ძალიან ჯიუტიცაა და ზოგჯერ – ძალიან ანარქისტულიც. მაგალითად, ყოველ ქართველ ტაქსისტში არის რაღაც ანარქისტული. ისინი თავისუფლად შეიძლება იყვნენ კოოპტივის მიმდევრები. მათ არ უნდათ წესების დაცვა, სძულთ უსაფრთხოების ღვედები, არ უნდათ გადასახადების გადახდა. თვითონ მოძრაობის წესიც საქართველოში ანარქისტულია, თვითორგანიზებული სისტემაა. განსაკუთრებით, სააკაშვილამდე პერიოდში, შუქნიშნებიც კი არ იყო ქუჩებში, გასხოვთ? ეს წმინდა ბაკუნინის ტიპის ორგანიზმია.

ასე რომ, ჩვენ არ ვართ მხოლოდ ერი, რომელიც ლიდერებისკენ ისწრაფვის, ჩვენ ასევე ანარქისტული საზოგადოება ვართ. და აქ კონცეპტუალური წყვეტაა, ერთი მხრივ, ჩვენ გვინდა მეფე დავითი, მაგრამ მას ვერ ვეტყვი, „დავით, წადი“, როგორც „მიშა, წადი“ ვამბობთ, ჩვენ გვინდა ლიდერი, მაგრამ არ გვინდა, რომ რეალურად გვმართოს. ჩვენ ის გვინდა უბრალოდ, როგორც სიმბოლო, კერპი.

მოდ, ისევ ხელოვნებას დავუბრუნ-



„წიგნი ახალი ქართული არისტოკრატისთვის“, ლადო ფოჩხვა

დეთ. ძნელია 21-ე საუკუნეში არტისტის როლი მკაფიოდ განსაზღვრო და რაიმე დეფინიციები მიუსადაგო, მაგრამ მაინც, რას ფიქრობთ, როგორია დღევანდელი არტისტი, სად არის ის, რამდენად ახლოს დგას გარემოსა და სივრცესთან, რომელშიც ცხოვრობს? მოგწონთ თუ არა სოციალურად აქტიური ხელოვნება? მაგალითად, საქართველოში ბოლო ათწლეულების მანძილზე ხელოვნების დიდი ნაწილი ნამუშევრებს განყენებულ, რეალობას სრულიად მოწყვეტილ თემებზე ქმნიდა, ეს განსაკუთრებით კინოს და თეატრს ეხება: ბანალური სასიყვარულო ისტორიები, სენტიმენტალური, მაღალფარდოვანი ნარატივები, ან საეჭვო ესთეტიკის კომედიები. ამ დროს ძალიან ბევრი თემის საინტერესოდ ასახვა შეიძლება და ხელოვნებაში. თუმცა, ეს ტენდენცია ბოლო დროს შეიცვალა. აქვს თუ არა

თანამედროვე ხელოვანს სოციალური პასუხისმგებლობა?

საშა: მე ვფიქრობ, რომ „არტისტერიუმზე“ პროექტების დიდი ნაწილი სწორედ რეალობასთან იყო კავშირში, რაც ძალიან საინტერესო სანახავი გახლდათ. აი, მაგალითად, ელიავას ბაზრობის პროექტი. პირადად მე, განსაკუთრებით მაინტერესებს ხელოვნება, რომელიც დაკავშირებულია ადგილთან, ურთიერთობა აქვს თემთან, საზოგადოებასთან არის კომუნიკაციაში და არა მარტო ხელოვნების სფეროსთან. მომწონს, როცა ნამუშევრებთან ის ადამიანებიც პოულობენ კავშირს, რომლებიც ხელოვნებასთან არ არიან კავშირში. მომწონს სოციალურად აქტიური არტისტები, მაგრამ ასევე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ესთეტიკურ მხარეს და იმას, თუ როგორაა შესრულებული ესა თუ ის ნამუ-



შევარი.

ლადო: მართლაც რთული არტისტის როლი განსაზღვრო, დღეს ყველაფერი მსხვერვალია და დანაწევრებული. ტაიმ სკვერზე დამონტაჟებული მონიტორებიდან რომელიმე რეკლამა რომ აიღო, მაგალითად, „ლევისის“ ჯინსის, და სიქსტის კაპელაზე დადო, მიქელანჯელო დაიკარგება, რადგან ეს ნეონის პერსონაჟები მთელ ყურადღებას იპყრობს! ხედავთ, როგორია ვიზუალური ინფორმაცია? რა თქმა უნდა, ყველაფერს აქვს არსებობის უფლება, როგორც რუსი ფუტურისტები იტყოდნენ, დაე, ყველა ყვავილი აყვავდეს! მე საერთოდ ვფიქრობ, რომ ნიჭი ძალიან მნიშვნელოვანია, არ მომწონს თვითმარქვიების მიერ გაკეთებული არტი. მიყვარს ფრთხილად და პროფესიულად შესრულებული ნამუშევრები, რომელთაც დიდ დროს და

ენერგიას უთმობ, მაგალითად, ძალიან მომწონს ლუის ბურჟუა, ფანტასტიკური სკულპტორი, ლუსიენ ფროიდი, ელის ნილი, მარკ როტკო – ამ თანამედროვე არტისტების მიდგომა ხელოვნებისადმი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. მე აქტივისტი ხელოვნებაც მომწონს, ოღონდ თუ კარგადაა გაკეთებული. დღეს უამრავი ვიდეოარტისტია, ხელოვნება ყველგანაა და ძალიან მარტივია უკვე, იყო ხელოვანი, მაგრამ ხარისხი მაინც ხშირად რჩება პრობლემად.

ანუ, ისევ დგება ფორმისა და შინაარსის თანხვედრის და შერწყმის პრობლემა. ზოგჯერ მხოლოდ ფორმაა საინტერესო, მაგრამ შინაარსი არ აქვს, ზოგჯერ კი შინაარსით, კონცეფციით გიზიდავს, მაგრამ არ მოგწონს ფორმა. ეს რეალურად არის პრობლემა, თუ მე ვხედავ გარედან ასე?

საშა: კი, არცთუ ისე იშვიათად აქტივისტ არტში, კონცეპტუალურ ხელოვნებაში, მართლაც იკარგება ის უნარ-ჩვევები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ხელოვანისთვის. კარგი იქნება, თუ ამას ყველა გავითვალისწინებთ და უფრო ფრთხილად მოვეკიდებით ნამუშევრებს.

ლადო: ორივე ძალიან მნიშვნელოვანია, ფორმაც და შინაარსიც. იმიტომ, რომ ფორმა შინაარსის გარეშე არის სალონი და შინაარსი ფორმის გარეშე ხდება მშრალი კონცეპტუალიზმი.

ბოლოს, მინდა, ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზეც გკითხოთ, როგორ ირჩენთ თავს, როგორ აგვარებთ ფინანსურ პრობლემებს? საქართველოში ძალიან ძნელია მარტო ხელოვნებით ცხოვრება, რთულია აკეთო არტი და ამით თავი შეინახო. ვფიქრობ, ეს უნივერსალური პრობლემაა, თუ შენი ნამუშევრები ძალიან კომერციული არაა, წარმოუდგენელია მხოლოდ ამით იცხოვრო.

საშა: არტისტების უმეტესობას ნიუ იორკში აქვს სხვადასხვა სამუშაო, მეც თავიდან რუსულის თარჯიმნად ვმუშაობდი, შემდეგ მიმტანი ვიყავი. ცოტა ულმობელი, სასტიკი სამყაროა, თუ ტოპარტისტებს შორის არ ხარ, რომლებიც კომერციულად წარმატებულები არიან, მარტო ხელოვნებით ვერ იცხოვრებ. დღესაც კერძო სკოლაში ვასწავლი ხელოვნებას. გარდა ამისა, ალტერნატიულ არტსამყაროში, ანუ არაკომერციულ არტსამყაროში თუ არაკომერციული არტისტის სტატუსი გაქვს, შეგიძლია გრანტი მოითხოვო, მე ეს არაერთხელ გამიკეთებია.

ლადო: ნიუ იორკში მართლა რთულია კომერციული წარმატება მოიპოვო და ნამუშევრები გაყიდო, მით უმეტეს, ძვირად. თუმცა ამერიკა მდიდარი ქვეყანაა და შენ მაინც შეგიძლია შემოსავლის წყარო ნახო. ზოგჯერ მეც რაღაცას ვყიდი, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება, ასევე ვასწავლი – მოსწავლეებს ხან სახლში ვიღებ, ხან – სტუდიაში. თავისუფალი არტისტის სტატუსი მირჩევნია. მიყვარს რასაც ვაკეთებ, ხელოვნებას უკავშირდება და ამით კმაყოფილი ვარ. მოკლედ, შიშობილი არ მოკვდები. შეგიძლია ბევრი სხვადასხვა რამ შეათავსო, თან არტიც აკეთო.

პროგრამა ქუჩებს!

ავტორი ნინო ლომაძე
სტატიკაზე მუშაობდა ანია თვაური

6 ოქტომბერია. მზიურის ამფითეატრში „ლაბორატორია 1918“-ის სტუდენტები იკრიბებიან.

- სულ ესა ვართ?
- ველოდებით, ჯერ კიდევ მოვლენ.
- კარგით, რა! ასე არაფერი გამოვა,
- ბუზლუნებს ერთ-ერთი და ჩვენს წინა რიგში ჯდება, - დაგვიანებისთვის რაღაც სანქციები გვჭირდება. - არავინ პასუხობს.

ოქტომბრისთვის უჩვეულოდ თბილა. მზე ისე მჭახედ ანათებს, ფოთლებიდან არეკლილი სხივიც კი თვალს მიჭრელებს. ვიდრე დანარჩენებს ველოდებით, სტუდენტებს ვაკვირდები. წინასაარჩევნო ეიფორია უეცრად გაქრა. ცვლილებების მოლოდინით ალტაცებულ სტუდენტებსაც ეცვლებათ განწყობა, დამცხრალეები, მშვიდები ჩანან. ჯერ არ ვიცი, როგორი სიმშვიდეა ეს - ძალების მოკრების, დაფიქრების დრო, თუ დასრულებული საქმით მოგვრილი კმაყოფილება.

ნელ-ნელა გროვდებიან, ხმაური მატულობს. „ეი! მისმინეთ რა!.. დაწყნარდით!“ სხვების დასაშოშმინებლად თორნიკე ჭუმბურიძე ცარიელ პლასტმასის ბოთლს ჰაერში იქნევს. მოსაუბრეთა რიგითობას ბოთლი განსაზღვრავს - ვისაც გადასცემენ, სიტყვის უფლება მას ეძლევა. წესრიგი ადვილად მყარდება.

- თვითმმართველობის არჩევნებზე რას ვშვრებით? - კითხულობს თორნიკე ჭუმბურიძე.

- არჩევნებისთვის უნდა მოვემზადოთ, - პასუხობს ალექსანდრე ცაგარელი, სტუდენტი უნივერსიტეტიდან - მაგრამ

მანამდე პროგრამა გვაქვს დასაწერი. - მე არ მჯერა ასეთი ცვლილებების, ამბობს სალომე დანელია, - თუ სისტემას ვანგრევთ, მაშინ ეს არსებული თამაშის წესების აღიარებაა. - ამაზე ხომ ვილაპარაკეთ. - მაგრამ გადაწყვეტილება არ მიგვიღია.

სამაგიეროდ, თანხმდებიან იმაზე, რომ პროგრამა აქვთ დასაწერი. მიზნებიც და წესდებაც გადასახედა. ორ ჯგუფად ნაწილდებიან. ერთი პროგრამაზე იმუშავებს, მეორე თანამოაზრეების მობილიზებას დაიწყებს. თანახმა ხართ თუ არა პროგრამის ჯგუფს სოსო ჭაუჭიძემ გაუწიოს კოორდინაცია? და მოხალისეების ჯგუფს, რომ მათე გაბიციანაშვილია? ყველა თანახმაა. ოციოდე წუთში ჯგუფები დაკომპლექტებულია და ამოცანებიც გადანაწილებული. „ვა, უკვე მოვრჩით? ასეთი კონსტრუქციულები, მგონი, ჯერ არასდროს ვყოფილვართ“.

„ლაბორატორია 1918“ სტუდენტური მოძრაობაა, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ უნივერსიტეტში რადიკალური ცვლილებების სურვილმა შექმნა. მოძრაობას ლიდერი არ ჰყავს. ჯგუფში გადაწყვეტილებას მხოლოდ კონსენსუსის გზით იღებენ. დემოკრატიული არჩევნების პრინციპი უმცირესობის უფლებებსა და უმრავლესობის დიქტატზე ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ, უარყევს. ლაბორატორიაში გადაწყვეტილება მიღებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მონიზაჰმდეგეს ძლიერი, საპირისპირო



არგუმენტების წარმოდგენა არ შეუძლია და ერთი სიტყვით, კონსენსუსი დგება. სექტემბრის მოვლენების შემდეგ, ლაბორატორია ჩვენს თვალწინ იქცა თრენდად. „ლაბორატორიელები“ საყოველთაო ფავორიტები არიან, - თავისუფალი, გაბედული და უკომპრომისო ახალგაზრდების იმიჯით, პროტესტის ყველაზე სიმპათიური ინსპირატორები.

სტუდენტთა მცირე ჯგუფმა 2011 წელს გაერთიანება უნივერსიტეტის ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის, „თარგმნე“ კვლევის პრეზენტაციის შემდეგ გადაწყვიტა. კვლევამ უნივერსიტეტში უცხოური ლიტერატურის თარგმნისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის „არამინობრივი ხარჯვა“ გამოავლინა. სტუდენტები თვითმმართველობის წევრებს დაუპირისპირდნენ. კონფლიქტი პრეზენტაციის შემდეგაც გაგრძელდა, რამდენიმე აქტივისტი უნივერსიტეტის ეზოში სცემეს. მათ დასაცავად კურსე-



ფოტო: მირონი ზოზა

ლები, ძირითადად, მეგობრები შეიკრიბნენ. მიხვდნენ, რომ სამეგობრო წრე ნელ-ნელა სხვა შინაარსს იძენდა და ახალგაზრდულ მოძრაობად ყალიბდებოდა. მუდმივი განახლების და ექსპერიმენტის სინონიმად სიტყვა ლაბორატორია აირჩიეს, სიმბოლურ ათვლის წერტილად კი – უნივერსიტეტის დაარსების თარიღი.

პირველი პროტესტი სამ კვირაში, 26 მაისს აქციის დარბევას მოჰყვა. დილით, სამხედრო აღლუმის დაწყებამდე, პარლამენტის შესასვლელთან პლაკატებით დადგნენ: მოძალადე ხელისუფლებავ და ავანტიურისტო ოპოზიციავ, თქვენ ხართ ნაგვები! აქციაზე მათთან ერთად სულ 20-მდე ადამიანი იყო. ივნისში უკვე არადადეგები დაიწყო და დროებით შეხვედრები შეწყვიტეს.

2011 წლის 3 ოქტომბერი სოსო ჭაუჭიძის პირველი დღეა უნივერსიტეტში. ახალი სასწავლო წლის დაწყების აღსა-

ნიშნავად უნივერსიტეტის ეზოში პირველკურსელებს რექტორი ხვდება. სოსომ მეგობრებისგან იცის, რომ „ლაბორატორია 1918“ ამ დღეს აქციისთვის ემზადება. სტუდენტების მასაში ლაბორატორიელებს მალე პოულობს და მათთან ერთად დგება. ვიდრე აღუქსანდრე კვიტაშვილი განათლების მინისტრს გადასცემს სიტყვას, ეზოში მოულოდნელად პლაკატები იშლება – „წუ ატყუებთ სტუდენტებს“, „უნივერსიტეტი ეკუთვნის ლექტორებს და სტუდენტებს!“ „განათლება უფლებაა და არა პროვილეგია!“ რექტორს დაბნეულობა ეტყობა, წამით ჩერდება, შემდეგ სლოგანების ავტორებს ურჩევს, თუ უნივერსიტეტი არ მოსწონთ, სხვა უმაღლესში განაგრძონ სწავლა. უხერხული სცენაა – მინისტრი გამოდის სიტყვით, ეზო კი სავსეა ტრანსპარანტებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს აქცია მთელი სტუდენტობის პასუხია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიმართ.

აქციის შემდეგ მზიურში მიდიან. მოძრაობის მიზნებზე, პრინციპებზე, ახალ მოთხოვნებზე მსჯელობენ. მზიურში სოსო ჭაუჭიძეც მიდის. სოსო სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ბოლო კლასებში სოციალური მეცნიერების თეორიებით დაინტერესდა. უნივერსიტეტშიც სოციოლოგია, ან სოციალური ანთროპოლოგია უნდა ისწავლოს. ამბობს, რომ კლასიკური ფილოსოფიიდან დაწყებული სოციალურ ფსიქოლოგიამდე, ყველაფერი აინტერესებს. ამიტომ ჯგუფში პოლიტიკური თეორიების განხილვებში თავიდანვე აქტიურად ერთევა. „პირველი იდეური დაპირისპირებაც ამ შეხვედრაზე გამოჩნდა. ვამტკიცებთ, რომ ჩვენთვის ყველა იდეოლოგია მისაღებია. არადა, როცა საქმე რეალურ სიტუაციამდე მიდის, ძალიან დოგმატურები ვხდებით“, – ამბობს სოსო. ფიქრობენ, რომ ამ დოგმატიზმისგან თავის დაცვაში კონსენსუსი ეხმარებათ.



როდესაც 2003 წელს ქვეყანა მნიშვნელოვანი გარდატეხისთვის ემზადებოდა, სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა, რევოლუციის სახელმძღვანელო, სახელად „კმარა – 10 ნაბიჯი თავისუფლებისკენ“ შექმნეს. ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაბიჯი განათლების სისტემის რეფორმირება იყო, რომელიც განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას, ხარისხის ამაღლებას და სასწავლო დაწესებულებებში ავტონომიური მართვის მექანიზმების ამუშავებას გულისხმობდა.

პირველად განათლების სისტემის რეფორმირების მოთხოვნა აკადემიაში გაჩნდა, 1996 წელს. თუმცა რეალური ცვლილებების მიღწევა სტუდენტებმა მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ შეძლეს. 2002 წელს აკადემიაში სტუდენტური ფორუმი თავიდან, ახალი შემადგენლობით შეიკრიბა. მათი მოთხოვნის საპასუხოდ, ადმინისტრაციამ სტუდენტთა შეფასების წესი შეცვალა და ახალგაზრდებს თავისუფალი სახელოსნოს დაარსების უფლებაც მისცა. თუმცა, სისტემისგან ეს უფრო კეთილი შესტი იყო, ვიდრე რეალური რეფორმის სურვილი. მიუხედავად სტუდენტების მცდელობისა, საბოლოოდ, ყველაფერი მაინც კონტროლის გაძლიერებით და ამ ჯგუფის იზოლირებით დასრულდა.

9 წლის შემდეგ „ლაბორატორია 1918“ პროტესტს ისევ ძველი გზით, განათლების სისტემის რეფორმის მოთხოვნით იწყებს. ძირეული პრობლემები უცვლელი რჩება. უნივერსიტეტში ისევ ავტონომიის დამყარებას და რეგენტთა საბჭოს გაუქმებას, თვითმმართველობის სტრუქტურის ფუნდამენტურ ცვლილებას, სტუდენტებსა და ლექტორებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას, ინფორმაციის გამჭვირვალობას ითხოვენ.

„უნივერსიტეტში სტუდენტი და ლექტორი დღემდე ყველაზე დაბალი იერარქიული საფეხურია, – ამბობს სოსო ჭაუჭიძე, – ისინი ვერ მონაწილეობენ განაწესებულების მიღების პროცესში. ამის შემდეგ მოდის მთელი რიგი ადმინისტრაციული, ბიუროკრატიული აპარატები, რომლებიც განაგებენ არა მხოლოდ ფინანსებს და კონტრაქტებს, არამედ სასწავლო პროცესის შინაარსსაც“.

ავტონომიურობას, მათი აზრით, ბიუროკრაციის ლაბირინთი ქმნის. იერარქიული სტრუქტურის სათავეში კანცლერია, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომელსაც რეგენტთა საბჭო ირჩევს. კანცლერი განსაზღვრავს საკადრო პოლიტიკას უნივერსიტეტში. სტუდენტების აზრით, მთავარ პრო-

ბლემას დღეს რეგენტთა საბჭო ქმნის, რომელიც პოლიტიკური გავლენის მთავარი იარაღია – საბჭოს წევრების უმრავლესობა სხვადასხვა მინისტრის მოადგილეები არიან.

განცხადებების მომზადებას, ადმინისტრაციასთან შეხვედრებს შედეგი არ მოჰყვება. ლაბორატორიის წევრების ნაწილი იმედგაცრუებამ მოიცვა. „სერიოზულად არავინ აღგვიქვამდა, – ჰყვება სალომე დანელია, – რაღაც ძალიან სწრაფად უნდა შეგვეცვალა“.

2012 წლის დასაწყისში, ურბან რექტორის ძველ ბიბლიოთეკაში, კამათში, დისკუსიასა და ჩხუბში გათენებული ღამეების შემდეგ, ლაბორატორიელები მიხვდნენ, რომ უნივერსიტეტის ავტონომიაზე ბრძოლასთან ერთად, იმაზე რეაგირებაც იყო საჭირო, რაც უნივერსიტეტის ეზოს მიღმა ხდებოდა. „პატიმრის, სოლომონ ქიმერიძის დალუპვის შესახებ რომ გავიგეთ, რაღაც მოცუცქენულ ინტერნეტ-კაფეში შევედით, „ფეისბუქზე“ ივენთი გავაკეთეთ და ხაშურში აქცია დავგეგმეთ, – ჰყვება თინა ყიფშიძე. ოცნი შეიკრიბნენ. გზატკეცილზე წყვილ-წყვილად განანიღდნენ და ავტოსტოპით ხაშურამდე ჩავიდნენ, რომ ქიმერიძის ოჯახის წევრებისთვის სოლიდარობა გამოეცხადებინათ, პოლიციის-



ფოტო: შინჯი მონა

თვის კი საქმის სამართლიანი გამოძიება მოეთხოვათ.

„ოუთუბზე“ გავრცელებულ ვიდეოში ხაშურის თოვლიანი ცენტრი ჩანს. ქუედებში და შარფებში გახვეული ახალგაზრდები პოლიციის შენობის პირდაპირ, ახლად აშენებული, ბაროკოს დეკორით განწყობილი შადრევნის წინ დგანან. სასტვენების ხმაურით ცდილობენ, გამვლელების ყურადღება მიიპყრონ. ტრანსპარანტებიც გამოიღვივებენ: „უსაფრთხო კიბეები პოლიციაში! შიში! სიჩუმე! უსამართლობა! მადლობა პატრულს!“

გაზაფხულზე ორი მცირერიცხოვანი აქცია მოაწყვეს – გაპროტესტეს შრომის კოდექსი და გლდანის საპატომროს საავადმყოფოში გარდაცვლილი პაციმრის საქმის დამოუკიდებელი გამოძიება მოითხოვეს.

ამ აქციების შემდეგ, ლაბორატორიამ ტაიმაუტი აიღო. მიხვდნენ, რომ ხანგრძლივ შეხვედრებზე ვერაფერს წყვეტდენ, დროს უშედეგო დისკუსიებში ხარჯავდენ.

2012 წლის 17 სექტემბერს ისევ შეიკრიბნენ და უნივერსიტეტის პირველი სასწავლო წლის საზეიმო მილოცვას შეუერთდნენ. ეზოს ნაცვლად პირველკურსელებს, ამჯერად სააქტო დარბაზში მოეყარათ თავი. რექტორის სიტყვას იქ

ელოდნენ. ლაბორატორიელები დარბაზში ხმაურით შეიჭრნენ და სცენა დაიკავეს: დაუმორჩილებლობა უნივერსიტეტს! ავტონომია! ძირს რეგენტთა საბჭო! არა ანდრო ბარნოვს!

18 სექტემბერს სატელევიზიო არხებზე გლდანის საპრობილემი წამების ამსახველი კადრების ჩვენების შემდეგ, ქვეყანაში ყველაფერს მნიშვნელობა ეკარგება. სინამდვილე ვერანაირ ჩარჩოში ვეღარ თავსდება. საზოგადოებას სასონარკვეთა და სრული უსუსურობის განცდა იპყრობს, განცდა იმისა, რომ უკიდურეს ზღვარს მიღმა, დასასრულის დასასრულში გიქცხვრია. სპონტანური აქცია ფილარმონიასთან იგეგმება. ლაბორატორიის წევრებიც იქ არიან.

მეორე დღეს პროტესტის ტალღა მთელ ქვეყანას ედება. აქციები ტელევიზიასთან, უნივერსიტეტთან, მოდულის შენობასთან, გლდანის საპრობილესთან, ფილარმონიასთან, პარლამენტთან დღეები გრძელდება.

აქციების ორგანიზებაში სხვადასხვა სტუდენტური ჯგუფი ერთეება. ღამე ხატავენ ტრანსპარანტებს, იგონებენ ლოზუნგებს, შემდეგი დღის აქციების ადგილს არჩევენ. მოქმედებების ცენტრი უნივერსიტეტია. მოძრაობას უერთდება „საპატრიარქოს ახალგაზრდული გაერ-

თიანება „დავითიანიც“. ლაბორატორიელებს სჯერათ, რომ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის რელიგიურ სარჩულში შეფუთვა უხამსობაა, მაგრამ აქციაზე „მამაო ჩვენოს“ ხმის გამაძლიერებლებში სკანდირებას ვერ აჩერებენ.

სიმღერით „სისტემა უნდა დაინგრეს!“ არტისტების ნაწილი სტუდენტების აქციებს სოლიდარობას უცხადებს.

ერთ-ერთ აქციაზე „ქართული ოცნების“ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები ჩნდებიან. ლაბორატორიელები მათ მაისურების გამოცვლას სთხოვენ. მოგვიანებით ვილაციები ხმის გამაძლიერებელში სკანდირებას იწყებენ: „სამართლიანობა ვაჟა ხარაზიშვილს“. ლაბორატორიელები იბნევიან. პროცესის მართვა უკვე შეუძლებელია. აქციებზე საერთო პრინციპებსა და იდეებზე კამათის დრო არ არის. ლაბორატორიას მოთხოვნების დაყენების ექსკლუზიური უფლება არა აქვს. სხვების ინტერესებიც უნდა გაითვალისწინონ.

მასობრივ პროტესტში საკუთარ სახეს კარგავენ. „არ ანამო, არა ძალადობას – ლოზუნგებს, სა-ქარ-თვე-ლო! საქართველოს გაუმარ-ჯოს! შეძახილები შთანთქავს. „გამოჩნდა, რომ ახალგაზრდები ჯერ კიდევ მენისტრიმული პოლიტიკის ჩარჩოებში ვაზროვნებთ და პროტესტი ისევ

ფოტოები გიორგი საბაგალი



1989



1991

ნაციონალურ-პატრიოტული რიტორიკითაა ინსპირირებული“, – ამბობს თოკო ჩივაძე.

„საკუთარ თავთან მოვედით წინააღმდეგობაში, – ამბობს სოსო ჭაუჭიძე, – გასაგებია, რომ თუ სხვებთან რაღაც მიზნები გვაერთიანებს, ქედმაღლური პოზის დაჭერა თვითმიზნად არ უნდა გექცეს“. თუმცა აქ მნიშვნელოვანი პროტესტისთვის მთავარი მუხტის, მამოძრავებელი იდეის შენარჩუნება იყო. ლაბორატორიამ ვერ შეძლო პროტესტის შინაარსი თვითონ განესაზღვრა.

„ჩვენ შედეგებს არ ვებრძვით. ჩვენ მიზეზებს ვებრძვით, – ამბობს დიტო ხუსკივაძე, – აქციები მხოლოდ ციხეში მომხდარ ამბებზე რეაქციად იქცა. ფაქტის განზოგადება იყო საჭირო – ეს სისტემური ძალადობის შედეგი იყო და არა კონკრეტული ბადრაგების სადისტური საქციელი. ძალადობრივი პოლიტიკა ციხის საზღვრებს სცდება, ძალადობრივია განათლების, ჯანდაცვის და სხვა სახელმწიფო სისტემებიც. ეს დაიკარგა. მოკლედ, გავბრაზდით და ვთქვით, რომ აქციებს აღარ შევუერთდებოდით“. დიტო ფიქრობს, რომ შედეგის მიღწევა ყოველთვის დავარცხნილი პროტესტით შეუძლებელია. ის მოქმედებისთვის უფრო რადიკალურ გზას არჩევს და

სიტუაციის გამწვავებას არ ერიდება. როდესაც უნივერსიტეტის სახურავიდან პლაკატის გადმოფენას გეგმავდნენ, ლაბორატორიის წევრებმა სხვენის საკეტის გატეხვაზე უარი თქვეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ პროტესტის მხოლოდ ლეგიტიმური ფორმები უნდა გამოეყენებინათ. დიტო და სალომე ასე არ ფიქრობენ, მაგრამ ჯგუფის დარწმუნება ვერ შეძლეს.

სექტემბრის აქციები უკვე დასასრული იყო. დასასრულის კარნავალიზაციაში მონაწილეობა ლაბორატორიამ ძველი შეცდომების გამეორებად შეაფასა. ეგზალტირებული ხალხის „დაკვეთის“ შესრულებას, ემოციების დაცხრობა და მომავალი ნაბიჯების სტრატეგიაზე ფიქრი არჩია. ალექსანდრე ცაგარელი ამბობს, რომ პატრიარქის განცხადებამდეც (რომელშიც ილია II სიტუაციის გამწვავების თავიდან ასაცილებლად სტუდენტებს აქციების შეწყვეტისკენ მოუწოდებს) გრძნობდნენ, რომ პროცესი დაწყებული იყო და მოვლენების დრამატიზება სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვას ნიშნავდა. სტუდენტების მთავარი გამოწვევა დაპირისპირებული პოლიტიკური ძალებისგან გამიჯვნა და თავისუფლების შენარჩუნება იყო.

34 წლის წინ. უძრავობის ხანა. 1978 წლის, 24 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ კონსტიტუციის ახალი პროექტი ქვეყნდება. მისი დამტკიცების შემთხვევაში ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი ეკარგება. ახალგაზრდა დისიდენტების დაარსებული „საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირი“ მობილიზაციას აცხადებს.

უმაღლესი საბჭო საკითხის განსახილველად 14 აპრილს იკრიბება. საპროტესტო აქციაც ამ დღეს ინიშნება. მთავრობის სახლის წინ იმ დროისთვის უპრეცედენტო მასშტაბის დემონსტრაცია იმართება. ეს დაუჯერებელი, იმ დროისთვის წარმოუდგენელი მობილიზაციაა. აქციაზე არავინ გამოდის სიტყვით. უბრალოდ დგანან.

მილიცია უზარმაზარი ხალხის მასის დინებას ვერ აჩერებს. მთავრობის სახლის უკან სამხედრო ტექნიკა დგას. „ვიცი, რომ ყოველ წუთს შეიძლება რაღაც დაიწყოს. ხალხს კარგად ახსოვს 1956 წლის 9 მარტის დემონსტრაცია. მაგრამ ეს შიში გადალახულია“, – ჰყვება თამრიკო ჩხეიძე. სსრკ მთავრობასთან მოლაპარაკებას შევარდნაძე მართავს. რამდენიმე საათში ცხადდება, რომ საბჭო კონსტიტუციამ



1988



1989

ცვლილების შეტანას აღარ განიხილავს.

„საქართველოს გათავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირი“ აგრძელებს ენციკლოპედიამი ამოკითხული, პრიმიტიული მეთოდებით პროკლამაციების ბეჭდვას და ღამით, ქუჩებში კედლებზე გაკვრას. ეს ერთადერთი გზაა საბჭოთა პროპაგანდას საკუთარი იდეები დაუპირისპირო. პროკლამაციების გავრცელებისთვის ერთ-ერთ კავშირის წევრს აბატიმრებენ და გაერთიანება მალევე იშლება.

თუმცა წინააღმდეგობა გრძელდება. თბილისში, სტუდენტები 1981 წელს, ბრეჟნევის ვიზიტისთვის ემზადებიან. აქციას გეგმავენ. ინფორმაცია მილიციამდე მიდის და რამდენიმე მათგანს ვიზიტამდე აკავებენ, ციხის ნაცვლად კახეთში, სასტუმრო ინტურისტში მიჰყავთ. „რესტორანი დახურეს, პერსონალს უთხრეს უცხოელი დელეგატები ჩამოგვყავსო. მილიციის თანამშრომლებს მასხრად ვიგდებდით, ხან ერბოკვერცხს ვუწუნებდით, ხან სხვა კერძს. კომიკური სიტუაცია იყო. ეს ყველაფერი თამაშს უფრო ჰგავდა.“

1983 წელს, კი სტუდენტური პროტესტი ყველა აქტივისტის დაკავებით სრულდება. გეორგიევსკის ტრაქტატის ზემის წინ, პროკლამაციების გავრცე-

ლებისთვის, ირაკლი წერეთელს და მის მეგობრებს აკავებენ. მხარდასაჭერ აქციაზე მისულ ახალგაზრდებს – მარიკა ბაღდავაძეს, ნანა კაკაბაძეს, ლუიზა შაკიაშვილს, თამარიკო ჩხეიძეს, ზურა ცინცაძეს და გია ჭანტურიას – ბოროტი ხულიგნობის მუხლით ასამართლებენ და სამწლიან პატიმრობას უსჯიან.

ყველა დამოუკიდებელი ახალგაზრდული მოძრაობა მნიშვნელოვანი გარდატეხების დროს პოლიტიკურ თამაშში ჩათრევის საფრთხის წინაშე დგება.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე სამი წლით ადრე საქართველოში არაფორმალური პოლიტიკური მოძრაობები შეიქმნა და სტუდენტებზე პოლიტიკური გავლენის მოპოვების მცდელობაც გაძლიერდა. „ჩვენ ვცდილობდით წინააღმდეგობის განევას, მაგრამ ხან ვახერხებდით, ხან ვერა – ამბობს ფიქრია ჩიხრაძე, რომელიც 1986 წლიდან აქტივისტ სტუდენტებთან ერთად ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის შეწყვეტას და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე სამხედრო პოლიგონის გაუქმებას მოითხოვდა. მოგვიანებით, დათო ტურაშვილმა, ნიკო ნიკოლოზიშვილმა, ფიქრია ჩიხრაძემ, თედო ისაკაძემ და

სხვა სტუდენტებმა „პრესკლუბი“ დააარსეს.

„თანდათან ვგრძნობდით, რომ ნელ-ნელა ვცდებოდით ჩვენს მიზანს, – ამბობს ფიქრია ჩიხრაძე, – ყველაფერში ემონანილებოდით, თითქოს ჩვენს გარეშე არაფერი წყდებოდა, თუმცა ჩნდებოდა ნაციონალურ-პატრიოტული შინაარსის აქცენტები და თემები, რომელსაც ჩვენ არასდროს შემოვიტანდით.“ 1988 წლის 23 ნოემბერს დაიწყო მიტინგები მთავრობის სასახლის წინ, რომელშიც ყველა უმაღლესი სასწავლებელი იყო ჩართული“.

„ქოტური პროტესტი იყო, ვაპროტესტებდით ყველაფერს და საბოლოო ჯამში კონკრეტულად რას ვითხოვდით ბოლომდე გაცნობიერებული არ გვქონდა, – ამბობს გიორგი მაისურაძე, – ლოზუნგებში მაშინაც „საქართველოს გაუმარ-ჯოს!“ ისმოდა, პროტესტს ჯვრების, ხატების ტარებით, პირჯვრის გადაწერით გამოვხატავდით. დაჩოქებების პრაქტიკებიც მაშინ გაჩნდა. ძეგლების დანახვაზე იჩოქებდა ხალხი“.

„ვგრძნობდით, რომ სტუდენტობას დიდი ძალა ჰქონდა, ამბობს ფიქრია ჩიხრაძე, – იყო მთელი რიგი თემები რაზეც ვმუშაობდით, მათ შორის უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენა, მაგრამ ყვე-



ლაფერმა მეორე პლანზე გადაინაცვლა, რადგან პოლიტიკური ძალები სულ სხვა საკითხებს აყენებდნენ. ყველაფერს ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეა შთანთქავდა“.

1990 წლის ოქტომბერში პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებულ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა სტუდენტებმა 1991 წლის თებერვალში გააპროტესტეს. სამხრეთ ოსეთის ოლქი უკვე გაუქმებული იყო. „მრგვალ მაგიდასა“ და ოპოზიციურ პარტიებს შორის დაპირისპირება სულ უფრო და უფრო მწვავედებოდა. უნივერსიტეტის ეზოში თხუთმეტამდე სტუდენტი იდგა და ბოლო ხმაზე გაჰკიოდა, რომ: „საქართველოში ახალი დიქტატურა მყარდება, ტოტალიტარული რეჟიმი ახალ სახეს იღებს, მოსალოდნელია რეპრესიები!“

„ეს იყო პირველი ინსტიტუტური აქცია, – ჰყვება გიორგი მაისურაძე, – ვიყავით, მე, ფიქრია ჩიხრაძე, გიგა ბოკერია, გოკა გაბაშვილი და თედო ისაკაძე და კიდევ რამდენიმე სტუდენტი. ყველაზე ტრაგიკული ჩვენთვის 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები იყო. მაშინ დავინახეთ, რომ უმცირესობა კი არა, კატასტროფული უმცირესობა ვიყავით და სასონარკვეთილებამ მოგვიცვა“. სექტემბერშიც სცადეს გა-

ბრძოლება, უნივერსიტეტში „სტუდენტ-ახალგაზრდობის დროებითი კავშირიც“ ჩამოაყალიბეს, რომელიც გამსახურდიას მმართველობას უპირისპირდებოდა. აწყობდნენ შეხვედრებს დისკუსიებს, დემონსტრაციებს, სადაც პოლიტიკოსებს აღარ უშვებდნენ: „ერთ-ერთი შემოჭრის მცდელობის დროს გამოვუცხადეთ, რომ უნივერსიტეტი არ არის პოლიტიკოსების არენა და შეუძლიათ, თავიანთი კარგებისთვის ადგილი სხვაგან ეძებონ.“

სტუდენტებმა ბოლო აქცია 21 დეკემბერს გამართეს. მეორე დღეს დანიშნულ მიტინგზე ვეღარ მივიდნენ. სამოქალაქო ომი უკვე დაწყებული იყო.

„კმარა შევარდნაძე“ – საქართველოს მეორე პრეზიდენტის თორმეტწლიანი მმართველობა ამ ღოზუნგით სრულდება. 2003 წლის დასაწყისში ახალგაზრდული პოლიტიკური გაერთიანება ჩამოყალიბდა. „კმარამ“ 1998 წელს სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმის წინააღმდეგ შექმნილი სერბიული მოძრაობის მოდელი გაიმორა. ოტპორი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, სტუდენტებსა და დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის წევრებს აერთიანებდა. საქართველოში ამ ერთ-

ბას პოლიტიკური პარტიის წევრები აკლდა. „მომავალი სერბიის დეკლარაციის“ მსგავსი მანიფესტი საქართველოშიც შეიქმნა, მას „კმარა! 10 ნაბიჯი თავისუფლებისკენ“ ეწოდა.

ორივე მოძრაობის შედეგი რევოლუციაა. ოტპორი სერბიაში 2000 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ისევ საზოგადოებრივ მოძრაობად დარჩა. უფერული სამწლიანი არსებობის შემდეგ კი, პოლიტიკურ პარტიად ტრანსფორმირდა, რომელმაც არჩევნებში 5%-იანი ზღვარი ვერ გადალახა და პოლიტიკურ სცენაზე, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

„კმარამ“ ოტპორის შეცდომებზე ისწავლა. თავისი სტრატეგია ქართულ კონტექსტს მოარგო და თავიდანვე განსაზღვრა, რომ მისი მთავარი ამოცანა ძალაუფლების მოპოვება და ხელისუფლების ნაწილად ქცევა იქნებოდა. „კმარამ“ ამ მიზნისკენ უშეცდომოდ იარა.

ამ წუთებში ქიათურაში 400 მაღაროელია გაფიცული!

მუშებმა თითქმის მთლიანად შეაჩერეს ქარხნის მუშაობა და ითხოვენ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

მოთხოვნები უცვლელია: ადამიანური



ფოტო: სურსათი



ფოტო: შიორაძე მოხა

სამუშაო პირობები და შრომის შესაბამისი ანაზღაურება.

მუშების ექსპლუატაცია სახელმწიფოსა და ქართული/უცხოური კაპიტალის მიერ უნდა დასრულდეს!

სოლიდარობა ჭიათურელ მუშებს!
თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა.

ლაბორატორია 1918

15 ოქტომბერს „ლაბორატორია 1918“-ის „ფეისბუქის“ გვერდზე ეს პოსტი ჩნდება. ლაბორატორიელები ადგილობრივი მუშების მხარდასაჭერად ჩადიან და საზოგადოებისგანაც სოლიდარობას ითხოვენ.

ეს ისევ რეაქციაა. უნივერსიტეტში, შეხვედრაზე, სალომე დანელია მეუბნება, რომ ლაბორატორიას ყველაზე მეტად სიტყვა სპონტანურობა ახასიათებს. მობილიზებას და პროტესტის ორგანიზებას ასე ეფექტურად ახერხებენ. თანმიმდევრულად პრობლემების გადაჭრისთვის ბრძოლის გამოცდილება არ გააჩნიათ. ბევრი კითხვა ლაბორატორიის მომავლის შესახებ ჯერჯერობით ღია რჩება.

აპირებენ თუ არა ბრძოლას არსებული სისტემის ფარგლებში და მიიღებენ თუ არა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას?

რა სტრატეგიით აპირებენ თანამოაზრეების შემოკრებას და გაფართოებას, თუ მოძრაობა ნაკლებად პოპულარული იდეების ლობისტად დარჩება; თუ მათი პრინციპები და ღირებულებები საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელი აღმოჩნდება.

რა იქნება „ლაბორატორია 1918“ ხვალ – სპონტანური პროტესტი და რეაქცია, თუ „მოძრაობა ქვემოდან“, რომელიც პრობლემებზე თანმიმდევრულად იმუშავებს და პოლიტიკაში ახალ დღის წესრიგს შექმნის?

„ჩემი აზრით, პირველ რიგში, უნდა გავემიჯნოთ ზოგადად სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, – მისხნის სოსო ჭაუჭიძე, – ალბათ, ლაბორატორიის იდეოლოგიური პლატფორმა უნდა იყოს მემარცხენე ლიბერტარიანული, სადაც ითანამშრომლებენ ანარქისტები, ტროცკისტები, მარქსისტები, კოლექტივისტები, მუტუალისტები და ასე შემდეგ. ჩვენი მიდგომის ფუნდამენტი იქნება უნდობლობა, რომელსაც ვუცხადებთ არამარტო გლობალური კაპიტალიზმის ტენდენციებს, არამედ იმ ტენდენციების დაძლევის ალტერნატივასაც, რომელსაც გვთავაზობს სახელმწიფო. ჩვენ არ გვჯერა სახელმწიფოსი და არც დეცენტრალიზებული ანარქოკაპიტალისტური ეკონომიკის.

ახლა მაქსიმუმ შეგვიძლია, თვითგანვითარება, საგანმანათლებლო აქტივიზმი, მეტი წვდომა სოციალურ და არასოციალურ მედიასთან. ჩვენი იდეების გავრცელებაზე უნდა ვიზრუნოთ. იმიტომ, რომ ვიცით, არსად, არაფერი იცვლება ერთ წუთში“.


მას ყველა არ ეთანხმება. როდესაც რეაქცია ჩაცხრება, ღიად დარჩენილ კითხვებზე სამსჯელოდ ალბათ, კიდევ ბევრჯერ მოუწევთ შეხვედრა.

„აირჩიეთ სამიდან ერთი, – უთხრა ახალგაზრდა რადიკალებს, ბებერმა აქტივისტმა, სოლ ალინსკიმ, ერთი შეხვედრის დროს, – პირველი: შეიყუჩეთ ბნელ კუთხეში და შეიბრალებთ საკუთარი თავი. მეორე: გადადით ბომბებზე – მაგრამ, გახსოვდეთ, ეს ადამიანებს „მარჯვნივ“ გადარეკავს. მესამე: ისწავლეთ გაკვეთილი. ნადით სახლში, ჩამოყალიბდით, ძალა მოიკრიბეთ და მომავალ არჩევნებზე, თქვენ გახდით დელეგატები.“

სოლ ალინსკი ამბობს, რომ აქტივიზმის მსოფლიო გამოცდილება ისტორიის განვითარების ამ სამ ვერსიას იცნობს. გამარჯვებული მოძრაობები კი ბოლოს, მაინც მოპოვებული ძალაუფლების შენარჩუნებასა და მუდმივ ბრძოლაში დარჩენას შორის აირჩევენ. და ეს მთავარი არჩევანია.



და-ჰა, ლანა და ენდი ვაჩოვსკების ახალი ფილმი, რომლის თანაჩემოსორისაა ტომ ტიკვერი, რომანის CLOUD ATLAS მიხედვითაა გადაღებული. მათი ინსპირაციის წყარო იყო „2001: კოსმოსური ოდისეა“ – პირველი ფილმი, რომლის ვაჩოვსკებამ ბავშვობაში ნახეს.



მატრიცას მიღმა

**ვაროვსკაჰი კიდე უფრო
ბასაოსარ მხარეში იწყებენ
მობზაურობას**

ავტორი ალექსანდრე პერმონი
ჟურნალი „ნიუ იორკერი“
სექტემბერი, 2012
ინგლისურიდან თარგმანა ნინო ჩიმაკაძე

ეკრანზე, მსხვილი ხედით, ტომ ჰენკსის თვალები ჩანდა. სწრაფ კინოკადრებად ენაცვლებოდა ერთმანეთს ემოცია, რომელსაც თვალები ასხივებდა – ჯერ სიძულვილი და შიში, შემდეგ ბრაზი და დაეჭვება. „გადაღებულია“, – შესძახა ლანა ვაჩოვსკიმ და ბაბელსბერგის სტუდიის მეცხრე პავილიონში შეკრებილი გადამღები ჯგუფიც უმალ ერთბაშად ახმაურდა. ბერლინის მახლობლად განთავსებულ სტუდიაში, ახლა შემდეგი ეპიზოდისთვის დაიწყეს მზადება. ჰენკსი ისევ სკამზე ჩამოჯდა და ფინჯნიდან, რომელსაც რადიო NPR-ის ლოგო ამშვენებდა, ყავა მონრუჰა. ლანა და მისი ძმა ენდი – „მატრიცას“ ტრილოგიის სახელგანთქმული რეჟისორები – იღებდნენ ფილმს „ლრუბლის ატლასი“, რომელიც დევიდ მიტჩელის ამავე სახელწოდების 2004 წლის ბესტსელერის კინოეკრანიზაცია იყო.

ნოველას ექვსი სიუჟეტი აქვს და ძმებმა გადასაღები მასალა სცენარის თანავტორთან, გერმანელ რეჟისორ ტომ ტიკვერთან გაინაწილეს. ტიკვერიც და ვაჩოვსკებიც თავ-თავიანთ ნაწილებს ერთ სტუდიაში იღებდნენ, ერთი და იმავე მსახიობების მონაწილეობით. თუმცა, ტიკვერს იძულებითი დასვენება მაინც არ ასცდა – მალიორკაში, გადაღებებზე, ჰოლი ბერიმ ფეხი მოიტეხა და დევენის სცენას მის სრულ გამოჯანმრთელებამდე ვერ გადაიღებდნენ. ამას სხვა პრობლემაც დაემატა: მსახიობი რაფე რიაქი, რომელიც პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ტიკვერის ერთ-ერთ სიუჟეტში, ავად გახდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ტიკვერი ტელეფონით სულ ეკონტაქტებოდა რიაქს, მაგრამ კონკრეტული პასუხი მსახიობის დაბრუნების შესახებ მაინც არ ჰქონდა. თვითონაც გაცილებული რეჟისორი, კისერზე შემოხვეული დიდი შარფით, სიტუაციის გასარკვევად ვაჩოვსკების გადასაღებ მოედანზე გადავიდა. რეჟისორებმა მონიტორთან მოიყარეს თავი და დაბალ ხმაზე, შეწუხებულები მსჯელობდნენ. რა უნდა ექნათ, დაეცადათ რიაქის გამოჯანმრთელებამდე, თუ საჩქაროდ მოექცნათ შემცველი და თავიდან გადაეღოთ მის მიერ უკვე ნათამაშები სცენები. გადაწყვეტილება: ისინი დაიცდიან, თუნდაც ამისთვის გადაღებების განრიგის გახანგრძლივება მოუხდეთ. „რაკეტშიდი გემი ნაწილებად იშლება, – თქვა ლანამ ბოლოს და თავი გაიქნია, – ჩვენ კი ვზივართ შიგნით, ამ კაფსულაში, გარეთ ვერ გავდივართ, მხოლოდ ერთი ძრავა მუშაობს და ბოლომდეც ამით უნდა მივიდეთ“.

ვაჩოვსკების ნამუშევრებში ბოროტი ძალები ხშირად წარმოუდგენლად ძლევამოსილი არიან, ისინი უბედურების ქარტეხილში ახვევენ ადამიანებს, რომლებიც ბოლომდე ინარჩუნებენ რწმენას, ვიდრე სასწაულის ძალით მართლა გადარჩებიან. „ღრუბლის ატლასის“ გადაღების ამბავი ამ ნარატივის ტრაექტორიაში ზუსტად ჯდება.

2005 წლის გაზაფხულზე ლანა და ენდი ვაჩოვსკები ბაბელსბერგში იყვნენ და ჯეიმს მაკათაიგის ფილმზე „V for Ven-

detta“ მუშაობდნენ. ფილმისთვის მათ სცენარიც დაწერეს და თანაპროდიუსერებიც იყვნენ. ერთ-ერთი შესვენების დროს, ლანამ (რომელიც ტრანსგენდერია და 2002 წლამდე ლარი ერქვა), შენიშნა, როგორი გატაცებით კითხულობდა ნატალი პორტმანი „ღრუბლის ატლასს“. პორტმანს აბოლებდა წიგნზე, ამიტომ ლანამაც დაიწყო მისი კითხვა. მას და ენდის, რომელიც ორ-ნახევარი წლით უმცროსია დაზე, ბავშვობიდან აკითხებდნენ ერთმანეთს წიგნებს. ახლაც, ორივე მათგანი შეპყრობილივით განიხილავდა მიტჩელის რომანს და მის ნაკითხვას მეგობრებსაც დაჟინებით ურჩევდა.

მიტჩელის წიგნი, თავისი გადახლართული თხრობითი საზებით და სხვადასხვა საუკუნეში, სხვადასხვა კონტინენტზე მიმოფანტული პერსონაჟებით, ადვილი წასაკითხი არაა. თითოეულ სიუჟეტს განსხვავებული ცენტრალური პერსონაჟი ჰყავს: ახალგაზრდა ამერიკელი ადამ ერვინი, რომელიც მე-19 საუკუნის შუა პერიოდში ცხოვრობს და წყნარი ოკეანის სამხრეთით მდებარე კუნძულიდან შინ ბრუნდება; უპასუხისმგებლო, მაგრამ ნიჭიერი ინგლისელი, რობერტ ფრობიშერი, რომელიც 1930-იანი წლებში, ფლანდერსში, გენიოსი კომპოზიტორის პირადი მდივანი ხდება. ჭორებს გამოდევნებული ჟურნალისტი, ლუიზა რეი, რომელიც 1970-იანი წლების კალიფორნიაში ენერგონდუსტრიის ბინძურ მაქინაციებს ქექავს; ტიმოთი ქავენდში, ავტორთა დაფინანსებით მომუშავე გამომცემლობის ხელმძღვანელი, რომელიც თანამედროვე ინგლისში ცხოვრობს და მოულოდნელად თავშესაფარში გამოკეტავენ; გენეტიკურად მოდიფიცირებული კლონი, სონმი-451, რომელიც კონსიუმერიზმით განადგურებულ ფუტურისტულ კორეაში მიაღწევს ადამიანურობის ფაზას; და ზაქრი, წყნარი ოკეანის კუნძულიდან, რომელიც კიდევ უფრო შორეულ მომავალში ცხოვრობს და ცდილობს, გადარჩეს „დაცემის“ შემდეგ, რომელმაც საფრთხე შეუქმნა პლანეტას და კაცობრიობის დიდი ნაწილი გაანადგურა. ეს პერსონაჟები ერთმანეთთან ლაიტმოტივების ჩახლართული ქსელით არიან დაკავშირებული – მაგალითად, ხშირად ვხვდებით კომე-

ტის ფორმის თანდაყოლილ ნიშანს. მათ ასევე აერთიანებს უნარი, როგორღაც გაექცნენ ბედისწერას, რომელიც წინასწარაა განერილი.

წიგნის თავბრუდამხვევი გარდასვლები კიდევ უფრო მსუყვე გეგმვებთან მდიდარი ლინგვისტური ექსპერიმენტების გამოც. მაგალითად, ზაქრის ეპიზოდებისთვის მიტჩელმა ინგლისური ენისგან მისი პოსტპოპკალიპტური მუტაცია შექმნა და მკითხველი ეფექტურად აიძულა, კითხვისთანავე მისი იერად ეთარგმნა ტექსტი.

„როცა „ღრუბლის ატლასს“ ვწერდი, ვფიქრობდი, რა გულდასაწყვეტია, რომ ამის ფილმად გადაღება არ მოხერხდება-მეთქი“, – მითხრა მიტჩელმა. მაგრამ წიგნის ეკრანიზაციის იდეას ვაჩოვსკებმა მაშინვე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. ისინი ალტაცებულები იყვნენ იდეების მასშტაბით, მინიმუმამდე დაყვანილი ცინიზმით და დრამატული შესაძლებლობებით, რომლებიც კვანძის გახსნის ეპიზოდებში მჟღავნდებოდა.

რეჟისორებს ტიკვერთან ერთად მუშაობაც უნდოდათ. მისი ფილმი „გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი“ ძალიან უყვარდათ („ჩვენი დიდი ხნის დაკარგული ძმა“, – ასე მოიხსენია ტიკვერი ლანამ). „ღრუბლის ატლასი“ კი შესაფერისი პროექტი ჩანდა მათი კინემატოგრაფიული მგრძნობელობების გაერთიანებისთვის.

2006 წელს, ვაჩოვსკების ნაქეზებით, ტიკვერმა „ღრუბლის ატლასის“ გერმანული თარგმანი თან წაიღო, როდესაც სამხრეთ საფრანგეთში გაემგზავრა დასასვენებლად. „ასე არ უნდა მექნა“, – მითხრა ტიკვერმა სიცილით. იჯდა პლაჟზე და მთელი დღეების განმავლობაში გატაცებით კითხულობდა წიგნს. ერთ დღეს ცოლმა გასეირნებაზე ძლივს დაითანხმა, მაგრამ ტიკვერმა მას მანქანა გააჩერებინა, რადგან წიგნს ვერ მოსწყდა და დაწყებული თავი მაინც ბოლომდე ჩამთავრა. როდესაც საბოლოოდ დაასრულა კითხვა, ლანას დაურეკა სან-ფრანცისკოში, სადაც იმ დროს შუალამე იყო, და სუნთქვაშეკრულმა გახუცხადა თანხმობა პროექტზე.

რამდენიმეწლიანი ლოდინის შემდეგ, „ღრუბლის ატლასს“ რეჟისორები 2009 წლის თებერვალში მიუბრუნდნენ. ერთმანეთს კოსტა-რიკაში შეხვდნენ, სადაც,

ოკეანესთან ახლოს, მიყრუებულ ადგილას მდგარი სახლი დაიქირავეს. სანამ სცენარზე მუშაობას დაიწყებდნენ, შეთანხმდნენ, რომ შესაძლოა „ღრუბლის ატლასი“ ფილმად ვერც ექციათ და არც ერთად მუშაობა გამოსვლოდათ. „წერა არტიკულ მიმართულებებს შორის ყველაზე იდუმალი პროცესია“, – თქვა ტიკვერმა, შეუძლებელი იყო წინასწარ განგეჭვრიტა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ყველაფერი კი ასე იწყებოდა: დილაობით იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ, შემდეგ ერთად ამზადებდნენ სადილს. ხშირად, მენიუში ჰქონდათ ენდის „მსოფლიოში სახელგანთქმული“, ლუდში შემწვარი ქათამი. „ერთობლივი მუშაობის ის პირველი პერიოდი, ბავშვობისდროინდელი, საიდუმლო ბანაკს ჰგავდა“, – თქვა ლანამ.

მთავარი გამოწვევა ნოველის ჩახლართული სტრუქტურა იყო: თხრობა ქრონოლოგიურად მიმდინარეობს წიგნის შუა რგოლამდე, შემდეგ კი თანმიმდევრობა იცვლება. თუმცა, საბოლოოდ, რომანი იწყება და მთავრდება მე-19 საუკუნეში. მსგავსი სიუჟეტური განვითარება კინოში არაფრით ივარგებდა. ლანას თქმით, „შეუძლებელი იქნებოდა, სრულიად ახალი სიუჟეტი ფილმის 90-ე წუთზე შემოგვეტანა“. თავდაპირველად სურდათ, ერთი, საერთო ტრაექტორია შეექმნათ ორ პერსონაჟს შორის: დოქტორ გუსი (მოხეტიალე ფიზიკოსი, რომელიც შესაძლოა, წამლავდეს ევინს ამბის დასაწყისში) და ზაქრი, რომლის მორალურ არჩევანზე დამოკიდებული მთელი ცივილიზაციის მომავალი დიდი „დაცემის“ შემდეგ. თუმცა, რეჟისორებს წარმოადგენა არ ჰქონდათ, რა ექნათ დანარჩენი სიუჟეტებისა და პერსონაჟებისთვის. საბოლოოდ, წიგნი ასობით სცენად დაჰყვეს, თითოეული მათგანი ფერად ბარათებზე გადაიტანეს და ეს ბარათები იატაკზე მიმოფანტეს. ყოველი მორიგი ფერი განსხვავებულ პერსონაჟს, ან დროის მონაკვეთს აღნიშნავდა. სახლი „ამ ბარათების ძენ-ბაღს დაემსგავსა“, – თქვა ლანამ. დღის ბოლოს მათ ბარათები იმ თანმიმდევრობით აკრიფეს, რომელიც, მათი აზრით, ფილმის ხერხემლად გამოდგებოდა. ბარათების გაშიფვრის შემდეგ ლანას ახლებურად აგებული ამბავი უნდა მოეთხრო. შემ-

დეგ დღეს ისევ თავიდან უნდა გაემეორებინათ ყველაფერი.

ამ მცდელობამ შედეგი კოსტა-რიკიდან გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე გამოიღო: სწორედ ამ დღეს მიხვდნენ მთავარს: ნოველის ცენტრალური იდეა, მარადიული განმეორებადობის შესახებ, შეეძლოთ ერთი ასეთი ხერხით გამოეცათ – ერთი და იგივე მსახიობები სხვადასხვა სიუჟეტში დაეკავებინათ; ანუ, ტიკვერის თქმით, მათთვის მიეცათ „არა ცალკეული პერსონაჟების, არამედ მოხეტიალე სულების როლი“. ეს რეჟისორებს საშუალებას მისცემდა, გაემთლიანებინათ წიგნის სხვადასხვა

**„ღრუბლის ატლასი“
21-ე საუკუნის
რომანია. ისაა
გამყოფი საზი
მოგავალს –
სადაც ყველაფერი
დანაწევრებულია
– და წარსულს
შორის, სადაც
არსებობს დასაწყისი,
შუა წერტილი
და დასასრული“,
– ამბობს ლანა
ვაჩოვსკი.**

სიუჟეტური დინება, ოღონდ ისე, რომ არ დაკარგულიყო არც მათ შორის არსებული ზღვარი. სახლში გაფრენისას, ლანამ და ენდიმ თან წაიღეს რეზინით შეკრული ბარათების მთელი დასტა, რომელიც მალე სცენარის პირველ ვერსიად აქციეს და ტიკვერთან გაგზავნეს. თუმცა, ეს მიმონერა სამ რეჟისორს შორის კვლავ დიდხანს გრძელდებოდა ისე, რომ ჯერ დაზუსტებით ვერ ხვდებოდნენ, შედგებოდა თუ არა ურთიერთთანამშრომლობა.

ავგისტოსთვის რეჟისორებს უკვე მზად ჰქონდათ დასრულებული სცენარი მიტჩელთან გასაგზავნად. როდესაც ძმები ფილმისთვის „V for Vendetta“ აღან მურის კომიქსის მიხედვით წერდნენ

სცენარს, გაიგეს, რომ წიგნის ავტორს იმის წარმოდგენაც კი სძაგდა, რომ ჰოლივუდი მისი ტექსტის ადაპტირებას აპირებდა, ამიტომ პროექტს საჯაროდ აკრიტიკებდა. „ამ გამოცდილების გათვალისწინებით, კოსტა-რიკაში ყოფნისას, გადავწყვიტეთ, რომ რამდენი შრომაც არ უნდა ჩაგვედო „ღრუბლის ატლასში“ და რამდენი ხანიც არ უნდა წაელო სცენარის წერას, თუკი დევიდ მიტჩელს ჩვენი ვერსია არ მოეწონებოდა, მოვკლავდით პროექტს“, – თქვა ლანამ.

მიტჩელმა, რომელიც ირლანდიის სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობს, რეჟისორებს შეხვედრა ქალაქ კორკში დაუთქვა, ზღვისპირა სასტუმროში. ვაჩოვსკებმა მას უამბეს ნოველის ნაწილ-ნაწილ დაშლის და სცენარად ქცევის მტკივნეული პროცესის შესახებ. „ხუმრობადაც კი იქცა ის, რომ ვაჩოვსკები ჩემს წიგნს ჩემზე უფრო ღრმად იცნობდნენ“, – მომწერა მიტჩელმა. რეჟისორებმა მწერალს ისიც უთხრეს, რომ ნარატივების გაერთიანებას სიუჟეტიდან სიუჟეტში მოხეტიალე სული-პერსონაჟების საშუალებით აპირებდნენ. „ეს იქნება იმ ფილმთაგან ერთ-ერთი, რომლებიც წიგნზე უკეთესი გამოდის“, – შესძახა მიტჩელმა საუბრის ბოლოს. მწერალსა და რეჟისორებს შორის მიღწეული თანხმობა ადგილობრივ პაპში, ლიტრობით ლუდის შესმით გაფორმდა.

2011 წლის ივნისში ვაჩოვსკები და ტიკვერი ბერლინში იყვნენ „ღრუბლის ატლასის“ პრეპროდუქციაზე სამუშაოდ. ლანას ბინის მისაღებ ოთახში **Under den Linden**-ზე, სადაც მარკიზ დე სადის „სოდომის 120 დღე“ ასრულებდა კარის დამჭერის ფუნქციას, სამი რეჟისორი ერთმანეთს უზიარებდა თავის ალტკინებას ამ ახალი პროექტის შესახებ. 43 წლის ენდის თმა ბოლომდე გადაპარსული ჰქონდა. გახუნებული მისიური და სამხრეთ კორეის დროშისანი, **Cross**-ის ფორმის სანდლები ეცვა. ეს მიშვებული სტილი ზუსტად ესადაგებოდა „სულერთია“ განწყობას, რაც შუა ხნის ასაკისთვისაა ხოლმე დამახასიათებელი. ლანას, რომელიც მალე 46 წლის გახდებოდა, ვარდისფრად შეღებილი თმა „დრედებად“ ჰქონდა დახვეული. 46 წლის ტიკვერი კი ძლიერი და ენერ-

გიული მამაკაცი ჩანდა, დაუჯერებლად ხასხასა მწვანე თვალებით. მთლიანობაში კი, ეს სამეული ალტერნატიული როკის დაშლილ ჯგუფს ჰგავდა – The Cinemaniacs – ერთობლივი ტურნე რომ დაუგვიანდათ.

„ღრუბლის ატლასი“ 21-ე საუკუნის რომანია, – თქვა ლანამ, – ისაა გამყოფი ხაზი მომავალს – სადაც ყველაფერი დანაწევრებულია – და წარსულს შორის, სადაც არსებობს დასაწყისი, შუა წერტილი და დასასრული“. საუბრისას ლანა ვაჩოვსკი ხელებს ისე ამოძრავებდა, თითქოს, თითებში აწყობს და შლისო რალაც წარმოსახული საგნის წარსულსა და მომავალს. თუ ფილმი გამოგვივა, ეს საშუალებას მისცემს რეჟისორებს „აღიღვინონ განცდა, რომელიც ჩვენც გვექონდა ხოლმე ახალგაზრდობაში, როცა რთულ, დამაბნეველ, აბსტრაქტული სიუჟეტის ფილმებს ვუყურებდით – რომელშიც შეუძლებელი იყო, თავიდანვე გცოდნოდა, რა მოხდებოდა შემდეგ“, – დაასრულა ბოლოს ლანამ.

ენდი დაეთანხმა. „ღრუბლის ატლასით“ ჩვენ 1960-70-იანი წლების სანახაობას ვუბრუნდებით, „თაჩსთოუნის“ ფილმების ეპოქას“, – თქვა მან და მელოტ თავზე გადაისვა ხელი. როგორც თვითონ ამბობენ, სცენარზე მუშაობის დროს სტენლი კუბრიკის ფილმით „2001: კოსმოსური ოდისეა“ ხელმძღვანელობდნენ. ეს ფილმი რეჟისორებს ბავშვობიდან ახსოვდათ. მაშინ ლანა (იმ პერიოდში ჯერ კიდევ ლერი) 10 წლის იყო, ენდი – შვიდის.

ისინი ერთიან, შეკრულ ოჯახში გაიზარდნენ, ჩიკაგოს სამხრეთ ნაწილში მდებარე, საშუალო ფენით დასახლებულ უბან ბევერლიში. მათი მშობლები, ბიზნესმენი რონი და მედეა ლინი, კინოს დიდი მოყვარულები იყვნენ. ისინი არაფრად აგდებდნენ ფილმებზე დაწესებულ ასაკობრივ შეზღუდვებს და თუკი ახალი კინოსურათი დაინტერესებდათ, ოთხივე შვილი – ლარი, ენდი და მათი ორი და კინოთეატრში მიჰყავდათ. „კინოჩვენებებს სახლშიც ვანახობდით. ამ თავყრილობებს ჩვენები „კინოორგებს“ ეძახდნენ. მე ისეთი პატარა ვიყავი, სიტყვა „ორგის“ მნიშვნელობა არ მესმოდა, მონონებით კი, ძალიან მომწონდა“, – იხსენებს ენდი.

ლანას „2001“ თავიდან ძალიან არ მოეწონა, ამ შავი მონოლითის მისტიკურობამ საშინლად დააბნია. „ეგ სიმბოლოა, – აუხსნა რონმა – მიაბობს ლანა, – აი, ამ ერთმა მარტივმა წინადადებას შეცვალა ყველაფერი. ის შემოვიდა ჩემს ტვინში და ისე გადააღაგა ყველაფერი, რომ არა მგონია, იმ დღის მერე იგივე ადამიანი ვიყო. გონებაში, თითქოს, რალაცამ დამკრა. პრინციპში, „2001“ ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომაც გავხდი რეჟისორი“.

შესაძლოა არცთუ შემთხვევით, ლანას გენდერულმა საწყისმა სწორედ იმ პერიოდში იჩინა თავი. მესამე კლასში, როცა ჯერ კიდევ ლარი ერქვა, ის კათოლიკურ სკოლაში გადავიდა, სადაც გოგონებს და ბიჭებს განსხვავებული უნიფორმები ეცვათ და გაკვეთილის დაწყებამდე სხვადასხვა ხაზში იდგნენ. „კარგად მახსოვს, როცა გოგონების რიგთან გავიარე, შევეყიციანი, ვგრძნობდი, ჩემი ტანსაცმლით მათ არ შევეფერებოდი, მაგრამ როცა სვლა განვაგრძე მეორე რიგისკენ, იმასაც მივხვდი, რომ არც ბიჭების მხარეს ვეკუთვნიდი, ამიტომ შუაში დავდექი. დიდ ხანს ვიდექი ასე და ყველა მე მიყურებდა, მონაზვნის ჩათვლით. მერე მითხრა, ხაზში ჩავმდგარიყავი. გაეშეშდი. ვერ ვინძრეოდი, ვფიქრობ, რომ ჩემი ქვეცნობიერის რალაც ნაწილმა იმ წუთში დაასკვნა, რომ ზუსტად იქ ვიდექი, სადაც უნდა ვყოფილიყავი – შუაში“, – მეუბნება ლანა. ლარის ამ გაორებული ბუნების გამო ხშირად აბუჩად ივლებდნენ. „ამიტომ გავურბოდი ყველაფერს და ჩემთვის ვიმალებოდი, ნუგემს წიგნებში ვპოულობდი, რადგან წარმოსახვითი სამყარო გაცილებით მერჩივნა რეალურს“, – იხსენებს ლანა.

ლარიმ და ენდიმ, როგორც რეჟისორებმა, პირველი ნამუშევარი დაახლოებით „2001“-ის ნახვის შემდეგ შექმნეს: კასეტაზე ჩანერეს სპექტაკლი, რომლის შთაგონების წყაროც იყო კომიქსი Shadow და რადიოპროგრამები. მალე ძმები უკვე საკუთარ კომიქსებს ხატავდნენ და წერდნენ. მათი შემოქმედებითი პროცესი, როგორც ლანა ამბობს, „მას მერე დიდად აღარ შეცვლილა“. ლარი და ენდი განუწყრელ პარტნიორებად იქცნენ. „ლარის რამე გიჟური იდეა დაარტყა-

მდა, – იხსენებს მამა, რონ ვაჩოვსკი, – მაგალითად, ხეზე თოკის ჩამოკიდება და საქანელის გაკეთება, ენდი კი იყო ის ადამიანი, რომელიც გამოსტებოდა, ჩამოეკიდებოდა თოკზე, იქანავებდა და დაენარცხებოდა ძირს“. მთელ შაბათ-კვირებს სხვენში ათენ-ალამებდნენ და ფენტეზი თამაშს „მინისქვეშეთსა და დრაკონებს“ (Dungeons & Dragons) თამაშობდნენ. ქვევით მაცივრის დასალაშქრად თუ ჩავიდოდნენ ხოლმე.

„D & D-ში მხოლოდ საკუთარი წარმოსახვის ამარა ხარ. ყველა მოთამაშეს ერთი და იგივე რამ მოეთხოვება – წარმოიდგინოს იგივე სივრცე, იგივე სურათი. ეს ძალიან ჰგავს ფილმის კეთების პროცესს“, – ამბობს ლანა. ძმებმა ვაჩოვსკებმა, რამდენიმე მეგობართან ერთად, 300-გვერდიანი თამაშის კი დაწერეს, რომელსაც „ზემოგზაურობა“ (High Adventure) დაარქვეს. „თამაში იყო თუ მხატვრული ლიტერატურა, ჟანრების დიფერენციაცია ძალიან გვაბნედა. ამიტომ ნაიფური უმანკოებით გავებდეთ, წარმოგვედგინა ის უტოპიური სამყარო, სადაც ჟანრების აღრევას შევძლებდით“.

საშუალო სკოლაში სწავლისას, ლარიმ და ენდიმ საკუთარი ბიზნესი წამოიწყეს – სახლებს ლეზავდნენ შეკვეთით – კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად ფული რომ დაეგროვებინათ. ლარიმ სესხი აიღო და ბარდში ჩაირიცხა, მაგრამ რამდენიმე წელიწადში იქაურობა მიატოვა – „პედაგოგები ჩემზე ცოტა ჭკვიანები ხომ მაინც უნდა ყოფილიყვნენ, რომ მეთქვა, მათ გამო სესხის აღება ღირდა. არადა, ზოგიერთს იმ წიგნების ნახევარიც არ ჰქონდა ნაკითხული, რაც – მე“. ლარი პორტლენდში, ორეგონში გადავიდა საცხოვრებლად, წყნარად რომ ეწერა. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო უილიამ გოლდმანის „პრინცესა პატარძლის“ (Princess Bride) ადაპტაციაზე მუშაობა (სცენარი რომ გაამზადა, გოლდმანს დაურეკა, საავტორო უფლება სთხოვა. გოლდმანმა კი ყურმილი დაუკიდა). შემდეგ, როცა მეორეკურსელმა ენდიმაც მიატოვა კოლეჯი – ის ემერსონში სწავლობდა – ძმები ჩიკაგოში შეხვდნენ ერთმანეთს და სამშენებლო ბიზნესი დაიწყეს. ფაქტობრივად, ამ საქმეს მუშაობის პროცესის პარალელურად სწავლობდნენ. ერთხელ მათ ლიფტის



„დრუპლის ატლასი“



„დრუპლის ატლასი“



ლანა ვაჩოვსკი და ტომ ჰენსი

შახტი ააგეს, ყოველგვარი წინასწარი გეგმის და გამოცდილების გარეშე. მანამდე კი შემკვეთის ბრმა ნდობაც დაიმსახურეს, რაც ფრიად საჭირო უნარია კინობიზნესში.

თუმცა, რაც არ უნდა ეკეთებინათ, ვაჩოვსკები სულ წერდნენ. ადრეულ ოთხმოცდაათიანებში, ლარი ნიუ იორკში წავიდა, კომიქსების გამომცემლობებისთვის საკუთარი ნამუშევრები რომ მიეყიდა. პირველი კონტრაქტი, ლარიმ,

ენდისთან ერთად, „მარველ კომიქსთან“ გააფორმა. პარალელურად, ძმები გამუდმებით ამუშავებდნენ საკუთარ სცენარებს.

მშობლებს ურემონტებდნენ სახლს, როდესაც ბლოკბასტერი ფილმების პროდიუსერი დინო დე ლაურენტისი დაინტერესდა მათი მორიგი სცენარით „მკვლელები“, პროდიუსერი ძმებს შამპანურით და ლამაზმანი მსახიობების შესახებ ვნებიანი ისტორიებით გაუ-

მასპინძლდა, შემდეგ კი მათი სცენარი Warner Bros.-ს ხუთჯერ უფრო ძვირად მიჰყიდა, ვიდრე ვაჩოვსკებს გადაუხადა. ლანა იხსენებს, რომ მათეული ტექსტის საბოლოო ვერსიიდან დაქირავებულმა სცენარისტმა მთლიანად ამოიღო ძმებისთვის ასე მნიშვნელოვანი ქვეტექსტი და ვიზუალური მეტაფორები; ასევე მთავარი იდეა, რომ ჩვენს სამყაროში არსებობს მისი სხვადასხვაგვარი მორალური განმტოებები, პარალელური

სამყაროების სახით, რომლებიც აბსოლუტურად განსხვავებულად ფუნქციონირებს. როდესაც 1995 წელს „მკვლელები“ გამოვიდა (რეჟისორი გახლდათ Lethal Weapon-ის შემქმნელი, რიჩარდ დონერი, მსახიობები კი – სილვესტერ სტალონე, ანტონიო ბანდერასი და ჯულიან მური), ძმები შეეცადნენ, თავიანთი გვარი გადამღები ჯგუფის წევრთა ჩამონათვლიდან ამოეღოთ, მაგრამ არ გამოუვიდათ. თუმცა, საბოლოო ჯამში, სწორედ ამ სცენარმა მოუტანა მათ კონტრაქტი Warner Bros.-თან, რის შემდეგაც დაასრულეს მშობლების სახლზე მუშაობა, თავი დაანებეს სამშენებლო ბიზნესს და სრული დაცვირთვით მიჰყვეს ხელი რეჟისორობას.

1994 წელს ვაჩოვსკებს უკვე დასრულებული ჰქონდათ „მატრიცას“ ტრილოგიის პირველი სცენარი. იდეა ერთ-ერთი შეკვეთილი კომიქსის დამუშავებისას გაუჩნდათ. როგორც ლანა იხსენებს, მათ აინტერესებდათ „რეალური სამყაროები და სამყაროებს შიგნით არსებული სამყაროები, ასევე ვირტუალური რეალობის პრობლემა კინოში და აი, უცებ დაიბადა იდეა: რა მოხდებოდა, ჩვენი რეალობა ვირტუალური რომ ყოფილიყო?“ ტრილოგიაში მოქმედება შეზღუდულ მომავალში ვითარდება, სადაც მანქანები ადამიანთა ენერჯით მუშაობენ, თვითონ ადამიანებს კი მუდმივ კონტროლურ მდგომარეობაში ამყოფებენ, ხოლო მათ გონებას სიმულირებული რეალობით ამშვიდებენ, რომელსაც მატრიცა ჰქვია. ამ მდგომარეობას გადარჩენილი ადამიანების პატარა ჯგუფი – ნეო, მორფეუსი და ტრინიტი – წინააღმდეგობის განცემა ცდილობენ და ვირტუალურ აგენტ სმიტს ებრძვიან. ესაა სუსტი სინათლე, რომელსაც ადამიანური სოლიდარობა წარმოშობს მანქანების მიერ კონტროლირებადი შეუვალი წყვილის დასაძლევად. „როცა „მატრიცა“ პირველად წავიკითხე, აღელვებულმა დაურეკე ძმებს და ვუთხარი – თქვენ დაგინერიათ სცენარი დეკარტეზე!“ – იხსენებს ვაჩოვსკების პროდიუსერი ლორენს მატისი, რომელმაც „მატრიცა“ 1994-შივე დაუზავა კინოკომპანიებს განსახილველად. თუმცა, როგორც პროდიუსერი ამბობს, ტექსტი ყველამ წაიკითხა, მაგრამ გვერდზე

გადადო – ვერავინ გაიგო ის. „დღესაც ვფიქრობ, რომ Warner Bros.-მა ეს სცენარი რომ იყიდა, ორი მიზეზი ჰქონდა – ერთი, ვაჩოვსკებთან ურთიერთობა და მეორე, წინათგრძნობა, რომ იყო მასში რაღაც საინტერესო“.

სცენარზე მუშაობას ორი წელი შეაღწიეს და ჯიუტად აცხადებდნენ, რომ ფილმის გადაღება თვითონ სურდათ. საბოლოოდ, „მატრიცა“ 118 დღეში გადაიღეს. ამ პროცესში ძმებმა, თავიანთი ვიზუალური ეფექტების გუნდთან ერთად, რამდენიმე ახალი კინოხერხი მოიგონეს, მათგან ყველაზე ცნობილია „ტყვიის დრო“, რომელმაც საშუალება მისცა ძმებს, ეჩვენებინათ სივრცეში ტყვიის შენელებული მოძრაობის ეფექტი.

„მატრიცამ“, რომელიც 1999 წლის 31 მარტს გამოვიდა, პირველივე კვირას თითქმის ოცდაათი მილიონი დოლარის მოგება ნახა. მსოფლიო დისტრიბუციიდან კი ნახევარი მილიარდი დოლარი ამოიღო და მოიპოვა ამერიკული კინოაკადემიის ოთხი ჯილდოც. პუბლიკამ დააფასა ფილმის ცივი, მშვიდი, ულტრათანამედროვე სტილისტიკა და მისი პერსონაჟები, რომელთა ერთადერთი, დაუმარცხებელი ძალა მათი ძველმოდური ადამიანურობაა“.

„ვაჩოვსკებს მითითური მგრძობელობა აქვთ, – მითხრა დევიდ მიტჩელმა, – ისინი სრულიად შეგნებულად არგებენ ახალ კაბას, ენასა და ფორმას უძველეს ისტორიებს“. ფილმს ისეთი ღრმა ფილოსოფიური საფუძველი ჰქონდა, რომ ის საკულტო მოვლენად იქცა და უამრავი აკადემიური კვლევა მიეძღვნა, მაგალითად, როგორც იყო „ნეომატერიალიზმი და საგნის სიკვდილი“; ასევე: „ბედი, თავისუფლება და წინასწარჭრეტა“. „მატრიცას“ ტრილოგიის შესახებ დანერა სლოვენელმა ფილოსოფოსმა სლავოი ჟიჟეკმაც და 11 სექტემბრის შესახებ შექმნილი ნაშრომის სათაურად ფილმის ციტატა გამოიყენა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რეალობის უდაბნოში“ – ფრაზა, რომელიც, თავის მხრივ, ჟან ბოდრიარის „სიმულაკრა და სიმულაციის“ ერთი პასაჟის ალუზია გახლდათ.

„მატრიცას“ შემდეგ, ერთი თვალის დახამხამებაში, ჩიკაგოელი მშენებლე-

ბი, ძმები ვაჩოვსკები, გლობალური კინოინდუსტრიის ვარსკვლავებად იქცნენ. თუმცა, კონტრაქტში, რომელიც მათ Warner Bros.-თან გააფორმეს, შეიტანეს პუნქტი ნო-პრესს (არავითარი პრესა). ისინი არც ინტერვიუებს იძლეოდნენ და არც პიარ ლონისძიებებში მონაწილეობდნენ. კვლავაც აგრძელებდნენ ცხოვრებას ჩიკაგოში, ოჯახთან ახლოს. „ჩვენს სურვილს, დავრჩეთ ანონიმურები, ორი რამ განაპირობებს – პოპულარობის სიძულვილი (მიყვარს, როცა კომიქსების მაღაზიაში შევდივარ და ვერავინ მცნობს) და რაღაც სასიამოვნოდ ეგალიტარული, რაც ანონიმურობას ახასიათებს. ვგულსხმობ თანასწორობას და ეგეთ გაცვეთილ რამებს“, – მომწერა ენდიმ ერთ-ერთ იმიელში.

„მატრიცას“ სახელი უკვე ყველამ იცოდა, როცა ვაჩოვსკები მეორე და მესამე ნაწილების გადასაღებად ავსტრალიაში გაემგზავრნენ. „მატრიცა გადატვირთვა“ და „მატრიცას რევილუციები“ 2003 წლის მაისსა და ნოემბერში გამოვიდა და მსოფლიოს მასშტაბით მილიარდ დოლარზე მეტი მოგება მოიპოვა. თუმცა ფილმის შექმნის პროცესი რთულად წავიდა. გადაღებები თითქმის სამას დღემდე გაიჭიმა და, თავი რომ დავანებოთ ამ პროცესისთვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ სტრესს, გადამღებ ჯგუფს ტრაგედიასთან გამკლავებაც მოუხდა – გარდაიცვალა ორი მსახიობი.

იმავე პერიოდში ლარი ვაჩოვსკი, რომელიც ცოლს დაშორდა, დეპრესიას ებრძოდა და საკუთარ გენდერულ პრობლემებზე დარდობდა. ენდის გაუძილა კიდევ, რომ ყურეში საცურაოდ ყოველ დღით უფრო იმიტომ დადიოდა, რომ ნატრობდა, იქნებ გემი დამეჯახოს, ან ზვიგენი დამესხასო თავს. „წლების განმავლობაში ვერც კი წარმოვთქვამდი სიტყვებს „ტრანსგენდერი“, ან „ტრანსსექსუალი“, – მითხრა ლანამ, – მერე კი, როცა საკუთარ თავს გამოვუტყდი, მივხვდი, რომ სიმართლის თქმა მშობლებისთვის, ენდისთვის და ჩემი დებისთვისაც მომიწევდა. ამის წარმოდგენაზეც კი ისეთი შიში დამრევდა ხოლმე ხელს, ღამეები არ მეძინა. შემდეგ შევადგინე გეგმა, რომელიც ჩემს ფსიქოლოგთან ერთად დავამუშავე. ყველაფრის

გამჟღავნებას, გეგმის მიხედვით, სამი წელი დასჭირდებოდა, ან – ხუთი. თუმცა, სულ რამდენიმე კვირა იყო გასული, როცა დედაჩემმა დარეკა“.

ლინ ვაჩოვსკი მიხვდა, რომ რაღაც ხდებოდა და მეორე დღესვე სიდნეიში ჩაფრინდა. იმავე დილას ლარი პირდაპირ გამოუტყდა მას: „მე ტრანსგენდერი ვარ. მე გოგო ვარ“. ლინი ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ვაჟი, ამიტომ უთხრა: „მე შენს დაბადებას ვესწრებოდი!“ ლარი გაჯიუტდა: „არის ჩემში ერთი ნაწილი, რომელიც თავს გოგოდ გრძნობს“. ლინმა კი, რომელიც მთელი გზა ნერვიულობდა, რომ შეიძლება საბოლოოდ დაეკარგა შვილი, ლარის უთხრა: „დაკარგვის ნაცვლად, თავიდან აღმოგაჩინე და დაგინახე“. მალე ავსტრალიაში რონიც ჩაფრინდა და შვილს უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადა. ასე მოიქცნენ დები ვაჩოვსკები და, რა თქმა უნდა, ენდიც – რომელიც რაღაც მსგავსს მანამდეც ეჭვობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მთელი ოჯახი რესტორანში წავიდა. ლარის ახლა უკვე ლანა ერქვა და ქალივით ეცვა. როცა სუფრასთან ოფიციალტი მივიდა, დედა-შვილს – ლინს და ლანას ასე მიმართა: „აბა, რას ინებებთ, ქალბატონებო“. მეორე დღეს, ლანა გადაღებაზეც თავისი ახალი იდენტობით გამოცხადდა, თითქოს, უჩვეულო არაფერი ხდებოდა. თუმცა, ამ ამბავმა გადასალბე მოედანს მიღმა მაინც მალე გაჟონა და ჭორებმა მაშინვე მთელი ბლოგოსფერო მოიცვა. ვაჩოვსკების განდევნობა მედიამ ლანას ამბავსაც დააბრალა. ჩიკაგოში დაბრუნებულ ლინსა და რონს სახლთან დაბანაკებული ჟურნალისტების არმია დახვდა. უფრო თავხედები შიგადაშიგ უბოდიშოდ რეკავდნენ ზარს.

თუმცა, ბოლოსდაბოლოს, პრესა დაწინებდა. ლანამ განქორწინების საქმე მოაგვარა, შემდეგ კი სხვა ქალი შეუყვარდა და 2009 წელს თავიდან იქორწინა. „მე გარეგნობა გამოვიცვალე, ჩემი შინაგანი სამყაროს გამომხატველად რომ მექცია. ყველაზე მეტად ოჯახის დაკარგვის მემშინოდა. მაგრამ, როგორც კი მათ მიმიღეს, მერე აღარაფერი გამჭირვებია. ვიცი, უამრავი ადამიანი კვდება ინტერესით, გავიკეთე თუ არა ქირურგიული ოპერაცია, ხელოვნური ვაგინა

რომ მქონოდა, თუმცა, ვამჯობინებ ამ ინფორმაციაზე ექსკლუზიური უფლება ჩემს მეუღლეს დავუტოვო“.

ვაჩოვსკებს პირველად 2009 წლის დეკემბერში შევხვდი, როდესაც გააფთრებით დაექმდნენ ფინანსებს „ლრუბლის ატლასისთვის“. თუმცა, უსაქმურად რომ არ ყოფილიყვნენ, სხვა სცენარზეც დაიწყეს მუშაობა. ეს იყო „Cobalt Neural 9“ – ამბავი, რომელიც ბუშის პრეზიდენტობასა და ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე ომებზე გამოხმაურება იყო. ძმებს ანტიერესებდათ, როგორ აღიქვამდნენ დღევანდელი მთავარი მომავალში და წარმოიდგინეს, რომ იდე-

**„ბაზარზე
ორიენტირებული
ხელოვნების
კეთილშობილური პრობლემა
ისაა, რომ ახალ
ფილმებს მწვანე შუქს
უნთბენ მხოლოდ
ქველი ფილმების
გამოსვლისთვის;
ანუ, როგორც ბუნება
პირ ითვისებს ვაქუშებს
და სქულს იგი, ასევე
სისტემა პირ კბუთს
ორიგინალურობას“.**

ბდნენ დოკუმენტურ ფილმს ბუშის პრეზიდენტობიდან 8 ათწლეულის შემდეგ და იმ პერსპექტივიდან ცდილობდნენ დაენახათ, როგორ იძირებოდა ქვეყანა იმპერიულ თვალთმაქცობაში. იმისთვის, რომ „Cobalt Neural 9“-სთვის სცენარი დაენერათ, ვაჩოვსკები უამრავ ადამიანთან იღებდნენ ინტერვიუებს – არიანა ჰაფინგტონით დაწყებული, კორნელ უესტით დამთავრებული. მეც შემომთავაზეს, მონაწილეობა მიმელო პროექტში და ისე გამომანწყევს, თითქოს, 2090 წელს ვცხოვრობდი. ბოსნიელი ისააკ ჰეისის მსგავსად ვიყავი ჩაცმული (თავზე ელვარე შუქები მქონდა მიმაგრებუ-

ლი და ფსიქოდელიური მასური მეცვა). ვიდეო ასე და ბუშის რეჟიმის მანერ იდოტიზმზე ვყვებოდი. ლანა კამერის გვერდზე იდგა და კითხვების უმეტესობას ის სვამდა, ენდი კი სადღაც განათებებს მიღმა ბორიალებდა, მისი ხმა დროგამოშვებით თუ დაიჭებებდა ხოლმე ისე, როგორც – ვაკუუმში.

ჩვეულებრივ, ცნობილი ადამიანების გარემოცვაში თავდაჯერებულობა მტოვებს. მეჩვენება, რომ მათ ჩემზე მეტი იციან, რადგან სამყარო მათთვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ჩემთვის. მაგრამ ვაჩოვსკებს შესანიშნავად შევწევ. ჰოლივუდისგან აბსოლუტურად გაუსვრულ ძმებს არაფერი ეცხობთ იმ ინდიფერენტულობისა, რაც ვარსკვლავების საერთო სიმპტომია. ლანა ერთ-ერთი ყველაზე ნაკითხი ადამიანი იყო, ვისაც შევხვედრივარ, ენდის კი მახვილი იუმორის გრძნობა ჰქონდა. ისინი ორივე Chicago Bulls-ის თავგამოდებული ფანები იყვნენ. ჩვენ საერთო გვექონდა ნარატივის ხელოვნების უპირატესობის რწმენა და ჩიკაგოს მგზნებარე სიყვარულიც.

ერთ დღეს, ვთხოვე, ნება დამრთეთ, „ლრუბლის ატლასის“ შექმნის პროცესზე დავეწერო-მეთქი. მათ ჩემი წინადადება განიხილეს და ბოლოს, დამთანხმდნენ. ეს ის დრო იყო, როცა „ლრუბლის ატლასის“ სცენარს ყველა დიდ სტუდიაში აგზავნიდნენ მას შემდეგ, რაც Warner Bros.-მა უარი თქვა მასზე. თუმცა, ყველა უარს ამბობდა მასზე, რადგან „ლრუბლის ატლასის“ ძალიან სარისკო, ძალიან კომპლექსური ეჩვენებოდათ. Warner Bros.-ი კი ამბობდა, რომ ერთადერთი, რაც „ლრუბლის ატლასისთვის“ შეეძლო გაეკეთებინა, ჩრდილოეთ ამერიკაში დისტრიბუციის უფლებების შექენა იყო. ეს თანხა განერილი ბიუჯეტის მხოლოდ პატარა პორციას დაფარავდა.

ამასობაში, ვაჩოვსკები და ტიკვერი შეთანხმდნენ, რომ ფილმზე სამუშაოდ ტომ ჰენკსს მიიწვევდნენ. სანტა მონიკაში, ჰენკსის ოფისში მიდიოდნენ, როდესაც ვაჩოვსკებს აგენტმა დაურეკა და აცნობა, რომ Warner Bros.-ი თავს იკავებდა დისტრიბუციის უფლებების შექენაზეც კი. გაირკვა, რომ „ლრუბლის ატლასის“ ეკონომიკური მოგების პოტენციალი კინოსტუდიაში სპეციალური

მოდელით გამოთვალეს და დაასკვნეს, რომ მოგება ძალიან ცოტა იქნებოდა. მაგალითი, რითაც ამ გამოთვლისას იხელმძღვანელებს, დარენ არონოვსკის ფილმი – *The fountain* (2006 წ.) იყო. „ღრუბლის ატლასის“ მსგავსად, ამ ფილმსაც რამდენიმე ავტონომიური სიუჟეტი ჰქონდა, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში ვითარდებოდა. დიდ ეკრანზე გამოსვლის მერე კი, მან შერეული კრიტიკა მიიღო და 200 მილიონი დოლარი წააგებინა შემქმნელებს.

„ბაზარზე ორიენტირებული ხელოვნების კეთებაში პრობლემა ისაა, რომ ახალ ფილმებს მწვანე შუქს უნთებენ მხოლოდ ძველი ფილმების გამოცდილების გათვალისწინებით, – მეუბნება ლანა, – ანუ, როგორც ბუნება ვერ ითვისებს ვაკუუმს და სძულს იგი, ასევე სისტემა ვერ ჰგუბოს ორიგინალურობას. არადა, ორიგინალურობას ეკონომიკურ მოდელებს ვერ მიუსადაგებ“. მაგალითად, „მატრიცას“ მაგალითი „მნემონიკი ჯონი“ იყო – 1995 წელს გამოსული ფილმი-მარცხი, კეანუ რივზის მონაწილეობით.

ვიდრე ჰენკსის ოფისში შევიდოდნენ, ვაჩოვსკები ეცადნენ, ცუდ ამბავზე აღარ ეფიქრათ. მსახიობს ეტყობოდა, რომ აინტერესებდა ამ პროექტზე მუშაობა და ერთ ფილმში 6 განსხვავებული პერსონაჟის თამაში. ისე დავემთხვა, რომ ზუსტად იმ პერიოდში, ჰენკსი „მოზი დიკს“ კითხულობდა და სტუმრად მისული რეჟისორები მეღვილის შესახებ დისკუსიაში ჩართო. ლანამ მსახიობს ფილმის – „2001: კოსმოსური ოდისეის“ პოსტერზე ანიშნა, რომელიც, თითქოს, განგებ ჩამოეკიდათ კედელზე, და თქვა: „მოზი დიკი და აი, ეს ფილმი გვინდა გავაკეთოთ“. „მე თანახმა ვარ, – თქვა ჰენკსმა, – როდის ვიწყებთ?“ მოგვიანებით ჰენკსმა მითხრა, რომ ის განსაკუთრებით მოიხიბლა ვაჩოვსკების გულწრფელობით. მათ „არ რცხვენოდათ, ეთქვათ – ჩვენ ხელოვნებას ვაკეთებთ“.

ჰენკსის თანხმობის შემდეგ, ვაჩოვსკებმა Warner Bros.-ს დაფინანსება თავიდან სთხოვეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „ღრუბლის ატლასის“ მსგავსი კომპლექსური ნარატივის მქონე პროექტს პრეცედენტი არ ჰქონდა და შესაბამისად,

მისი მომგებიანობის განსაზღვრა ეკონომიკური მოდელებით არ შეიძლებოდა. მათ სპონსორებს „ღრუბლის ატლასი“ წარუდგინეს, როგორც ამბავი მონანიების, ადამიანური სიკეთის უწყვეტობის შესახებ, რამდენადაც სიკეთის ყოველ აქტს შესაძლოა, აბსოლუტურად გაუთვლელი შედეგები მოჰყვეს. „ტომ ჰენკსის პერსონაჟი ფილმის დასაწყისში ცუდი პიროვნება, მაგრამ საუკუნეების მანძილზე ის კარგ ადამიანად გარდაიქმნება“, – ამბობენ ვაჩოვსკები. საბოლოოდ, მათ Warner Bros.-ის დარწმუნება შეძლეს, მაგრამ ამჯერად კინოსტუდიამ კიდევ უფრო ნაკლები თანხა ჩადო ფილმში, ვიდრე ვაჩოვსკები იმედოვნებდნენ.

ფილმის ბიუჯეტი დაახლოებით 120 მილიონი დოლარი იყო. Warner Bros.-ის გარდა, ერთადერთი გარანტირებული ფული გერმანიის ფედერალური კინო ფონდიდან მოდიოდა. რეჟისორები ცდილობდნენ, სხვა ევროპული წყაროებიდანაც მოეპოვებინათ ინვესტიცია და დაეინტერესებინათ ინვესტორებიც. თუმცა, ეს ფინანსური სქემა ძალიან არასტაბილური იყო. თუ ვინმე უარს იტყოდა ინვესტირებაზე, პროექტი შესაძლოა, ჩაშლილიყო. „ძნელია ჩამოთვალაო, რამდენჯერ მოკვდა და გაცოცხლდა ეს პროექტი“, – ამბობს ლანა.

2010 წლის ზამთარში ვაჩოვსკებმა სცენარი ჯეიმს შამუსს გაუგზავნეს – Focus Features-ის ხელმძღვანელს. შამუსმა მეორე დღესვე დაურეკა რეჟისორებს და საერთაშორისო გაყიდვებში დახმარება შესთავაზა. მისი იდეა იყო, ვაჩოვსკები 2011 წლის კანის ფესტივალზე ჩასულიყვნენ და ფილმის წინასწარ გაყიდვაზე ეზრუნათ. დისტრიბუტორებით სავსე დარბაზის წინაშე ვაჩოვსკებთან ერთად თვითონ შამუსიც წარსდგა. „ვიდეკით ოლიმპიის თეატრის სცენაზე და 45 წუთის განმავლობაში ვმონაწილეობდით ერთ-ერთ ყველაზე სასაცილო სინეფოლურ დიალოგში“, – ამბობს შამუსი. სამასამდე ინდუსტრიის წარმომადგენელი კმაყოფილი ჩანდა პროექტით, მაგრამ რიცხვები მაინც არასახარბიელო იყო, მოპოვებული ინვესტიცია 15 მილიონს ძლივს აღწევდა.

ამ წარუმატებელი ღონისძიების შესახებ ინფორმაცია მალე გავრცელდა, რამაც რამდენიმე ინვესტორი დააფრთხო

და პროექტზე უარი ათქმევინა. ენდი მეუბნება: „ძალიან სამწუხაროა, როცა ადამიანები ფიქრობენ, რომ კინო საეაქრო ბირჟასავითაა. ფილმში, რომელიც მოგწონს, ფულს დებ იმიტომ, რომ გემოვნება გაქვს. ეს იგივე არაა, კომპანია Shell Oil-ის აქციებს რომ ყიდულობდე. კინობიზნესში ერთგები კინოს სიყვარულის გამო და არა იმიტომ, რომ ფული გიყვარს“.

საბოლოოდ, პროექტის ბიუჯეტი დაახლოებით ას მილიონ დოლარამდე დაიყვანეს, რის გამოც, გადაღებებისთვის გამოყოფილი თანხა 80 მილიონამდე შემცირდა. თუმცა „ღრუბლის ატლასი“ მაინც ყველაზე ძვირადღირებულ დამოუკიდებლად დაფინანსებულ ფილმად დარჩა. ვაჩოვსკებმა გადააგადეს რეჟისორების ჰონორარის საკითხი, მეტიც, მათ საკუთარი ფული ჩადეს პროექტში, რის გამოც უკვე ამ ფილმის წარმატებაზე იყო დამოკიდებული მათი მომავალი საარსებო წყარო. „არცერთ ხელოვნების ნიმუშში არ იკითხება, თუ რამდენად შეუძლებელი ეჩვენებოდა მისი დასრულება შემქმნელს“, – მითხრა ლანამ. ვაჩოვსკების ერთ-ერთი საყვარელი ფილმია ჟაკ ტატის *Playtime* (1967), რომლისთვისაც ტატიმ პატარა ქალაქისხელა გადასაღები მოედანი მოაწყო პარიზის გარეუბანში. ამ პროექტმა ის ფინანსურად მოსპო და თითქმის ბოლო მოუღო მის არტისტულ კარიერასაც. თუმცა ვაჩოვსკებს არ ეტყობოდათ, რომ „ღრუბლის ატლასის“ გამო რამის ეშინოდათ. „როცა გამუდმებით მოსალოდნელი უბედურების რეპეტიციას გადიხარ, თვითონ უბედურება ნელ-ნელა კარგავს ემოციურ სიმძაფრეს“, – ამბობს ენდი.

2011 წლის ივნისში, გადამღებ ჯგუფს, ტომ ჰენკსთან ერთად, ჰოლი ბერი, სიუზან სარანდონი, ჯიმ ბროუდბენტი, ჰიუ გრანტი, ჰუგო უივინგი და კორეელი მსახიობი, დონა ბი შეემატნენ. ვაჩოვსკები ტიკვერთან, ბერლინში ჩავიდნენ. ლანა და ენდი მე-19 საუკუნის ამბებს და მომავლის ორ ისტორიას გადაიღებდნენ, ტიკვერმა კი 30-იანი, 70-იანი წლების და დღევანდელი ნარატივები აიღო საკუთარ თავზე.

რონ ვაჩოვსკის ასსოვს, როგორ იღებდნენ მისი შვილები სცენას ფილმ



„მატრიცა“



„მატრიცა“



„V for Vendetta“

„ბოუნდ“-ზე მუშაობისას. ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, ლარი და ენდი ერთდროულად წამოდგნენ და ცალ-ცალკე გაემართნენ მსახიობებთან მოსალაპარაკებლად და ცალ-ცალკე გაესაუბრნენ მათ, შემდეგ ისე უსიტყვოდ დაუბრუნდნენ თავ-თავიანთ სკამებს და გადალება განაგრძეს. „ისინი ერთსა და იმავე სურათს ხედავენ ისე, რომ საკუთარი აზრების ურთიერთშეთანხმება არც სჭირდებათ. როცა ამ გადალებას

ვუყურებდი, მივხვდი, რომ ეს იყო ორი სხეული, რომელსაც საერთო გონება ჰქონდა“, – ამბობს რონი. ვაჩოვსკები იდეაზე მუშაობას ერთად იწყებენ და საერთო ხედვას ხანგრძლივი შემოქმედებითი განხილვის შემდეგ აღწევენ. როდესაც უკვე გადასალებ მოედანზე გადაიან, თითოეული კითხვის ნიშანი და უთანხმოება აღკვეთილია. მათი ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდა მას შემდეგ, რაც ლარი ლანად გარდაი-

ქმნა. „ლანასთან მუშაობა გაცილებით იოლია, ვიდრე ლარისთან. რა გასაკვირია, რომ ლარის პრობლემები ჰქონდა, რომელთაც მერე სხვებს ახვევდა თავს, მაგალითად – მე. ლანა კი უფრო გახსნილი ადამიანია ურთიერთობისთვის“, – ამბობს ენდი. რონ ვაჩოვსკი კი დასძენს: „მათ საუკეთესო „ცოლ-ქმრობა“ აქვთ, რაც კი ოდესმე მინახავს“.

თუ შემოქმედებით ქორწინებაზე ვსაუბრობთ, მაშინ ვაჩოვსკების გადა-

მღები ჯგუფი ოჯახია, რომელიც რეჟისორებმა გარშემო შემოიკრიბეს. გადაღებების ბოლოს, ტომ ჰენსი ლანას და ენდის მამას და დედას ეძახდა.

ბაბელსბერგის მე-9 სცენაზე, ორი მონიტორიდან ერთ-ერთზე, ეშმაკი მოხუცი ჯორჯის როლის შემსრულებელი უივინგი სისინება: „ტყუილება, არაფერი ტყუილების გარდა“, კადრში ტომ ჰენსიცი ჩანდა, რომელსაც ქვედა ტუჩი უცახცახებდა.

ავანსცენა საკმაოდ მარტივად იყო აწყობილი. სატელევიზიო კომუნიკაციების ცენტრის მთავარი ოთახი კომპიუტერული ჩარევის მერე მიიღებდა საბოლოო სახეს. ეს კი ვარჯისებს უწვრილმანეს დეტალებამდე ჰქონდათ გათვლილი. მაგალითად, ამ სცენაში გამოყენებული იყო „ორისონი“ – კვერცხის ფორმის, სუპერგონიერი ტელეფონი, რომელიც სამგანზომილებიან პროექციებს აკეთებდა. ეს ნივთი მიტჩელის ფანტაზიის ნაყოფი იყო. ვარჯისებს კი დაასვენეს, რომ ცოტა უცნაური იქნებოდა მსახიობებს კვერცხის ფორმის ნივთით ერბინათ აქეთ-იქით და მიტჩელმაც აღიარა, რომ ვერასდროს წარმოიდგენდა, მსგავსი დეტალი გადაღებისას პრობლემას თუ შექმნიდა.

„რომანში დეტალი სრულიად ფუჭი რამაა. მეტიც, ზედმეტი დეტალი თხრობის დროს მწერლის მტერიც კია, – მიხსნიდა მიტჩელი და ხელებს იშველიებდა ისე, თითქოს, თითებით სრესსო ამ წარმოსახულ „მეტრს“, – ფილმში კი, თუ გინდა, საერთოდ რამე აჩვენო, მისი დიზაინი უნდა შექმნა“. ვარჯისებმა იმ უცნაურობის მოსასპობად, რასაც „ორისონის“ ვიზუალი ინვესტა, ნივთს საფულესავით ბრტყელი ფორმა მისცეს, რომელიც სამ განზომილებას მხოლოდ ბრუნვისას აღწევს.

საბოლოოდ, რაღვ რიაქი გამოჯანმრთელდა და შეძლო, თავისი სცენები დაემთავრებინა. გადაღებები მხოლოდ რამდენიმე დღით გადაცდა დაგეგმილს – ყველაფერი დეკემბერში დასრულდა. მარტში კი ვარჯისები და ტიკვერი უკვე ლოს-ანჯელესში იყვნენ, Warner Bros.-ისთვის 170-წუთიანი, დამონტაჟებული ფილმის წარსადგენად. სატესტო ჩვენებისთვის კინოსტუდიაში პატარა ჯგუფი შეიკრიბა. რეჟისორები ნერვიუ-

ლობდნენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ადამიანების რეაქციაზე ფილმის ბედი იყო დამოკიდებული, არამედ იმიტომაც, რომ პოლივუდის აღმასრულებელი პირები მათ იდეალურ აუდიტორიას არ წარმოადგენდნენ. რეჟისორებმა ჩართეს ფილმი და შემდეგ ოთახიდან გავიდნენ. როცა ფილმი დასრულდა, Warner Bros.-ის წარმომადგენლებმა ისინი გვერდით ოთახში გაიყვანეს და მოულოდნელად, მქუხარე აპლოდისმენტები დასცხეს.

ვარჯისებმა მიხერეს, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი „ორგაზმი“ ფილმზე მუშაობისას, საკუთარი ნამუშევრის მეგობრებისთვის და ახლობლებისთვის წარდგენააო. მე დავესწარი ამ ჩვენებასაც და მაშინ მივხვდი, „ღრუბლის ატლასი“ ზედგამოჭრილი ფილმი იქნებოდა ვარჯისების ტრადიციული, ოჯახური კინორეჟიებისთვის. ამ სურათს შესწევდა უნარი, პუბლიკა ორიგინალური სათავგადასავლო კინოს ეპოქაში გადაეყვანა, „ტრანსფორმერებისა“ თუ „რეზიდენტ ევილის“ უშინაარსო ნიჰილიზმის გვერდის ავლით. ფილმი დიდი სიფრთხილით ამოგზაურებდა მაცურებელს თავის ექვს სიუჟეტურ განზომილებას შორის. მასში საკმარისად იყო ჩამჭერი და გადამდები ორიგინალურობაც, და, ამავე დროს, ის თითქმის სასწაულებრივად ახერხებდა, გაება დამაკავშირებელი ძაფები თავის ურიცხვ პერსონაჟებს შორის. რაც მთავარია, ფილმი ინარჩუნებდა მიტჩელის ხედვასაც სიყვარულის, ტკივილის, დანაკარგისა და მისწრაფების უნივერსალურობის შესახებ. ამის მაგალითია დონა ბის პერსონაჟიც, რომელიც (სხვა გმირებთან ერთად) სონმი-451-საც განასახიერებს – ჩვეულებრივ „ფაბრიკანტს“, რომელიც ადამიანური სრულქმნის ფაზას 2144 წელს აღწევს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გულის ამჩუყებელ სინანულთან შეზავებული შეუნიღბავი თავდაჯერება, რაც ვარჯისებს ახასიათებთ, შესანიშნავად მოერგო ტიკვერის ზუსტ კინოენას და მის ულამაზეს მუსიკას (ტიკვერმა, თავის პარტნიორებთან ერთად, მუსიკა „ღრუბლის ატლასისთვის“ ჯერ კიდევ გადაღებების დაწყებამდე დაწერა).

„ღრუბლის ატლასის“ ოჯახურ კინოჩვენებას არა მარტო აპლოდისმენტები, ცრემლი და ემოციური ჩახუტებები მო-

ჰყვა. სამივე რეჟისორს ეტყობოდა, რომ ასეთმა მიღებამ გული აუჩუყა. ახლა უკვე ცხადი იყო, მათი „რაკეტმზიდი გემი“ თავის დანიშნულების პუნქტს მიუახლოვდა – კოსმოსურ პორტში შესცურა.

... შარშან შემოდგომაზე, „ღრუბლის ატლასის“ გადამღებმა ჯგუფმა ექვსი კვირა დაჰყო მალიორკაზე. ვარჯისები იქ მე-19 საუკუნის სცენების დიდ ნაწილს იღებდნენ. გადაღებები ნაპირთან ახლოს, ლუზაჩაშვებულ შხუნაზე მიმდინარეობდა, თუმცა, არცთუ უპრობლემოდ: ჯერ იყო და ამინდი გაფუჭდა, მერე – გემს გაუჭირდა მანევრირება, ტექნიკურ პერსონალს კი – მის ვინრო კაიუტებში გადაადგილება, გადაღებების დროს. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ლანას მაინც ამაღლებული განწყობა ჰქონდა – „მოგონებების შეგროვების, საკუთარ თავში ჩალრმავების და რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის მოწმედ ყოფნის შეგრძნება“. იქ, მალიორკაზე, მას ისე როგორც არასდროს, სჯეროდა, რომ „ღრუბლის ატლასის“ გადაღებები დაუეინყარი თავგადასავალი იქნებოდა.

ერთ დღესაც, და-ძმა აპირებდა, ახლომდებარე მთაზე სცენა ვერტმფრენიდან გადაეღო. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ქვევით გაშლილ ხედს საჰაერო კამერით გადაიღებდნენ. აი, აფრინდა კიდეც ვერტმფრენი და სწორედ ამ დროს, მოულოდნელად, ღრუბლის სქელი ქულა ჩამონვა ცაზე. ვარჯისები და კამერით შეიარაღებული გადამდები ჯგუფი სქელ სითეთრეში ჩაიკარგნენ. ვიდრე გადაღების დასაწყებად ნისლის გადავლას უცდიდნენ, ვერტმფრენი ბურუსის ქულებს თავზე მოექცა. ლანა იხსენებს, რომ უცებ ცაზე გამოჩენილ მზეს სულ ირისისფერი ყვითელი დაჰკრავდა, „და აი, იქ იყო ის, რა, ხომ იცით – ღრუბლის ნამდვილი ატლასი“. და-ძმა ბოლომდე უყურებდა ამ ზეციურ სანახს, ვიდრე ნისლი პატარა ხერელი გაჩნდებოდა და ვერტმფრენი მასში შესრიალეობას და ზევით აჭრას შეძლებდა. ქვევით კი – შორეული, მწვანე პეიზაჟი დარჩა, როგორც ვარჯისების წარმოსახული სამყარო.

FM
სენტი
98.0





სალამი, სევდავ!

ავტორი ღაბია ბუბრიძე
 ფორტი: ბასო უხანაძე

40-ის მერე, ასაკთან ერთად, საკუთარ თავში დაეჭვება ღრმავდება. გეჩვენება, რომ რასაც ამბობდი, ამტკიცებდი, წერდი, ან იღებდი, უბრალოდ გაცვდა და გაიცრია. ამავე დროს, იწყება „ამაოების ბაზრის“ დიდი აღსარება-სეილიც: ვისთან და რამდენჯერ მიქარე, რამდენი გამოუწონორებელი სისულელე ჩაიღინე, ვისი სხეულის სუნი გამოგყვა როგორც არქაული ნარჩენი, როგორ შეაგროვე უვადო მელანქოლია სეზარია ევორას ნამღერი ფადოსავით, დაბოლოს, სად დაფანტე რომანტიზმის ელემენტარული ნაწილაკები...

როგორც ჩანს, ფოტოგრაფი ბესო უზნაძე ამ კრიზისული ხანის „მსხვერპლია“. ყოველ შემთხვევაში, მისი ნამბობიდან და ახალი ფოტონამუშევრებიდან ასე ჩანს. ვონ კარვას ცნობილი ფილმი „სიყვარულის განწყობილებაზე“ თბილისში დროებით დაბრუნებული ფოტოგრაფისთვის ინსპირაციის კარგი წყარო აღმოჩნდა. უხმაურო ვნებები, ფაქიზი კრიზისი და სიყვარულის მოლოდინი მის ფოტოპერსონაჟებს მუდმივი იმედგაცრუების, მაგრამ აუცილებელი სუბსტანციისკენ – სიყვარულისკენ ექაჩება.

ამ ფოტოებზე სახეები და ინტიმური სივრცეები ანარეკლებს წააგავს, რომელთა გადაღმა ხმაურიანი ქუჩები და ოფისები თვლემენ. იქით ცხოვრებისეული ნაგავია, მხოლოდ ნარჩენები; წარსულის კვალი და ნამუსრევი, ძვე-

ლი სიდიადის ნანგრევები... აქეთ მხარეს ადამიანი მარტო რჩება – გაძარცვული, მარტოსული და უსისტემო; სუსტი და ზუსტი; მოკლედ, გამიშვებული ნერვული სისტემით.

სალამი, სევდავ! – ფიქრობს ქუჩაში, სკამზე ჩამომჯდარი ჩინელი გოგონა, რომლის აკვარელური განცდები თავად ფოტოს სტილის აკვარელურობის პირდაპირპროპორციულია.

მაჯობე, სევდავ? – ეჭვნარევი კითხულობს ასაკიანი ქალი, რომლის შავ-თეთრი განცდები ეგზისტენციას სულაც არ გამოირიცხავს.

დამეკარგე, სევდავ! – ამბობს სიცლქეს მონყურებული გოგონა ვარდისფერ კაბაში, რომელსაც გონება სულ სხვაგან გაუზრბის.

შორს არ ხარ, სევდავ! – თითქოს გვამცნობს ტყავის სავარძელში მოკალათებული ახალგაზრდა ქალი ჭიქით ხელში, რომელსაც ფოტოკამერა ფარული ირონიით აღბეჭდავს.

დამივიწყე, სევდავ! – მშვიდად, მაგრამ მოურიდებლად გვეუბნება ასაკიანი ქალი შავ-თეთრ ფოტოზე და იჯერებთ, რომ სიმშვიდე სწორედ რომ შავ-თეთრია.

შემეხე, სევდავ! – თვალებით გვეუბნება თეთრხალათიანი, აბაზანის კიდეზე ჩამომჯდარი გუგა კოტეტიშვილი, რომლის მიღმა საპონის ჭუჭყიან ქაფს გაყოლებული ვნებაც იგულისხმება.

ნუ ატრაკებ, სევდავ! – ხალისობს შავ, „აჟურულ“ კოლგოტიანი ახალგაზრდა ქალი, რომლის სექსუალური სიანცე უფრო თამაშს ჰგავს, ვიდრე შინაგან მდგომარეობას.

და ბოლოს, შეეშვი, სევდავ! – ვფიქრობთ ჩვენ, როცა სკვერში, სკამზე ჩამომჯდარი მოხუცი ქალის ფეხებს და ყვავილების თაიგულს თვალს შევავლებთ...

ბესო უზნაძის ახალი ფოტოები არ არის თემატურდ შეკრული და არც რაიმე კონსტრუქციით დაკავშირებული. ეს უფრო მუსიკალურ იმპროვიზაციას წააგავს თემაზე – როგორ მოვერიოთ უსიყვარულობას ისე, რომ არ დავივიწყოთ გარდასული ტრავმები; დაახლოებით ისე, როგორც არიელ დორფმანის ცნობილ პიესაშია – „სიკვდილი და ქალიშვილი“, რომელშიც სადისტური ხილვებით გატანჯულ ექიმ მოლინას შეყვარებული პაციენტი ქალი ეუბნება – „არ დაივიწყო, მაგრამ აპატიე“...

რატომღაც მგონია, ბესო უზნაძე მალე თავის შემოქმედებაში სოციალურობის ხანის დადგომას და, ამავე დროს, სიყვარულის „კატასტროფული“ ნგრევა-მშენებლობის შესახებ რაიმე ახალს გვაუწყებს. ალბათ, ესაა კრიტიკულად მგრძობიარე მხედველობის ფოტოგრაფის მთავარი პრობლემაც და ამოცანაც – „არ დაივიწყო, მაგრამ აპატიე“.



















SINCE 1884

SARAJISHVILI

სარაჯიშვილი

სხანი ფოტოდაქი ლიტერატურა

პერფორმანსი ტექსტით
დეკუმენიჯანია
პაატა ქურდაძე

სანვტორი
ქრივი და ბურახი
აკა მორჩილაძე

ესა
ჩემი პანისის ხეობა
ბეა ქურხული

მოთხრობა
დეკრესიის ნაბლი
ანუ სანაყლაბკარინი
ირაკლი ლომოური

პოეზია
ლევან შაქარაშვილი



დეკუმანიზაცია

პაატა ქურდაძე

„ადამიანად არ ვიბადებით, ადამიანი ვხდებით“
ერაზმუს როტერდამუსი (1469-1535)

ეს წერილი სპეციალურად დავდე ჩემს ბლოგზე 1 ოქტომბერს, სალამოს 8 საათზე, არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე 10 წუთით ადრე და „ფეისბუქზე“ ასეთი რამ დავწერე:

„1 ოქტომბერი, სალამოს რვა საათი – ჩემი აზრით, საუკეთესო დროა ბანკის გასატეხად და ახალი ესეს გამოსაქვეყნებლად. ვერავინ ვერ დაგიჭერს, არავინ წაიკითხავს... და შეგიძლია, მშვიდად დაიძინო. ტრილოგია-II დეკუმანიზაცია“.

რა თქმა უნდა, არავინ მიაქცია ყურადღება და ამას ველოდი კიდეც. ამ ესეს გამოქვეყნება ჩემთვის ერთგვარი პერფორმანსი იყო. რადგან წინდანიწვე ვიცოდი, რომ რასაც დავწერდი, არჩევნების შემდეგ მომენტალურად იქცეოდა წარსულად, მაგრამ გამოქვეყნებისას სპეციალურად არაფერი შევცვალე. ვფიქრობ, რომ შესაძლოა, სწორედ ამ უახლესი წარსულის არდავინწყება, ბევრად უფრო სასარგებლო იყოს ახალი ხელისუფლებისათვის, ისეთივე ეიფორიაში რომ არ ჩავარდნენ, როგორშიც – „ნაციონალები“ ვარდების რევოლუციის შემდეგ. მით უმეტეს, ბარიერის ორივე მხარეს ქართველები დგანან, და ვინ, თუ არა ჩვენ, ვიცით, თუ რა ცდუნების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ყოველი მათგანი.

ვის მიმართავს ქართველი პოლიტიკოსების დიდი უმრავლესობა? – ვის „უხმობს მათი ზარი?“ ვინ არის ქვეყნის პირველი პირის ძირითადი ადრესატი თავის გაუთავებელ გამოსვლებში? შეიძლება თუ არა, რომ ასე თუ ისე განათლებულმა, ცივილიზებულმა, საკუთარი ღირსების გააზრების უნარის მქონე ადამიანმა, მისი დისკურსის ადრესატად საკუთარი თავი მიიჩნიოს?

ან რა შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნას ქართული ენის მცოდნე უცხოელს ქართველ ამომრჩეველზე, ანუ ქვეყნის მოსახლეობაზე; თუკი ის პოლიტიკური

ლიდერების საჯარო გამოსვლებსა და დისკუსიებს დაეყრდნობა?..

სავარაუდოდ, შთაბეჭდილება ნამდვილად არ უნდა იყოს იმაზე ბევრად უკეთესი, ვიდრე შუა საუკუნეების ესპანელი ეზუიტებს ექმნებოდათ მათ მიერვე კათოლიკეებად მოქცეული ამაზონიის ინდიელების მიერ, დამიზნებული ზარბაზნების ქვეშ, პირველი, დამოუკიდებლად აღვლენილი ქრისტიანული რიტუალების ნახვისას.

ხალხი, თავისი მოცემულობით, არც ბრძენია და არც ბრბო. ეს, უბრალოდ, დამოუკიდებელ ადამიანთა ინერტული

მასაა, რომელსაც თვითონ, დამოუკიდებლად, თავისი კოლექტიური თანაცხოვრების მართვა, ორგანიზება არ შეუძლია. უბრალოდ, არ სცალია ამისათვის. ამიტომ ირჩევს ის თავის ლიდერებს, და მათ მართვის, ორგანიზატორის ფუნქციას აკისრებს. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ასრულებს, ან ვერ ასრულებს ის თავის ფუნქციას, ადამიანების მასა შესაბამისად იღებს საზოგადოების ან ბრბოს სახეს.

ადამიანებს არ შეიძლება ზედმეტი პასუხისმგებლობა დავაკისროთ კოლექტიურ ცივილურობაზე. რადგან ამ

პასუხისმგებლობის ხარისხს ძალიან ხშირად სწორედ მათი ლიდერები განსაზღვრავენ და ამის დამადასტურებლად უამრავი მაგალითი შეგვიძლია მოვიძიოთ მთელს მსოფლიოში – ყველაზე განვითარებულ დემოკრატიებად წოდებულიდან, ყველაზე დაუნდობელი ქაოსის ქვეყნების ჩათვლით. მათ შორის, საქართველოში, რომელიც, ცხადია, ჩვენი უპირველესი ინტერესისა და განცდის საგანს წარმოადგენს.

ქართველ პოლიტიკოსთა უმეტესობა, რომელნიც ბედის უცნაურობისა და, ხანდახან, ირონიის წყალობით არიან პოლიტიკაში მოხვედრილნი, სავესებით გულწრფელნი არიან თავიანთ პრიმიტიულ დისკურსში. მათ გულწრფელად სჯერათ საკუთარი სიბრყვითა და მიაჩნიათ, რომ იერარქიული და არა იდეოლოგიური ერთგულება, რომელსაც ისინი რატომღაც წესიერებას ეძახიან, არა მარტო საკმარისი, ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა კია პოლიტიკოსისათვის. ისინი მხოლოდ ფიქტიურ როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ზუსტად ისევე, როგორც – საბჭოთა კავშირის პარტიის ყრილობის დელეგატები. სავარაუდოდ, ახალი მონვევის პარლამენტიც ძირითადად ასეთი დეპუტატებით იქნება დაკომპლექტებული; ადამიანებით, რომლებიც სრულიად განსაცვიფრებელ ინტერვიუებში თავიდანვე აცხადებენ, რომ ერთი თვის წინ სულაც არ უფიქრიათ პოლიტიკაში ჩართვაზე, რომ მათ შესთავაზეს და რადგან სამშობლოს სჭირდება, უარი ვერ თქვენ და ა.შ... რატომ შესთავაზეს, ეს ყველამ იცის: ის მხოლოდ სტატისტიკური ერთეულია. მას ხმის მისაცემ პულტზე დროდადრო ხელის დაჭერა ევალება მხოლოდ. მათზე დროის დახარჯვა არ ღირს, თავისუფლად, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეგვიძლია, ვიყოთ პოლიტიკურად სწობები მათ მიმართ და ისინი არც კი შევამჩნიოთ.

გაცილებით საინტერესო არიან ის პოლიტიკოსები, რომლებმაც სტატისტიკური ერთეულების ნაცვლად უნდა იფიქრონ; და რომელთა ნაწილს საკუთარი ცივილურობისა და განათლების დამადასტურებელი მსოფლიოს ოთხი კუთხიდან ჩამოტანილი გრძელი დიპლომები

უდევთ სახლში, „ფეისბუქში“ კი – ბაკალავრის სასაცლო ქუდში გადაღებული ფოტოები. უნდა ითქვას, რომ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ძირითადად დასავლეთში ფორმირებული ადამიანები შეადგენენ, აშკარად გადაჭარბებულია და „ნაციონალური“ მითოლოგიის ჟანრს განეკუთვნება. მაგრამ თუნდაც მართლაც ასე იყოს, როგორც ჩანს, დასავლეთში მიღებული განათლება ბევრს არაფერს ცვლის – შეგახსენებთ, რომ აფრიკის დიქტატორების უმეტეს ნაწილს სწორედ დასავლეთში აქვს განათლება მიღებული, უსამა ბენ ლადენს კი სულაც კემბრიჯი ჰქონდა დამთავრებული.

ასეა თუ ისე, ფაქტია, ამ ადამიანების საჯარო გამოსვლებისას ძნელია, იფიქრო, რომ მათ არაა თუ ცნობილ უნივერსიტეტებში აქვთ მიღებული განათლება, არამედ საერთოდ საკუთარი გვარის მონერა მანც შეუძლიათ დახმარების გარეშე, და მსგავსი პერსონაჟის საუკეთესო მაგალითი თავად საქართველოს პრეზიდენტია.

ის ქვეყნის მოსახლეობას მიმართავს თითქმის ყოველდღე, და მიმართავს როგორც პრიმიტიულ ბრბოს, როგორც იდიოტების ინერტულ მასას, რადგან ის თვლის, რომ ადამიანების უდიდესი ნაწილი ბრყვია, ბრყვებს კი ადაპტირებული ენით უნდა ესაუბრო. თუმცა, მან იცის, რომ არის რაღაც ნაწილი, რომელსაც არც განათლება აკლია და არც ზოგადი კულტივაცია, რომ მათი მოტყუება შეუძლებელია. მხოლოდ, მისი გამოთვლებით ასეთი ადამიანების რაოდენობა იმდენად მიზერულია, რომ მათთვის ანგარიშის განევა არ ღირს. უფრო მეტიც, ისინი უნდა გაქრნენ როგორც კლასი, ელექტორატის სიბნელე მისი ხელისუფლებაში ყოფნის გარანტიაა. ის გამოზრდის თაობას რომელსაც ზუსტად ის და იმ დოზით ეცოდინება, რასაც თვითონ გადაწყვეტს. სწორედ ამიტომ შექმნა მან ნეოპონერული და ნეოკომკავშირული ორგანიზაციები – პატრიოტთა ბანაკები, ახალგაზრდა „თვითმართველობის“ დასაქოქი ბანდები... უნიფორმირებული თაობა... მხოლოდ, ის ძალიან შეცდა, შეცდა ზუსტად ისე, როგორც თავის დროზე ზვიად გამსახურდია – ვერ გაითვალისწინა, რომ

კულტივირებული ადამიანები, სიმციროს მიუხედავად, საზოგადოების ყველაზე ფეთქებადსაშიმ ნაწილს წარმოადგენენ.

სამპლიზმი, აზრისა და ფორმის ყველაზე დაბალი ხარისხი, პრიმიტიულობა, რომელსაც გამუდმებით ვისმენთ პრეზიდენტის სახალხო „ნონ სტოპ“ გამოსვლებისას, აჩენს ეჭვს, რომ საქართველოს მოსახლეობა სულ ახლახან დაფიქრდა პირველად ისეთ ფუნდამენტურ საკითხზე, როგორიც არის განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის... რომ ის მენტალურად, ჯერ, ასე ვთქვათ, პლაცონამდე ემოქაში იმყოფება.

როდესაც ასეთ მიმართებს რეპეტიციული ხასიათი აქვს, ეჭვი გინმტყიცდება და იწყებ დაჯერებას, რომ მართლაც, ამ უბრალო გულის სტუმართმოყვარე, ექსტრემალურად ემოციურ და უბრალო ხალხს ზუსტად ისეთი პრიმიტიული ენით უნდა ესაუბრო, როგორც მათ პრეზიდენტი სააკაშვილი და, შესაბამისად, მისი ბრედბერისეული, მატერიალიზებული ჰალუცინაციები ელაპარაკებიან. ალბათ, გახსოვთ მესამე ექსპედიცია „მარსის ქრონიკებიდან“, რომლის წევრი ასტრონავტები მარსელებს დედამიწელთა ხომალდის შუბლილი კაპიტნის მატერიალიზებული ჰალუცინაციები ჰგონიათ... და სჯერათ, რომ ისინი, კაპიტნის სიკვდილთან ერთად გაქრებიან.

ქართველ პოლიტიკოსთა უდიდესი უმრავლესობა სწორედ ქვეყნის „კაპიტნის“ მატერიალიზებული პოლიტიკურ-შიზოფრენიული ჰალუცინაციები არიან, რომლებიც ზუსტად სააკაშვილივით ლაპარაკობენ, და სავარაუდოდ, ერთ მშვენიერ დღეს, მასთან ერთად გაქრებიან ქართული პოლიტიკური სცენიდან, რომელიც ასევე ძალიან ნააგავს ბრედბერისეულ მარსიანელთა ფსიქიატრიულ იზოლატორს.

ქვეყნის პრეზიდენტი, თავისი ფუნქციით, განსაკუთრებით ისეთ, ჯერ კიდევ შიბრიდული ფეოდალურ-სოციალური იერარქიის ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სწორედ ის ლიდერია, რომელსაც ადამიანთა მასის ვექტორი შუბივით უპყრია ხელთ, შეუძლია ძალიან დიდი გავლენა იქონიოს ამ მასის საზოგადოებად, ან ბრბოდ ტრანსფორმირებაში.

განსხვავება კარგსა და ცუდ პოლიტიკურ ლიდერს შორის სწორედ ამ ვექტორ-

რის მართვის უნარშია, რაც საქართველოს პრეზიდენტს აბსოლუტურად არ გააჩნია. ის ვერ ხვდება, რომ ადამიანებს როგორც პრიმიტივებს, არ უნდა მიმართო, თუნდაც ისინი მართლაც ასეთები იყვნენ. რომ თუ ბავშვს ძალიან დიდხანს ელაპარაკები ენის მოჩლეკით, ის ვერ განვითარდება. რომ როდესაც შენს წინ უხეში, გაუნათლებელი ძალა დგას, შენ კი არ უნდა დაეშვა მის სიმაღლეზე, არამედ, პირიქით, უნდა შეეცადო, ისინი ამოიყვანო შენს სიმაღლემდე თუ არა, იმ დონემდე მაინც, როცა ის დაიწყებს შენი ენის, შენი აზროვნების ლოგიკის გაგებას. ადამიანის ტვინი იმით განსხვავდება პირუტყვის ტვინისგან, რომ მასში კულტივაციის მარცვალა ჩადებული. ყოველთვის ცდილობს, გაიგოს იმაზე მეტი, ვიდრე მისი ინტელექტი აძლევს შესაძლებლობას. ამიტომ მას ქვეცნობიერად ყოველთვის მასზე ჭკვიანი იზიდავს, თუნდაც შურდეს, ან სძულდეს ის, ვიდრე საკუთარი თავის ასლი. ამასთან, თუკი ადამიანი რომელსაც მრავლისმნახველი ბრძენი ჰგონიხარ, ვერაფერ ახალს ვერ შეიტყობს შენგან, გარდა იმისა, რაც მან ისედაც კარგად იცის, თუკი შენ მას იგივე ვულგარული ენით ესაუბრები, რომლითაც ის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უშედეგოდ ცდილობს, პასუხი იპოვოს საკუთარ თავში ქაოტურად გაფანტულ კითხვებზე, და ვერ დაეხმარები მათ პოვნაში, მისთვის შენ ყოველგვარ ინტერესს დაკარგავ და ტაკიმახარად გადაიქცევი, რადგან დაბალ სოციალურ, კულტურულ თუ ინტელექტუალურ საფეხურზე დგომა უტვინობას არ ნიშნავს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. და რაშიც სავარაუდოდ საქართველოს პრეზიდენტი და მისი მატერიალიზებული ჰალუცინაციები დარწმუნებული არიან.

სწორედ ამიტომ საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი, რომელსაც საკუთარი ხალხი სულ ცოტა ხუთი წელია, დასცინის და ეს ძალიან ცუდია – პრეზიდენტის ფუნქციაში არ შედის იყოს საყოველთაო მასხარა. როდესაც ასეთ შიბრიდულ ფეოდალურ ქვეყანაში პრეზიდენტი მასხარაა, ავტომატურად მთელი მისი ქვემდგომი იერარქიაც მასხარა ხდება. და რადგან მათ იუმორის გრძ-

ნობის, ტალანტისა და, განსაკუთრებით, არტისტიზმის ნასახი არ გააჩნიათ, ბოროტ სისხლისმსმელ კლოუნებს ემსგავსებიან საბავშვო კომპარიდან.

საქართველოში წინასაარჩევნო „შავი სექტემბრის“ განმავლობაში ჩვენ ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ვხვდებით მონუმები, თუ როგორ იხრჩობა საქართველო საკუთარ სიბნელეში, უკულტურობაში. ის პოლიტიკოსებიც კი, რომლებიც ბოლო წლებში ცდილობდნენ ახლახან ნასწავლი კომერციული ღიმითა და კორექტულობით ესაუბრათ, დღეს თვალსა და ხელს შუა ისევ ჩვეულ პრიმიტიულ დისკურსს დაუბრუნდნენ – რომელსაც საფუძველი ეროვნული მოძრაობის რენესანსის პერიოდში ჩაეყარა: როდესაც სამშობლოზე ბევრად ქვემოთ მდგომ ჭეშმარიტებას ერთადერთი არგუმენტი გააჩნდა – ღალატი! მოსკოვი! კრემლი! საქართველოს თავზე ფრიალებს თავისუფლების დროშა!.. თავისუფლების, რომელიც არ იცი, როგორ და რაში გამოიყენო, რადგან ამ თემაზე არ გიფიქრია, რადგან თავისუფლება ჯერ კიდევ ბუნებაში ქროლვა გგონია და არა ცოდნა, ღირსება... კულტურა...

მაგრამ მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. საქართველომ ნელ-ნელა თითქოს გამოყო შემინებული სველი ცხვირი თავის ბნელი გამოქვაბულიდან, სადაც ათ წელიწადზე მეტი გაატარა. შეეცადა, გაეხსენებინა, რომ ადამიანია, რომ ჭეშმარიტებას, შესაძლოა, პატრიოტიზმის გარდა, ოდესღაც სხვა არგუმენტებიც გააჩნდა, რომ ადრე მან იცოდა ამის შესახებ... და დაავიწყდა... ვერაფრით გაიხსენა, რა არგუმენტები იყო ესეთი... რადგან პრინციპში, მათი ბოლომდე არც არასდროს სჯეროდა. მან 90-იანი წლების გამოქვაბულში შობა და გამოზარდა ახალი თაობა, რომლის ყველაზე აგრესიულმა ნაწილმა თავისი პრიმიტიული ჭეშმარიტება შექმნა და ის ღრმა ბავშვობაში კალამნიკოვის იავნანასავით ჩარჩინილ სიტყვა „მოლაღატეზე“ დააფუძნა. მოგვიანებით, დღიდან ძალაუფლების ხელში აღებისა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ადამიანების სტიგმატიზაცია მოეხდინა, მოლაღატეებად და პატრიოტებად დაეყო ისინი. მხოლოდ, მან ვერ შეძლო გაეკეთებინა ყველაზე მთავარი: დაღლილი, ქანცვა-

წყვეტილი ქართველისგან შეექმნა დამოუკიდებელი ადამიანები, პიროვნებები, რომელთა ერთობას საზოგადოება ჰქვია. რომელთა გარეშე მხოლოდ ქვიშის ქალაქების აშენებაა შესაძლებელი, და არა სუვერენული სახელმწიფოსი. რადგან ისეთი ტიპის სახელმწიფოს რომელზეც ჩვენ პრეტენზია გვაქვს, თავისუფალი, ღირსების ფასის მცოდნე ადამიანები აშენებენ და არა სამშობლოსა და ღვთის უბადრუკი, დამოუკიდებელ აზროვნებას მოკლებული კანონმორჩილი „მონები“.

სახელმწიფოს მშენებლობაში ადამიანის ღირსების მნიშვნელობაზე ფიქრი იმ ევროპაში, რომლის მოგონებასაც ბორბალივით თავიდან ვცდილობთ, ჯერ კიდევ ალორძინების ეპოქაში დაიწყო. როდესაც პეტრარკამ, ტომას მურმა, მიშელ დე მონტენმა, ფრანსუა რაბლემ... ძველ ანტიკურ წიგნებს მტვერი გადაწმინდეს. ადამიანს ღვთის მიერ ბოძებული და ეკლესიის მიერ საუკუნეების მანძილზე პირწმინდად ანაპნილი კითხვის დასმის, პასუხის ძიების, თავისუფალი აზროვნებისა და, შესაბამისად, ღირსების, სუვერენულობის, შეგრძნება დაუბრუნეს. რენესანსის ჰუმანისტების როლი განუსაზღვრელია იმ ევროპული ცივილიზაციისა და პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბებაში, რომელზე უკეთესი, როგორც ჩანს, ჩვენთვის ცნობილ სამყაროში ჯერ არავის შეუქმნია.

აი, ამონარიდი იტალიელი ფილოსოფოსის ჯოვანი პიკო დელა მირანდოლას (Giovanni Pico della Mirandola) ცნობილი ესეიდან „ადამიანის ღირსება“, რომელიც მან ოცდაოთხი წლის ასაკში დაწერა, ეს ტექსტი მის „900 ფილოსოფიურ, თეოლოგიურ თეზაში“ შედის, რომელიც 1488 წელს პაპმა ინოკენტი მეშვიდემ ერეტიკულად გამოაცხადა და აკრძალა, და რომელიც ბლუზ პასკალმა თავისი კრიტიკით გააცოცხლა.

ეს ტექსტი, ფაქტობრივად, თანამედროვე „ადამიანის უფლებების“ შორეულ „წინაპრად“ შეგვიძლია განვიხილოთ, პიკო დელა მირანდოლა ამ ტექსტში, სამყაროს შექმნას, ბიბლიურ გენეზისს ქრისტიანული დოგმების იგნორირებით, ანტიკური მითოლოგიის ენით გადმოვცემს.

პიკოს მიხედვით, ღმერთმა ადამიან-



ნის შექმნა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ თავისივე კრეაციის, სამყაროს აბსოლუტური სრულყოფილების, მრავალფეროვნებითა და მშვენიერებით ტკბობის შესაძლებლობა ჰქონოდა ვინმეს... ანუ, ის ერთგვარ თანამონაწილე პუბლიკად დასახა. მხოლოდ, ბერძნული მითოლოგიური დრამატურგიის პრინციპების თანახმად, სადაც დასაშვებია, რომ ღმერთს პრობლემა შეექმნას, ბოლო მომენტში აღმოჩნდა, რომ ყველაფერი, რაც გააჩნდა, სხვა არსებების შესაქმნელად უკვე გამოიყენა და ადამიანის სრულყოფისათვის აღარაფერი დარჩა, ამიტომ გადაწყვიტა ადამიანში ჩაედო მის მიერვე შექმნილი ყოველი ქმნილების თესლი და ადამიანისათვის თავად მიენდო არჩევანი, გამხდარიყო საკუთარი თავის კრეატორი, ოსტატი.

(ამონარიდი ესეიდან) ... „და მან ასეთი სიტყვებით მიმართა: „ადამ, თუ მე არ მოგიჩინე შენი ზუსტად განსაზღვრული ადგილი, საკუთარი როლი, ან რაიმე განსაკუთრებული ნიჭი, ეს იმიტომ, რომ ადგილი და როლი, რომელსაც თავად

ისურვებდი, შენშია და შეგიძლია შენივე სურვილის, შენი მოსაზრების მიხედვით თავადვე განკარგო. სხვა ქმნილებებისათვის მათი ბუნება შეზღუდულია ჩემს მიერ დადგენილი კანონით: შენ არავითარი აკრძალვა, ლიმიტი არ გბორკავს. შენ საკუთარი გადაწყვეტილების მიღების უფლება გახდა, რომელიც შესაძლებლობას მოგცემს საკუთარი ბუნება თავად დაადგინო. მე შენ იმიტომ მოგიყვანე ამქვეყნად და დაგაკისრე შუამავლის როლი (ქვეარსებებსა და ღმერთს შორის – პ.ქ.), რომ შენ თვითონ, საკუთარი შეხედულების მიხედვით გამოიკვლიო ყველაფერი, რაც შენ გარშემოა. თუკი მე შენგან არ შეგქმენი არც ციური, არც მიწიერი, არც მოკვდავი და არც უკვდავი არსება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შენ თავად გაგაჩნდეს ბოლო სიტყვის, გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება, იმ ფორმის გამოძერწვა, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონება და აირჩევ. შენ თავად შეგიძლია შენივე გადაწყვეტილების საფუძველზე გაიხრწნა, დაეცე პირუტყვამდე, ქვეარსებამდე“...

პიკო ასევე წერს:

„...პირუტყვის დაბადებისას „დედის მუცლიდანვე“ (როგორც ლუცილიუსი ამბობს) თან დაჰყვება ყველაფერი, რაც მთელი სიცოცხლის მანძილზე მასთან იქნება. ზეციური ძალები მისი დაბადებისთანავე წყვეტენ, თუ ვინ და როგორი უნდა დარჩეს ის სამარადისოდ.

მათგან განსხვავებით, უფალი ადამიანის დაბადებისას მასში დებს თესლს მის მიერ შექმნილი ყოველი ცოცხალი არსებისა. და ის თესლი, რომელსაც ადამიანი აირჩევს, მოუვლის და გამოზრდის, განვითარდება და განაყოფიერდება მასში. ინერტულობა ადამიანებს მცენარედ აქცევს, მგრძნობიარობა ცხოველად, რაციონალობა ზეცამდე აიყვანს. სიბრძნე კი მას ძედ ღვთისად აამაღლებს“.

„სიბრძნე“ სწორედ ის მარცვალია, რომელიც ვირტუალურად ადამიანად დაბადებულს რეალურ ადამიანად აქცევს, და რომლის კულტივაციის წყალობითაც ევროპამ ის პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური სახე მიიღო, როგორც დღეს აქვს. სიბრძნე ადამიან-

წერი ღირსებაა. ცოდნა კი ღირსების მარცვლის განაყოფიერებისათვის საჭირო ნიადაგი. ამ „სიბრძნეს“ რენესანსის ჰუმანისტები კულტურას უწოდებდნენ.

ლიტერატურისა და ხელოვნების რენესანსის, აგრეთვე, პედაგოგიური რევოლუციის წყალობით, რომელსაც ჰუმანისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ევროპამ მოახერხა ბესტიალური მდგომარეობიდან გამოსასვლელი კარის გამოღება, რომლის იქითაც ადამიანად ტრანსფორმირებისათვის განკუთვნილი სასიცოცხლო სპეციფიკური გარემო – კულტურაა. აქედან დაიწყო ბესტიალური გარემოდან კულტურულში ევროპელთა გრძელი და სისხლიანი გადაბარგების პროცესი.

სწორედ კულტურაა, რაც პირუტყვს ადამიანად აქცევს და არა სხვის მიერ შექმნილი ეკონომიკა, უკეთესი ან უარესი სოციალური პირობები, კიდევ უფრო ნაკლებად – რელიგიური დოგმები.

კულტურა თავისუფლებაა. თავისუფლება კი ღირსება – ადამიანის ყველაზე მთავარი საგანძური, რომელზეც საქართველოში რაც შეიძლება ბევრი უნდა ვილაპარაკოთ, გავიმეოროთ, თუნდაც დღემი ხუთჯერ, ათჯერ, ასჯერ...

განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ცხადია, პირუტყვული მდგომარეობიდან თავის დაღწევის, ბუნებრივი გარემოდან კულტურულ გარემოში გადასაცვლების, თავისუფლების მოპოვების ყველაზე ეფექტური და აბსოლუტურად აუცილებელი საშუალებაა, მაგრამ არა საკმარისი. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ რენესანსმა, პედაგოგიურმა რევოლუციამ, უამრავმა რეფორმამ, სამყარო, მიმტვევლობისა და გულმონყალების გაგებით, უცებ, ხელალებით უფრო ჰუმანური გახადა. სწორედ რეფორმებით სავსე მეთექვსმეტე საუკუნეში, საფრანგეთმა ოცდაათწლიანი რელიგიური ომი გადაიტანა, მათ შორის უსასტიკესი წმინდა ბართლომეს ლამე 1572 წელს, რომელმაც ჰუმანისტთა ლამაზი ოცნებები დაუნდობლად დაამსხვრია. თუმცა, არა საბოლოოდ.

მიუხედავად იმისა, რომ წმინდა ბართლომეს ლამის შემდეგ კაცობრიობამ უზარმაზარი პროგრესი განიცადა, ჰუმანიზმსა და დენტით აყროლებულ იდიოტიზმს შორის ომი დღემდე გრ-

ძელდება. ბესტიალური და კულტურული სასიცოცხლო ფაზები დღესაც ისევე ცვლიან ერთმანეთს, როგორც ასი, ორასი ან მეტი წლის წინ. განსაკუთრებით ცივილიზაციებს შორის ისეთ „გარდამავალ-გარდმომავალ“ ქვეყნებში როგორც საქართველოა.

კოლექტიური კულტურული კონტექსტი არ არის მშვიდობის გარანტია, თუ ის თავისთავში პოლიტიკურ კულტურას, განსაკუთრებით ძალაუფლების მქონეთა პიროვნულ კულტურასა და ნებას არ მოიცავს. ყველა ქვეყანაში ასეა. საქართველოშიც, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, პირველი ევროპული ტიპის ჰუმანისტი მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გამოუჩნდა – და ისიც მეოცეს დასაწყისში მოკლეს. საბედნიეროდ, მაინც მოახერხა რამდენიმე მარცვლის დათესვა „ახალ“ ქართველში, მხოლოდ მისი სწორად განაყოფიერებისათვის და კულტივაციისთვის ხელის შეწყობა ვერ მოასწრო.

ილია, ისევე, როგორც რვა საუკუნით ადრე შოთა, საქართველოს ჰუმანიზაციის ისტორიაში, სამწუხაროდ, უნიკალურ მოვლენად დარჩა, ამ სიტყვის პირდაპირი ლექსიკონური გაგებით: ვერც შოთამ შეძლო ქართული კულტურულ-რეფორმატორული რენესანსისთვის მიეცა ბიძგი, ვერც ილიამ. რა თქმა უნდა, მათგან დამოუკიდებელი უამრავი გასაგები და ობიექტური მიზეზების გამო.

მხოლოდ ჩვენ ეს მიზეზები არ გამოგვიკვლევიან, ისინი ერთ ჰეროიკულ ეპოსში გავაერთიანეთ და ძეგლებად, ხელშეუხებელ წმინდანებად, დოგმებად, ვაქციეთ. ჩვენ ცეცხლს მივეციით ჩვენივე ბესტიალური და ადამიანური ფაზების მონაცვლეობის, ჩვენი ავადმყოფობის ისტორია, გამოცდილება. ყოველჯერზე, როდესაც პირუტყვულიდან კულტურულ ფაზაში გადასვლის პირველი ნაბიჯის გადადგმას ვაპირებთ, საგულდაგულოდ ვშლით ყველაფერს, რაც უკან გვრჩება ან – როცა ამისი დრო არ გვაქვს მარტივად – ვაყალებთ, რისი წყალობითაც, ჩვენ, ქართველებს, გვყავს სხვის მიერ მოკლული ასი ათასი მონამე, მაგრამ ჩვენი ბართლომეს ლამე არა გვაქვს... ასეთი ლამე კი ყველა ერის მახსოვრობას „სჭირდება“

იმისთვის, რომ დროდადრო მოინანიოს, ყოველი ცისმარე დღე დააფასოს, მოყვასის გაფრთხილების კულტურა ჩამოუყალიბდეს... თორემ მტრის სიძულვილის ბესტიალურ ინსტინქტს არავითარი კულტივაცია არ სჭირდება, ამ გრძნობით ისედაც დაგვაჯილდოვა ბუნებამ ცხოველებთან ერთად. სწორედ ამიტომ, ჩვენ ყოველჯერზე ახალ „ბართლომეს ლამეს“ ვანყობთ... და დილით, როგორც კი ინათებს... მაშინვე ვაყალებთ მას... რადგან ქართველების საერო აზროვნებაში სულ უფრო და უფრო ხშირად იღვიძებს ბესტიალური, დოგმატური, გაშუმებული მდგომარეობა, კითხვის ნიშნის, ზრდასრულობის, ლოგიკის, დამოუკიდებლობის, საკუთარი ღირსების შეგრძნების მიმართ გაუცხოება, შიში, ქსენოფობიის განსაკუთრებულად პერვერსიული სახე, რომელსაც პირობითად „ავტოფობიას“ დავარქმევდი.

ეს ავტოფობია, გართულების სიმწვავის მიხედვით, ილიას დათესილ მარცვალზე ამოყრილ სანახევროდ გამხმარ ნერგს ხან აძლევს რამდენიმე ყლორტის გამოსხმის საშუალებას, ხან კი გახმობის პირას მიჰყავს. სწორედ ეს უკანასკნელია დეჰუმანიზაციის ყველაზე კრიტიკული ფაზა.

დღეს საქართველო თავისი უახლესი ისტორიის ერთ-ერთ თუ არა, ყველაზე ბესტიალურ ფაზაში იმყოფება. და პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ეკისრება პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტას, რომელიც, ჩვეულებისამებრ, ამ პასუხისმგებლობას ყველანაირი ხერხითა და ოინაზობით ცდილობს აარიდოს თავი, და არც გაემტყუნება, რადგან მას არ გააჩნია კოლექტიური პასუხისმგებლობის კულტურა, საქართველოში მხოლოდ ცალკეული პიროვნებები, პერსონაჟები, ოპორტუნისტები და ათასგვარი „კლოუნები“ წარმოადგენენ ორივე ხსენებულ ელიტას, სინამდვილეში არანაირი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა არ არსებობს. მათ, ვისაც საქართველოში ინტელექტუალებს უწოდებენ, იშვიათი გამონაკლისების გარდა – მიშელ დე მონტენი „კარგად გავსებულ თავებს“ უწოდებდა.

აი, როგორ ახასიათებდა თავის თანამედროვე ყველაზე მაღალი იერარქიის

პოლიტიკოსებს მე-19 საუკუნის ბოლოს ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ჟორჟ კლემანსო:

„რაიმონ პუანკარემ იცის ყველაფერი, მაგრამ ვერაფერში ვერ ერკვევა. არისტიდ ბრიანმა კი აბსოლუტურად არაფერი არ იცის, მაგრამ ყველაფერში მშვენივრად ერკვევა“.

მას მხედველობაში მიშელ დე მონტენის ცნობილი დევიზი ჰქონდა: „კარგად გაკეთებული და არა კარგად სავსე თავი!“, რომელიც ფრანგული საგანმანათლებლო კონცეფციის ამოსავალ წერტილად ითვლება დღესაც და ის ყველა ლიცეუმმა იცის.

თავად სიტყვა განათლებულს ფრანგულ ენაში არა აქვს ადამიანის განვითარების ხარისხის განმსაზღვრელი ისეთი დატვირთვა, როგორც ქართულში, ან რუსულში. ფრანგები ამისათვის კულტივირებულს ხმარობენ, რაც უფრო შორეული რენესანსის ეპოქაში მირანდოლას მიერ აღწერილ ადამიანში ჩადებული სხვადასხვა თესლის კულტივირებასთანაც ასოცირდება, ვიდრე წაკითხული ნიგნების რაოდენობასთან, რომელსაც, რა თქმა უნდა, თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს მაინც მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი დეტალია კულტივირებული ადამიანისა.

პრინციპში, ადრე, 70-იან წლებამდე ადამიანის დასახასიათებლად ჩვენშიც გამოიყენებოდა სიტყვა კულტურული, რაც ფაქტობრივად იგივეს ნიშნავდა რასაც ფრანგულში კულტივირებული, მხოლოდ მერე ეს სიტყვა სულ სხვა მნიშვნელობის „ინტელიგენტმა“ ჩაანაცვლა, კიდევ უფრო მოგვიანებით, სულ ახლახან კი ინტელექტუალმა.

თუმცა სიტყვა განათლებულს თავისი აქტუალურობა არცერთ ეტაპზე არ დაუკარგავს, თვით ქართველ ინტელექტუალებშიც კი, „განათლებას“ გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭება, რაც ხშირად გულუბრყვილო იმედგაცრუებას ბადებს, ხშირად არ გვესმის, როგორ შეიძლება განათლებულმა ადამიანმა სისაძაგლე ჩაიდინოს, ან სისულელე თქვას, უფრო მეტიც, რეგულარულად ჩადენილი შეცდომებით არა მარტო საკუთარ თავს, ახლობლებს, ქვეყანას ავნოს. შესაძლოა ეს იმის მანიშნებელი იყოს, რომ ინტელექტუალე-

ბისათვის დღევანდელ არცთუ მწიგნობარ საქართველოში განათლება, ცოდნა გარკვეული ელიტარული სტატუსის მატარებელია და მას უფრო ხილდებიან, საკუთარი უნიკალობის ხაზგასასმელად იყენებენ...

საქართველოში არ იქმნება ტენდენციები, მიმდინარეობები, სკოლები. რადგან ცოდნის მატარებელ ინტელექტუალებს გაუნათლებელი ადამიანების ემინიათ, ისინი გვანან ქირურგებს, რომლებსაც სისხლის დანახვაზე გული მისდით, პილოტებს, რომლებსაც სიმაღლის შიში აქვთ, ან უბრალოდ – კლასტროფობ მესაფლავეებს...

მათ სავსე თავებს ხშირად სიცოცხლესთან არაფერი აქვთ საერთო. ამიტომ ისინი ვერ მონაწილეობენ სიცოცხლეში. ეს პრინციპში მესამე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ფენომენია: ინტელექტის ერთგვარი პრივატიზება, და ამ ფენომენის არსებობა საქართველოში არც არის ძალიან გასაკვირი. ეს უფრო იმის მიმანიშნებელია, რომ ქართველი ინტელექტუალების დიდ უმრავლესობას უფრო – ასე თუ ისე სავსე თავი აქვთ, ვიდრე მონტენისეული „კარგი თავი“, და ეს კარგად ჩანს მათი მოსაწყენი ნაწერების კითხვისას – რომლებიც ხშირად, ფაქტობრივად, მათი ცოდნის ერთგვარ „რევიუს“ თუ ინტელექტუალურ დაიჯესტს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე მათივე ორიგინალურ ნაზრევს. თუმცა ხალხს ეს ძალიან მოსწონს, და მათ მოკრძალებული ჩურჩულით საოცარ სიტყვას: „უკიდევანოდ განათლებულსაც“ კი უწოდებს... როგორც ძველ საბჭოთა რეტრო ფილმებში... გლობუსით მოსეირნე სამხედრო გალიფე შარვალში კოპნიად გამოწყობილ სოფლის გეოგრაფიის მასწავლებელს.

ქართველ ინტელექტუალთა კლასი, დღეს ისეთივე ჰიბრიდულ მდგომარეობაშია, როგორშიც ქართული დემოკრატია, ისინი გამუდმებით ანგაჟირებისა და დეზანგაჟირების პროცესში არიან, ცდილობენ კლასად ჩამოყალიბდნენ, თუმცა უჭირთ, რადგან მათ მარტო ინტელექტუალის როლი არ აკმაყოფილებთ, ეცოტავებათ და „ბარემ“ არტისტის როლიც სურთ შეითავსონ, ამისთვის კი არტისტულობა, კრეატიულობა, მოქნილობა, ბოლოსდაბოლოს, სტი-

ლი აკლიათ... რაღაც, არც ისე „სექსი“ ხალხია... თანაც ვერაფრით ჩამოყალიბდნენ თვითონვე საკუთარ როლზე საზოგადოების განვითარების პროცესში, უფრო მეტიც, ხშირად იმ მხანძრებს ემსგავსებიან, რომელნიც აალებული სახლის ფონზე კოლექტიურ სამახსოვრო ფოტოს იღებენ.

ქართველი ინტელექტუალები აბსოლუტურად ვერ ახდენენ გავლენას ვერანაირ პროცესებზე და ამას ხელი-სუფლებას, ოპოზიციას, ვულგარულ და გაუნათლებელ საზოგადოებას აბრალებენ... საზოგადოებას, რომლის კულტივაციაზე თავად უნდა ეზრუნათ და რომელიც... სამწუხაროდ მართლაც გაუნათლებელია... თან ამკარად!..

ხელისუფლებას ლომის წილი აქვს საზოგადოების დეჰუმანიზაცია-ჰუმანიზაციის ფაზების ცვლის პროცესში, რომელიც, წესით, ინტელექტუალებს უნდა ეკუთვნოდეთ და სწორედ ამ წილის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს... მაგრამ, აბა, სად გინახავთ მტაცებელთა მეფე თავის წილს უბრძოლველად თმობდეს? ჩვენს შემთხვევაში ლომი სახელმწიფოს მეთაურია, ის ქვეყნის ინტელექტუალური კლასის კრებით სახელს წარმოადგენს. ქვეყნის კულტურულ კონტექსტზე არავინ ისე არ ახდენს გავლენას, როგორც საქართველოს „მთავარი ინტელექტუალი“ მიხეილ სააკაშვილი. და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს გავლენის დადებით თუ უარყოფით მხარეს, მთავარია, რომ გავლენის ფენომენი ბევრად უფრო კურიოზულია, ვიდრე უცხოურ არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე ინტელექტუალებისა – ისინი, უბრალო ენით რომ ვთქვათ, საინტერესონი არ არიან... შეგვიძლია მათი კლასიფიცირება მოვახდინოთ როგორც სტატისტიკური ინტელექტუალებისა, და უსარგებლო დეპუტატების მსგავსად დავივიწყოთ.

როდესაც ვსაუბრობთ კოლექტიურ კულტურულ კონტექსტზე, უნდა ვისაუბროთ ზოგადად მთელი საქართველოს, და არა თბილისური პატარა გროტესკული ინტელექტუალური დაჯგუფებების შესახებ.

საბჭოთა საქართველოს ბოლო ოცი – ოცდაათი წელიწადი შეიძლება ერთგვარ მცირე წითელ რენესანსადაც ჩაითვა-

ლოს, პირველ რიგში სწორედ ხელოვნების სხვადასხვა დარგში გარკვეული ტენდენციებისა და სკოლების წარმონაქმნებითა და ადამიანების ბევრად უფრო მასობრივი კულტივაციით, ვიდრე ოდესმე. უნდა ითქვას, რომ თვით 90-იანი წლების მშვიდი ანდერგრაუნდიც საბჭოთა ფესვებზე აღმოცენდა. 2000-დან კი დიდი კულტურული გამყინვარება დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება. სრული კულტურული ნულოვანი გრადუსის დიდხანს დაჭერა კი შეუძლებელია. ახალგაზრდა, ვარდისფერ ხელისუფლებას არც ცოდნა, ნიჭი, არც, პირველ რიგში, გაბედულება ეყო იმისათვის, რომ ახალი კონტექსტი, ახალი სასიცოცხლო სივრცე შეექმნა ახალი კულტურისათვის. ამიტომ საგარეუდოდ ის თავისით შეიქმნება კონტრკულტურის სახით და სწორედ ვარდისფერების წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ხელისუფლების მხრიდან დაშვებული შეცდომებიდან ყველაზე დიდი შეცდომა სწორედ კულტურისათვის თავისუფალი სივრცის არშექმნა იყო. მცირე კოსმეტიკური პრანჭვის შემდეგ, მან ისევ ძველი გამზადებული და ნაცადი იარაღი – მტვრიანი პროპაგანდა ამოაძვრინა ძველი საბჭოთა სკივრიდან და ის თითქოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის კონტროლიორად აქცია, რომელიც უბილეთო მგზავრს აჯვარებებს და ავტობუსიდან შეუბრალებლად აგდებს ცივ ქუჩაში. პროპაგანდამ ადამიანები „ჩვენინაებად“ და „მტრებად“ დაახარისხა და თავად იქცა კულტურის არაკულტივირებულ „მესაჭედ“.

ისევე, როგორც ნებისმიერ მართულ „თავისუფალ“ გარემოში, ჩვენ მივიღეთ პროპაგანდის ხარისხის ადეკვატური საზოგადოება. რომელიც ზუსტად ისეთ ენას იმსახურებს, როგორითაც მას ელაპარაკებიან... ამასი პრინციპულად ახალი არაფერია. თუ ისტორიას გადავხედავთ, გაკონტროლებულ საზოგადოებებზე მსჯელობა ყოველთვის შეიძლება იმ დისკურსით, რომლითაც მას თავისი უმაღლესი „კონტროლიორი“ – ორატორი მიმართავს. სტალინი, ჰიტლერი, კასტრო, გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი...

როგორც ცნობილია, ხალხი მართვადია და ისევე შეუძლია იყოს კეთილი,

როგორც დაუნდობელი, მას დღესაც ისევე, როგორც რენესანსის პიკში, თავისუფლად შეუძლია მოაწყოს „ბართლომეს ღამე“. სწორედ ამიტომ მთავარი ისტორიული პასუხისმგებლობა მათ მმართველ ლიდერებს, ორატორებს, „კულტურის კონტროლიორებს“ ეკისრებათ, და არავითარ შემთხვევაში სხვას, თუნდაც უარეს პოლიტიკურ ოპოზიციას. ნებისმიერი ოპოზიციური ძალა, აზრი, რიტორიკა თავისი ორატორებით მოცემულ მომენტში მოქმედებს, როგორც მას შეთავაზებული კულტურული გარემო აიძულებს, და უმეტეს შემთხვევაში აჭარბებს კიდევ კონტექსტის კრეატორს. კონტრარეოლუცია ყოველთვის, უარესი თუ არა – ისეთივე სასტიკია, როგორიც რევოლუცია, შესაბამისად, ოპოზიციონერი ზუსტად ისეთია, როგორსაც ხელისუფლება იმსახურებს. რა თქმა უნდა, ისეთი იშვიათი გამონაკლისების გარდა, როგორიც მაჰათმა განდი, ან ბევრად უფრო ადრე ყველაზე ემბლემატური ოპოზიციონერი – იესო იყო.

ჩვენ, ქართველებს მაჰათმა განდი არ გვყავს, მით უმეტეს, არც იესო...

სამაგიეროდ, ყოველთვის გვყავს ერთი კეისარი და მისი უამრავი ჩინოვნიკები, აგრეთვე, კონფორმისტი წვერებიანი ქურუმები, რომლებიც, იესოს – რომც გვყოლოდა, ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ მაშინ მიაჭედებდნენ ჯვარზე, თავისი მოციქულებიანად, სანამ ვირზე შემჯდარი პალმის რტოებით იერუსალიმში გამოჩნდებოდა... თანაც ყოველგვარი ზარზეიმის, ზედმეტი ხმაურის, ტელევიზიისა და პრესის გარეშე, ისე სწრაფად და ეფექტურად, რომ დღეს ამ ისტორიის დამადასტურებელად არაფერი არ გვექნებოდა ლონდონის ნაციონალური მუზეუმის ახლო აღმოსავლეთის დარბაზის ერთ-ერთ ვიტრინაში გამოფენილი ოფიციალური მოკლე და ცივი ვერსიის გარდა, და იმასაც ყველზე კირკიტა ტურისტებიც კი არ მიაქცევდნენ ყურადღებას.

საქართველოში 90-იანი წლების ანარქია 2003 წელს ვარდების რევოლუციამ დაამთავრა. ისევე როგორც პუტინის რუსეთში, აქაც დამყარდა მკაცრი წესრიგი. ქართულ საერო ცხოვრებაში სულ მალე ჩემპარიტების ერთადერთი და

აბსოლუტური პოლუსი დარჩა თავისი მედროშით – პრეზიდენტი სააკაშვილით, რომელიც თავად გახდა ჩემპარიტება. ბოლო წლებში გავლილი ჰუმანიზაციის, კულტივიზაციის ყველა ფაზა საქართველოს ისტორიაში უკვე მერამდენედ(!) დამთავრდა: ბართლომეს ღამე რენესანსზე ადრე შედგა, ჩვენმა პოლიტიკურმა „გერასიმემ“ ქართველი ახალბედა ჰუმანიტების ოცნებები ტურგენევის მუმუსავით ჩაახრჩო გუბეში საკუთარი ხელით.

რა თქმა უნდა, პიროვნების როლს შეეძლო ძალიან სწრაფად და ეფექტურად შეეცვალა ყველაფერი, მაგრამ ასეთი პიროვნებები, როგორც წესი, ჰუმანიზაციადეჰუმანიზაციის ფაზებს მიღმა დგანან. ისინი დიდი პიროვნებები, დიდი პოლიტიკური მოღვაწეები არიან, რომელთა რიგს, სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტი არ მიეკუთვნება. მან საქართველოში ააღორძინა დოგმატური აზროვნების კონცეფცია: ლიდერი ყოველთვის მართალია! ანუ ყველაფერს, რაც ჰუმანიზმის შემოქმედი პეტარკადან ვარდების რევოლუციამდე მოხდა, ხაზი გადაუსვა... ამდენად, მის მიერ შექმნილ საზოგადოებაში ერთადერთი, ვინც შეძლო გაძლიერება, გახდა ეკლესია, რომელიც ასევე დოგმატურ პრინციპებს ეყრდნობა, კითხვებს არ სვამს, და რომლის „ლიდერი“, რა თქმა უნდა, ყოველთვის მართალია! სწორედ ამან გამოიწვია საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის არნახული გაძლიერება... განა რა შეიძლება ვუნოდოთ ყოველივე ამას, თუ არა საზოგადოების სრული დეჰუმანიზაცია, რაც გაცილებით უფრო დიდი დანაკარგია, ვიდრე ტერიტორიები?

მართლაც, ხანდახან ასე გგონია, რა დროს ოსეთი და აფხაზეთია, როდესაც საქართველო ყველაზე მთავარს – თავს, გონებას, ღირსებას კარგავს დღითიდღე, ცოტა ხანში საერთოდ აღარაფერი ემახსოვრება, არც ის რომ – „ოდეს დიდი ყოფილა საქართველო“, არც ოკუპაცია, არც 8 აგვისტოს დაკარგული ტერიტორიები... მალე იმასაც ვერ გაიხსენებს, რომ ადამიანია... და დადგება საყოველთაო სიბრყველის ნირვანა, სადაც არც სამშობლოა, არც მტერი. არც მოყვარე... საერთოდ არაფერი... სიცარიელე და რამდენიმე გაციებული ხინკალი.



ქრივი და ბურასი

აკა მორჩილაძე

ეს კარგა ძველი ამბავია, ომი ახალი დამთავრებული რომ იყო, იმ დროისა. იმ ძველი დროის ძველი ადამიანები, რაიმეს რომ ჰყვებოდნენ, მონათხრობს დროების უკეთ დასანახებლად, სწორედ ასე დაამატებდნენ ხოლმე, ომი ახალი დამთავრებული იყო. რომელი ომიო, არავინ იკითხავდა, ისედაც გასაგები იყო: იმ ადამიანებს ომი ერთი ჰქონდათ.

ჩვენ, ომის უბრალოდ ხსენებით, ნამდვილად ვერ დავაზუსტებთ სათხრობი ამბის დროს, რადგან თავიდანვე კარგად უნდა ვთქვათ, რომელი ერთი ომის დროისას ვყვებით, თბილისის, აფხაზეთის, თუ რუსებთან ომისას, მაგრამ რახან იმ ძველთათვის იმ ერთადერთი და დიდი ომის ხსენება მისახვედრი რამ იყო, მოდი, იმ ძველთა მსგავსად, დავიწყოთ, რომ ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა ბათუმში დაინიშნა საკავშირო სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საკავშიროვე პირველობა კრივში.

ეს იყო, ალბათ, 1946 წელს. ამბობენ, რომ იმხანად, ნაომარზე აღდგენილი სპორტული შეჯიბრებები უფრო ისეთ ქალაქებში იმართებოდა, დაბომბვებს ან ოკუპაციას რომ გადაურჩნენ და ბათუმიც ხომ სწორედ ასეთი იყო. მეტიც, ბათუმი ხომ ნავსადგურია და იგი ლენდლიზის ქალაქიც იყო, ლენდლიზი კი ნიშნავდა ზღვით მომდინარე ამერიკულ დახმარებას საბჭოთა კავშირისადმი. ანუ, ბათუმი ერთ-ერთი იყო იმ ქალაქთაგან, ამერიკული კუს კვერცხის ფხვნილს პირველი რომ უსინჯავდა გემოს. ათასი სხვა რამეც იყო, იმ ლენდლიზის ქალაქობაში, მაგრამ ახლა იმას ვერ მოვყვებით.

ისევ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საკავშირო ჩემპიონატისას მივხედოთ, რაც იმას გულისხმობს, რომ ბათუმში თავს მოიყრიდნენ მთელი საბჭოთა კავშირის „სპარტაკის“ კლუბის დარჩეული მოკრივენი და ცირკის არენაზე

გამართულ საკრივო კოლოფში დაეჯახებოდნენ ერთმანეთს. უკეთესი სანახაობა იმ დროების ქალაქში ძნელი წარმოსადგენია.

ეს ამბავი კი იმ კაცმა მიაგებო, რომელსაც ოდესღაც ბატუმსკი პუზირიოკს ეძახდნენ, ალბათ ბავშვობაში ჩამრგვალეულობის გამო. ბატუმსკი პუზირიოკი ქალაქში კარგად ცნობილი სამეურნეო მუშაკის უმცროსი ვაჟი გახლდათ, ხუთი წლისამ უკვე იცოდა მანქანის ტარება და მამამისის სასამსახურო მოსკვიჩის საჭეს საქმის ცოდნით ატრიალებდა ხოლმე. თანდაყოლილი გადამეტებული ცნობისმოყვარეობისა და სრულიად უშიშო ბუნების გამო, ის, ქალაქის ბევრ ისეთ ადგილას ამოჰყოფდა ხოლმე თავს, მის ტოლებს რომ არ დაესიზმრებოდათ. ეს მეტსახელიც, ბატუმსკი პუზირიოკი, ბათუმის ერთადერთ საბილიარდოში შეერქვა, სადაც, სხვათა შორის, გასტროლოგიური მოთამაშენი და მათი თანმხლები ურკებიც იყრიდნენ ხოლმე თავს. ჰოდა, იქ ერთ მოთამაშეს პაპიროსის მოწვევა მონდომებოდა და ყველაზე უმცროსი მოსეირისთვის ეთქვა: „დასტან მნე სპიჩი, ბატუმსკი პუზირიოკ...“ ჰოდა, შერჩენოდა ეს სახელი. ჩვენებურ ენაზე სახელი უბრალოდ პუზირიოკად მოეთარგმნათ, მაგრამ ვრცელი ვარიანტიც არ დაკარგულიყო.

ბატუმსკი პუზირიოკს სრულიად უმნიველო გამოხედვა ჰქონდა. საგანგებოდ მისთვის ნაკერი კოსტიუმი, ყოველთვის გაუთოებული პერანგი და პედანტური პოლბოქსი მისი ოჯახის შეძლებულობაზე მიუთითებდა, ნაღვლიანი, კეთილი თვალები, მორიდებული და მიმნდობი ღიმილი და ჩამრგვალეულობა გაფიქრებინებდათ, ქუჩას დედიკოს ბიჭი მოუყვება კედელ-კედელ, მაგრამ სწორედ მანდ შეცდებოდით.

ქუჩას კედელ-კედელ გამოყოლა ბატუმსკი პუზირიოკს ყაისარამ ასწავლა: ასეთ დროს ფანჯრებიდან საერთოდ

ვერ გხედავენ, აივნებიდან კი დიდი-დიდი შენი კინკრისო დაინახონო.

ყაისარა იყო მაღალი, უშველებელი მპარავი, რომელიც თვითონ ქურდებს ჩამოეშორებინათ ქკვიანურ სიტყვით, ასეთ აყლაყუდას, ქურდული ხელობისა არაფერი გამოგივა, ფორტოჩკაში შენ ვერ შეძვრები, ატანდაზე შენ ვერ დადგები, მოქალაქის ჯიბეზედ შენ ვერ ივლი, რახან ტრამვაიში შენი იერის კაცი შესამჩნევია და ხელებიც დიდად არ გივარგაო და საერთოდ ისეთი გარეგნობისა ხარ, რომ თავსაც დაინვაე და სხვასაც დაწვაო. შენგან, ჰა, ჰაა, ბაზრის ქურდი გამოვიდეს, ისიც დიდი ილბლის მოდევნებითო.

ყაისარას გული სტკენოდა, მაგრამ პარვა არ დაიშალა. ან როგორ დაიშლიდა. ომის დროს ვინც რას ნაასწრებდა, იმით გაჰქონდა თავი.

ყაისარამ და პუზირიოკმა ერთმანეთი ბულვარზე გაიცნეს. სკამეიკაზე. მაშინ ყაისარა იყო ორმოცი წლისა, პუზირიოკი კი რვისა. ომი, მართლაც რომ ახალი დამთავრებული იყო. ორიოდ შეკითხვას მოდევნებულმა პასუხებმა ყაისარა მიახვედრა, რომ პუზირიოკი ცხოვრების აზრზე მყოფი

ვინმეა და შესთავაზა, აქავე, გორკის ქუჩაზე გამომყვიო. გორკის ქუჩაზე რომ მივიდნენ, ყაისარამ ერთი ფანჯრის გარეთა რაფაზე გამოდგმული ვიშნიოვკის სამლიტრიანი ქილა დანახა პუზირიოკს და უთხრა, ახლო მივიდეთ, მე აგწე და ქილა მოხსენიო. მძიმე ვარო, გააფრთხილა პუზირიოკმა. ვიცო, არ შეეპუა ყაისარა. მივიდნენ და მოხსნეს. ყაისარა მაღალი კი იყო, მაგრამ მეორე სართულის ფანჯრებს მაინც ვერ წვდებოდა.

ეს გამოდგა ერთობლივი ბიზნესის დასაწყისი. ბატუმსკი პუზირიოკისთვის ამოუცნობი დარჩა, რატომ იპარავდა ყაისარა მხოლოდ ვიშნიოვკის ფანჯრებსა და აივნებზე გამოდგმულ ქილებს, ან სად მიჰქონდა ისინი, მაგრამ წილს კი არგებდა ხოლმე და უფრო ნატურალური სახით. მზე-სუმზირაო, ხურდა ფულიო და რაც კი რამ შეეფერება რვა წლის ყმაწვილს. საქმე მაშინ მოთავდა, როცა ყაისარამ ერთ აივანთან მიიყვანა პუზირიოკი და ჩვეული მოძრაობით დააპირა მისი იქ გადასკუპება.

„ჩემი სახლია, დედაჩემის და მამაჩემის“, – გამოაცხადა პუზირიოკმა და ყაისარამ მოიბოდიშა. იმის შემდეგ საქმე აღარ მოუთავაზებია, ოღონდ კი, კარგ ძველ ნაცნობად დაურჩა.

სწორედ, როცა კრივის ჩემპიონატი იყო გახურებული, ყაისარა ბულვარზე შეხვდა პუზირიოკს და თანატოლთა დასანახად კარალიოვის ფოტო აჩუქა.

ფოტოს ეტყობოდა არა მხოლოდ ჭიკარტის ნახვრეტი, არამედ ისიც, რომ ყაისარას პირდაპირ კედლიდან აენწყვიტა სურათი, რახან ჭიკარტის მოხსნის დრო არა ჰქონოდა. ყველანი ხარბად დააცქერდნენ ფოტოს.

„სად მოხსენი?“ – ჰკითხა პუზირიოკმა.
„აღარაა, საცა იყო“, – გაიცინა ყაისარამ. ეტყობა ახარებდა, რომ შეძლებისდაგვარად დახვეწილად იქურდა.

ჰოოო. და ვინ იყო ეს კარალიოვი?
კარალიოვი იყო იმ დროს ყველაზე სახელგანთქმული მოკრივე საბჭოეთისა. დიდი, მოტვლეპილთავიანი, ომის დროს პარტიზანებთან ერთად ნაომარი მძიმე წონის ჩემპიონი ყველანაირი შეჯიბრისა, რაც კი საბჭოთა კავშირში არსებობდა ომამდეც, და ომის მერეც. თქმული იყო, კარალიოვს ისეთი ფანდიც აქვს, რომ მეტოქის გამოქნულ მუშტს შუბლს უხვედრებს, რათა იგი თავის გამძლეობასთან უშუალო შეხებით წაახდინოსო. ან კიდევ, როგორც კი შუბლით მიიღებს დარტყმას, იმავე წამს შემხვედრი ჰუკით პირდაპირ ნოკაუტში ისტუმრებს მსხვერპლსო.

და კარალიოვი ბათუმში იყო! სულ აფიცრებთან ერთად ქეიფობსო, ხმა გამოსულიყო. დანახვით არავის დაენახა, არც ბულვარში, არც სადმე, მაგრამ ნამდვილად კი ბათუმში იყო. ოღონდაც, ტყუილად ჩამოიყვანესო. თვითონ ეგებ კიდევ მოენონა ზღვის პირას ყოფნა და კიდევ ერთი ოქროს მედლით მთლად უბრძოლველად დამშვენება იმ ფართე გულის ფიცრისა, მაგრამ კრივის და სანახაობის მოყვარე იმას რინგზე ვერა ნახავდა. ეს ამბავი სპორტკომიტეტიდან გამოსულიყო და ნამდვილიც იყო.

სპორტსაზოგადოება სპარტაკის საუკეთესო მოკრივენი კი შეგროვილყვნენ ბათუმში და ერთმანეთსაც ებრძოდნენ

ბალერაა



გიორგი რობაქიძე "Abandoned", 2009

ჩემპიონობისთვის, მაგრამ ისე მომხდარიყო, რომ მძიმე წონაში შეჯიბრი ვერ იმართებოდა. სპარტაკის მძიმეწონოსანთაგან ბათუმში მხოლოდ კარალიოვს ჩამოეღნია და შეჯიბრი არ გამოდოდა. მას ყოველგვარი ბრძოლის გარეშე მიანიჭებდნენ ჩემპიონობას, რაც ჭეშმარიტ სპორტსმენს დიდად არ უხარია ხოლმე.

საეჭვო არ არის, რომ კარალიოვი იმ ვერჩამომღწველ მძიმეწონოსანებსაც გააბურთავებდა, მაგრამ უბრძოლველმა ტიტულმა მაინც ხინჯი იცის. ჰოდა, უთხოვია კარალიოვს სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ კრივის მესვეურთათვის, ეგებ მოხერხდეს, რომ ვინმე მოკრივე მიპოვოთ, არცა გავლახავ, არც რამე, უბრალო უპირატესობით დავამარცხებ და იმისთვისაც ხერი იქნება, ჩემპიონატის ვერცხლის მედალს აიღებსო. ამ თხოვნის შემტყობი, დაფაცურებულა ბათუმის სპორტკომიტეტი, ვიპოვოთ ვინმე მძიმე წონის მოკრივე, ყველა ცნობარში ჩაინერება, რომ ბათუმელმა სპორტსმენმა მეორე ადგილი დაიჭირა „სპარტაკის“ საკავშირო პირველობაზეო.

ბევრი ეძებეს, მაგრამ მძიმე წონის მოკრივე ქალაქში არ აღმოჩნდა და უცებ თითქოს ყველას ერთად გაახსენდა, რომ უკვე რამდენი წელია, ბათუმის ცირკში გამოდის ძალოსანი კუპატაშვილი, სამფუთიანი გირებით მოჟონგლიორე კაცი. მხარბეჭი, კუნთები, ჯანი, ღონე, სულ ადგილზე აქვს და თავის საქმესაც ისე ასრულებს, რომ მთელი ქალაქი იცნობს.

ძალოსანმა კუპატაშვილმა ძლიერ შორს დაიჭირა შემოთავაზება, გადი, კარალიოვს ეჩხუბე და ვერცხლის მედალი გერგებაო. ვერცხლისა იმას, რამე თუ იქნებოდა, ნიკოლოზის მანეთიანი ერჩია. ვის ეხალისება, რომ თუნდაც მსუბუქად გაილახოს? ოღონდაც, სპორტკომიტეტი აღარაფრით მოეშვა, ისიც შეახსენეს, ჩანერილიც არ ხარ ჩვენს ქალაქში და ამდენი ხნის გასტროლები ვის გაუგიაო. შეჰპირდნენ ამ საკითხის მოგვარებას და დაიყაბულეს. თანაც, სასწრაფოდ განეწვიანეს სპორტსაზოგადოება სპარტაკში და იქიდანაც სპორტულ შეღავათებს შეჰპირდნენ.

კუპატაშვილმა კრივისა არაფერი იცოდა, მავანმა მწვრთნელმა რამდენიმე ილეთი და წესები აუხსნა და ხმაც გავარდა, კარალიოვი ჩვენს კუპატას ეჩხუბებაო.

ატყდა ამბავი და კანტრამარკების ტრიალი, ზღვის იმ ტკბილი შხუილის მიდევნებით. კარალიოვი, კარალიოვიო, მარა თან კუპატაც ზედ დაემატა. გამოუცდელი ყმანვილები იმასაც კი ამბოდნენ, კუპატა ხო უფრო ღონიერიყო.

როცა ფინალების დღე დადგა, ცირკი დილიდანვე გაიჭედა და გარშემოც დიდი ზურზუტი იყო ხალხისა, ვინც რომელ ხვრელს იპოვიდა, იმაში მიძვრებოდა. ბატუმსკი პუზიროოკი უფროსმა ძმამ, მიქელამ წაიყვანა კრივზე. ბილეთები მამას ეშოვნა.

როგორც წესი იყო, ორთაბრძოლები უმცირეს წონებიდან დაიწყო და საღამოს პირისკენ მძიმე წონის გამოგონილი ფინალიც მოახლოვდა.

აღისფერს მაისურსა და თეთრ ტრუსებში – კარალიოვი, თეთრ მაისურსა და შავ ტრუსებში – კუპატაშვილი.

შემოჰკრეს გონგს.

მაყურებელთა უმრავლესობისთვის გაურკვეველი იყო, თუ როგორი ოსტატი ეკრივება როგორ ოსტატს. იმათთვის მარტივი რამ მოხდა, ჩვენიანი კუპატა და ჩამოსული ვილაცა მაგარი. უყურადღებოდ დაურჩა მაყურებელს მეტოქეთა ტექნიკურ-ტაქტიკური მზადყოფნის და შეუდარებლობის საკითხიც. ხოლო ის ამბავი, რომ ბრძოლა შეთანხმებული იყო, ბევრმა არავინ იცოდა, იმ ბევრში კი მხოლოდ მცირე ხვდებოდა.

კარალიოვი შეთანხმების წესებს პატიოსნად იცავდა. იცოდა, რომ მის წინაშე მოკრივე კი არა, უბრალოდ ქუჩიდან მოყვანილი მძიმე წონის კაცი იდგა და ამიტომ, სრულიადაც არ ურტყამდა კუპატას, ისე წაუთაქებდა ხოლმე, თუმცა, ყოველნაირად ქმნიდა ბრძოლის სურათს. ეგ არ ესწავლებოდა.

თავის მხრივ, კუპატამაც იცოდა, რომ კარალიოვი ინდობდა და ამიტომ შეტევას ძალიან მორიდებით წამოიწყებდა ხოლმე. ან რა შეტევა ის იყო, კარალიოვი იფარებოდა და მის სანახევრო არაოსტატურ დარტყმებს არადა აგებდა.

პირველი რაუნდი ამ თიატრობანაში გასრულდა, ბრბოს კი ეჭვი გაუჩნდა, რომ კარალიოვი დიდი არაფერი მაგარი და ჩვენი კუპატა სულ ტყუილად ერიდება.

მეორე რაუნდი დაიწყო თუ არა, მოსახლეობა გადაცმული ძალოსნის გამხნეებას შეუდგა, მიდი, კუპატ, მიდიო.

კუპატაშვილი ერთხანს თავს იკავებდა, მაგრამ მოხშირებული შეძახილების და სტვენის გამგონემ, ეტყობა იფიქრა, მოდი, ყასიდად მაინც შევეუტევე, მარტო ეს რუსი რო ტანცაობს, სადაური წესიაო და შეუტია თავისებურად. კარალიოვი იოლად დაუძვრა და გაიღიმა. თვითონაც მოარტყა ერთი ორი. ამ სურათმა ხალხი კიდევ უფრო გაამხნევა და კუპატაშვილის შეგულიანება არა მხოლოდ სტვენა-შეძახილებით, არამედ ხულიგნური ენით და ნამუსზე აგდებითაც დაიწყო.

კარალიოვს არაფრად ჩაუგდია მოსეირნეთა ხმაურობა. მოკრივე იყო და რა უნდა გაჰკვირვებოდა. მეტიც, ამან გაახალისა და პუბლიკაზე თამაშიც კი დაიწყო: მოგონილი მუშტების წვიმა სულ ცეკვა-ცეკვით დააყარა კუპატაშვილს. ბრბოდან კი ტამის ნაცვლად გაისმა განწირული შეძახილი:

„მიდი, კუპატ! თავს ნუ გვჭრი...“

ეს შეძახილი ენის არცოდნის გამო ვერ გაიგო კარალიოვმა, რომელიც თავის ჩვეულებრივ თამაშს აგრძელებდა და სწორედ ამ დროს კუპატამ მოიქნია.

მოიქნია და კარალიოვს გაუვიდა.

გაუვიდოდა, აბა რა. არ ელოდა. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, ვერაგი, უნამუსო დარტყმა თვალში: ჯანიანი კაცის გირების თრევას მიჩვეული უცოდინარი მუშტი.

მერე ამბობდნენ, ამ ძალით მოკრივისა რომ მოხვედროდა კარალიოვს, უეჭველად მოკლავდაო.

კარალიოვი დაბარბაცდა.

მსაჯი ორთაშუა ჩადგა და თვლა დაიწყო.

კარალიოვმა მალევე აჩვენა, შემოძლიაო, მაგრამ ეტყობოდა, კაი მილაყებული ჩანდა. იმისთვის, რომ ტრაგედია არ მომხდარიყო, საჭირო იყო კუპატას მეორე რაუნდში-

ვე მოელო ბოლო შელაცებული ჩემპიონისთვის. ხალხიც სასწრაფოდ მომთავრებას ითხოვდა და მსაჯი გაიწია თუ არა, ძალოსანი კუპატაშვილი ეკვეთა სახელოვან მოკრივეს და დასცხო როგორც კი იცოდა და არ იცოდა. კარალიოვი იმ ჯანზე ვერ იყო, ხელი მძიმედ შეებრუნებინა და თავის დაცვა არჩია. მისი აზრი იყო, რომ შესვენებამდე მიეღწია და გონს მოსულს, შეეტია მესამე რაუნდში.

სამწუხაროდ, მას ეს გამოუვიდა. მეორე რაუნდის დასასრულისა რომ შემოჰკრეს, ის კვლავ ფეხზე იდგა. ბრბო კი ბობოქრობდა. კუპატასგან ითხოვდნენ საბოლოო და უპირობო გამარჯვებას. არა, მართლა! ჩვენს მეტი ვინ იზამს ამ ფანდს. ვის გაუწევს გული შეთანხმებული საქმის დასარღვევად, ვის მოუწდება იმაზე მეტი სახელი და დიდება უფრო მეტად, ვიდრე ეკუთვნის. ჩვენებურ კაცს, სხვას ვის.

ოღონდაც კუპატა მარტო არ იყო. ის როგორც იტყვიან, მაყურებელმა ააგდო და სულაც მიავიწყა ნამდვილი სურათი ვითარებისა. ის ერთი წამია ხოლმე რო წაგახდენს, თვარა ისე კაი ბიჭი კი ხარ.

ბაღეჩა



გიორგი რობაქიძე "Disappointed", 2011

ისევე როგორც ბრბოს, მგონი, ძალოსან კუპატაშვილს კარგად არ ესმოდა, ვის წინააღმდეგ კრივობდა და ვის უფერაგა სახალხო შეძახილებით გონებაარეულმა და შორიხლო მოტრიალე ბრბოს ხელმწიფობის სურნელმა.

დაიწყო მესამე რაუნდი და კუპატაშვილს კვლავაც უკან ამოუდგა მთელი დარბაზი. კარალიოვი დინჯი სპორტული ნაბიჯით დაიძრა რინგის შუისკენ და მისკენ თავზეხელაღებით მომქროლავ ძალოსან კუპატაშვილის მოქნეულს ქვემ დაყვიანთა, მერე კი, ისე, რომ ვერავინ დაინახა, ქვემოდან ამოსცხო ძალოსან კუპატაშვილს და როგორც მერე ამბობდნენ, იმ გუგუნში ჭახანის ხმა გაისმა. საზარელი ჭახანის ხმა. იმ ხმამ გააჩერა მთელი ეს გუგუნი.

იმის თეთრი მისასურა ყველას თვლანინ სწრაფად იღებებოდა პირიდან გადმომდინარი სისხლით.

კარალიოვმა მეორეც მიაყოლა და ძალოსანი კუპატაშვილი წააქცია.

ის ნაიქცა როგორც გარდერობი, მუშებს რომ ხელი გაემკვებათ ხოლმე კიბეზე.

მაყურებელს რატომღაც ეგონა, რომ ძალოსანი კუპატაშვილი წამოდგება. მასთან ჩამუხლულმა მსაჯმა კი დაიძახა: ჩელუსნ სლომანა... ვრაჩა...

რინგზე სამხედრო ექიმი ლერნერი ააფორთხეს. კარალიოვმა კუთხეში გამოდგმულ სათლში ჩააფურთხა და ჩაილაპარაკა: „მან ვაშუ, აა?..“ მარცხენა თვალი მთლად მოჭუტვოდა და დასიებოდა იმ ვერაგი მოხვედრილისგან.

ამ ამბის ბოლო ის არის, რომ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ყველა ჩამოსული მოკრივე მეორე დილით გემით გაემგზავრა ადესაში.

ძალოსანი კუპატაშვილი ცირკს აღარასდროს დაბრუნებია, ბურახის ჩამომსხმელად მუშაობდა ბულვარზე. გატეხილი ყბა, რომელიც ეტყობა, ეგრეც ვერ გაუმთელეს ექიმებმა, ეგრეც დარჩა ცალ მხარეს ჩამოვარდნილი. ეს მძიმედ საცქერო რამ სახე იყო და ამიტომ, ძალოსან კუპატაშვილს სახალხოდ მაინც ყბა ყოველთვის შავი თავსაფრით ჰქონდა ახვეული. ჩამოვარდნილი ყბა ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდა და ეტყობა, არც ჰქონდა ლაპარაკის ხალისი. იყო მდუმარე ბურახის ჩამომსხმელი და სხვების ნაძლევზე ბეჭებით შეუდგებოდა ხოლმე ბურახის კასრს და ასწევდა.

ბატუმსკი პუზირიოკმა ბულვარში ნახა ბურახის გამყიდვლად მყოფი ძალოსანი კუპატაშვილი და შინ რომ დაბრუნდა, ყაისარას ნაჩუქარი კარალიოვის სურათი კედელს ააწყვიტა და პიონერთა პარკში ჩააგდო ურნაში. კარალიოვის სურათს უკვე ორი ანაწყვეტი ეტყობოდა ზედა კიდზე და აღარავინ იცის მესამეც თუ ეღირსა. ყაისარასი აღარ ვიცი. ეს არეულ-დარეული ამბები იმიტომ გამახსენდა, რომ სწორედ წინა კვირას სამოცდათორმეტი წლისა გარდაიცვალა ბატუმსკი პუზირიოკი და რატომღაც ვიფიქრე, ნეტავ, კიდევ თუ ჰქონია ვინმეს ისეთი ნაღვლიანი და მიმნდობი თვალები ბავშვობისდროინდელ ფოტოებზე, როგორც მას-მეთქი. ან, ნეტავ, მასსავით თუ გაჰყვა ვინმეს ბოლომდე ის ნაღვლიანი და მიმნდობი გამოხედვა, ბავშვობისდროინდელ ფოტოებზე რომ ჰქონდა.

პირველი ქართული ღვინის გზამკვლევი უკვე იყიდა

“ლიტერატურული კაფეების” ქსელში:

- “წიგნის სახლი” - პეკინის #31
- “ლიტერატურული” - ზამზის რიგი #7
- “ლიტერატურული” - აზაშიძის #22
- “ლიტერატურული” - თარხნიშვილის #2

წიგნის მალაზიები:

- “სანტა ესპერანსა” - სანკტ-პეტერბურგის #12
- “ლიგამუსი” - ჭავჭავაძის გამზ. #32
- “წიგნები ვაკეში” - ფალიაშვილის #66
- “პროსპეროს ბუქსი” - რუსთაველის #34
- “დიოგენე” - აფაქიძის #9

ღვინის მალაზიები:

- “la Maison de vin” - შარდენის #18
- “ვინოთეკა” - კოტე აფხაზის #33
- “ღვინის სახლი”
 - პეკინის #45
 - ლესელიძის #55
- “ზარება” - რუსთაველის #50
- “ზოხბის ცრემლები” - სიღნაღი, ნიკოლოზ ბარათაშვილის #18
- “ღვინის სამყარო” - ლალიძის #2
- შატო მუხრანის ღვინის მაღაზია - მეიდანზე

სასტუმროებში:

- “რჩეული”
 - ბათუმი, ჟორდანიას #31
 - სიღნაღი, აღმაშენებლის #6
 - ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის #21ბ
 - თელავი, ჭავჭავაძის გამზ. #154
- “შერატონი”
 - თბილისი, თელავის #20
 - ბათუმი, რუსთაველის #28
- “სიტადინი” - თავისუფლების მოედანი #4

მალაზიაში:

- “შემოქმედებითი სტუდია ემელი” - თუმანიანის #15

ბალერები:

- წიგნის გალერეა, რუსთაველის #11
- ცისფერი გალერეა, რუსთაველის #11
- ეროვნული გალერეა, რუსთაველი #3

“საქართველოს ფოსტის” ჯიხურების ქსელში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: + 995 32 2471005
მედია ჰაუსი დეკომი



2012

ქართული
ღვინის გზამკვლევი

Georgian
Wine Guide




მალხაზ ხარბედია
Malkhaz Kharbedia



ჩემი პანკისის ხეობა

ავტორი ბექა ქურსული
ფოტო: დარო სულაკაური



პანკისის ხეობა საქართველოში ყველას გაუფაა. თუმცა, სინამდვილეში, ცოტამ თუ იცის ამ ხეობის შესახებ. ჩენეთის პირველი და განსაკუთრებით, მეორე სისხლისმღვრელი ომების ექო ყველაზე მძაფრად სწორედ აქ, ეთნიკურად ჩენებით, იგივე ქისტებით დასახლებულ ხეობაში გაისმა. ჩენეთის პირველი ომის დასრულების შემდეგ, უდიდესი მსხვერპლის ფასად მოპოვებულმა გამარჯვებამ, ჩენი ჩრდილოკავკასიელი მეზობლები ეიფორიაში ჩააგდო და ამას საბოლოო ჯამში, საკმაოდ ცუდი შედეგებიც მოჰყვა, უპირველეს ყოვლისა, თავად ჩენეთის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის. ძველმა სენტენციამ, „ომი დასრულდა, მშვიდობის გემინოდეთ, ხალხო“, ჩენეთში სრულად იშუშა. ეს მოვლენები კი თავის მხრივ, პირდაპირ და სარკისებურად აისახა პანკისის ხეობაზე.

90-იანი წლების დასასრულს და 2000-იანების დასაწყისში, პანკისი ათასი ჯურის ავანტიურისტის, რამდენიმე ქვეყნის და რა თქმა უნდა, პირველ რიგში, რუსეთის რეზიდენტთა სათარეშო ასპარეზად იქცა. პანკისის ხეობა ერთგვარ შავ ხერხად მოგვევლინა ქვეყნის ტერიტორიაზე. ადამიანების გატაცება, ნარკოდერეფანი, "ისლამური ექსტრემიზმი", „ბოვიკოთა“ სამხედრო ბაზები, „ჰეროინის“ სანარმოებელი ქარხნები, მსხვერპლი, კრიმინალი, ათასნაირი ჭორ-მართალი... პანკისის ხეობამ ლამის თორა-ბორის მთების, სუდანის, მოგადიშოს, პანშერისა და ლაზას სექტორის გვერდით დაიჭირა "საპატიო" ადგილი. საქმე იქამდე მივიდა, რომ სერიოზულად ლაპარაკობდნენ უსამა ბინ ლადენის პანკისში ყოფნის შესაძლებლობაზე. სწორედ პანკისის ხეობა იყო რუსეთის უპირველესი სამიზნე საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ანტიქართული პროპაგანდის, ასევე სამხედრო მოქმედებების თვალსაზრისით. რუსულმა თვითმფრინავებმა რამდენჯერმე ჩამოყარა ბომბები პანკისის ხეობაში, მსხვერპლიც მოჰყვა. დაიღუპა ტყვენი მანქანით შეშაზე წამოსული ახმეტის მცხოვრები. ამის შემდეგ, უკანასკნელ წლებში, ხეობა თითქოს ჩანყნარდა, მაგრამ ლოპოტის

ხეობაში ჩატარებულმა სპეცოპერაციამ სიტუაცია ისევ დაძაბა.

პანკისის ხეობა ყოველთვის, ისტორიულადაც შარიანი ადგილი იყო. სწორედ პანკისის უკანასკნელი ერისთავი იყო ლეგენდარული თორღვა ძაგანი. ძაგანები, იგივე ძაგანისძეები, ბალუაშ-ორბელიანებთან ერთად – სწორედ ის ორი ფეოდალური სახლი იყო, რომელიც ყოველთვის მტკიცე და შეურიგებელ ოპოზიციაში ედგა მმართველ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. საინტერესოა ისიც, რომ ამ შეურიგებელი დაპირისპირების დროს ბაგრატიონების დინასტია თავისი დიდების ზენიტში იმყოფებოდა. ეს ბრძოლა თაობებს შორის გრძელდებოდა და მხოლოდ საფრანგეთის სამეფო დინასტიის – ვალუების და ლოტარინგიის ჰერცოგების, დე გიზების მტრობას თუ შევადარებთ.

ბალუაშ-ორბელიანების და ძაგანისძეების დაპირისპირება სამეფო სახლთან, საქართველოს პირველი გამართიანებელი ბაგრატიონის, მეფე ბაგრატ III-დან დაიწყო და დავით IV აღმაშენებელამდე გაგრძელდა. სწორედ დავით აღმაშენებელთან დაპირისპირებას შეეწირა პანკისის უკანასკნელი ერისთავი და უკანასკნელი ძაგანისძე თორღვა, რომელმაც მითოლოგიზირებული გმირის სახელი დატოვა აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით კი მთაში.

სწორედ პანკისის ერისთავი იყო ერთ-ერთი უშუალოდ იმ ისტორიულ გმირთაგან, რომელმაც თანაბარი ადგილი დაიკავა როგორც ქართულ მითოლოგიაში და ფოლკლორში, ასევე ოფიციალურ ქართულ ისტორიულ მატრიანებში. თორღვას სახელობის ციხეებით არის მოფენილი მთელი კახეთი, საინგილოს ჩათვლით. ამათგან, ყველაზე ცნობილია მუცოს ციხესიმაგრის მთამბეჭდავი კომპლექსი პირიქითა ხევსურეთში, რის გამოც მთაში, პანკისის ერისთავს – თორღვა ძაგანს, მუცოელ თორღვასაც ეძახდნენ. გადმოცემით, სწორედ მუცოს ციხიდან გამოიყვანეს პანკისის ერისთავი ქართველი მეფის ჯარისკაცებმა და თავის უკანასკნელ გზას გაუყენეს.

პანკისის ხეობა ქართულ ისტორიო-

გრაფიაში მეორე მნიშვნელოვან ამბავთან, ბახტრიონის 1659 წლის აჯანყებასთან დაკავშირებითაც მოიხსენიება. სწორედ პანკისის ხეობიდან შემოვიდნენ ახმეტაში, ბახტრიონის ციხესიმაგრის ასაღებად, ნაქერალადან, ზეზვა გაფრინდაულის მეთაურობით დაძრული თუშები.

რაც შეეხება პანკისის ხეობაში, ქისტების, იგივე ჩენების ჩამოსახლებას – მათი კომპაქტურად დასახლება პანკისში 1820 წლებიდან დაიწყო. ძირითადად ჩამოსახლდნენ მაისთოს და დიშნოს თეიფის-თემის ქისტები, რომელთაც დუი დიშნელი მეთაურობდა და რომელიც, თუშეთის მოურავებთან, მატნელ თავადებთან, ჩოლოყაშვილებთან მეგობრობდა. ჩამოსახლება ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა. ერთი მხრივ, ქართველი თავადები ქისტებს პანკისში დასახლების ნებას აძლევდნენ და სამოსახლო მიწებს გამოუყოფდნენ, მეორე მხრივ, ქისტები იღებდნენ ვალდებულებას, რომ ამ ტერიტორიას ლეკების თარეშისაგან დაცავდნენ. ამ დროისთვის, ქართლ-კახეთის სამეფო, სულ რაღაც 19-20 წლის გაუქმებული იყო, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა, მრავალსაუკუნოვანი და განუწყვეტელი ომებისაგან კატასტროფულად შემცირებული.

ამის შემდეგ ქართველებსა და ქისტებს შორის საკმაოდ კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა. პანკისის ხეობის ქისტებმა თავის ქისტურ გვარებს ქართული დაბოლოებები დაუმატეს, რამაც, წლების შემდეგ, პანკისელი ქისტები თავისი ჩრდილოელი თანამომემებისაგან, ჩენებისაგან და ინგუშებისაგან განსხვავებით, შუა აზიაში გადასახლებისაგან იხსნა. მეტიც, გაჩნდა საერთო ქართულ-ქისტური გვარებიც: ქავთარაშვილები, მახაურები, იმედაშვილები, ცხადაძეები, ფარეულიძეები, ცაძიკიძეები და ა.შ. პანკისელი ქისტები უკვე ათწლეულებია განათლებას ქართულად იღებენ, ამავე დროს, თითქმის არცერთ მათგანს დედაენა არ დაუკარგავს.

ისტორიულად, პანკისელი ქისტები ყოველთვის აქტიურად უჭერდნენ მხარს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. დღეს ძალიან ცოტას თუ

ასსოვს, რომ საქართველოს ეროვნულ გამირად შერაცხულ პოლკოვნიკ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმში, რომელიც 1921-22 წლებიდან 1924 წლამდე შეიარაღებულ პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა წითელი არმიისა და ადგილობრივი ჩეკისტების წინააღმდეგ, პანკისელი ქისტებიც ირიცხებოდნენ. მათ შორის ყველაზე ცნობილები იყვნენ დათიკო ფარეულიძე, შააკეი აჭაშვილი, ციხესაშვილი და ბალაკაშვილი. ამ ოთხეულის ფოტო დღემდე შემორჩენილი და პანკისის ხეობის სოფელ ომალოში (და არა თუშეთის ომალოში) ინახება.

პანკისი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის და მისი რაზმის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო თავშესაფრად ითვლებოდა. ქისტებს დღემდე ასსოვთ და ნიშებითა აქვთ მონიშნული ის ადგილები, სადაც აჯანყებული პოლკოვნიკი და მისი ხალხი ბინადვებოდა. დათიკო ფარეულიძესთან დაკავშირებულია ერთი ამბავი, რომელიც დღემდე ლეგენდასავით არის შემორჩენილი, თუმცა, მის სიზუსტეზე, რასაკვირველია, თავს ვერავინ დადებს. ძალიან ნიშანდობლივი ისტორია კია.

დათიკო ფარეულიძე ჩეკისტებს ჩაუგდიათ ხელში და მისი სიცოცხლის ფასად, ერთადერთი და მთავარი მოთხოვნა წამოუყენებიათ, ქაქუცა უნდა მოკლათ. დათიკო უარზე დამდგარა. მაშინ ჩეკისტებს კედელთან მიუყენებიათ, არა და დაგზვრეთო. კარგიო, დათიკოს უთქვამს – გამიშვით და მე მოვკლავ ქაქუცასო. დათიკო მართლაც გაუშვიათ და შეთანხმების ნიშნად, დიდი ვერცხლის ხუფიანი საათი მიუციათ, ვერცხლისავე ჩამოსაკიდებელი ძეწკვით. ამავე დროს, ჩეკისტებმა, აგენტების მეშვეობით, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ყურამდე მიიტანეს ეს ამბავი, დათიკო ფარეულიძის ახალი ვერცხლის საათი იმის ნიშანია, რომ ჩეკისტების დავალებით უნდა მოგკლასო. გათვლა ძალიან უბრალო და მარტივი იყო. ან ჩოლოყაშვილი მოკლავდა ფარეულიძეს, ან ფარეულიძე – ჩოლოყაშვილს. უკეთეს შემთხვევაში კი, ერთმანეთს დახოცავდნენ და რაზმელ ქისტებსა და ქართველებს შორის მტრობა და უნდობლობა ჩამოვარდებოდა.

ერთ მშვენიერ დღესაც პანკისის ტყეში, სუფრასთან, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა მის წინ მჯდარ ფარეულიძეს უთხრა: „დათიკო, რა კარგი საათი გაქვს, აბა, მაჩვენე“. დათიკო ფარეულიძემ მშვიდად უპასუხა: – „ეე, ქაქუც, ეს არ არის კარგი საათი, ძალიან ცუდი საათია, შენს მოსაკლავად მომცესო.“ ამ გულწრფელმა პასუხმა, უცებ „ჩაშალა“ ჩეკისტების „მახვილონივრული“ სვლა და ეს ამბავი კიდევ დიდხანს იყო ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის რაზმში ხუმრობისა და სიცხლის მიზეზი.

როდესაც ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა და მისმა ხალხმა ქვეყნის დატოვება და ემიგრაციაში წასვლა გადაწყვიტა,

**ჩეჩენთის
სისხლისმღვრელი
ომაზის ეპო ყველაზე
მაჟრად აქ,
პანკისში გაისმა.
ძველმა სენტიანამ,
„ომი დასრულდა,
გზვილოზის
გაშინოლათ“,
ჩეჩენთში სრულად
იიშავა. ეს
მოვლენები კი თავის
მხრივ, პირდაპირ და
სარკისებურად
აისახა პანკისის
სეოზაზე.**

არცერთი ქისტი შეფიცული თან არ გაჰყვა, ჩვენ უცხოობაში ვერ გავძლებთო, ყველა მათგანი საქართველოში დარჩა და ისინი სხვადასხვა დროს სათითაოდ ჩახოცეს ჩეკისტებმა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ჩეჩენ-ინგუშების ნაწილმა, აჰმად ხუჩბაროვის, ჩოკა მაჰომას, იდი ალხასტისა და ბისოლთის მეთაურობით, ღიად დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირში შემოჭრილ გერმანულ ვერმახტს, რასაც 1944 წელს ჩეჩენ-ინგუშების ტრაგიკული დეპორტაცია მოჰყვა. მაშინ ვაინახები

დედაბუდიანად გადაასახლეს შუა აზიაში, რამაც მშვიდობიან მოსახლეობაში უზარმაზარი მსხვერპლი გამოიწვია. პანკისელი ქისტების გადარჩენაში, იმდროინდელმა ქართულმა საზოგადოებამ, ძალიან დიდი როლი ითამაშა. მთავარი არგუმენტი კი პანკისელების ქისტური გვარების ქართული დაბოლოებები გახდა, რამაც საშუალება მისცა ქართველ მეცნიერებს, ქისტები ქართველებად, „გაქართველებულებად“ გამოეცხადებინათ.

1988-89 წლებიდან ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბუმი დაიწყო. ამიერკავკასიაში ყველაზე მეტად საქართველო აქტიურობდა, ჩრდილოეთ კავკასიაში კი – ჩეჩენთი, განსაკუთრებით 1990 წლიდან. ამ ბრძოლაში საქართველო და ჩეჩენთი ბუნებრივად და ისტორიულადაც, მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა, ბედისწერამ და პირველ რიგში, რუსულმა სპეცსამსახურებმა სხვანაირად „ინება“.

1992 წელს შამილ ბასაევის ჩეჩენური რაზმების ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლამ, საქართველოს და ვაინახებს შორის უზარმაზარი უფსკრული გააჩინა. კავკასიაში ძალიან დიდხანს ასსოვთ დაღვრილი სისხლი და ეს საბედისწერო შეცდომა იყო. წყენას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ჩეჩენებს ყოველთვის ბუნებრივ მოკავშირედ განიხილავდა რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა, რეალურად, პირიქით მოხდა. ის არგუმენტები, რომ ეს მხოლოდ ჩეჩენების ნაწილი იყო, არსებობდა რუსული სპეცსამსახურების ფაქტორი და ა.შ., ერთი მხრივ, გასაგებია, მაგრამ მეორე მხრივ, საზოგადოების ნაწილი დღემდე ვერ პატიობს ჩეჩენებს აფხაზეთის ომში ჩვენს წინააღმდეგ მონაწილეობას და ალბათ ვერც ვერასდროს აპატიებს. მით უმეტეს, რომ რუსეთი მისი მტერიც იყო, რაც ძალიან მალე გაცხადდა. აფხაზეთის ომის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, 1994 წელს, ელცინის და გრაჩოვის რუსული ტანკები გროზნოში შეიჭრნენ და დაიწყო ჩეჩენთის პირველი ომი, ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი ომი კავკასიის ისტორიაში. ჩეჩენებმა თავის პირველ ომში,

უზარმაზარი მსხვერპლისა და თავდადების ფასად, მოახერხეს გამარჯვება, მაგრამ ეს ფაქტობრივად მთელი გენოფონდის ამონყვეტად დაუჯდათ, რის გამოც ჩეჩნეთის მეორე ომში, ხანგრძლივი წინააღმდეგობისთვის უბრალოდ ძალა და რესურსი აღარ ეყოთ და ამდენი თავზე ხელაღებული ბრძოლისა და სისხლისღვრის მიუხედავად, კვლავ რუსეთის ხელში აღმოჩნდნენ.

ამ მოვლენებმა, ბუნებრივია, კვალი დატოვა პანკისის ხეობის ქისტებზეც. ხეობა, ისევე როგორც, მთელი კავკასია, ძალიან მილიტარიზებული გახდა. გუშინდელი მშვიდობიანი მაცხოვრებლებიდან ბევრმა აიღო იარაღი. ქისტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თავისი ჩრდილოელი თანამოძმეების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. პანკისელი ქისტები, ახმეტის „მხედრონთან“ ერთად, აფხაზეთის ომშიც აქტიურად მონაწილეობდნენ (ისევე როგორც, უკანასკნელ 2008 წლის აგვისტოს ომში). ჯაბა იოსელიანი თავის „სამ განზომილებაში“, როდესაც აფხაზეთის ომის პერიპეტებზე მოგვითხრობს, რამდენჯერმე ახსენებს „ქისტ რუსლანას“, „ჩეჩენ რუსლანას“, რომელიც პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოდან იყო. 90-იანი წლების საყოველთაო არეულობამ, როგორც საქართველოში, ისე კავკასიაში, სიტუაციის დაძაბვა და კრიმინალიზაცია გამოიწვია. იგივე ხდებოდა პანკისშიც.

გაიჭრა ნარკოდერეფანი, 90-იანი წლების შუა ხანიდან გახშირდა კიდნეპერობის შემთხვევები (თუმცა ქისტები ამტკიცებენ, ადამიანების გატაცება თქვენგან, ქართველებისგან ვისწავლეთო). დაიწყო ე.წ. „ბოევიკთა“ შესვლა-გამოსვლა, თუმცა ეს ყველაფერი ადგილობრივ პანკისელებსაც ისევე აწუხებდათ, როგორც დანარჩენ საქართველოს მოსახლეობას.

ნარკოტიკები იმდენად კი არ გამოდიოდა ხეობიდან, რამდენადაც ჯერ შედიოდა და მერე გამოდიოდა და ამაში აქტიურად მონაწილეობდნენ მამინდელი ე.წ. სამართალდამცავი სტრუქტურები. ის, რომ ნარკოტიკი ჩრდილოეთ კავკასიიდან, მთებიდან შემოჰქონდათ ხეობაში, ძალიან შორს არის სიმართლისგან. პანკისის ხეობა არ ესაზღ-

ვრება არც ჩეჩნეთს და მით უმეტეს, არც დაღესტანს. პანკისი ანკლავია და უახლოეს საზღვრამდე დაახლოებით ასი კილომეტრია. პანკისიდან ჩეჩნეთში გადასასვლელად, ან ჩრდილო-დასავლეთით ხევსურეთი უნდა გაიარო და შატილიდან ითუმ-ყალის რაიონში გადახვიდე ან ჩრდილო-აღმოსავლეთით თუშეთი უნდა გადაიარო. ამ მარშრუტით, ძირითადად, მებრძოლები მოძრაობდნენ. ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ მებრძოლმა, რომელსაც კუდში რუსული ვერტმფრენები და ფედერალური ჯარი მოსდევს, იმაზე იზრუნოს, რომ ჩეკებად „დაბერდენკე-ბული“ ნარკოტიკი გადმოიტანოს. თან იმ რაოდენობით, რომ ამ ნარკოტიკებით ვაჭრობა და სერიოზული ნარკობიზნესის აწყობა შეიძლებოდეს.

რაც შეეხება ადამიანთა გატაცებას და მის გახმაურებულ შემთხვევებს – გიგა ზაალიშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, პიტერ შოუ და ა.შ. – აქ კიდევ უფრო რთულად და ჩახლართულად არის საქმე. ჯერ კიდევ 1999 წელს დუისში, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მითხრეს, რომ ეს კრიმინალი, ძირითადად, ვალებს უკავშირდებოდა და ხშირად, ამ საქმეში, ადგილობრივებთან ერთად, ქართველებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

დაახლოებით იგივე სიტუაცია იყო ე.წ. „ბოევიკთა“ მოძრაობასთან დაკავშირებით, დანყებულ ყველაზე გახმაურებული შემთხვევის, ჰამზათ (იგივე რუსლან) გილაევის შედარებით მრავალრიცხოვანი რაზმისა, დამთავრებული ნვრილ-ნვრილი ჯგუფებით. ამ მდგომარეობას და საერთო არეულობას ყველაზე მეტად თავად ადგილობრივი, პანკისელი ქისტები განიცდიდნენ.

– „ჩვენ რატომ გვედავებით ამ ბავიკებს, თურქებს თუ არაბებს, მე აქ ეგენი მინიდან ხო არ ამომყავს? ვიზებს ვინ აძლევთ? საზღვარზე როგორ გამოდიან ან მერე ხეობაში როგორ ხედებიან?“

ადამიანის გატაცების ბოლო გახმაურებული შემთხვევა 2000 წლის დეკემბრის ბოლოს, ახმეტელი ვალერი სამხარაძის გატაცებას უკავშირდება. მაშინ ახმეტელებმა პანკისის ქისტური სოფლების შესასვლელთან პიკეტები ჩადგეს და ხეობა, ფაქტობრივად, ალყაში

მოაქციეს. სიტუაცია ძალიან დაიძაბა. კახელები სამხარაძის და არა მარტო სამხარაძის, ყველა გატაცებულის უპირობო გაათავისუფლებას მოითხოვდნენ. საბოლოოდ, ახმეტელების სიმტკიცისა და ქისტი უზუცესების სიბრძნისა და პრინციპულობის წყალობით, ყველაფერი კარგად დამთავრდა და მძევლები გაათავისუფლეს.

ცალკე ძალიან საფრთხილო და სპეციფიკური თემაა რელიგიური ფაქტორი პანკისის ხეობაში. რასაკვირველია, თავად ისლამში, ისევე როგორც, პანკისელი ქისტების მუსულმანობაში, არც საფრთხილო არც განსაკუთრებული არაფერია, რომ არა ერთი ფაქტორი, შედარებით ახლად გავრცელებული მიმდინარეობა კავკასიელ მუსულმანებში – „ვაჰაბიზმი“.

ვაჰაბიზმი სუნიტური ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობაა. მას XVIII საუკუნეში არაბმა თეოლოგმა იბნ აბდალ-ალ-ვაჰაბმა დაუდო სათავე. ვაჰაბიზმის ძირითადი იდეა ისლამის განმენდა და მხოლოდ ყურანის სიტყვაზე დაყრდნობაა, რაც გულისხმობს რიტუალების მაქსიმალურ გაუბრალოებას და ძველი მუჰამედის დროინდელი წესებით – „უმა“, ცხოვრებას. იბნ აბდალ-ალ-ვაჰაბის ქადაგების მიმდევრები თავს უწოდებდნენ არა „ვაჰაბიტებს“ არამედ ჭეშმარიტ მუსულმანებს, რწმენით გაერთიანებულებს (ალ-მუჰაჰაიდენ).

ვაჰაბიტური იდეოლოგიის ძირითად მცნებას წარმოადგენს პრინციპი ერთმორწმუნეობის შესახებ, აქედან გამომდინარე მხოლოდ ალაჰია თაყვანისცემის ღირსი. სხვა რაიმე კულტი კი უკვე მკრეხელობაა. ამ თვალსაზრისით ვაჰაბიტები მუჰამედის სიტყვას ეყრდნობიან: „ყოველი, ვინც შემოიტანს ჩვენში რაღაც ახალს და ჩვენთვის მიუღებელს, განდეგილ იქნება ჩვენგან“.

ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჰაბიზმი პირველი ჩეჩნური ომის დროს გავრცელდა, ოღონდ ჩეჩნეთში კი არა, დაღესტანში. თავდაპირველად დაღესტანის აღმოსავლეთ რაიონში – ბოთლიხში გაჩნდა ვაჰაბიტური ჯამაათები, შემდეგ კი, ძალიან სწრაფად, საეჭვოდ სწრაფად გავრცელდა ჩეჩნეთში და დიდი არეულობა გამოიწვია თავისი სროლითა და შეხლა-შემოხლით. სერიოზული

დაპირისპირება დაიწყო ვაჭაბიტებსა და ჩეჩნეთის მუფთს, აჰმად კადიროვის შორის. აჰმად კადიროვი პირველი ომის დროს ჯიჰადი გამოუცხადა რუსეთს. ამავე დროს ჩეჩნეთის მუფტი, ბუნებრივია, ორთოდოქსული სუნიტური ისლამის მიმდევარი იყო და ძალიან შეუურიგებელი პოზიცია ჰქონდა ვაჭაბიტების მიმართ. ამბობენ, რომ თუ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი არა, ერთ-ერთი მაინც, რამაც კადიროვი აიძულა რუსების მხარეს გადასულიყო და პუტინის მხარე დაეჭირა, სწორედ ვაჭაბიტები იყვნენ, რომლებთანაც კადიროვებს სისხლით მტრობა ჩამოუვარდათ.

ჩეჩნეთიდან პანკისის ხეობაში შემოსულმა ვაჭაბიზმმა არც ქისტებში გამოიწვია ნაკლები ვნებათაღელვა. მაგლობა ღმერთს, აქ სროლამდე არ მისულა საქმე, მაგრამ დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა. საინტერესოა, რომ ამ დაპირისპირებამ პანკისში ერთგვარი „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახე მიიღო. უფროსი თაობა, ძირითადად, ორთოდოქსული სუნიტური ისლამის

მიმდევარი იყო, რომელიც შერწყმული იყო ადგილობრივი და კავკასიური თემის ადათებთან, ახალგაზრდობა კი ე.წ. სუფთა ისლამის, იგივე ვაჭაბიზმის რელიგიური გავლენის ქვეშ მოექცა. თუმცა, იგივე ახალგაზრდობაშიც, მძლავრობს ძველი ადათები: ძმადნაფიცობის, სტუმართმოყვარეობის, უფროს-უმცროსობის და ა.შ. თვითონ ახალგაზრდა ქისტები ხშირად ხუმრობენ, რომ „ჩვენში ვინც სწორად და რელიგიურად ცხოვრობს, არ სვამს, არ ეწევა, ლოცულობს, ნვერი აქვს მოშეებული და მეჩეთში დადის, ყველას ვაჭაბიტს ეძახიანო“.

ქისტების რელიგიური მრწამსისა და მათი სამყაროსადმი დამოკიდებულების გადმოსაცემად კი ერთ ისტორიას გავიხსენებ, რომელიც წლების წინ ჯოყოლოელმა აიუბამ მომიყვა და ამით დავამთავრებ: „მამაჩემი ყოველთვის კომუნისტების დროსაც, ძალიან მორწმუნე კაცი იყო, ლოცვას არ გამოტოვებდა. ერთხელ ახმეტიდან მოვდიოდი „ვილისით“, ალაზნის ველზე გამოშ-

ლილ ღორის ფარას გავერიე. არ ვიცი, ან ოსებისა იქნებოდა ან ფშავლების. გავერიე და ერთი ღორი გავჭყლიტე. კინაღამ გული გამისკდა. აბა, ღორი ხო ძან გვეჯავრება. მივედი სახლში. ვხეხავ ამ მანქანას, ვრეცხავ, თან ვილანძლები. ამ დროს მამაჩემი გამოვიდა სახლიდან. რა იყო, რა მოხდაო. აი, ეგრე მომივიდა, ვილაცას ღორები გამოუშვია გზაზე და მე კი ერთ ღორს დავეჯახე, გავჭყლიტე და მანქანა გავაბინძურე-მეთქი. უხმოდ შებრუნდა სახლში. მერე გამოვიდა, შეკვრით ფული გამომიტანა და მითხრა: – ეხლა ჩქარა წადი, ჯერ იმ ღორის პატრონი ნახე და ზარალი აუნაზღაურე, შენ რო ღორი ყველაზე ძან გეჯავრება, იმისთვის საქონელია, მოდი და მერე გარეცხე მანქანაო!“

არ ვიცი. მე ძალიან მიყვარს პანკისის ხეობა, ქისტებთანაც მაგრად ვძმაცაცობ და ძალიან მინდა, რომ კახეთის ამ ულამაზეს ხეობას დანარჩენი საქართველოც უკეთესად იცნობდეს. ეს ქისტებისთვისაც უკეთესი იქნებოდა და ქართველებისთვისაც.

ჩარბეიშვილის საადვოკატო დარბაზი

ბიზნეს და საგადასახადო დავები

სამეწარმეო
კორპორაციული სამართალი

შრომის სამართალი



სამოქალაქო სამართალი

სისხლის სამართალი
(ეკონომიკური დანაშაულები)

ადმინისტრაციული სამართალი

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 15ა ოფისი 28ა, ქ.თბილისი
ტელ: (+995 32) 237 93 00
ფოსტა: info@chargeishvili.ge
ვებ-გვერდი: http://www.chargeishvili.ge



„არტარეა ტვ 2.0“

კულტურული ცხოვრების არტარია საქართველოში

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

თეატრი, ლიტერატურა, მუსიკა, ფოტოგრაფია, მოდა, მხატვრობა, კინო, სოციალური თემები, სპორტი, ზღაპრები, ტექნოლოგიები, ბლოგები და ვიდეო-ბლოგები, საინტერესო კითხვები და ორიგინალური პასუხები, შეხვედრები კონკრეტული სფეროს წამყვან სპეციალისტებთან, კულტურის ყოფილ და მომავალ მინისტრებთან – ეს იმ ფორმატების და თემების არასრული ჩამონათვალია, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა, ონლაინ კულტურულ სივრცეში – „არტარეაში“ გადაცემების სახით იქმნება და ვრცელდება.

„არტარეა ტვ 2.0“ – პირველი მასშტაბური მულტიმედიური პორტალი საქართველოში, რომელიც „თიბისი ბანკის“ ინიციატივითა და ხელშეწყობით, უკვე ექვსი თვეა, კულტურის სფეროს ყველა მიმართულებას იმ ადამიანების უშუალო მონაწილეობით წარმოაჩენს, რომლებიც კომპეტენტური და ორიგინალური ხედვით გამოირჩევიან. ინტერნეტ-პორტალის აბრევიატურა იმაზე მიანიშნებს, რომ ეს ახალი თაობის მედიაა, თავისი წინამორბედისგან – ტელევიზიისგან რადიკალურად განსხვავებული, რომელიც თავისთავად იქმნება ახალ და მუდმივად განვითარებად სივრცეში.

„არტარეა“ იმ მასშტაბური პროექტის ნაწილია, რომელიც „თიბისი ბანკის“ 20 წლის იუბილეს ეძღვნება. პროექტმა – „20 წელი/12 თვე“ წლის დასაწყისში ფოტოგრაფების და მწერლების 12 წყვილი გააერთიანა, რამაც საქართველოში მოღვაწე ქართველ ლიტერატორებსა და ხელოვანებს თავის გამოვლენის საშუალება კიდევ ერთხელ მისცა. მალევე, ინტერნეტსა და ქართულ ტელევიზიებში რამდენიმეწუთიანი ორიგინალური ვიდეო-რგოლებიც გამოჩნდა, რომლებიც „თიბისი ბანკის“ საიუბილეო პროექტისთვის შექმნილი ნოველებისა და ფოტოების მიხედვით შეიქმნა. ამის შემდეგ, პროექტის ყველა რესურსი უფრო გაფართოვდა და ნოველებსა და ფოტოგრაფებს, კინემატოგრაფისტების პროფესიონალ გუნდთან ერთად, ძირითადად დამწყები

და რამდენიმე გამოცდილი რეჟისორი, კომპოზიტორი, მხატვარი, ოპერატორი და სცენარისტი შეემატა. მათის დასაწყისში კი ინტერნეტში მულტიმედიური პორტალი გამოჩნდა, რომელიც კინემატოგრაფიული პროექტისგან სრულიად დამოუკიდებელი შემოქმედებითი ჯგუფის წევრების მონაწილეობით ამოქმედდა.

პროექტი მალევე გახდა აუდიტორიის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ინტერესის სფერო. ეს გახდა ადგილი, სადაც სიახლეს ყოველდღიურად და განსაკუთრებული ინტერესით ელოდები. რაც უფრო მეტი ასეთი ერთგული მიმდევარი ეყოლება ინტერნეტ-პორტალს, მით უფრო დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ „არტარეამ“ წარმატებით მიაღწია მიზანს – აუდიტორიისთვის ნამდვილ კულტურულ არტერიად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ „არტარეა“ მედიის ნაწილია, ის არ ხელმძღვანელობს ტრადიციული მედიის პრინციპებით, ანუ აქ არ მუშაობენ ეთიკისა და მკაცრი პროფესიული პრინციპებით შებოჭილი ჟურნალისტები, არ არიან დამოკიდებული დროისა და ქრონომეტრაჟის მკაცრ შეზღუდვებზე, არიან ობიექტურად სუბიექტურები, თავისუფლები და ინოვაციურები. იდეებზე მთელი შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობს – გადაცემის ავტორიდან დაწყებული მემონტაჟით დამთავრებული.

„ჩვენ ადამიანებთან პირდაპირ კავშირში შესვლა შეეძლებოდა თავიდანვე ასე ჩავიფიქრეთ, რომ კლიშეებისგან სრულიად თავისუფალ ადამიანებს, აბსოლუტურად შეუზღუდავი და განსხვავებული ფორმით და არა ნასწავლი მეთოდებით მიეწოდებინათ სათქმელი მაცურებლისთვის და ფიქრობ, რომ ეს შეეძლებოდა იმიტომ, რომ დღეს ჩვენს მაცურებელს რადიკალურად განსხვავებულ ენაზე ველაპარაკებით“, – აღნიშნავს „არტარეა ტვ 2.0“-ის ხელმძღვანელი სოფო ხუნწარია.

დათო ტურაშვილი, ლაშა ბუღაძე, გიორგი კეკელიძე, ნინო დარასელი, ნიკა მაჩაიძე და ტუსია ბერიძე, გიორგი კალანდია, ნინია კაკაბაძე, ქეთი მაჭავარიანი, პაატა შამუგია, სანდრო ნავერიანი,



„U.F.O.“ №5“. ბაღასალბა მოძიანაჲი



„U.F.O.“ №5“. ბაღასალბა მოძიანაჲი



„ლიტარაჲა“ №6“. ბაღასალბა მოძიანაჲი

ალექს ჩილვინაძე, გიგი გულედანი, ვატო წერეთელი და სხვები – „არტარეას“ მთავარ გუნდს ქმნიან. თუ აქამდე ამ ადამიანებს წიგნებით, პუბლიკაციებით, ანდა სატელევიზიო რეპორტაჟებით იცნობდით, „არტარეამ“ მათ სრულიად განსხვავებული ამპლუა მოარგო და სრული შემოქმედებითი თავისუფლება მისცა.

აი, ასე ველოდებით ყოველი კვირის ბოლოს ახალ „ნამდვილ ამბებს“ დათო ტურაშვილისგან, ჩვენთვის საინტერესო ადამიანების პირადობის მოწმობებს ნინო დარასელიისგან, ახალ მისტიკურიების ლაშა ბულაძისგან, „დილის აერობიკის“ ახალ გმირებს და ორიგინალურ საგანგებო ამბებს ვატო წერეთლისგან, „ნდობის წრის“ გმირებს და სპორტის მიმოხილვებს ლეო-ნაფცასგან და სანდრო ნავერიანისგან.

ორიგინალური ფორმატის გადაცემების გარდა, „არტარეა“ კინოპრემიერებსაც მასპინძლობს. ასე მოხვდა მულტიმედიაური პორტალის ობიექტივში ლევან კოლუაშვილის ფილმი – „ქალები საქართველოდან“ და ნანა ჯანელიძის – „ნეტავი, იქ თეატრი არის?“

„თიბისი ბანკის“ ამ პროექტმა თავის გამოვლენის საშუალება, ცნობილ და გამოცდილ ავტორებთან ერთად, სრულიად უცნობ ახლავარდებსაც მისცა, რომლებიც „არტარეას“ რეგონებიდანაც შეუერთდნენ და რამდენიმე საინტერესო გადაცემაც შექმნეს.

„არტარეა“ მუდმივად განახლებად რეჟიმში მუშაობს და აუდიტორიას არსებულისგან რადიკალურად განსხვავებულ გადაცემებს სთავაზობს. ნინია კაკაბაძის საავტორო გადაცემა „თემა“ სწორედ ამის მაგალითია, რომელიც ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე გამოჩნდა და პირველ გადაცემაში გიორგი მახსურაძეს უმასპინძლა თემაზე – „ნამების ვნება“.

ამ მიდგომის გაგრძელება იქნება კულტურის ახალი ამბების საინფორმაციო გამოშვების და არტ-სააგენტოს შექმნა, რომელიც არტარეას მაყურებელს მუდმივად ოპერატიულ, ექსკლუზიურ და სასარგებლო ინფორმაციას შესთავაზებს. ახალგაზრდებისთვის კი ახალი შემეცნებითი გადაცემები გაჩნდება – ჩანაწერებით საჯარო ლექციებიდან, დისკუსიებიდან, ვორკშოპებიდან და მასტერკლასებიდან.

„არტარეა არ არის დამოუკიდებელი სტრუქტურა, ის ბრენდის ქვეშაა გაერთიანებული, სახელიც ამაზე მიუთითებს – „თიბისი არტარეა“. დღეს ასეა, თუ ბრენდს არ აქვს სოციალური პასუხისმგებლობა, ან არ არის გარკვეული ღირებულებების მატარებელი, ის სოლიდურ სტატუსს ვერ შეიძენს. „თიბისი“ კი წლებია, მცენარეა ქართული კულტურისთვის და „არტარეას“ შექმნაც ამ საქმიანობის ლოგიკური გაგრძელებაა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „არტარეა“ ამ კონკრეტული ბანკის პროექტივია, მაგრამ მას თავისუფალი, დამოუკიდებელი სიცოცხლე აქვს“, – ამბობს „თიბისი არტარეას“ ხელმძღვანელი სოფო ხუნნარია.

„არტარეა“ – პირველი ონლაინ ტელევიზია კულტურის თემებზე – საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციის წყაროა ტრადიციული მედიის პირობებში, რომელიც მკვეთრად პოლიტიზირებული და ერთფეროვანია და სადაც თითქმის აღარ რჩება კულტურის ადგილი. ამიტომ, როდესაც კულტურის სფეროში კომპეტენტური, ახალი და სასარგებლო ინფორმაციის მოძიებას გადანყვევთ, აუცილებლად ენვიეთ „არტარეას“ ოფიციალურ ვებგვერდს (TBCARTAREA.GE), ან „ფეისბუქზე“ მოინახულოთ (facebook/tbcartareatv2.0).



საუბრები აბაშურის ქვეშ

თანამედროვე ქალი

ავტორი თამარ ალავეიძე

– რას შერები?

– ვმუშაობ და მშია. შენ?

– მეც, ისიც და ისიც. მაგრამ ოფისიდან მალე გამოვალ. ოთომ დამირეკა, ოჯახი მოგვენატრეთო და სალამოს თუ სახლში იქნებით, შემოგივლიდითო ნათიასთან და ბავშვთან ერთად. რვისკენ მოვლენ. მე გზად ნამცხვრებს და წვენებს ვიყიდი, ხილი და რალაცები კი გვაქვს სახლში. საჩვენო „მოსანრუპიც“ ბარში მაქვს. ჰოდა, შენც დროზე მოდი, რა.

– და მე არაფერი წამოვიღო?

– შენ მთავარია, დროზე მორჩი და მოდი.

– კარგი, რვის ნახევრისთვის სახლში ვარ.

ჩვეული ცოლ-ქმრული დიალოგის შემდეგ საათზე ვიყურები. სახლში დათქმულ დროს მისვლამდე საათნახევარი მრჩება, მაქსიმალურად ყველაფერი უნდა მოვასწრო.

დღეს ხუთშაბათია – კვირის ყველაზე მძიმე დღე. წესით ასეთად ორშაბათია მიჩნეული, მაგრამ მე ამ მოსაზრებისგან შორს ვარ. არ მიყვარს

ხუთშაბათი დღე – არც კვირის დასაწყისია, არც ბოლო, სადღაც შუაშია და ისიც ვერ არის. აი, ისეთი დღეა, ყველა საქმე, რაც კვირის დასაწყისიდან (ან უარეს შემთხვევაში, წინა კვირიდან) გაქვს მოტოვებული, ამ დღეს რომ დაგიგროვდება ხოლმე, ასე ერთბაშად და ერთდროულად და ქარბორბალაში მოხვედრილი ციყვივით რომ გრძნობ თავს. გინდა, შეძლებისდაგვარად, ყველაფერი ამ დღეს მოასწრო ხოლმე, რომ ისედაც „კვირის-ბოლო-პარასკევი“ უსას-

რულო კვირის ბოლოდ არ გექცეს. თანაც, პარასკევის ნეტარ მხარესაც გინდა გემო ჩაატანო: კინოში წახვიდე, ან მეგობრებთან შეხვედრა დაგეგმო, ანდა უბრალოდ დროზე ადრე მიხვიდე სახლში და სალამო ოჯახის წევრებთან ერთად შეირგო. აი, ამიტომაც არის ხოლმე, რომ ხუთშაბათ დღეს სტრესი პიკს აღწევს და ორი გამოსავალი გაქვს: ან დაძლიო და გადალახო ეს მდგომარეობა, ან კიდევ, პარასკევ დღეს მძიმე ბარგიტ შეხვდე.

ფიქრებში ისე ვერთობი, დროის შეგრძნებას ვკარგავ, მგონი, დღეს სტატიის დასრულებას ველარც მოვასწრებ, გვიან ღამით, სტუმრების ნასვლის შემდეგ მომიწევს გაგრძელება. მომდევნო კვირის ლექციისთვის მოსამზადებელი მასალის ნახევარი გადავიკითხე – დანარჩენი შაბათ-კვირას იყოს. მანქანის ზეთის გამოცვლა ისევ შაბათისთვის უნდა გადავდო – მერამდენედ, მაგრამ მაინც.

ჩანთიდან პატარა, ვინტაჟის სტილში გაკეთებულ ვერცხლისფერ სარკეს ვიღებ (მეგობრის ნაჩუქარია და ძალიან მიყვარს) და გამჭოლი მზერით შიგ ვიჭყიტები. ერთგვარი თერაპია მაქვს ასეთი: საკუთარ თავს მდუმარედ ვესაუბრები ხოლმე, რაც, ხშირ შემთხვევაში, სააზროვნო სივრცის გამოთავისუფლებაში მეხმარება და დადებითი შედეგი მოაქვს. ხან კი არანაირი სარგებლის მომტანი არ არის და მარტივ ვიზუალურ დათვალეობას არ სცდება.

ამ ფიქრების ორომტრიალში უცებ ვჩერდები, უფრო სწორად, ფიქრის პროცესს ვაშეშებ, თვალი ჩემს სამუშაო მაგიდაზე მოთავსებულ პიერ ბურდოს წიგნისკენ გამიბრბის. ბურდო მეოცე საუკუნის ცნობილი ფრანგი სოციოლოგი და ანთროპოლოგი იყო, ეს წიგნი „Distinction: Social Critique of Judgment of Taste“ კი მისი ყველაზე პოპულარული ნაშრომი უნდა იყოს, თუ მეხსიერება არ მლალატობს. წელს, ზამთარში შევიძინე, ეგრევე მაგიდის მარჯვენა კუთხეში მივუჩინე ადგილი სხვა რამდენიმე ჩემთვის ძვირფას წიგნთან

ერთად და როგორც კი დროს მოვიხლეთებ, პატარ-პატარა მონაკვეთებად ვკითხულობ ხოლმე. ბურდო ამ ნაშრომით გემოვნების საკითხს სოციალურ მდგომარეობას უკავშირებს და ამტკიცებს, რომ ადამიანები მათი გემოვნების მეშვეობით საზოგადოებაში საკუთარი თავის ერთგვარ პოზიციონირებას ახდენენ. არ უნდა იყოს შორს ქვეყნებისგან!

მობილური ისევ რეკავს. ამჯერად ძიძაა, ჩამონათვალს მიკითხავს, რა დაგვიმთავრდა და უახლოეს დღეებში რაც გამოგველევა, იმ პროდუქტების. ვინიშნავ პარასკევისთვის, დღეს მაინც ვერ მოვასწრებ.

წიგნი 321-ე გვერდზე გადამეშალა და ვკითხულობ: „თანამედროვე საქმიანი ქალისთვის დროის ტარება იგივეა, რაც დაგეგმვა. დღევანდელი ქალისთვის გართობა სახლში დროზე მისვლას, ყვავილების მწყობრში მოყვანას, მაგიდის ღამაზად განწყობას და მოხდენილ სამოსში გამოწყობას გულისხმობს, ვიდრე კარზე სტუმრები ზარს დარეკავენ. ასეთი ქალი მისი ცხოვრების საქმიან ნაწილს დროებით გვერდზე დებს და მომენტალურად, მოლიმარ და ყურადღებიან დიასახლისად იქცევა“.

მეღიმიება იმის გააზრებაზე, რომ ოცდაათორმეტი წლის წინანდელი თანამედროვე ქალი (ეს ამონარიდი 1970 წლით არის დათარიღებული) თამამად შეიძლებოდა, დღეს ჩემი საუკეთესო მეგობარი ყოფილიყო, ან საერთოდაც ჩემი ადგილი დაეკავებინა. რით განსხვავდება ის ქალი ოცდამეერთე საუკუნის თანამედროვე ქალისგან?! მგონი, არსებითად, არც არაფრით, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ მაშინ ქალს გაცილებით მეტი დრო ექნებოდა იმისთვის, რომ ყველგან საუკეთესო ყოფილიყო – სახლშიც, შვილებთან ურთიერთობაშიც და სამსახურშიც. მე რომ აჩქარებული ტემპით ვცხოვრობ, ამის ბრალი მხოლოდ „ფეისბუქზე“ გაფლანგული დრო არ არის; პიერ ბურდოს ქალისგან განსხვავებით, ჩვენს ცხოვრებას ფემინისტური რევოლუციის შედეგები მთლიანად განსაზღვრავს – სრულგანაკვეთიანი

სამსახური, რომელიც ჩემგან ასპროცენტთან თავდადებას მოითხოვს და, მეორე მხრივ, ოჯახი, სადაც ასევე ათასი პროცენტით ვარ საჭირო – თანაც, დამშვიდებული, გაღიმებული და ბრძენი – ოჯახური გადაწყვეტილებების მიღებისას... ამიტომ ხშირად მგონია, რომ 24 საათიც არ მყოფნის, ამ ყველაფერს რომ თავი გავართვა (აი, სარკეში როცა ვიხედები ხოლმე, ხშირად ზუსტად ამეებზე ვფიქრობ). ზოგჯერ კი, უბრალოდ, სხვა პრიორიტეტებს გადაჰყვება ხოლმე ის, რასაც „ბურდოს ქალი“ სიამოვნებით აკეთებდა შინ (ლარნაკში ჩადებულ ყვავილებს ბოლოს რომელ საუკუნეში გამოვუცვალე წყალი?). მოკლედ, ვხვდები, ის, რაც წინა საუკუნის 1960-70-იან წლებში დაიწყო, თანამედროვე ქალების შემთხვევაში უკვე სრული დატვირთვით მოქმედებს. ჩემთვის დროის ტარება უკვე ასე პროცენტით დაგეგმვას უდრის. როლების ხშირი ცვლა თანამედროვე ქალების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია: ოჯახური დედა-შვილი-ცოლის ამპლუადან მყისიერად გინეფს სამსახურებრივ, საქმიან ამპლუაში ტრანსფორმირება და პირიქით. თუმცა, მგონია, რომ პირველი მაინც ისეთი „როლებია“, რომლებიდანაც ქალი არასდროს „გადის“, სიტუაციისა და გარემოს ცვლილებების მიუხედავად.

აი, მეც, ხან როგორ ვწყვეტ დილემას – სტატიის დროულად დამთავრებას, ლექციის მომზადებას და საპატიო სტუმრების ღირსეულად გამასპინძლებას შორის, და ხან – როგორ. დღეს ასე ვიზამ: საკუთარ თავს ცოტა დროს სამსახურის საქმეებიდან მოვპარავ და ოჯახს მივუძღვნი, სხვა დროს – სხვანაირად და ასე, დაუსრულებლად.





დეპრესიის წამალი ანუ სანაყლაშპარიანი

ავტორი ირაკლი ლომოური
ფოტო ლევან ხერხეულიძე

უნივერსიტეტიდან ადრე დავბრუნდი. ერთი ლექცია კი ვერ ჩავატარე – სტუდენტები პირველ კორპუსთან მიტინგობდნენ. მერე სადღაც წავიდნენ, მგონი, გლდანში.

სახლში უჩვეულო მდუმარება დამხვდა – არც ჩხუბი ისმის, არც კინკლაობა, არც კომპი თუ ტელევიზორი. ჯერ ბიჭის ოთახში შევიხედე, მერე სამზარეულოში, მერე აბაზანა-ტუალეტში, მერე სასადილოში, მერე საძინებელში და ბოლოს, ქალიშვილის ნახევარმანსარდაში.

ვხედავ, ჩემი ცამეტი წლის ქალიშვილი ზის ტახტზე ფეხ-მორთხმით, კედელს მიმტერებელი. კედელზე არაფერია, თუ არ ჩავთვლით უსახურ, მორუხო რომბებიან შპალერს, ახალ-ჩამოსხული ფოტოებისა და პლაკატების მონარჩენ, დაჭიკარტებულ ნაგლეჯებს.

- დედა სადაა? – ვეკითხები.
- ქალიშვილი არ მპასუხობს.
- სკოლაში რატომ არა ხარ?
- ქალიშვილი არ მპასუხობს.
- პრობლემები გაქვს?
- ქალიშვილი არ მპასუხობს.
- ამოვიოხრე და ტახტზე ჩამოვჯექი. გვერდიდან ვუყურებ, პროფილში. არ მიყვარს ზურგთან საუბარი.
- არ მელაპარაკები?
- ქალიშვილი არ მპასუხობს.
- მოხდა რამე?
- ქალიშვილი არ მპასუხობს. კიდევ ერთხელ ამოვიოხრე. „მე ვობრავე, ესე იგი, ვარსებობ“, – გამიელვა.
- იქნებ დაგეხმარო? მითხარი, რა განუხებს?
- ქალიშვილი არ მპასუხობს.
- შეყვარებული ხარ?
- ქალიშვილი არ მპასუხობს.
- რა გჭირს? დეპრესია დაგეწყო? მითხარი, იქნებ როგორმე დაგეხმარო?
- უეცრად ქალიშვილმა კედელს მზერა მოაშორა, აღმაცერად გამოშხვდა და ჩაიდუღუნა:
- რა იცი შენ დეპრესიის...
- ჩემს თინეიჯერ შვილებს რატომღაც ჰგონიათ, რომ ჩვენ, ანუ მათი ღვიძლი დედ-მამა, ამქვეყნად არაფრის აზრზე არა ვართ (ანდროიდი ვერ გაგვიჩვენია აიპოდისგან). ეტყობა XXI საუკუნეში, რაღაც მანქანებით, პირდაპირ გამოქვაბულიდან შემოვძვერთო.
- დეპრესია? – ჩავიცინესავით, – დეპრესია რა არის, აბა, საიდან მეცოდინება, მამონტებზე ნადირობის მეტი არაფერი გამეგება...
- ეგეც არ გაგეგება... არაფერიც არ იცი, საერთოდ! – ამო-თქვა ქალიშვილმა და კედელს ისეთი ინტერესით მიაშტერდა,

თითქოს შუშისა იყო და მეზობელი, ანუ პარალელური განზომილება ჩანდა.

- რა იცი შენ დეპრესიის... – ლამისაა ჩურჩულით გამიერო.
- „სასწრაფოდ უნდა გავართო როგორმე!“ – გამიელვა და ვუუბნები:
- დეპრესია მეც კი მქონია, შენ წარმოიდგინე! გინდა მოგიყვე?
- არაფერი მიპასუხა. ორი წამი ვუცაადე, მერე კი გავაგრძელე ისეთი ტონით, თითქოს ძალიან-ძალიან შემეხებინა, მომიყვივო:
- კარგი, მოგიყვები... ერთობ ბოზოლა დეპრესია მქონდა... დაახლოებით შენხელა ვიყავი, არა, ორი-სამი წლით უფროსი... მოკლედ, მოვდივარ ერთხელ სახლში, შემოვუხევი სადარბაზოში და უცებ, კინაღამ ვიღაც გოგოს დავეჯახე... ჩაცუცქული იჯდა შესასვლელთან, კუთხეში და ტიროდა. ცხარე ცრემლით. ოღონდ უხმოდ. ოღონდ ტიროდა. მართლა... მწარედ.
- გავჩუმდი. ვუყურებ. მაინტერესებს, რეაქცია თუ ექნება. ხმას არ იღებს. კედელს უყურებს. მიმტერებელი.
- რატომღაც არ გაჩერდი, ჩავუარე, თუმცა კინაღამ გაჩერდი, მაგრამ რატომღაც არ გაჩერდი. მომერიდა. თუ შემრცხვა. მეთქი, რამე არ იფიქროს... იქვე ლიფტთან ჩემი მეზობელი ქალი დგას. ლიფტის კარი გაიღო, ორივენი შევედით. ლილაკს მივაჭირე. ავდივართ. ვუუბნები: „თუ ნახეთ, ვიღაც გოგო კუთხეში?“. „კი, ვნახე, – მპასუხობს, – შემეცოდა, რაღაც უჭირს, ეტყობა“. წამიერი პაუზა. „მინდოდა მეკითხა, ხომ არ დაგეხმარო-მეთქი, მაგრამ...“ – ვუუბნები. „მეც მინდოდა მეკითხა, მაგრამ რატომღაც არ გაჩერდი“, – მპასუხობს მეზობელი თითქოსდა სინანულით. „მერე რატომ არ გაჩერდი, შენ ხომ ქალი ხარ, შენ უფრო ადვილად დაელაპარაკებოდი!“ – ვფიქრობ ჩემთვის. ამასობაში ავედით მეთექვსმეტე სართულზე. ლიფტი გაჩერდა. კარი გაიღო. გამოვედით, ხაზგასმულად თავაზიანად დავემშვიდობე, ჩემი ბინის კარი გასაღებით გავაღე, შევედი, პირდაპირ ჩემს ოთახში შევაჭერი და ტახტზე დავეგდე გაუხდელად.
- გრძელი თმა ჰქონდა? – უცებ მეკითხება ქალიშვილი.
- რაა? – ვერ გავიგე.
- გრძელი თმა ჰქონდა იმ გოგოს?
- იმ გოგოს? – გავიმეორე, – კი, გრძელი თმა ჰქონდა, ნაბლისფერი... შენსავით.
- ქალიშვილს რეაქცია არ ჰქონია. ჭიკარტს მიაშტერდა. სასწრაფოდ გავაგრძელე:
- ჰოდა, დავეგდე ტახტზე, ვფიქრობ, ნეტავი რა ატირებდა და რატომ არ გაჩერდი, რატომ არ დაველაპარაკე, რატომ არ ვკითხე არაფერი, რატომ არ შევთავაზე დახმარება...
- გავჩუმდი. გვერდიდან ვუყურებ. მომეჩვენა, თითქოს

ტრანსშია. „კაიფში ხომ არაა?“ – გამიელვა, – “არა, რა სისულელეა, გოგო, თანაც ჩემი შვილია... წესიერი... მერე რა, წესიერმა გოგომ არ შეიძლება კაიფი დაიწყოს?... არა, არა... არ არსებობს, ჩემი შვილი მაგას არ იზამს, არ მჯერა... უბრალოდ დეპრესია აქვს... ბანალური დეპრესია“.

ამოვიოხრე და გავაგრძელე, ისტიბარგაუტეხლად: – ჰოდა, დამეწყო დეპრესია... არაფერი აღარ მინდა, არაფერი აღარ მაინტერესებს, ტელეფონზე არ ვპასუხობ, დედაჩემი საჭმელად მეძახის, არ მივდივარ, მადა დამეკარგა... მელაპარაკება, არ ვრეაგირებ... ვწევარ პირით კედლისკენ, ზურგით სამყაროსკენ, და ვუყურებ... ჭიკარტებს.

გავჩუმდი. ველოდები, იქნებ რამე თქვას. შენც არ მომიკვდე. ამოვიოხრე და გავაგრძელე:

– ჰოდა, ვარ დეპრესიაში ერთი დღე... და ერთი ღამე... მეორე დღით კი დედაჩემი მეუბნება, გუშინ ჩვენი სახლის სახურავიდან ვილაც გადამხტარაო... „მეთქი, ვინ?!“ „აბა, მე რა ვიცი, ვილაც გოგო“... მოკლედ, დავეგდე ისევ ტახტზე და... ჩავჭიკარტდი. წინა დღეს თუ ხუთბალიანი დეპრესია მქონდა, ეხლა ცხრაბალიანს უკაკუნებს... ღამით ჩამთვლიმა, როგორც იქნა, და უცებ სიზმარში ის გოგო გამომეცხადა, გრძელთმიანი

ბალერაა



გიორგი რობაქიძე "Drunk", 2012

ნი (თმა კოჭებამდე სცემდა), თეთრ გრძელ პერანგში, მეუბნება: „რომ არ გაჩერდი, იმიტომაც გადავხტი... ჩავიფიქრე, თუ შეიძლება შეიდი კაცი ჩამივლიდა და არცერთი არ გაჩერდებოდა, არაფერს მეტყოდა, არაფერს მკითხავდა, თავს მოვიკლავდი... შენ მეშვიდე აღმოჩნდი... იცოდე, ყოველ ღამე გამოგეცხადები, ყოველ ღამე მოვალ შენთან, მოგელანდები... უუუუუუუუ!“

ისეთი ხმა ამოვუშვი, ისეთი არამინიერ-სამარისმილმურ-გულისგანმგმირავი, მე თვითონაც კი გამაყრყოლა. ქალიშვილმა კედელს თვალი მოსწყვიტა, აღმაცერად გამომხედა. ამ რეაქციით გამხნევებულმა სხაპასხუპით გავაგრძელე:

– ჰოდა, მოკლედ, თავზარდაცემულს გამეღვიძა. უკვე დილაა. ავდექი, ჩავიცვი, პირზე ცივი წყალი შევისხი და ქუჩაში გავედი. სადარბაზოში, იქ, სადაც ის გოგო ვნახე ჩაცუცქული, გრძელთმიანი, მტირალი, შეეფეთე გოგოს.

- ვინ გოგოს?
- იმას.
- ვინ იმას?
- იმას, რო ტიროდა.
- ის ხო გადახტა.
- ვინ გითხრა?
- შენ!

პაუზა დავიჭირე. კედლისკენ მიბრუნდა, აღარ მიყურებს. ისევ ჭიკარტს მიაშტერდა. სამიოდე წამი ველოდე, მერე გავაგრძელე:

– მოკლედ, გადამიარა დეპრესიამ. მას მერე ორდღიანი დეპრესია ვიცი მხოლოდ. მესამე დღეს თავისით გადის... ქრება... მბეზრდება... ჭიკარტების თვალიერება... და ვინყებ ადამიანების თვალიერებას.

ქალიშვილმა გამომხედა, ერთობ სკეპტიკურ-ირონიულად, მერე მეუბნება:

- დეპრესია რომ გქონდა გავიგე, მაგრამ წამალი რაშია? შეფეთებაში?
- სახელში.
- სახელში?
- სახელში. სახელი უნდა გაიგო.
- გაიგე?
- გავიგე.
- რა ერქვა?
- შენც მშვენივრად იცი, რა ერქვა.
- საიდან უნდა ვიცოდე?
- დედაშენს რა ჰქვია, არ იცი?

აღმაცერად ჩაიცინა, კედლისკენ მიბრუნდა, ჭიკარტს თვალი გაუსწორა და ჩაიდუღუნა:

- და იმას რა ერქვა, ვინც მართლა გადახტა?
- არაფერი ვუპასუხე.
- იქნებ, სულაც, ჩემი სახელი?

არც ახლა ვუპასუხე, რატომღაც. ამოვიოხრე. ქალიშვილმა გააგრძელა:

- ამ შენს დეპრესიის წამალს არაუშავს, მაგრამ მე არ მიშველის.
- რატომ?
- იმიტომ, რომ ნებო არაა, გატეხილი გაამთელოს.

– გატეხილი გაამთელოს? – გავიმეორე დაფიქრებით, – და რა გატყდა რო, გული?

ქალიშვილმა ძალიან ნელა მოატრიალა თავი, შემომხედა, სულაც, თვალელებში ჩამხედა, წამიერი პაუზის შემდეგ მითხრა: – მოგიყვები, თუ ძალიან გინდა, მაგრამ ვიცი, არ დამიჯერებ.

– რა იცი? – მენწყინასავით. ამოვიოხრე.
– აი, ვნახოთ... ჩვენი სანაყი ხომ გახსოვს?
– სანაყი?
– ბრინჯაოს, ძველებური, დიდი ბეზას დროინდელი.
– ა, მივხვდი! – მართლა გვექონდა სახლში ძველისძველი, მეფისდროინდელი, მძიმე, ბრინჯაოს სანაყი, – მერე?

– ნავთის ლამპა ხომ გახსოვს? ძველებური, დიდი ბეზას დროინდელი. ცისფერი, ყვავილებიანი? დიდ ოთახში რო დგას ბუფეტზე!

– კი, აბა, არა! – სახლში მართლაც გვექონდა ძველისძველი, მეფისდროინდელი, ფაიფურის (თუ სქელი მინის), ძალიან ლამაზი, ცისფერი, ლარნაკით მოხატული ნავთის ლამპა, ოღონდ უშუშო და უპატრუქო. ანუ უფუნქციო, – მერე?

– მოკლედ, – წამიერი დაყოვნების შემდეგ გააგრძელა, – ამას წინათ სანაყი სამზარეულოდან დიდ ოთახში გავიტანე. ქინძის თესლს ვნაყავდი. დედა ტყემალს აკეთებდა. დახმარება მთხოვა.

კინდამ, თავზე ხელი გადავუსვი. ბოლო წამს შევიკავე თავი. ქალიშვილმა დაკვირვებით გამომხედა, გააგრძელა:

– მოკლედ, დამრჩა დიდ ოთახში. რატომღაც ბუფეტზე შემოვდგი. ნავთის ლამპის გვერდით, – თქვა და მრავალმნიშვნელოვნად გაჩუმდა.

– მერე?
– მერე დედამ გაიტანა სამზარეულოში. მეჩხუბა, რატომ დატოვეო.

– მერე?
– მერე ის, რომ მეორე დილას ისევ დიდ ოთახში აღმოჩნდა, იატაკზე, ბუფეტის წინ.

– მერე?
– მერე, მესამე დილასაც... იატაკზე, ბუფეტის წინ... დედას გაჰქონდა სამზარეულოში, თან მეჩხუბებოდა, რას დაათრევ ამ სანაყს აქეთ-იქითო.

– და რას დაათრევდი?
ქალიშვილმა უხმოდ შემომხედა, დიდხანს მიყურა, რატომღაც ამოიოხრა. თავიც კი გააქნია. ჩამომარცვლა:

– მ ა რ თ ლ ა ვერა ფ ე რ ს ხედები?
– ჰოო, – ჩავილაპარაკე, – ბარაბაშეებოდა გვაკლდა.
– ეეე, მამი, მამი.. – ხელი ჩაიქნია, – ხო ვამბობდი, არ დამიჯერებ-მეთქი!

– რა უნდა დაგიჯერო?! – გავბრაზდი, – ბეზაჩემის სანაყს ბეზაჩემისვე ლამპარი რო შეუყვარდა?

– თქვენ ისეთი ტიპები ხართ, საკუთარი თვალთ რომ ნახოთ, მაინც არ დაიჯერებთ.

– ვინ, ჩვენ?!
– თქვენ!
გამეცინა.
– რას იცინი?!

– აბა, ვიტყვო?
არაფერი მიპასუხა, უცებ მობილური გააძრო. ცხივრწინ და-მიტრიალა.

– ეს რა არის? – ცოტა არ იყოს, უაზროდ ვიკითხე.
– რა არის და, ის!
– რა, ის?
– რასაც არ იჯერებ!
– ოჰ, კარგი რა, მომბეზრდა ეს მაიმუნობა! – ხელი ავიქნიე, წამოდგომა დავაპირე.
– აჰ, მოგბეზრდა?! – გაცხარდა ჩემი ქალიშვილი, – არა, ბატონო მამა, დაჯექი და უყურე!

ლილაკს დააჭირა, მობილური მომაჩერა. ციციქნა ეკრანს დაეხედე. თავიდან ვერაფერი გავარჩიე. თავიდან ბნელოდა. მერე რაღაც მომცრო, შავი სილუეტი დავლანდე, ფორმით მართლაც სანაყს მიაგავდა, იატაკზე მოძრაობდა, თითქოს მოხობავსო... სასტუმრო ოთახში ნახევრად ბნელოდა, შუქი ეტყობა მხოლოდ დერეფანში ენთო... სანაყი (თუ რაღაც) პარკეტზე წყვეტილი მოძრაობით მიინეგდა ბუფეტისკენ. ასე, თხუთმეტი-ოცი სანტიმეტრით გაცურდებოდა წინ, თითქოს მძლავრი ბიძგით, და ეგრევე შედგებოდა. მერე ისევ ამოდრავდებოდა, ისევ გაჩერდებოდა.. ისევ და ისევ...

– ეს რა ჯანდაბაა?..
– მიდი, მიდი, უყურე!
– რას უნდა ვუყურო, ძაფი გამოგიბამთ და ქაჩავთ!
– რა ძაფი?!
– რა ვიცი მე რა... კაპრონის, ეტყობა... რო არ განყდეს. ანდა ლესკა. ლესკით ქაჩავთ!..
– რა ლესკით ვქაჩავთ?! რატო?!
– მე მეკითხები? მე რა ვიცი, რატო!.. ერთობით, ეტყობა და იმიტო!

ქალიშვილი მომიტრიალდა, დამაკვირდა, ხელი შუბლზე დამადო. თავი გადააქნია, დაფიქრებით ჩაილაპარაკა:

– არა, სიცხე თითქოს არა გაქვს..
მართლა გავბრაზდი. ხელი ავუქნიე, წამოვდექი:
– რეებსა ბედავ! გააფრ...

სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, უცნაური მელოდია მომესმა. მობილურიდან მოდიოდა, მარცხენა ხელში რო მეჭირა. ეკრანს დაეხედე. სანაყი ბუფეტის წინ გაჩერებულიყო, ზუსტად იმ ადგილის ქვეშ, სადაც ლამპარი იდგა.

– ეს რა ხმაა?!
– მოიცა! მოისმინე!

უეცრად მელოდია შეიცვალა. ახალი გაისმა, განსხვავებული. თუმცა სიტყვა “მელოდიას” პირობითად ვხმარობ. თავდაპირველი ხმა უფრო ვიბრაციასა ჰგავდა, ზრიალნარევე ყრუ გუგუნს, ბრინჯაოს გულის დუგდუგს, ბგერები თან დაუნაწევრებელი, განულოლი, თანაც, დროდადრო, მკაფიოდ გამოკვეთილი, მკვეთრი და რიტმული, თუმცა უცნაურად სასიამოვნო მოსასმენი იყო. აი, ახალ ხმას კი სიტყვა „მელოდია“ უფრო შეეფერებოდა, წკრიალნარევე ჩუმ ზუზუნს მოგაგონებდა, ტონალობა ეცვლებოდა, ხან უცებ მაღლდებოდა, ხანაც დაბლა იწევდა, თითქოს თრთოდა, – ყურისთვის რატომღაც ესეც ერთობ სასიამოვნოდ ჟღერდა.

წამიერი პაუზის შემდეგ ისევ ის პირველი ხმა გაისმა.

ოლონდ, ამჯერად, ინტონაცია თითქოს შეეცვალა, მელოდიურ გუგუნს თითქოს მუდარის ნოტები შეერიაო. მერე კვლავ მეორე ხმა გავიგონე... ამჯერად მელოდია თითქოს უფრო მკაცრად ჟღერდა... ეს ორი ხმა სწრაფ-სწრაფად ენაცვლებოდა ერთმანეთს, რაც დიალოგის შთაბეჭდილებასა ქმნიდა. ტახტზე ჩამოვჯექი, ქალიშვილის გვერდით. რალაც ხანი უცნაურ "მუსიკას" მონუსხულივით ვაყურადებდი.

მერე თითქოს გამოვფხიზლდი, თუ გონზე მოვედი. მობილური გავთიშე. ამოვიოხრე, ქალიშვილს დავეუბღვირე:

- ეს რა მასხარაობაა?!
- რატოა მასხარაობა?
- აბა, არ არის?!
- ყველაფერია მასხარაობის გარდა!
- იცი რა, შვილო ჩემო, ეს თქვენი ელექტრონული თუ კომპიუტერული მუსიკა არ მეგასება!
- აჰ, მართლა? კომპიუტერული მუსიკა არ გეგასება?! აბა, რა გეგასება, „დენ პაბელი“?
- მე იმის თქმა მინდა, გენაცვალე, რომ ეგეთ იაფფასიან მისტიფიკაციას არ ვჭამ! არც ეგეთი დებილი ვარ!
- ქალიშვილმა მწარედ ჩაიცინა, ჩაილაპარაკა:

ბაღირა



გიორგი რობაქიძე „შიშველი მოხუცი“, 2012

- ხო ვამბობდი, მაინც არ დაიჯერებ-მეთქი...
- უეცრად მობილური ამართვა, მარჯვენა ხელში ჩაბლუჯა და რატომღაც გულზე მიიძო (თუ, გულში ჩაიკრა?). მერე უცებ თითქოს თვალები ჩაუქრაო, ისევ დაჯდა ტახტზე ფეხმორთხმით, სახით კედლისკენ. ანუ ზურგი შემექცია. „არა, ჩემო კარგო, ასე არ გამოვა!“ – გავიფიქრე და ვეუბნები:
- კარგი, დავუშვათ, არაა მისტიფიკაცია. დავუშვათ, მართალია... მერე რა?
- მერე არაფერი??!
- ერთიანად შემობრუნდა, ფეხები იატაკზე ჩამოუშვა, ღოინჯი შემოიყარა და მომაშტერდა.
- კარგი, დანყნარდი, – ლამისაა დაყვავებით ვეუბნები, – კარგი, ჰო, ამიხსენი, მაშინ რა.
- არ გესმოდა, რას ლაპარაკობდნენ?
- ლაპარაკობდნენ?!
- ნუ, მღეროდნენ!... წამღერებით ლაპარაკობენ!
- ლაპარაკობენ? არავითარი ლაპარაკი ეგ არაა... მესმოდა ელექტრონული „მუსიკა“, უფრო სწორად, ზრიალ-წკრიალი და გუგუნ-ზუზუნი... თუ დუგდუგი.
- და რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ვერ ხვდები?
- რას უნდა ნიშნავდეს? რალაც უაზრო ხმებია! მუსიკასაც კი ვერ დაარქმევ, კაცმა რომ თქვას!
- ქალიშვილმა რატომღაც ტუჩზე იკბინა, უცებ მობილური მალლა ასწია, ხელი შემართა (წამით კიდევ მეგონა, რომ ფანჯარაში უპირებდა გადაგებას) ცოტა ხანი ასე ეჭირა და უცებ იქვე ბალიშზე დაასვენა ფრთხილად, ღილაკს დააჭირა, ჩართო. ყრუ დუგდუგი გაისმა. ეგრევე გამორთო, გამომხედა, გამიღიმა და სრულიად წყნარად მკითხა:
- გინდა გითარგმნო?
- რა უნდა მითარგმნო?! – ისევ გავღიზიანდი. თავს ძლივს ვიკავებ, ყვირილი რომ არ ავტეხო.
- რა და, რასაც ლაპარაკობენ!
- კი არ ამოვიოხრე, ამოვიგმინე. გაეცინა.
- მართლა უცნაურია, რომ არ გესმის... მე თუ მესმის, შენ რატომ არ გესმის მათი ლაპარაკი, ბატონო მამა?
- „ბატონო მამა“ ერთობ ნატიფი ირონიით წარმოთქვა. უცებ ვიგრძენი, როგორ დამღალა და ყოველგვარი ოხვრა-გმინვის გარეშე ვუთხარი:
- შვილო, ფანტაზიური რო იყავი, ისედაც ვიცოდი დიდი ხანია, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია.
- წამიერი პაუზის შემდეგ სერიოზული გამომეტყველებით მეკითხება:
- მამიკო, უნივერსიტეტიდან რატომ არ გიშვებენ?
- რას ნიშნავს, რატომ არ მიშვებენ?
- ჰო, რატომ არ გიშვებენ? რატომ არ გამოგაგდეს აქამდე?
- და რატომ უნდა გამომაგდონ?!
- ვინც კაი ტიპია, ყველას აგდებენ და იმიტომ!
- ახლა კი მართლა გავბრაზდი (წნევაც კი ამივარდა, მგონი, – ვიგრძენი, უცებ როგორ შემახურა). თუმცა თავი როგორღაც შევიკავე და სრულიად მშვიდი ხმით ვუთხარი:
- უშვებენ იმას, ვინც პოლიტიკაშია გარეული. მე პოლიტიკაში არ ვერევი. პოლიტიკა ბინძური საქმეა. პოლიტიკაში მიდის ის, ვისაც უნდა ხალხი დააბოლოს, დაიბრიყვოს, თავზე

მოაჯდეს... ხალხის ხარჯზე იბაირამოს!

– ანუ, შენ გინდა თქვა, რომ კაი ტიპი ხარ, არა?

არაფერი ვუპასუხე. ირონიულად გაეუღიმე, მეთქი, აბა, და-ფიქრდი, რას მეკითხები?

რალაც ხანს უხმოდ ვუყურებდით ერთმანეთს. ბოლოს ჩემ-მა ქალიშვილმა თავი დახარა, ჩუმად ჩაილაპარაკა:

– არ ვიცი, შეიძლება მართლა კაი ტიპი ხარ, მამიკო... ძა-ლიანაც მინდა, რომ კაი ტიპი იყო, მამიკო... მაგრამ რატომ, რატომ არ გესმის სანაყისა და ლამპარის ლაპარაკი? რატომ?!

უკვე მართლა ყელში ამომივიდა ეს ყველაფერი, მაგრამ მაინც შევეცადე ხუმრობაში გადამეყვანა:

– როგორ არ მესმის, მაგრამ ეგ რომ გამოვთქვა, რასაც ლაპარაკობენ, პოეტი უნდა ვიყო, მაგრამ რა ვქნა, პოეტი კი არა, პალეონტოლოგი ვარ!

ქალიშვილმა გაოცებით შემომხედა, შუბლი შეეჭმუნხა, ეტყობა, ვერ გაიგო, სერიოზულად ვამბობდი თუ ვშაყირობ-დი. მიყურა, მიყურა და მერე მეუბნება:

– შენ თვითონაც არ იცი, მამიკო, როგორი ნაღდი რალაც თქვი... მათი ლაპარაკი მართლა პოეზიაა... ოღონდ ტრაგი-კული...

– ტრაგიკული? იქნებ ტრაგიკომიკური? ან იქნებ...

სიტყვის დამთავრება ვერ მოვასწარი, გამანყვეტინა:

– იცი, როგორ შემეცოდა? იცი, როგორ? – ხმა გაეზარა.

„მგონი, ტირილს აპირებს!“ – გამიელვა.

– შვილიკო, შვილიკო... – ვეუბნები და თავზე ხელს ვუსვამ, მაგრამ არ ვიცი, რა ვუთხრა. რადგან არ ვიცი, რას განიცდის

და რა ანუხებს – და, აბა, როგორ დავამშვიდო?

უცებ ცრემლები წასკდა. ჩამეხუტა. ქვითინით მეუბნება:

– იცი, როგორ უყვარდა, იცი, როგორ?!.. გული გაუსკდა, გული!.. იმ საზიზღარმა ლამპარმა უთხრა: სად მე და სად შენ, საერთოდ როგორ ბედავ, ასეთი ტლუ, ხეპრე და რეგვენი რო მელაპარაკები, მთელი ცხოვრება თავში ფილთაქვას გირაკუ-ნებენ, შე საცოდავო და უბადრუკოო... იმას კიდევ ისე უყვარ-და, ისე, რომ... ვერ გაუძლო, გული გაუსკდა! გული!

ვამშვიდებ, ვეფერები და უცებ შემეშინდა. „ხომ არ გააფრი-ნა? ავადაა?! რა ვუმელო?! რა ვუთხრა?! რა ვუყო?!“ გულა-მოსკვნილი ტიროდა... მწარედ, მართლა მწარედ. დავიბენი.

არ ვიცი რამდენი ხანი იტირა, სამი წუთი, ხუთი თუ თხუთ-მეტი. ნელ-ნელა მიყურდა. მერე კი უცებ წამოდგა, რალაც მუყაოს კოლოფი აიღო და მომანოდა. მექანიკურად გამოვარ-თვი და კინალამ ხელიდან გამივარდა, ისეთი მძიმე აღმოჩნდა. ტახტზე დავდე, თავსახური ავხადე. შიგ დამსხვრეული ბრინ-ჯაოს სანაყის ნაკუნები ეყარა.

* * *

მე, რასაკვირველია, ამ ზღაპრებისა არ მჯერა. და არცერ-თი ჭკუათმყოფელი ადამიანი არ დაიჯერებს. ოღონდ ერთი რალაც ვერ გამიგია, რა ძალამ შეიძლება დაამსხვრიოს ბრინ-ჯაოს მძიმე, მონოლითური სანაყი? დაამსხვრიოს ნაკუნებად, შუმსავით?

რა ძალამ?

07.10.2012





ლევან შაქარაშვილი

პოეტი

ლევანი ამბობს, რომ პოეზია არ მოსწონს, მაგრამ წერს, რადგან სხვა არაფერი ეხერხება; – რომ პოეტები, რომლებიც ყველას და ყველაფერს საკუთარი შემოქმედებით პრიზმიდან უყურებენ, მისთვის გამაღიზიანებლები არიან – თავისი უბოროტო, ერთი შეხედვით, ინფანტილური ნატურით; თუმცა, თავადაც პოეტია. თითქოს, ძნელად ეგუება ბედისწერას – შემოქმედებითად ასახოს გარემო, რომელშიც უამრავი პრობლემაა და რაც, მისივე თქმით, ცხოვრებას საინტერესო ელფერს აძლევს; ცხადია, სიძნელეებს არ გაუბრბის. ასე ხსნის: „არაა აუცილებელი მანერული ვიყო – რამე მიღებული პოზა მეჭიროს, რომ კარგად ვწერო“. წერით კი, ძირითადად, ღამე წერს, როცა მარტო რჩება, ხშირად – სასმელთან ერთად.

ლევანის ლექსები ძირითადად ნარატიულია, თუმცა ამბები, რომელსაც გადმოსცემს შეზავებულია ექსპრესიით; შესაბამისად, რჩება ლექსში მიმდინარე მოვლენების ინტუიტიური წვდომის შესაძლებლობა – ამის გარეშე შეუძლებელიც კი ხდება, განსაზღვრო, რას ადევნებ თვალს ან საიდან იღებს ნარატივი სათავეს; ამბავი არამკაფიოა – მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მხატვრულ ნიალსაა ამოფარებული. მაგალითად, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ლექსი „Marguerite“ ეხმიანება პაულ ცელანის „სიკვდილის ფუგას“ (რომელიც მეტაფორულად ფაშიზმის მიერ ადამიანთა დევნის ამბავს აღწერს) – სახელის მსგავსება და ლექსში სიკვდილის ტერორის ფიგურირება, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ლირიკულ გმირს, ასევე, „ბახის ნოტები“ – მიანიშნებენ ავტორის მცდელობაზე, ასახოს ქალის განცდები, რომელიც განზოგადებული სახეა მისი, ვინც ფაშიზმის გავლენის ქვეშ მოექცა და სისასტიკის პასიური თანამონაწილე გახდა. ეს ლექსი, თუ ფინალსაც გავითვალისწინებთ, თანაგრძნობის მაგალითს იძლევა.

ლევანი დაიბადა 1987 წლის 16 ოქტომბერს. დაოჯახებულია და ჰყავს შვილი. რამდენიმე წელია, რაც აქტიურად აქვეყნებს ლექსებს ინტერნეტ პორტალებზე. დღევანდელი პუბლიკაცია მისთვის დებიუტია.

MARGUERITE

მარგარეტ, ნუ უსმენ ამ ხმებს,
ეს მელოდია ღმერთებს ეკუთვნით
და სისხლი:
რომელიც უკვე წლებია ველარ გრძნობს შენს ძარღვებს.
მოეშვი.
ვხედავ ამ კედლებზე გაიდგეს ფესვები შენს ტანში,
აღბათ ხედები, რომ აღარც ეს ოთახია შენი
და ყურნალები, ბახის ნოტებით გადატვირთული,
რა უცნაურად იკარგებიან ზურგს უკან დაშვებულ სიშავეში.
(ქვიშის ნავეებით გადმოიტანე ცა ღრუბლებს ქვემოთ)
მარგარეტ, გთხოვ, ნუ უსმენ!
თორემ ხომ ხედავ: სიკვდილიც დაიღალა შენით
და როგორ გამსხვრევს ძვლებში გადაულელებელი წვიმები.
დაივიწყე ის, რაც არასდროს ყოფილა შენს ცხოვრებაში,
თუნდაც გინევედეს ყოველ ღამით თვალების დათხრა.
დაივიწყე ყველაფერი, ოღონდ იარე,
უმისამართო გზებით იარე მუხლებამდე შეჭმულმა
და შენი ხელები, თვალებდახუჭულმა, მიეცი დღეებს,
იქნებ სიბრძნვემ შეგიმსუბუქოს ტკივილი.
იმოდრავე საკუთარი სხეულის გარშემო,
შეიძლება ეს ერთადერთი გზაა,
რომელიც მოგხსნის ამ ცოდვებს
და ქუჩებზე თმებით დაკიდულს,
სახლებიდან გამოსული ხმაური,
გარდაცვლილი ბავშვების ლოცვა რომ გგონია.
მარგარეტ, ნუ უსმენ!
მერე რა, თუ დღითიდღე კარგავ საკუთარ თავს
ვილაცის უცნაურ ბოდვებში.
მერე რა, თუ შენ დაგივიწყეს ღმერთებმა
და არც შენი სიტყვები ესმის ვინმეს.
ნუ ამოიღებ ხმას, ნურაფერს იტყვი, არ მოუხმინო ამ ხმებს
და სანამ ბოლომდე დაგლრდის შენივე არსებობა,
მე მზად ვარ,
შენი შეშლილობის ნიადაგზე გამოგონილი მოჩვენება,
გამუდმებით ვინც შენს გვერდით,
პროდჰერტის გადატეხილ მოსახვევთან
და ცხოვრებით დალილს, გამოცეცკალო სიზმრები,
ყოველი ამოსუნთქვის შემდეგ!

თარგმამტარი

სისხაში დილაა,
თერთმეტი ღურჯ ფორმიანი
ერთ ხაზზე დგას კედელთან.
ერთ-ერთი მათგანი,
მისთვის უცხოურ ენაზე
ლიღინებს სიმღერას.
ჩემო მეგობრებო,
ეს სიმღერა,
ბუდაპეშტის მახლობლად
აფეთქებულ ისტორიულ ძეგლზეა,
მაგრამ არც ისე დამაჯერებლად სევდიანი.
კედლის მიღმა ბავშვების სიცილ-კისკისი,

ოფლისა და შიშის სუნს
 სამსართულიანი სახლის სახურავზე კვეთს
 და ფორთოხალივით ყვირთვდება.
 (არაბეთში,
 ვინმე სულაი იზნ იერდერ მოჰამედი
 ღრმად წაულია ფიქრს მთაში უპატრონოდ
 გაშვებულ ცხვრებზე.
 თვითონ კი ზის ახლა სკოლაში
 და დროდადრო უსმენს თავხედ, უსუსურ
 მონაფეებს.)
 აი, ეროვნული მარკის მანქანაც გაჩერდა.
 სამხედრო მისალმება თერთმეტიდან სულ
 ყველას
 აკრთობს და ეძინებათ.
 ბრძანება გაცემულია,
 ახლა რიგითი ჯარისკაცი ხელს ზევით აწევს
 და დაშვებთანავე თერთმეტივეს
 ერთდროულად დახვრეტენ.
 მაგრამ მე დარწმუნებული ვარ!
 ამ თერთმეტიდან ერთი,
 ზუსტად კი მარჯვნიდან მეთოთხე,
 სიკვდილის წინ აუცილებლად გაიფიქრებს:
 რომ ადამიანს,
 ვერც რელიგიური,
 ვერც ფიზიკური და სულიერი სითბო ვერ
 გაათბობს ისე,
 როგორც მზე.
 ამიტომ გაუმარჯოს მზეს,
 ამ უზარმაზარ და აჭომურ ნათურას.

ჩემი მესამე რკინის ფრინველი
 ის მთელი დღეა დაგეძებს,
 ძლიერი ქარის დროს წაქცეულ ხეებს შორის
 და უკვე თითქმის ნებდება.
 ამ ოთახში კი მოყვითალოა ეს მინები,
 საიდანაც ის არ ჩანს და არც მისი იარაღის
 ხმა აღწევს აქამდე,
 ალბათ წაიქცა სადმე, თორემ რაა რომ ვერ
 ვგრძნობ შენს ცივ სხეულს
 და არც საკუთარი სისხლით ვიხრჩობი.
 ღმერთო ჩემო, რა წამიერად შევიზიზღე
 არსება შენი,
 ამ ოთახშიც ჩააქრე მუქი,
 არ მინდა გიყურო, როგორ მთავრდები,
 თორემ ვიცი უეჭველად გამოგთხრი
 თვალებს
 და მათ სიღრმეებში გამოკვეთილ ფიგურებს,
 ამ საშინელი სახლის კედლებში,
 საიდუმლოდ გადავიწახვავ საკუთარ თავთან
 ერთად.
 თითქოს არაფერი, მაგრამ ეს ნაბიჯები
 დროდადრო უფრო ახლოვდება,
 ჯერ კიდევ სიზმრებიდან, ერთი კვირის წინ

რომ ვიხილე.
 ვეფიქრობ:
 უეჭველად მამაკაცია იარაღით ხელში,
 ოდნავი წვერი ამშვენებს მის სახეს
 და უფრო ასევედინებს პატარა ბავშვი,
 რომელიც ახლა სახლშია მარტო და სჯერა:
 რომ ამ შუალამისას თუ არა, გამოთენისას
 უთუოდ შეეხება
 აკანკალებულ დედის ხელებს.
 ამიტომ წადი, მოატყუე,
 ვითომ შენც იქ იყავი,
 აი, იმ ძლიერი ქარის დროს წაქცეულ ხეებს
 შორის
 და ინანიებ, რომ შემთხვევით ასცდით
 ერთმანეთს.
 მოატყუე, ათასი რამ მოატყუე,
 უთხარი ვითომ ზღვის ნაპირებმა შეგიტყუა
 ასე ღრმად
 და უკან ტალღები მოჩანდა მხოლოდ.
 უთხარი თითქოს მუსიკა იყო სადღაც,
 მაგრამ არც იქ ჰქონდათ ნიჩბები შენთვის.
 მოატყუე, ათასი რამ მოატყუე,
 ოღონდ ახლა წადი,
 წადი და ამიერიდან, აღარც ერთ
 გაზაფხულზე არ მომაკითხო.

კომპასი
 შინოდი ოტოგავა
 მიღეულ ბაღში კრეფს ჩაის ფოთლებს.
 ტყის შრიალი თეთრია -
 თხელი ბამბის ქულებად რომ მოედო
 სახლის სახურავს.
 წვრილი ყლორტები დაბერა მყუდროებაში
 ძაფის მსგავსი მდინარის ახლოს.
 ქალწულთა სხეულს მალაღი მთების ლოცვა
 დროდადრო აკრთობს
 და დილის მზის არცერთი სხივი არ აღწევს
 ვაკონში,
 შუა ღამისას,
 დაკლაკნილ ლიანდაგებს რომ ასცდა,
 მგზავრებით სავსე.

წყლის საბათი
 არის ცა,
 არის ხმელეთი,
 არის კიდევ ზღვა
 და კენჭები ამ ზღვასთან,
 მაგრამ ჩვენ ქვები ვართ:
 ერთმანეთთან ისე ახლოს დადებული,
 რომ ვგრძნობთ ერთი-მეორის სიმლაშეს.
 არის კიდევ ქარი,
 არის ტალღები ამ ზღვის
 და არის მომენტო,

როდესაც ეს ტალღა დაგვაშორებს.
 შენ იქით იქნები, შორს,
 მე - აქეთ, მე - შორს, მე - ბევრად უფრო
 შორს.
 ჩვენ მოვიწყენთ ვილაციის თვალში,
 გამველეოს თვალში
 და დაგიძახებ:
 მოგმართავ სახელით:
 შემომხედე, მე აქ ვარ,
 აქეთ ვარ და მე ვარ მე,
 მე შემომხედე, მე ამითან მძინავს
 და გაჩვენებ არავის.
 მე რე დაძინებ შენ,
 შენც მაჩვენებ რაღაცას უცხო თვალში,
 გამველეოს თვალში
 და ზღვა იქნება წყნარი,
 მხოლოდ ჩემი დაცემის ხმა „ჭყლუჭ“
 იქნება პასუხი შენთვის.

არის ტყე,
 არის ტბა,
 არის კიდევ ფრინველები
 ამ ტბის თავზე, ტყის თავზე
 და შორს ამ ყველაფრიდან.
 არის კიდევ რაღაც.

სახაზაში
 ახალგაზრდა ვიყავი,
 ჯერ კიდევ ხარბად ვყარდი თავლისა
 და შუენცნობელი თავისუფლების სუნად.
 მიწა ვიყავი, მიწა,
 ზედ ამოსული მაღალი ხეების რიგი,
 მდინარე, ზღვა
 და უამრავი თევზი ვიყავი ამ ზღვაში.
 ჩემს შიგნით, ღრმად ყურში
 თავსა და თირკმელებში
 მოძრაობდა მთელი სამყარო,
 ეს დაუსრულებელი
 და მზესავით ცხელი სიცოცხლის ბურთი.
 ახლა კი, ოთხმოც წელს მიტანილი,
 ბებერი და მახინჯი,
 ჩემი ძველი სახლის ფანჯრებიდან
 ჩუმად და სირცხვილის საუცხოო გრძნობით
 ატანილი,
 ძლივსღა ვაყოლებ თვალს
 ცელქი, საზიზღარი
 და ლამაზი ბავშვების სილაში თამაშს
 და ვხვდები:
 რომ სახლი კი არა,
 ანდა ქალაქი და სიმღერა კი არა,
 უბრალოდ, ყუთი ვარ მე, ყუთი,
 მღრღნელი მწერების ბუდე
 და სიკვდილის სამალავი.

მო იანი: ბარბან ნითელი, შიხნიდან გამჭვირვალე ბოლოკი

ავტორი გიორგი ლომიანიძე



ნობელის კომიტეტის 2012 წლის გადაწყვეტილება, ლიტერატურაში პრემია ჩინელი ავტორის მო იანისათვის მიენიჭებინა, ალბათ ჩინეთის გარდა, დანარჩენი მსოფლიოსათვის მოულოდნელობა აღმოჩნდა და არა იმიტომ, იმსახურებდა თუ არა ეს მწერალი დაფასებას, არამედ იმის გამო, რომ მას უზრალოდ სამშობლოს საზღვრებს გარეთ თითქმის არავინ იცნობს. ინგლისურადაც კი ამ ავტორის სულ რამდენიმე რომანი თარგმნილი, მაგრამ ეს, ეტყობა, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა კომიტეტის წევრებს მისი ნიჭი შეემჩნიათ და დაეფასებინათ. რა თქმა უნდა, თუ აქაც ისეთივე კონსერვატივობა არ იმუშავა, რასაც წლების განმავლობაში ანგარიშს უწევენ შედეგის აკადემიის პატივცემული წევრები.

ყოველ შემთხვევაში, თითქმის მთელი მსოფლიო ამ კაცს არა თავისი ნაწერის, არამედ მისი მოთხრობის, 1986 წელს დასტამბული „ნითელი გალიანის“ ეკრანიზაციის წყალობით იცნობს, რომელიც წიგნის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ განახორციელა ჩინელმა რეჟისორმა ჩჟან იმოუმ და ეს ფილმი ბერლინის კინოფესტივალის „ოქროს დათვივაც“ აღინიშნა. თვითონ რომანს კი გამოსვლის წელსვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული პრემია მიენიჭა.

ნაწარმოების სიუჟეტი საკმაოდ მარტივია: მოქმედება იაპონიასთან ომის ფონზე მიმდინარეობს მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ამბავს ჰყვება მთავარი პერსონაჟების შვილიშვილი და ადგილ-ადგილ დარღვეულია სიუჟეტის თანმიმდევრულობა, რომელიც საკმაოდ დაძაბულად ვითარდება:

19 წლის გლეხის გოგოს ცხოუცვის მშობლები ძალად ათხოვებენ კეთილშობილ მოხუცებულზე, რომელიც არაყის სახდელის მფლობელი და შეძლებული ადამიანია. საქორწინო ცერემონიის დროს, პატარძლის ჩარდახის ერთ-ერთ მტვირთველს, ახალგაზრდა გაბედულ იუეისა და პატარძალს შორის მოულოდნელად იფეთქებს ორმხრივი გრძნობა. იუეი მოიტაცებს ქალს და ნითელი გალიანის ხეობაში გადამაღავს, სადაც ისინი სიყვარულს ეძლევიან. მოხუცებული საქმროს საიდუმლოებით მოცული სიკვდილის შემდგომ კი ახალგაზრდა წყვილი არაყის სახდელს დაეპატრონება და გალიანის ნითელი ღვინის წარმოებას დაიწყებს. მშვიდობიან ცხოვრებას იაპონელთა მოულოდნელი შემოსევა არღვევს, სოფლის მცხოვრებნი იხოცებიან, მაგრამ მომხდურს მედგარ წინააღმდეგობას უწევენ...

მოკლედ, ქართველ მკითხველს ალბათ, რაღაცით, მთელი ეს სიუჟეტი ალექსანდრე ყაზბეგის „ხევსბერი გოჩას“ მოტივებსაც გაახსენებს, მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ეს სულაც არ არის. ყაზბეგისაგან განსხვავებით, ჩინელ ნობელიანტს არასოდეს გაჭირვებული ყოფა არ ჰქონია.

1955 წლის 17 თებერვალს ჩინეთში, ქალაქ შანდუნში დაბადებული მო იანი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია მოეგუანი, ხოლო ლიტერატურული ფსევდონიმი ჩინურად ნიშნავს „გაჩუმდი!“, ეტყობა, მისდევდა თავისი ფსევდონიმის კარნახს და სადაც და რაზეც ღუმილი იყო საჭირო, იქ და იმ თემზე არასოდეს ლაპარაკობდა.

როგორც მისი ოფიციალური ბიოგრაფიიდან ჩანს, ერთადერთი დისკომფორტი, რაც ჩინური კომუნიზმის არსებობამ შეუქმნა, იყო ის, რომ 11 წლის ასაკში „უკულ-

ტურული რევოლუციის“ გამო სკოლის დატოვებამ მოუწია.

1976 წელს, რამდენიმეჯგუფის უარის შემდგომ, ბოლოსდაბოლოს, არმიამ შევიდა და სწავლა-განათლების მიღებაც იქვე გააგრძელა. ამავე დროს არმიამ მსახურობდა რიგით პოლიტმუშაკად. 1984 წელს ჩინეთის ხელოვნების აკადემიის მსმენელი გახდა, ხოლო მოგვიანებით – ლუ სინის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის ასპირანტი. 1986 წელს მიიღეს ჩინეთის მწერალთა კავშირის წევრად, დღეს კი ამ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი უკავია. სამხედრო შეიარაღებული ძალებიდან 1987 წელს გავიდა პენსიაზე და გაზეთის რედაქტორი გახდა.

აი, ასეთია წლებგანდელი ჩინელი ნობელიანტის მოკლე ბიოგრაფია, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს მწერლის ნამდვილი ცხოვრების შესახებ ბევრს ვერაფერს უამბობს და იქნებ, მის მიმართ წინასწარვე უარყოფიდაც კი განაწყის ისინი, ვისაც კომუნიზმის ურჩხული და ამ ურჩხულთან მოთანამშრომლე „ინტელექტუალური მუშაკების“ პარტიული აღტყინება უნახავს.

თუმცა, საინტერესო ჩანს მო იანის ლიტერატურული კარიერა. იგი ჩინელი მწერლების იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც ლიტერატურაში გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მოვიდა. მის მწერლობას კი ჩინელი კრიტიკოსები „ეროვნული ძირების ძიების“ ნაკადს მიაკუთვნებენ. მისი პირველი მოთხრობა „ხალხური მუსიკა“ ტრადიციული რეალისტური მანერით დაწერილი ნაწარმოებია, მაგრამ უკვე 80-იანი წლების ბოლოდან მკვეთრად იცვლება მო იანის შემოქმედებითი ხელნერა. პირველი აღიარება ავტორს მოუტანა მოთხრობამ რომელსაც ჰქვია „გარედან ნითელი და შიგნიდან გამჭვირვალე ბოლოკი“. უკვე ამ მოთხრობაშივე ჩანს ყველა ის მხატვრული თავისებურება, რამაც მო იანი თანამედროვე ჩინური ლიტერატურის ნამდვილ ოსტატად ჩამოაყალიბა: ძალზე ექსპრესიული ენა, რომელიც სექსუალური სცენების აღწერისას ხდება უკიდურესად

ვულგარული, ხოლო მითებისა და ლეგენდების ინტერპრეტაციისას უაღრესად დახვეწილი და ლირიკული. ამ ორ მიჯნას შორის ენობრივი თამაშები კი წლევაწდელი ნობელიანტის ნამდვილი სტიქიაა.

მწერლის კიდევ ერთი რომანი „სანდალოზის ხის წამება“ 1900 წლის ჩინეთის აჯანყების ამბებს ეხება და ბანალურ სასიყვარულო ისტორიას წარმოგვიდგენს.

ხოლო 1992 წელს გამოქვეყნებულ სიურრეალისტური რომანი „ღვინის ქვეყანა“ ჩინელების ჭამის მანით შეპყრობილობას გვიხატავს და ამ მანკიერებას უმკაცრესი სატირის წნეხში ატარებს. ჩინელი ლიტერატორების აღიარებით, ავტორი რომანში ფრანსუა რაბლეს უდიდეს ზეგავლენას განიცდის.

საინტერესოა, რომ წლევაწდელი ნობელი მო იანს სწორედ „ღვინის ქვეყნისათვის“ მიენიჭა.

წანარმოებების ციკლში, რომელსაც „სასიცოცხლო ენერჯის აფეთქება“ ეწოდება, მო იანი იკვლევს სასიცოცხლო ძალებს, რომლებიც, მისი აზრით, 2000 წლის მანძილზე კვებავდა კონფუციანურ ცივილიზაციას და ამ ძალთა შორის არსებით სტიმულად ადამიანის სექსუალურ ლიბიდოს აღიარებს. ის მიიჩნევს, რომ „უძველეს ჩინელ ხალხს განახლებისათვის „დიდი ძუძუები და განიერი თეძოები“ ესაჭიროე-

ბა. სწორედ ასევე დასათაურებული მისი ერთ-ერთი რომანი, რომელიც წარმოადგენს ერთი ლონიერი, ფერხორციანი და ჭკვიანი ქალის ცხოვრების ეპოპეას ცინის დასასრულისა და მათს სიკვდილის შემდგომ ეპოქებში.

მო იანის მწერლური მანერა კიდევ ერთხელ მკვეთრად შეიცვალა მის ერთ-ერთ ბოლო ნაწარმოებში, რომლის ინგლისურენოვანი სათაურიც ჟღერს, როგორც „სიცოცხლეც და სიკვდილიც მქანცავს“.

ეს არის წიგნი გლეხისა და მიწის დამოკიდებულებაზე და ავტორის წინა ნაშუშვერებისაგან განსხვავებით, ნაკლებ ძალადობასა და სისასტიკეს შეიცავს. წიგნი მოთხრობილია 1950 წელს ჩინეთში ჩატარებული სამეურნეო რეფორმისას დასჯილი ერთი მემამულის ენით, რომელიც შემდგომი მოვლენების განვითარებას სხვადასხვა შინაურ ცხოველად დაბადებული აკვირდება. ამ ნაწარმოებისათვის მწერალმა მიიღო ნიუმენის პრემია ჩინურ ლიტერატურაში, ხოლო 2011 წელს, რომანისათვის „ბაყაყი“ იგი მათი ძედუნის ლიტერატურული პრემიითაც დაჯილდოვდა.

თვითონ მწერლის აღიარებით, მის შემოქმედებაზე განსაკუთრებული გავლენა ფ. რაბლემ, პ. უაიტმან, გ. მარკესმა და უ. ფოლკნერმა მოახდინეს. არსებითად, ამ მწერალთა სტილური თავისებურებების

საინტერესოა ნაზავად წარმოგვიდგება მთელი მისი შემოქმედება, რომელსაც ორიგინალურ სახეს აძლევს ჩინური თემატიკა: ამ ქვეყნის ზეპირსიტყვიერება თუ ლიტერატურული ტრადიცია.

ნობელის კომიტეტის შეფასებაში, მწერლისათვის პრემიის მინიჭების მოტივაცია ასეა დასაბუთებული: „მისი გალუცინატორული რეალიზმისათვის, რომელიც ჩინურ ხალხურ ზღაპრებს ისტორიასა და თანამედროვეობასთან აერთიანებს“.

მო იანი აქამდე მსოფლიოს ათ ენაზე იყო თარგმნილი, მათ შორის ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად და ნორვეგიულად. რუსულად, ინტერნეტის წყაროებზე დაყრნობით, არსებობს მისი ერთი მოთხრობის „დეიდის სასწაული-დანა“ თარგმანი, რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულია „წითელი გაოლიანისა“ და „ღვინის ქვეყნის“ რამდენიმე ფრაგმენტი, სულ ახლახან კი ინტერნეტში რუსულად გამოჩნდა „დიდი ძუძუებისა და განიერი თეძოების“ პირველი თავები.

ყოველ შემთხვევაში, აქამდე თუ მაგიური რეალიზმი გავიგეთ და ავითვისეთ, ახლა „გალუცინატორული რეალიზმი“ გვქონია ასათვისებელი და იმედია, ქართველი მკითხველი თუ მთლად ჩინური ორიგინალიდან არა, შუამავალი ენების მეშვეობით თარგმნილ მო იანის წიგნებს მალე გაეცნობა.



ექსკურსია კულინარიში

სალომე აფხაზიძე



რუსუდან გორგილაძე,

„კერძთაყვანისცემა – კულინარიული მოგზაურობა დროსა და სივრცეში“ 2012

ადვილი არ იქნება მსოფლიოს ხალხებს შორის მოძებნო ერი, რომელსაც სასმელისა და კერძის ისეთი თაყვანისცემა შეეძლოს, როგორც ქართველებს; იმხელა ადგილი ეკავოს კვების ტრადიციას ყოველდღიურ კულტურაში, როგორც ეს ჩვენს ქვეყანაშია. რამდენადაც ვცდილობ ქართველების ეს ხასიათი უპირობოდ მომეწონოს, იმდენად არ გამომდის, რადგან სწორედ რაიმეს უპირობო თაყვანისცემა ჩემთვის ყოველმხრივ მიუღებელი. აი, ამ ძიებაში ვიყავი, როცა მივაგენი გერმანიაში მოღვაწე ქართველი მკვლევრის, რუსუდან გორგილაძის წიგნს – „კერძთაყვანისცემა“, რომელიც ქართულ სამზარეულოს უძველეს საფუძვლებსა და ნადიმის უნიკალურ კულტურას უფრო უსვამს ხაზს, ვიდრე რაიმეს გაუაზრებელ მორჩილებას. თავად ავტორი წიგნის სათაურს „სიტყვების თამაშს“ უწოდებს და ქართველების ამ ჩვევას ძველი შუმერების მაქსიმას უკავშირებს: „სიცოცხლე საკვებია, საკვები სიცოცხლეა იმიტომ, რომ საკვების გაზიარება სიცოცხლის გაზიარებას ნიშნავს“.

„კერძთაყვანისცემა“, რომელიც სექტემბერში გამოვიდა, არ წარმოადგენს ქართული რეცეპტების დეტალურ აღწერას და რჩევებს, თუ როგორ მოვაზადოთ ესა თუ ის კერძი. ეს

უფრო ფილოსოფიური ნარკვევია, რომელიც პოპულარული ენით გადმოგვცემს ქართული კულინარიის ისტორიას და მის მრავალმხრივ და მრავალფეროვან კავშირს გარესამყაროსთან. წიგნის ავტორი მკითხველს დროსა და სივრცეში კულინარიულ მარშრუტს სთავაზობს – ნეოლითური ეპოქით დაწყებული, თანამედროვე კულტურით დამთავრებული. წიგნის მთავარ მიზანს კი სწორედ იმ ინდივიდუალური ნიშნების გამოკვეთა წარმოადგენს, რაც ქართულმა სანადიმო კულტურამ სხვა კულტურების გავლენებით ჩამოაყალიბა.

რუსუდან გორგილაძე ამბობს, რომ ყველაფერი ზაფრანით დაიწყო. რამდენიმე წლის წინ, ერთ დღეს, ბერლინში, ბაჟეს გაკეთება გადაწყვიტა და ზაფრანის საძებნელად უახლოეს ინდურ მაღაზიაში წავიდა, ზაფრანი იქ არ ჰქონდათ, ბევრი ძებნის შემდეგ ძლივს მიაგნო, თან – წარმოუდგენლად ძვირად და მიხვდა, რომ ეს ის ზაფრანი არ იყო, რასაც საქართველოში ასე ხშირად იყენებდნენ. სწორედ იმ მომენტიდან გაჩნდა ისტორიის კულინარიული პერსპექტივით კვლევის სურვილი. „მე კი ისე გამიტაცა საკვებისა და სუნელების ისტორიის კვლევამ, რომ ბოლოს შევატყვე, ჩანაწერები წიგნის ფორმას იძენდა“ და საბოლოოდ, მრავალწლიანი კვლევის შედეგად, იქცა კიდევ წიგნად.

„კერძთაყვანისცემაში“ ცალ-ცალკე თავები ეთმობა ქართულ სუფრას, პურს, სტუმართმოყვარეობის ტრადიციას, კავკასიას, როგორც რეგიონს და მასში – საქართველოს, უცხო სუნელების მოგზაურობის ისტორიას, მექსიკურ, გურულ-მეგრულ ვარიაციებს ერთსა და იმავე პროდუქტზე, სანებელს, ყველს, ღვინოს, ბარბარე ჯორჯაძეს და მის ევროპულ „კოლეგებს“...

წიგნის პრეზენტაციაზე რუსუდან გორგილაძემ აღნიშნა, რომ კულინარიული წიგნის შექმნისკენ უცხოელების შეკითხვებმა უზიდა, იდენტობის, კულტურული ნიშან-თვისებების და ტრადიციების შესახებ. სწორედ ამ კითხვებზე პასუხების საძიებლად წამოიწყო მან რამდენიმეწლიანი კვლევა – მსოფლიოს უდიდეს ბიბლიოთეკებში მიმოფანტული მასალის, ქართული ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ნიმუშების შესწავლა და, საბოლოო ჯამში, დაწერა წიგნი, რომელიც ვრცელი, ღრმად გა-

აზრებული და გულწრფელი პასუხების კრებულია ზოგადად იმ კითხვებზე, რომელთაც ემიგრანტები ხშირად აწყდებიან.

„ამ წიგნით მიხლოდა ქართველებისთვის გამეზიარებინა ის, თუ როგორ ვუყურებ მე, როგორც ქართველი, ჩვენს კულტურას გვერდიდან. მაგრამ ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ჩვენ ყველამ ეს ამბავი უცხოელის თვალამდე მივიტანოთ, იმიტომ, რომ ასე დანახული ჩვენი კულტურა მათთვის ადვილი გასაგებია“, – ამბობს რუსუდან გორგილაძე და მართლაც, წიგნის კითხვისას გამოდგება არ გტოვებს გაორების განცდა: ვისთვის წერს ავტორი, შენთვის – ქართველისთვის, თუ მისი სამიზნე აუდიტორია ქართული კულტურით დაინტერესებული უცხოელია. თუმცა, მალევე ხვდები, რომ ეს ამბები, ამგვარი წყობით, ამგვარი კავშირებით სხვა მოვლენებთან, მანამდე არსად წავიკითხავს; არც ამდენი ფსიქოლოგიური, ისტორიული და კულინარიული ბმა გიპოვინა სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანას შორის. ესაა წიგნი-ვრცელი კულინარიული ექსკურსია, რომლის შექმნასაც უზარმაზარი შრომა დასჭირდა და ახლა შენ, მკითხველმა, შეგიძლია, უბრალოდ, „ინებიგრო“ – იკითხო მსუბუქად გადმოცემული ისტორია და მასში საკუთარი თავი, ქვეყანა, წარსული და ტრადიციები ხელახლა აღმოაჩინო.

წიგნის ბოლოთქმამი რუსუდან გორგილაძე ამბობს: „ხშირად მეკითხებოდნენ, რა ჟანრიში წერ წიგნსო? – ფეიციტებით, არ ვიცი, ან რა მნიშვნელობა აქვს? დროსა და სივრცეში ჩემი ფსევების საძებრად რაც უფრო მეტი ვიხეტივალე, მით მეტად დავრწმუნდი, რომ ამ გზას ბოლო არა აქვს. მარტო ერთი გზა რომ იყოს, რა უჭირს, ამ ფართო გზას იმდენი განშტოება ჰქონია, ვინ მოთვლის?!.. ახლა ერთი სული მაქვს იმ ფართო გზის განშტოებებში, რამდენიმეში მაინც შევიხედო, ხოლო თუ რამე საინტერესოს გადავანყდი, თქვენც გაგიზიარებთ“.

მკითხველიც ზუსტად ამ განცდით ასრულებს კითხვას: ეს კია წიგნის ბოლო გვერდი, მაგრამ რუსუდან გორგილაძემ კიდევ უნდა დაწეროს რამე ახალი. ქართული კულინარია – ეს ხომ ყველაზე ნაკლებად გამოკვლეული და ძალიან საინტერესო სფეროა, ასე რომ, აღმოსაჩენი წინ კიდევ ბევრი უნდა იყოს.

უილიამ შექსპირის მიხედვით

როგორც გენებოთ


რეჟისორი ლევან ნულაძე



საქართველოს
სახელმწიფო
დრამატული თეატრი

თუ საქართველოს სხვა თეატრების დონე ოდნავ მაინც უახლოვდება მარჯანიშვილის თეატრისას, მაშინ თეატრის კრიტიკოსის პროფესია ამ ქვეყანაში უდავოდ ყველაზე სანატრელად უნდა მივიჩნიოთ. ამ თეატრის განუმეორებელი წარმოდგენის - „როგორც გენებოთ“ - დასასრულს დარბაზი ფეხზე ადგა და დასს ასე მოუწყო ოვაცია.

ქებით ქედღევეი
როგორც გენებოთ - რეჟიზორი
შექსპირის გლობუსი, ლონდონი
გარდინი



ზიდჰარტა

ჰერმან ჰესე
მთარგმნელი გიორგი შატბერაშვილი
გამომცემლობა „სიესტა“
გამოცემის წელი 2012
ფასი 10 ლარი

ზიდჰარტა, ახალგაზრდა მამაკაცია, რომელიც თავის ოჯახს ტოვებს და სამოგზაუროდ მიდის, რათა სიცოცხლის ჭეშმარიტება შეიძინოს. უშედეგო ძებნით სასონარკვეთილი ზიდჰარტა ყურს უგდებს მდინარის ხმას, მდინარის ბგერებში ნიშანს ამოიკითხავს და ხვდება, რომ ეს ყველაფერი დიდი სატანჯველის, ცხოვრების უარყოფისა და მისგან განრიდების დასაწყისია, რამაც საბოლოოდ სულიერი სიმშვიდე და ჭეშმარიტი თავისუფლება უნდა მოუტანოს. წლების შემდეგ, მასში იბადება ჭეშმარიტება და ხვდება, რომ ჭეშმარიტება სიყვარულშია, სამყაროს სიყვარულში.

გრძელფეხება მამილო


ჯინ ვებსტერი
მთარგმნელი ლია გუგუნავა
გამომცემლობა „დიოგენე“
გამოცემის წელი 2012
ფასი 9.90 ლარი

ამერიკელი მწერლის, ჯინ ვებსტერის (1876-1916) ცნობილი ნიგნი „გრძელფეხება მამილო“ მოგვითხრობს ობოლი გოგონას ამბავს, რომელიც უცნობმა ქველმოქმედმა კოლეჯში გაგზავნა. ამ კლასიკადქცეულ ეპისტოლარულ რომანს დღემდე სიამოვნებით კითხულობენ სხვადასხვა ასაკის მკითხველები მთელ მსოფლიოში. გამოცემა ორენოვანია – იგი ქართულ

და ინგლისურ ტექსტებს აერთიანებს. ნიგნს დართული აქვს ლექსიკონი, რომელიც მკითხველებს დაეხმარება ინგლისური ტექსტის უკეთ გაგებასა და ენის სრულყოფაში.

უცხო

ალბერ კამიუ
მთარგმნელი გურანდა დათაშვილი
გამომცემლობა „აგორა“
გამოცემის წელი 2012
ფასი 8 ლარი



რომანის მთავარი გმირი, მერსო პრინციპული ადამიანია, ის საზოგადოებრივ მორალს ფეხს არ უწყობს, რის გამოც საზოგადოება მას უცხოდ ჩათვლის. მერსო რთული, მაგრამ პოზიტიური პიროვნებაა, ის უარს ამბობს ტყუილზე და ცხოვრებას ისეთად იღებს, როგორც ის სინამდვილეშია. ავტორის თქმით, მერსო არის ადამიანი, რომელიც ყოველგვარი გმირობის გარეშე, უბრალოდ თანხმდება, მოკვდეს სიმართლისთვის.

მთავარი გმირი ამბავს პირველ პირში, „გულგრილი“ და ცივი ტონით ჰყვება, რაც მონათხრობს, უბრალოდ ფაქტების ჩამონათვალად აქცევს და მკითხველს მაშინვე აგრძნობინებს, რომ მთავარ გმირსა და საზოგადოებას შორის უხილავი ყინულის კედელია – ისინი ერთმანეთს ვერაფრით ეგუებიან.

1999 წელს „უცხო“ მეოცე საუკუნის საუკეთესო ნიგნად აღიარეს. ნაწარმოები, ალბერ კამიუს „აბსურდის ციკლს“ განეკუთვნება და ნობელიანტი მწერლის მერვე ნიგნია, რომელსაც

გამომცემლობა „აგორა“ ქართულად სთავაზობს მკითხველს.

ბებია, რეი და ამერიკა

მარი ბექაური
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 5.90 ლარი

„...[ის] ჩემთვის თავისუფლებისა და მარტოობის ადგილი იყო. ასე ჩანდა ფილმებიდან და მეც ვიცოდი, რომ სადაც, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, არსებობს ქვეყანა, სადაც იბადებიან ადამიანები, რომლებიც უკრავენ თავისუფლების მუსიკას, მღერიან სიყვარულზე და ტკივილზე, ებრძვიან დარდს და სწამთ ღმერთის, როგორც ეს ეს-მით“, – პატარა, ომგამოვლილი საქართველოდან ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით მდებარეობს ქვეყანა, რომელიც ბევრისთვის ნამდვილი თავისუფლების სიმბოლოა. ქვეყანას ამერიკა ჰქვია“.

ახალგაზრდა მწერლის, მარი ბექაურის მცირე რომანის მთავარი პერსონაჟი ამერიკაში ცხოვრებაზე მეოცნებე ახალგაზრდა ქალია, რომელიც ხან მზად არის, ამ ოცნებისთვის განწყვიტოს ყველა ძაფი, რაც კი რეალობასთან აკავშირებს, ხანაც – პირიქით. ოცნებისა და რეალობის ჭიდილი დეპრესიაში აგდებს მას, თუმცა დეპრესიიდან გამოსავალს თავადვე პოულობს... რომანი, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება, ავტობიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს.



სუმოისტი, რომელიც ვერ სუქდება
ერიკ-ემანუელ შმიტი
მთარგმნელი მერაბ ფიფია
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 5.90 ლარი



გაველურებული, გაძვალტყავებული, მოუხელთებელი, ლამის მეამბოხე 15 წლის ჯუნი დღენიადაგ ტოკიოს ქუჩებში დაბორილებს. ოჯახს მონყვეტილს, თავისიანებზე ერთ სიტყვასაც ვერ დააცდენინებ. ასე გრძელდება მანამ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს სიომინცუს – აღმოსავლური ბრძოლების დიდოსტატს არ გადაეყრება. სიომინცუ ჯუნში მსუქანს აღმოაჩენს და გადანყვეტს, არასრულწლოვანი მანანაღალა სუმოს მისტერიულ ხელოვნებას აზიაროს. მალე ჯუნი გონიერების, ძლიერების, მედიტაციის, საკუთარ მესთან ჰარმონიის ძიების თვალწარმტაც სამყაროში, თავით ფეხებამდე გადაეშვება. მაგრამ როგორ მიაღწიოს ზენიტს, როცა ჯუნი მთლიანად ტკივილად, ტანჯვად და მრისხანებად ქცეულა? როგორ გახდეს სუმოისტი, როცა ორი კილოს მომატებასაც ვერ ახერხებს? ნუ დაგვაგინწყდება, ღრუბლებს მიღმა ყოველთვის იმალება მზე, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად მთელი სიკაშკაშით გამოანათებს....

ლოტა აურზაურის ქუჩიდან
ასტრიდ ლინდგრენი
მთარგმნელი თამარ ჩიქოვანი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 12.90 ლარი

იღონ ვიკლანდის ილუსტრაციებით გაფორმებული „ლოტა აურზაურის ქუჩიდან“ პირველად გამოდის ქართულ ენაზე.

ლოტა პატარა გოგოა და თავის და-ძმასთან და მშობლებთან ერთად, სინამდვილეში, აურზაურის კი არა, მექოთნეების ქუჩაზე ცხოვრობს. ამ ქუჩას ასე ლოტას მამა ეძახის, რადგან მიაჩნია, რომ თავისი შვილების გამო აქ სულ აურზაურია. ლოტა, მართლაც რომ, ერთი „აურზაურა“ გოგოა – ჯერ სკოლაშიც არ დადის, მაგრამ უკვე მარტო ცხოვრებაზე ფიქრობს და ბინასაც კი პოულობს. როგორ? ნაიკითხეთ ეს სასაცილო და კეთილი ამბავი და თავადაც დაინახებთ, რომ ჯიუტი და ონავარი ლოტა, რომელიც არა მარტო და-ძმას, ხშირად, თავის დედიკოსაც აბრაზებს, მაინც ძალიან გულკეთილი და საყვარელი გოგოა.

„ლოტა აურზაურის ქუჩიდან“ ასტრიდ ლინდგრენის ბიბლიოთეკის მორიგი წიგნია. ეს სერია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ გამოცემულ ასტრიდ ლინდგრენის ყველა საბავშვო წიგნს აერთიანებს.

ჩემი ცოლის ეროტიკული პოტენციალი
დავიდ ფონკინოსი
მთარგმნელი მერაბ ფიფია
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 9.90 ლარი

„ამბობენ, რომ ზოგი მამაკაცი მხოლოდ იმიტომ იბადება, თავის დღე და მოსწრება, ქალებს სდიოს კუდში. ჰექტორზე შეიძლება გვეთქვა, ქვეყნიერებას იმიტომ მოეგლინა, მარად ნივთებში რომ ექექა. მოკლედ, ის ქალებისთვის კი არა, ნივთებისთვის გაჩენილი კაცი იყო. ჩვენ აქ ნამდვილად არ ვაპირებთ ნივთების ქალებთან შედარებას, მაგრამ გაკვადნიერებით და შემოგებდავთ გაუნყოთ, რომ მსგავსება სახეზეა: ჩვენი გმირის განცდები, გმინვა და სადარდებელი თამამად შეიძლება ავხორც მექალთანეთა და საერთოდ ქალთა მოდგმის არსებობით გაჟღენთილი მამაკაცების სადარდებელსა და განსაცდელს შევა-




დართო. სინამდვილეში, ეს გახლავთ იმ მამაკაცის ისტორია, რომელიც ნივთების დონ ჟუანი იყო“.

თუმცა, ერთ მშვენიერ დღეს ჰექტორს შეუყვარდა... შეუყვარდა ქალი და ახალი ისტორიაც დაიწყო.

ხვალაც იგივე იქნება
ლადო გოგიაშვილი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 5.90 ლარი

„ხვალაც იგივე იქნება“ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი მწერლის, ლადო გოგიაშვილის, მოთხრობების პირველი კრებულია. მოთხრობების დიდ ნაწილს სოციალური ქსელების მეშვეობით იცნობს ქართველი მკითხველი. წინამდებარე კრებულში ის მოთხრობებია თავმოყრილი, რომლებმაც მკითხველთა განსაკუთრებული დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა.





კიბოს ვაქცინაცია საქართველოში



ვაქცინა კიბოს წინააღმდეგ საბრძოლველად თანამედროვე მედიცინის უახლესი მიმართულებაა. აღნიშნული მიმართულების დანერგვა საქართველოშიც კოტე მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრში მიმდინარეობს. ამ თემაზე ჩვენ ჭიპლარის ბანკის სისხლის სამედიცინო დირექტორს გოჩა შათირიშვილს ვესაუბრეთ.

რა არის კიბოს ვაქცინა?

ვაქცინა აძლიერებს იმუნური სისტემის ბუნებრივ უნარს, დაიცავს ორგანიზმი ინფექციისგან და გადაგვარებული, არანორმალური უჯრედებისაგან, მათ შორის, სიმსივნის უჯრედებისაგანაც. ტრადიციული ვაქცინა წარმოადგენს გაუვნებელყოფილ მიკრობს, დასუსტებულს ან მკვდარს, ან მათ შემადგენელ კომპონენტს, რომელიც არ იწვევს დაავადებას, მაგრამ ახდენს იმუნური პასუხის სტიმულირებას ამ მიკრობის წინააღმდეგ. ვაქცინა შეიცავს ერთ ან რამდენიმე სახის მოლეკულას (ანტიგენს), რომელსაც აღიქვამს იმუნური სისტემა და წარმოქმნის დამცველ პასუხს. ანტიგენი შეიძლება იყოს უჯრედის ზედაპირზე ან მის შიგნით განთავსებული ცილა, ან სხვა ტიპის მოლეკულა. საბოლოოდ ხდება ამ აგენტების მოშორება ორგანიზმიდან და რჩება იმუნური მახსოვრობა. თუ ამ ტიპის მიკრობით შემდგომში მოხდება პაციენტის ინფიცირება, იმუნური პასუხი უკვე იქნება სწრაფი და ეფექტიანი. მსგავსი მექანიზმი შესაძლებელია ავამოქმედოთ კიბოს საწინააღმდეგოდ.

რა და რა სახის ვაქცინები არსებობს კიბოსთან საბრძოლველად?

კიბოს ვაქცინა ორი სახისაა – კიბოს პროფილაქტიკური და სამკურნალო. პროფილაქტიკური ვაქცინა სინამდვილეში ვაქცინებია იმ მიკ-

რობების საწინააღმდეგოდ, რომლებიც იწვევენ სიმსენს, მაგ., ბ ჰეპატიტის ვაქცინა, რომელიც ამ ვირუსით გამოწვეული ღვიძლის კიბოსგან იცავს და ადამიანის პაპილომავირუსის ვაქცინა, რომელიც იცავს სამვილოზნოს ყელის კიბოსგან. ეს ორივე ვაქცინა ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში. ვაქცინა იწვევს იმუნური სისტემის აქტივაციას კიბოს უჯრედების ამოსაცნობად და გასანადგურებლად. სამკურნალო ვაქცინები უკვე არსებული კიბოს სამკურნალოდ გამოიყენება: მათ უნდა შეანელონ ან შეაჩერონ კიბოს უჯრედების ზრდა, გამოიწვიონ კიბოს ზომებში შემცირება, შეაჩერონ კიბოს რეციდივი, ან მოახდინონ კიბოს უჯრედების მოშორება, რომლებიც არ განადგურდა სხვა სახის მკურნალობის შედეგად: ქირურგიულად, სხივური თერაპიით ან ქიმიოთერაპიით.

როგორ მზადდება კიბოს ვაქცინები?

ვაქცინები შეიძლება დამზადდეს დასუსტებული ან დახოცილი კიბოს უჯრედებისაგან, რომლებიც ატარებენ სპეციფიკურ კიბოსთან ასოცირებულ ანტიგენს. ეს უჯრედები შეიძლება იმავე პაციენტის სიმსივნური ქსოვილიდან (აუტოლოგური ვაქცინა) ან სხვა პაციენტის სიმსივიდან (ალოგენური ვაქცინა) წარმოადგებოდეს.

შესაძლოა ასევე დნმ ან რნმ მოლეკულების გამოყენება, რომელიც კიბოს ანტიგენების გენეტიკურ ინფორმაციას შეიცავს. დნმ ან რნმ ორგანიზმში შეყვანის შემდეგ უჯრედში აღმოჩნდებიან და თავად აწარმოებენ კიბოს ანტიგენებს. საბოლოოდ იმდენი ანტიგენი უნდა წარმოიქმნას, რომ იმუნური პასუხი იყოს საკმარისი კიბოს ქსოვილის დასაზიანებლად. სადღეისოდ მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს 1000–ზე მეტი სახის კვლევა კიბოს ვაქცინაზე. ცდიან სამკურნალო ვაქცინებს შემდეგი ორგანოების კიბოსათვის:

- ▶ შარდის ბუშტი
- ▶ თავის ტვინის სიმსივნე
- ▶ სარძევე ჯირკვლის კიბო
- ▶ საშვილოსნოს ყელის კიბო
- ▶ თირკმლის კიბო
- ▶ მელანომა
- ▶ მრავლობითი მიელომა
- ▶ ლეიკემია
- ▶ ფილტვის კიბო
- ▶ პანკრეასის კიბო
- ▶ პროსტატის კიბო
- ▶ სოლიდური სიმსივნეები.

განსაკუთრებით საინტერესოა ე.წ. დენდრიტული ვაქცინების მოქმედების მექანიზმი. დენდრიტული უჯრედები, როგორც ზემოთ ითქვა, არის ანტიგენის წარმომდგენი უჯრედები, რომლებიც ამოიციან ანტიგენს, ჩაიჭერენ, გადაამუშავებენ და წარუდგენენ T–უჯრედებს. T–უჯრედები კი „დაიგეშებიან“ ამ ტიპის ანტიგენების მიმართ და იბრძვიან იმ უჯრედების წინააღმდეგ, რომლებზეც ეს ანტიგენები განლაგებული, ანუ ებრძვიან კიბოს უჯრედებს.

სადღეისოდ თუ არის უკვე დადასტურებული და აღიარებული კიბოს რომელიმე ვაქცინა?

2010 წლის აპრილში ამერიკის საკვებისა და წამლის ადმინისტრაციამ (სამმართველო) პირველი კიბოს ვაქცინა „პროვენჯი“ კომპანია „დენდრონისაგან“ დაუშვა მეტასტაზური, ჰორმონურფერაქტერული პროსტატის კიბოს სამკურნალოდ. ეს არის ინდივიდუალური ვაქცინა, პაციენტისგან იღებენ ანტიგენის წარმომდგენ უჯრედებს, ახდენენ მის კულტივაციას სპეციფიკურ სიმსივნურ ცილასთან და ციტოკინთან და გააქტივებულ უჯრედებს უბრუნებენ პაციენტს. პაციენტის ორგანიზმში განსწავლული უჯრედები ადვილად იწვევს იმუნურ პასუხს კიბოს სპეციფიკური ცილის – პროსტატის მჟავა ფოსფატაზის – საწინააღმდეგოდ. ის ახანგრძლივებს სიცოცხლეს, ოღონდ მხოლოდ რამდენიმე თვით. ღირებულება აღწევს ლამის 100000 ამერიკულ დოლარს.

თუ იგეგმება დენდრიტული ვაქცინის გამოყენება კოტე მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრში?

დიახ, იგეგმება. გვსურს თავი-კისრის მიდამოს ბრტყელუჯრედოვანი კიბოს (ცხვირის ღრუს, პირის ღრუს, ცხვირ-ხახის და ხორხის) სამკურნალო ინდივიდუალური ვაქცინის შექმნა პაციენტებისათვის. ეს იქნება დენდრიტული ვაქცინა. პაციენტის სისხლიდან გამოთავისუფლდება სპეციალური დენდრიტული უჯრედები, რომელთა კულტივაცია და გამრავლება მოხდება ჩვენს ლაბორატორიაში 2 კვირის განმავლობაში

სპეციალური ნიადაგებისა და ციტოკინების დამატებით. მიღებულ უჯრედებს გამოვიკვლევთ სპეციალური მეთოდით – გამდინარე ციტომეტრიით. შემდეგ პაციენტის სიმსივნური ქსოვილიდან გამოყოფილ სიმსივნურ ანტიგენებთან ერთად მოხდება უჯრედების კულტივირება და უჯრედები გადაენერგება პაციენტს. აღსანიშნავია, რომ ვაქცინით მკურნალობა ჩატარდება სხვა სახის თერაპიასთან პარალელურად.

რამდენადაც ვიცით, თქვენს ცენტრში უკვე 2 წელია მიმდინარეობს კიბოს მკურნალობა კიდევ ერთი ნოვატორული მეთოდით, ლაკ თერაპიით. მოგვიყვით ლაკ თერაპიის შესახებ.

ჩვენი კლინიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა კიბოს საწინააღმდეგო იმუნოთერაპიის ერთ–ერთი სახე: კიბოს ე.წ. ლიმფოკინაქტივირებული კილერებით მკურნალობა – ლაკ თერაპია. მის არსი მდგომარეობს შემდეგში: ადამიანის ორგანიზმში მუდამ მოიპოვება ე.წ. ბუნებრივი კილერი უჯრედები, რომელთა მთავარი დანიშნულებაა ინფიცირებული ან ორგანიზმისთვის უცხო ან გადაგვარებული უჯრედების, მათ შორის, სიმსივნის უჯრედების, ეფექტიანი მოსპობა მათი გამოჩენისთანავე. ეს უჯრედები თანდაყოლილია, მუდმივად არიან ორგანიზმში და ისინი დაუყოვნებლივ შეებრძობებიან კიბოს უჯრედებს, ფლობენ კიბოს საწინააღმდეგო ბუნებრივ, თანდაყოლილ და არასპეციფიკურ აქტივობას, ანუ ებრძვიან ნებისმიერ და არა რომელიმე მხოლოდ ერთი სპეციფიკური სახის კიბოს, მათ აქვთ სპეციფიკური აქტივობა სიმსივნის უჯრედების მიმართ და არ აზიანებენ ჯანმრთელ უჯრედებს. მათ არ სჭირდებათ დრო მოსაშფოთებლად. ამიტომ ისინია სწორედ კიბოსთან პირველი მებრძოლი უჯრედები. ეს უჯრედები დაშლიან სიმსივნის უჯრედებს, მათ შორის, სისხლში არსებულ მოცირკულირე კიბოს უჯრედების დიდ ნაწილს და ამით ხელს უშლიან სიმსივნის მეტასტაზების გავრცელებას.

როგორ ხდება ლაკ უჯრედების მიღება?

თავდაპირველად პაციენტის სისხლიდან ბუნებრივი კილერების გამოთავისუფლება ხდება, ხოლო შემდგომ კი სინჯარაში ამ უჯრედების სტიმულაცია საგანგებო ბიოაქტიური ნივთიერებებით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად იზრდება კილერი უჯრედების რაოდენობაც და კიბოს საწინააღმდეგო აქტივობაც. შემდგომში ხდება ამ უჯრედების პაციენტის ორგანიზმში ინექცია და ისინი იქ შეებრძობებიან კიბოს უჯრედებს.

როგორ მიმდინარეობს ლაკ თერაპია თქვენს დაწესებულებაში?

ამ უჯრედებს ჩვენს კლინიკაში ვიყენებთ კიბოს იმუნოთერაპიისათვის თავი-კისრის სხვადასხვა სიმსივნეების სამკურნალოდ: თავი-კისრის ბრტყელუჯრედოვანი კიბოს, მელანომისა და ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების დროს მონოთერაპია, როდესაც სიმსივნის საწინააღმდეგო ყველა შესაძლო თერაპია (ქირურგიული ჩარევა, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია, სხვა სახის იმუნოთერაპია) თავისი თავი ამოწურა; ასევე პირველადი სიმსივნის მოშორების შემდგომ პროფილაქტიკის მიზნით, და როგორც ასევე კომბინირებული თერაპიის სახით. ერთი კურსი გრძელდება 5 თვე და მოიცავს 8 ინექციას. მდგომარეობის სტაბილურობის შემთხვევაში ან სიმსივნის შემცირების დროს სასურველია კურსის რამდენჯერმე გამეორება.

ავტორი ნინო ბარძენიშვილი



„უკრაინი მოგზაურები“



„ჰუმფუს ბამოსხადაბა, 9 ბრანდილი“

უკრაინი მოგზაურები, მოქრავი სისასტიკე... და შოუ, რომელიც უნდა გაგრძელდეს!

ავტორი დავით ბუხრიკიძე

თეატრი ხშირად შეგნებულად გაურბის მკაცრ რეალობას და თავს წარმოსახვას, თამაშს, ნიღაბს აფარებს. თუმცა ბოლო დროს დამკვიდრებული მოდური ვერბატიმის ჟანრი (ანუ რეალური ამბის, დოკუმენტური ტექსტის სცენაზე გაცოცხლება) სულ უფრო მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი ხდება. როგორც დიდი ლუის ბუნუელი იტყოდა: ცხოვრება, ხშირად, ხელოვნებას უსწრებს!

თბილისის მეოთხე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე წარმოდგენილი პოლონური სპექტაკლი „ღმერთების დაცემა“, ერთ შეხედვით, სულაც არ ჰგავს რეალობის ზედმიწევნით ასახვას. ეს კინემატოგრაფიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქონალიტიკური ფილმის – ლუკინო ვისკონტის „ღმერთების სიკვდილის“ ტრაგიკული, ოდნავ ირონიული სცენური ვერსიაა. ახალი თაობის შესანიშნავმა პოლონელმა რეჟისორმა, მაია კლერვესკამ ფოლადის მწარმოებელი გერმანელი მაგნატების, ფონ ესენბეკების ოჯახის დაღუპვის ისტორია ნაცისტების აღორძინების ფონზე გვიჩვენა.

პოლონეთის პროვინციულ ქალაქ ოპო-

ლეს თეატრალური დასის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სპექტაკლი, „ღმერთების დაღუპვა“ მოულოდნელად იქცა ჩვენი „პოლიტიკური რეალობის“ ბარომეტრად. სწორედ თეატრალური ფესტივალის დღეებში, ტელევიზიით გავრცელებულმა ციხის კადრებმა ლამის სასტიკი ვერბატიმის ჟანრი შეგვახსენა. არადა, „ღმერთების დაცემა“ ნაციზმის აღზევებისა და დაცემის შესახებ „ეპიკურ ოპერას“ უფრო ნაგავს, რომლის რეჟისორი, ცხადია, რიჰარდ ვაგნერიტაა შთაგონებული.

როდესაც ელიზაბეტ ტალმანის წამების სცენა ყველა დასაშვებ ზღვარს გადასცდა (ის დაახლოებით 20 წუთს გრძელდება!), ყველაზე მგრძობიარე და დაზარალებულმა მაყურებელმა დარბაზი დატოვა. ერთდროულად ირონიულ და საშინელ მეტაფორად გააზრებული „გრძელი დანების ღამე“ (მეორე მოქმედება) მოულოდნელად გაერთიმა საზარელ სატელევიზიო კადრებს. ასე რომ, სპექტაკლში წამოჭრილი პრობლემები – ზღვარდაუდებელი ძალაუფლება, პოლიტიკური ელიტისა და ძალადობის კავშირი, არისტოკრატის გადაგვარებისა და მათ ადგილას მედროვე

პოლიტიკანების აღზევება, უაღრესად აქტუალური აღმოჩნდა.

მაია კლერვესკამ მოქმედება ჩვენს დროში გადმოიტანა. სპექტაკლში ფონ ესენბეკები მხარს უჭერენ არა ნაციზმს, არამედ პოლიტიკურ პარტიას. მათი ერთადერთი მიზანი ძალაუფლება, დიდი ფული და გარყვნილებამდე მისული აბსოლუტური თავისუფლების მოპოვებაა, რომელიც ფინალში კრახით მთავრდება. რეჟისორი შეგვახსენებს რაოდენ საშიშია, როდესაც ოჯახი, სოციალური და მთლიანად საზოგადოება პოლიტიკოსთა ჯგუფურ თუ ჰიპნოზურ ილუზიას ემორჩილება. თუმცა სამყაროს ასეთი მოდელი ბევრად რადიკალური და დაუნდობელია ვისკონტის ფილმში. აღსანიშნავია კატარჟინა ბორკოვსკას კონცეპტუალური მხატვრობა და შესანიშნავი სცენოგრაფია; მსახიობთა მკაცრი და შინაგანი ენერგიით დატვირთული თამაში (არ უნდა დაგვაინყდეს, რომ თავის დროზე სწორედ ოპოლეს თეატრში მუშაობდა მეოცე საუკუნის დიდი რეჟისორი ეჟი გროტოვსკი), გაინყებთ ხშირად ჩვენი მსახიობებისთვის დამახასიათებელ ღვარჭნილობა-მანერულობას.



„ზოზაჰერ ბრძენის შესახებ“

ფესტივალის ერთგვარ სიუბილევო გამოძახილად იქცა ავგუსტ სტრინდბერგის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებული სპექტაკლი „ფრიდა სტრინდბერგი“. დიდი შვედი დრამატურგის მეორე ცოლის „სუბიექტური“ ბიოგრაფია ასაბურგლუნდ კოუბორნის პიესის მიხედვით აღწერა შვედმა რეჟისორმა და მსახიობმა ანდრეა ბუნსტრამ, რომელიც სპექტაკლში დევიდ ბოუისაც თამაშობს! თავად ფრიდა სტრინდბერგს კი ჟოზეფინა ანკაბერგი განასახიერებს.

სტრინდბერგის მეორე ცოლი, ფრიდა მკვდართა საუფლოდან ბრუნდება, რათა თავისი ისტორია გვიამბოს. იგი შემთხვევით შეხვდება დევიდ ბოუის ლონდონში, ჰედონის ქუჩაზე. ეს ის ადგილია, სადაც ბოუის 40 წლით ადრე თავისი ალბომის – „ზიგის ვარსკვლავის მტვერი“ – შექმნის იდეა გაუჩნდა. თუმცა, როგორც სპექტაკლიდან ირკვევა, ეს არ არის უბრალო დამთხვევა. სწორედ, ჰედონის ქუჩაზე, 100 წლით ადრე ფრიდამ ლონდონში პირველი ლამის კლუბი გახსნა. მსახიობები „სქეს“, როლებსა და ტანსაცმელს ცვლიან, ოხუნჯობენ, მღერავენ... და ეს გასაგები პოსტ-მოდერნული სვლა – სილაღე, როგორც დრამატულობის ანტიპოდი; თამაში, როგორც კლასიკოსის შემოქმედების ხელახალი და ირონიული გააზრება.

ფრიდა თავის დროზე, შეიძლება ითქვას, საკულტო პერსონა იყო. იგი

ერთ-ერთი პირველი მწერალი ქალი იყო, რომელიც დახვეწილი ლიტერატურული ენით გამოირჩეოდა. ცხოვრობდა და მუშაობდა ვენაში, მიუნხენში, ბერლინში, პარიზში, ლონდონში... ავგუსტ სტრინდბერგთან მისი ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა, თუმცა ამ ფაქტმა დრამატული დალი დასვა მის შემდგომ ცხოვრებას. სხვათა შორის, სპექტაკლს მიღებული აქვს კრიტიკოსთა საკმაოდ მაღალი შეფასება ედინბურგის თეატრალურ ფესტივალზე.

საფესტივალო დღეებში თბილისს ერთი წარმოდგენით ეწვია მინსკის, იანკა კუპალას სახელობის სახელმწიფო თეატრიც, რომელმაც ჩეხოვის მოთხრობის, „ქორწილის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი წარმოადგინა. 35 წლის მოსკოველი რეჟისორის, ვლადიმერ პანკოვის ორიგინალური რეჟისურა ვლინდება არა მხოლოდ ჩეხოვის დრამატურგის შესანიშნავ ცოდნაში, არამედ, კლასიკური კინემატოგრაფიული ხატების ირონიულ შესხენებაში, მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟების ერთ „სიბრტყეში“ მოქცევასა და დეტალების ცოდნაში.

რეჟისორი თითქოს აშარყებს, დასცინის და ამავე დროს, თანაუგრძნობს პერსონაჟებს. და ეს უცნაურად აახლოვებს მას დავით კლდიაშვილის თეატრალურ სამყაროსთან – სევდანარევი იუმორთან და ქვეტექსტების ქმედებაში გადატა-

ნასთან. „ქორწილში“ მოქმედება, პლასტიკა, ცეკვა, მოძრაობა გადაჯაჭვულია ცოცხალ მუსიკასთან (გამოყენებულია იგორ სტრავინსკის მუსიკა). რეჟისორის გასამხნეველად შეიძლება ითქვას, რომ მასობრივი სცენები საოცარი ძალით დამუხტა და 30-მდე მსახიობი სცენაზე ისე ამოდრავა, რომ არცერთი მათგანი ყურადღების გარეშე არ დარჩენია მყურებელს.

„ქორწილის“ რთულ და „სართულეზიან“ მხატვრობას კარგად გაუმკლავდა თბილისელი მასჰიმ ობრეზკოვი, რომელიც თავის დროზე გრიბოედოვის რუსულ დრამატულ თეატრში მუშაობდა, ამჟამად კი მოსკოვსა და კიევში აფორმებს სპექტაკლებს. მსახიობებით გადატვირთულმა სცენამ გარკვეული კითხვის ნიშნები მაინც გააჩინა: რამდენად საჭირო იყო კამერული მოთხრობის სცენურ ვერსიაში ამდენი არასაჭირო პერსონაჟი და დანაწევრებული ფრაზა? სად გადოდა საზღვარი რეჟისორულ კონსტრუქციასა და ხშირ შემთხვევაში, სცენურ ქაოსს შორის? და საერთოდ, რა საჭიროა სინთეზური ჟანრი, თუ მას ჩეხოვის სამყარომდე ძნელად მივყავართ? ამავე დროს, უნდა დავაფასოთ რეჟისორის უნარი თამამად და უკომპლექსოდ შეხედოს რუსული თეატრის ტრადიციას.

სამწუხაროდ, სწორედ რომ ტრადიციის „მსხვერპლი“ აღმოჩნდა სახელოვანი მსა-



„ლიბრეტოს დასადა“

ხიობის, ოლეგ ტაბაკოვის დასი. მის მიერ არცთუ კარგად „მოთვინიერებული“ ოსტროვსკის პიესა „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“ სტანისლავსკისგან შორს სულაც არ წასულა. ბიუროკრატიულ ლაბირინთებში ჩაკარგულ პიესას „ტაბაკერკამ“ ვერაფერი უშველა – სპექტაკლიც გრძელი, დახვედრებული და მოსაწყენი აღმოჩნდა. მაგრამ ასე არ მოეჩვენა თბილისურ პუბლიკას, რომელმაც გლუმოვის როლის შემსრულებელს, პოპულარულ სატელევიზიო ვარსკვლავს, სერგეი ბეზრუკოვს ოვაციები გაუმართა. თან მსახიობმა ცოტა ნაიხულიგნა კიდეც, როდესაც ბიუროკრატიაზე წარმოთქმულ მონოლოგში რამდენიმე სიტყვა ქართულად წარმოთქვა და თან ჰალსტუხი გაღვტა... რითაც ქარიშხალი არა მხოლოდ ჭიქაში, არამედ მედიამიც ატეხა. მაგრამ ეს ოდნავ მატრაკვეცა პუბლიკის ბრალიცაა, რომელიც პოპულარულ ბეზრუკოვს რატომღაც ყოველი ეპიზოდის შემდეგ ტაშს უკრავდა...

სამაგიეროდ, რუსული კლასიკა წარმატებულად „თარგმნა“ ლიტვურ ენაზე ფინელმა რეჟისორმა კრისტიან სმედსმა, რომელსაც თარგმანში „დაკარგული“ შესანიშნავი ლიტველი მსახიობი ალდონა ბენდორიუტე ეხმარება. ევროპაში აღიარებულმა რეჟისორმა მონოსპექტაკლი სახელწოდებით „სეველიანი სიმღერები ევროპის გულიდან“ (დოსტოევსკის „დანაშაულისა და სასჯელის“ მიხედვით) 40-მდე მსაყურებელს ანდო. სწორედ ვინრო

წრეში თამაშდება წარმოდგენა, რომელიც მხოლოდ ერთი, ნიჭიერი მსახიობის დახმარებით „ახალგაზრდა მეძავის, მისი ლოთი მამის, დედინაცვლის, რასკოლნიკოვისა და სხვა პერსონაჟების დახმარებით მსაყურებელს უჩვენებს უიმედობის, სინაზის, ძალადობის, სიღარიბისა და დანაშაულის მორევს“ – ეს უკვე გაზეთ „ლე მონდის“ შეფასებაა.

„მოდი თვალდახუჭული, მაგრამ ფხიზელი გონებით, რათა ეზიარო ფილიპ ჟანტის ნამუშევარს“ – ასე მოუწოდებს მსაყურებელს კრიტიკა ცნობილი რეჟისორის, ფილიპ ჟანტის სპექტაკლის სანახავად. სცენაზე შვიდი მოგზაური დროის, სივრცისა და ფიზიკური საზღვრების მიღმა აღმოჩნდება. „უძრავი მოგზაურები“ – მსახიობები განუწყვეტლივ იძირებიან მეტამორფოზულ სიტუაციებში. საბოლოოდ, გრძნობებისა და გონების სიღრმეების გავლით ისინი იპოვიან გულისაკენ მიმავალ გზას... ფილიპ ჟანტი აღიდგენს უცხო ქვეყნებში მოგზაურობების დროს ნანახ პეიზაჟებსა და შთაბეჭდილებებს. თუმცა არის კიდეც სხვა პეიზაჟი, რომელსაც უფრო ხშირად გიჩვენებთ – ეს არის მისი ხილვების, მისი სიზმრების სამყარო; უნივერსალური და შთაბეჭქდავი.


ჩინური ქორეოგრაფიული წარმოდგენა „კუნფუს გამოცხადება, 9 გრაგნილი“ ნათლად გამოხატავს ჩინურ კულტურას, ხელოვნებას და ფილოსოფიას. წარმოდგენას მსაყურებელი ფანტაზიის სამყაროში

გადაჰყავს და დაფიქრების საშუალებას აძლევს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, მსაყურებელს ერთფეროვნების განცდა ეუფლება. რეჟისორი და ქორეოგრაფი, ლიუ ჟენი პოეზიის 9 გრაგნილით, თანმიმდევრულად გვიხსნის, თუ რა არის სინმინდე, სუტრა, შრომისმოყვარეობა, სულიერება, მორჩილება, ფორმა, სიმშვიდე, თავდადება და სამოთხე.

სპექტაკლში შენარჩუნებულია კუნფუსის ორიგინალური ენა, გადმოცემის მკაცრი ფორმა და პოეზია, რაც გრძნობათა ნამდვილ, მაგრამ ჩუმ დღესასწაულს ქმნის. ვიზუალური და აუდიო მოგზაურობისას, თითოეული სცენისთვის სპეციალურად შექმნილი სუბტიტრი გვიჩვენებს გზას და გვიმხელს კუნფუსში დამალულ ფილოსოფიას. სხეულის ენა ხომ მსოფლიოს ჭეშმარიტი „სამეტყველო“ ენაა, რომელიც, ამავე დროს, უნივერსალურია.

სხეულისა და სულის გულუბრყვილო ჰარმონიის იმედად ცხადია, ვერ ვიქნებით. მით უმეტეს, როცა სამყარო „უძრავი მოგზაურებითა“ და მოძრავი, სოციალურ-პოლიტიკური სისასტიკითაა სავსე. მაგრამ უნდა შევძლოთ და ეს გზა თვალდახუჭული ორფეოსივით გავიაროთ... ჰო, მართლა, ფესტივალის დირექტორი, ეკა მაზმიშვილი დაგვირდა, რომ მიმავალ წელს პარიზში „ორფეოსის“ დამდგმელს, სახელოვან რიბერტ ვილსონს ჩამოიყვანს! ცხადია, სპექტაკლით...

სხაძი შოპოდედი სტილი



სტილის დღიური

Impossible Wardrobe

ფოტოგრაფი

შემოდგომა

ისტორია

მზერა მივსაყრით Alaïa-ს



1980-იანების „მძიმე“ მემკვიდრეობა

თამარ ალავეიძე

თვის მეორე ნახევარი რედაქციაში ყველაზე დატვირთული და ალბათ, ყველაზე პროდუქტიული პერიოდიცაა. დაახლოებით 10 რიცხვიდან სამზადისი ტემპს კრეფს და მომდევნო ათი დღის განმავლობაში რედაქცია მოზუზუნე ფუტურების სკას ემსგავსება. თვის 21 რიცხვისთვის, როცა ნომერი სტამბაში გასამზავრებლად უკვე მზად არის, უცებ თავისუფლების ნაკადის მსგავსი გრძნობა მოგანყდება ხოლმე, აი, ისეთი, მძიმე გამოცდიდან გამოსულს რომ განგიცდია. გინდა, უცებ მოწყდე ყველაფერს და გონება რაც შეიძლება სწრაფად დაცალო გასული თვის „ნარჩენებისგან“ საიმისოდ, რომ მომავალი თვისთვის საკმარისი „სათავსო“ გქონდეს.

ოქტომბრის თვე განსხვავებული აღმოჩნდა. „თავისუფალი ნაკადი“ აღარ ყოფილა. ბოლო ორი თვე ისე გადაება ერთმანეთს, რომ თემების გამოცალკევებულად გააზრებაც კი გამიჭირდა. არ ვიცი, ქვეყანაში არსებულ ზოგად ფონს დავაბრალო თუ პლანეტების

არასახარბიელო განლაგებას, მაგრამ ფაქტია, რომ მენტალური შესვენება არ გამომივიდა.

შეიძლება, სწორედ ამ განწყობამაც განაპირობა ის, რომ ნოემბრისთვის „სტილის“ რუბრიკის თემების ძირითადი ნაწილი გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე „გადატვირთული“ ათწლეულის, ოთხმოციანი წლების ირგვლივ ტრიალებს. უფრო სწორად, ამ ეპოქის ერთგვარი გახსენებაა.

არ ვიცი, ვისთვის რა მოგონებებს აღძრავს ეს პერიოდი – პირადი მაგალითით საუბარი გამიჭირდება, ვინაიდან ეს წლები ჩემი ცხოვრების პირველ ათწლეულს ემთხვევა და სიყრმის მოგონებები კულტურულ კონტექსტს ნამდვილად ვერ განვძედა. თუმცა, ჩემზე სულ რამდენიმე წლით უფროსი თაობის მეხსიერებას ყველაზე ნათლად ამ პერიოდიდან ალბათ, ინგლისის სამეფო კარის ახალი ბინადრის, 19 წლის პრინცესა დაიანას ხატება უნდა ჰქონდეს შემორჩენილი. ჟურნალი VOGUE 1981 წლის მაისის თვის ნომერში წერ-

და: „178 სანტიმეტრი სიმაღლის, დედამისის მსგავსად გრძელი ფეხებით, – თითქოს ახალგაზრდა, საოცრად მომხიბვლელმა ჟირაფმა შეაბიჯა სამეფო გალავანს შიგნით“.

პრინცესა დაიანასგან განსხვავებით, სიმორცხვით არ გამოირჩეოდნენ ის ქალები, რომელთაც ოთხმოციანებში მათი ქალური ფორმების ხაზგასმა აზედინ ალაიას მიანდეს. რბილ ტყავსა და ტაქტილურ ქსოვილებს ალაია კორსეტის მსგავსად ეპყრობოდა – შეზნექვა/გამოზნექვის პრინციპით: „რეალურად, სიშიშველეზე მეტად ის ფასობს, რაც დაფარულია და არ ჩანს“.

ოთხმოციანებისგან შორს არის, სამაგიეროდ, დღევანდელ რეალობასთან ძალიან მჭიდრო ემოციური კავშირი აქვს ფოტოგრაფ მარიამ სიჭინავას შემოქმედებას. მარიამის ნამუშევრები არაერთხელ გამოქვეყნებულა „სტილის“ რუბრიკაში, ამჯერად კი მკითხველს მის უახლეს ფოტოპროექტს ვთავაზობთ, სახელწოდებით „შემოდგომა“.



სხილი
შოკოლადი
98.5 FM

 2 985 985

 radio@shokoladi.ge

 radio.shokoladi.ge





თამარ ალავიძის საავტორო გადაცემა

WEEKEND

ყოველ პარასკევს, 12:00

განმეორებით: შაბათს 11:00, კვირას 14:00

www.facebook.com/GadatsemaWeekend

DRESS TO IMPRESS

ავტორი თამარ ალავეიძე



ვივიან ვესტვულის „მაკორაიას კოლექსია“, 1981



პრინცესა დიანას ფანჯი, ახალი ზელანდია, 1984



1980-იანების პოპულარული სერიული „დინასტია“

დაიანა, „დინასტია“, ფული, სტატუსი, ლოგოები – ჩემთვის რომ 1980-იანების ათწლეულის რამდენიმე სიტყვით დახასიათება ეთხოვთ, ალბათ ამ სიტყვებით შემოვიფარგლებოდი. თუმცა, სიტყვა „შემოფარგვლაც“ ცოტა არ იყოს უადგილოდ შეიძლება მოგეჩვენოთ ამ ეპოქასთან მიმართებაში – მაშინ ხომ ყოველგვარი გატაცება და აკვიატებანებისმიერ განზომილებაში შემოუფარგლავი იყო: გადამტეხული ფუფუნებაც კი არ იყო საკმარისი „ფუფუნება“; ცნობილი ბრენდების სამოსი და აქსესუარები სულის და თვალების ამოღებამდე ლოგოებს ჰქონდა მოცული; ძლიერი ქალის სილუეტის ხაზგასაძლად კი მხრების მოცულობა მაქსიმალურად იყო გა-

ზვიადებული. 2012/13 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციებს თვალს თუ გადაავლებთ, მიხვდებით, რომ ოთხმოციანების ათწლეული არაერთი დიზაინერის თავში ქარბორბალასავით ტრიალებდა: ნიუ იორკის და კიდევ უფრო გამოხატულად, ევროპული მოდის დიდი ქალაქების პოდოუმებზე ამ ეპოქის და თანამედროვე ტექნოლოგიების არაერთი საინტერესო სინთეზის ხილვა იყო შესაძლებელი.

დაიანა და საუნის ოპერები – 1980-იანების ათწლეულში თითქოს ორი პარალელური სამყარო თანაარსებობდა: მსოფლიო გაცხოველებული ყურადღებით სწავლობდა დიდი ბრიტანეთის ახალ პრინცესას, 19 წლის დაიანა სპენსერს, რომელიც თვალის დახამხამებ-

ში ასი ათასობით ადამიანისთვის საკულტო სტილის მქონე პიროვნებად იქცა. სამეფო რეგალიების პარალელურად კი ამერიკის კონტინენტზე საუნის ოპერები „დალასი“ და „დინასტია“ 1980-იანების შუა პერიოდის გლამურის იდეალურად განსახიერებას ცდილობდნენ.

ახალი რომანტიზმი – სამეფო კარზე მიმდინარე „ფორმალური რომანტიზმის“ პარალელურად, 1982 წელს მოდაში „ახალი რომანტიკოსების“ დინება შემოვიდა. „პანკური“ კაბები საბოლოოდ ფინჯან ყავაზე მოსაყლო ისტორიათა რიცხვს მიემატა, წერდა ამერიკული VOGUE, „ქალბისთვის მოულოდნელად გლამური იქცა ამოსავალ წერტილად“. ვივინ ვესტვუდმა მისთვის დამახასიათებელ ბანდა-



მალე, ოქტომბრის ბოლოს.

Marks & Spencer-ის მაღაზია თბილისი მოლში, სადაც წარმოდგენილი იქნება 2012 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექცია მამაკაცებისთვის, ქალბატონებისთვის, ბავშვებისთვის, თეთრეული და ექსკლუზიური პარფიუმერია.

თბილისი მოლი, დილომი 9/აღმაშენებლის ხეივანი 16

Only at
M&S
MARKS & SPENCER



Comme Des Garçons, 1984



CHANEL, 1980-იანი წლები



CHRISTIAN DIOR, გაზაფხული/ზაფხული 1987



CHLOE, შემოდგომა/ზამთარი 2012-13



STELLA MCCARTNEY, შემოდგომა/ზამთარი 2012-13



BALMAIN, შემოდგომა/ზამთარი 2012-13

ყის ტიპის შარვლებზე უარი თქვა და 1981 წელს მეკობრეებით ინსპირირებული კოლექცია შექმნა: ფურფუშებიანი ბლუზები, მუხლს ქვემოთ სიგრძის შარვლები, თეთრი კოტონის თავისუფალი თარგის სამოსი ერთგვარი საპროტესტო რეაქცია იყო პანკის მიმდევრობაზე.

იაპონელების ტალღა – ინტელექტუალური სამოსით დამკვიდრებულმა ისი მიაკიმ, რეი კავაკუბოსა და იოჯი იამამოტოსთან ერთად, ორიგამის ხელობასთან მიმართებაში ახლებური, უფრო დახვეწილი მიდგომა გამოიჩინეს. მათი შემოქმედება, ერთად აღებული, იმ პერიოდის მაღალი მოდის პარიზული სახლების გადამეტებული ფუფუნების (მაგალითისთვის

კრისტინ ლაკრუას შემოქმედების გახსენებაც კმარა) სრულ ანტიპოდს წარმოადგენდა. მზიანი აღმოსავლეთის შემოქმედები სკულპტურულად შემოხვეული სამოსის და დრაპირების თემაზე აკეთებდნენ ინტერპრეტაციებს, რისი მეშვეობითაც მოცულობით სამოსს ქმნიდნენ მონოტონურ ფერებში.

პოლიტიკური ელიტა – ბრიტანეთის სათავეში მარგარეტ ტეტჩერის მოსვლას „power dressing“-ის პოპულარიზება მოჰყვა. ტიერი მიუგლერმა მარლენ დიტრიხის სტილში გადანეგნული განიერი მხრები კიდევ უფრო ხაზგასმულად მოცულობითად აქცია, ჯორჯო არმანი კი საქმიანი ქალის მისეული ხედვა მაღალმხრებიანი ქურთუკებით და ტანზე

მომდგარი ქვედაბოლოს კომბინაციით წარმოადგინა. ამერიკაში დონა კარანმა იდეალური ზომებისგან შორს მყოფი სხეულის მქონე ქალებისთვის საქმიანი და იმავდროულად სექსუალურობის ხაზგამსმელი საკულტო გარდერობი შექმნა.

სპორტული გატაცებები – ოთხმოციანების წარმატებულ ქალს სხეულიც, კარიერის შესაბამისად, კარგად განვრთნილი უნდა ჰქონოდა. ათლეტური სხეულის წევრთა კი შესაბამისი სამოსის გარეშე წარმოუდგენელი იყო: ნაცრისფერ, კოტონის სავარჯიშო შარვლებს, კაპიუშონიან სპორტულ ქურთუკებს და „გამაშებს“ სატრენაჟორო დარბაზს გარეთაც ხშირად შეხვდებოდით.

A woman with long, straight brown hair is looking towards the camera. She is wearing a black long-sleeved top with a vibrant floral pattern in shades of red, pink, and yellow. A wide, black, glossy belt cinches her waist. On her left wrist, she wears a wide, gold-colored cuff with a textured, possibly sequined or beaded, design. The background is a plain, light-colored wall.

wallis

Tbilisi Mall,
16km Aghmashenebeli Alley



მზერა მივაპყროთ Alaïa-ს

ჟურნალი VANITY FAIR
სექტემბერი, 2012
ინტელისურილან თარგმან თაბარ ალავიძე

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, მსოფლიოში ყველაზე მოდური და თავგადასავლების მოყვარული ქალბატონები ყოველთვის აზედინ ალაიას მიმართავენ, როცა ეძებენ სამოსს, რომელიც მათ სხეულს სრულყოფილად წარმოაჩენს, მომხიბვლელობას, მგრძნობიარობას და თავდაჯერებას შემატებს. ამ ქალებისთვის აზედინ ალაია თავისი საქმის უზადო ოსტატია. დიზაინერი, რომელიც აღმერთებს ქალურ ფორმას. ემი ფაინ კოლინზი მოგვითხრობს ამ იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული პარიზელი დიზაინერის შესახებ და გვაჩვენებს გზას, რომელიც ალაიამ სრული ანონიმურობიდან საერთაშო-

რისო მოდის უმაღლეს ეშელონებამდე გაიარა. გაზაფხულის პირველ საღამოს, პარიზის ერთ-ერთ პრესტიჟულ ქუჩაზე Avenue George V-ზე მდებარე კაბარეში – „Crazy Horse“ ჩვეული, ეროტიკული განწყობა იდგა. იქაურ აურას ვერც საფრანგეთში გაჩაღებული საპრეზიდენტო არჩევნების ციებ-ცხელება და ვერც საშინლად უჟმური ამინდი აფუჭებდა. წითელ, გრძელ სკამზე აზედინ ალაია თავის ორ თანამშრომელს შორის მოკალათებულიყო და გამოცდილი მზერით ათვალეიერებდა იქვე, სცენაზე ნახევრადშიველ მოცეკვავე გოგონებს. ალაიას თანამშრომლებმა მცირე მსჯელობის შემდეგ

დაასკვნეს, რომ მოცეკვავე გოგონების ტანგა-ტრუსები ვერ იყო სრულყოფილად დამზადებული. „როცა მათ მისტერ ალაია ამზადებდა, ისინი ტანზე არ მოძრაობდნენ“, – თქვა ალაიას კომერციულმა დირექტორმა კაროლინ ფაბრ-ბაზანმა.

1970-იანების ბოლოს, ვიდრე მოდის ლექსიკონში დამკვიდრებდა ახალ ტერმინებსა და ატრიბუტებს – ლეგინსებს, მეტალის დეკორატიულ საკინძებს, მკერდის ამწვე ბიუსპალტერის ტიპის ზედატანს, ტანზე მოყვანილ კაბებს და პერფორირებულ ტყავს – აზედინ ალაია, ორი წლის მანძილზე, Crazy Horse-ის მოცეკვავე გოგონებისთვის ქმნიდა კოსტიუმებს. „სწორედ ამ პარიზულ კაბარეში შეისწავლა მან სხეულის ესთეტიკა და უკანა ტანის – დუნდულების მნიშვნელობა“, – ამბობს ფაბრ-ბაზანი.

შოუს შემდეგ იქვე, კაბარესთან მდებარე რესტორან Le Stresa-ში გადავინაცვლეთ სავაზმოდ, სადაც ალაიამ დეტალურად აღმინერა, თუ როგორ ემზადებიან კაბარეს მოცეკვავე გოგონები კულისებს მიღმა შოუსთვის. საუბარი ფაბრმა შეგვანწყვეტინა, უნდოდა ალაიასთვის ეცნობებინა რამდენიმე წუთის წინ მიღებული იმეილის შესახებ. წერილი პრესტიჟული ბრიტანული სავაჭრო ცენტრისგან Harrods-ისგან იყო და შეიცავდა უახლეს მონაცემებს ალაიას მაღაზიის გაყიდვების შესახებ. ბოლო რიცხვების მიხედვით, ამ კონკრეტულ მაღაზიაში, მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში, ალაიას 60 კაბა გაუყიდათ, რაც იმავე სავაჭრო ცენტრში განლაგებული არაერთი საერთაშორისო ბრენდისთვის შეიძლება სანატრელი მანვენებელიც კი ყოფილიყო.

საუბარს ვაგრძელებთ, თუმცა ისევ მალევე გვანწყვეტინებენ – ამჯერად გვერდით მაგიდიდან ალაიას ერთ-ერთი კლიენტის საქმრო გვესალმება. როგორც შემდგომ დიზაინერმა ამიხსნა, ამ ახალგაზრდა მამაკაცის საცოლეს ორ საქონწინო კაბას უმზადებენ: ერთი კაბა თეთრი ფერის ახალი, იაპონური სინთეტიკური ქსოვილისგან იკერება, რომელიც, ალაიას თქმით, იმდენად ჰაეროვანია, რომ ბერძნული მითოლოგიის გმირ არაქნეს ნახელავიც კი შეიძლება გეგონოთ (არაქნე ლიდიელი გოგონა იყო, რომელიც ნისლის მსგავსი ძაფებისგან ჰაერივით გამჭვირვალე ქსოვილებს ქსოვდა). მეორე, ტანზე მომდგარი კაბა კი ზღვის სანაპიროზე დაგემილი ცერემონიისთვისაა განკუთვნილი და, პირველის მსგავსად, „საიდუმლო ქსოვილისგანაა“ დამზადებული. საერთოდ, ალაიას ქსოვილებს იტალიაში, დიზაინერის მიერ გამოგონილი ტექნოლოგიის მეშვეობით ამზადებენ – სპეციალურ საქსოვ დაზგაზე, სპეციალური პრინტების გამოყენებით. ალაიას ჭეშმარიტმა მომხმარებელმა იცის, რომ მას ალაია ცხოვრების ყველა ეტაპზე სჭირდება, არსიყობის პერიოდიდან დაწყებული, ქორწილით და ორსულობის პერიოდით დასრულებული. მის ერთ-ერთ კლიენტთა რიგებში ჯერ კიდევ ირიცხება 1950-იანი წლების მაღალი მოდის ცნობილი მოდელი ბეტინა გრაციანი, რომელიც ახლა 86 წლისაა. ალაია პირველი



მიშელ ოზაბა



ნაოში კაპაბალი



მოდელი კასია სტრუსი



პარლიზ ბარონი

იყო, ვინც შეძლო, ქალები დაერწმუნებინა, ორსულე-ბისთვის განკუთვნილ საგანგებო, ფართხუნა სამოსში სხეულის შეცვლილი ფორმები კი არ დაემაღლათ, არამედ „ყველაზე ლამაზი ფორმები და სილუეტი გამოეჩინათ“, – იხსენებს დიზაინერის დიდი ხნის მეგობარი და კლიენტი მათილდა დე როტშილდი. ნებისმიერ თანამედროვე დიზაინერზე მეტად, სწორედ ალაიამ მოახერხა ქალური ბუნების ემოციური, ინტიმური და ბიოლოგიური „ფაქტების“ სააშკარაოზე გამოტანა. „მისი კაბის ჩაცმისთანავე ქალმა იცის, რომ საქმის 50 პროცენტი უკვე გაკეთებულია, იმის მიუხედავად, თუ რა მიზანი ამოძრავებს მას – საქმიან შეხვედრაზე მიდის, თუ მამაკაცის მოხიბვლა სურს“, – ამბობს დე როტშილდი.

ქალბატონი როტშილდის შეფასებას ადასტურებს Harrods-იდან და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გახსნილი ალაიას 300-მდე მაღაზიიდან მოსული ფინანსური მარჯვენებლებიც. ყოველგვარი რეკლამისა და სოციალური მედიის ჩართვის, ლიცენზირების, ონლაინ მაღაზიების, ფასდაკლებების, სუნამოების და პიარკამპანიების დახმარების გარეშე, ალაიას მზა სამოსი „დღემდე ერთგვარ ნარკოტიკად რჩება ქალებისთვის. მათთვის კაბის ფასი არასდროს წარმოადგენს დაბრკოლებას“ (ერთი კაბის თუ ანსამბლის ღირებულება შეიძლება 15.000 დოლარს აღწევდეს).

1940-იან წლებში ტუნისში (ზუსტ თარიღს დიზაინერი არ/ვერ ასახელებს) დაბადებული დიზაინერი დედამისის მშობლებმა გაზარდეს. ბაბუა პოლიციის ოფიცერი იყო, მისი საუკეთესო მეგობარი კი კინოინდუსტრიაში მუშაობდა, და საღამოობით, როცა ორი ხანდაზმული მამაკაცი ბანქოს თამაშით იქცევედა თავს, ალაია იქვე ფილმების ცქერაში ატარებდა დროს, ზოგიერთ კინოსურათს განმეორებითაც უყურებდა. ბიჭს იმდენად უყვარდა კინო, რომ შემდეგ სკოლის მეგობრებისთვის მინი-წარმოდგენებს დგამდა – საყვარელ კინოგმირებს განასახიერებდა, ცეკვა-სიმღერის თანხლებით. ამ პერფორმანსის სანაცვლოდ, მეგობრები ალაიას სახატავ ფანქრებს ჩუქნიდნენ, რითაც ბიჭუნა შემდეგ ჩანახატებს აკეთებდა.

ხელოვნებისადმი ალაიას ინტერესი მხედველობიდან არ გამორჩენია დედის მეგობარს, მაღამ პინოს, რომელიც სამშობიაროს მედდა იყო. მაღამ პინომ პატარა ალაია თავისთან დაასაქმა: „პირველად მშობიარობას 10 წლის ასაკში დავესწარი. მახსოვს, მაღამ პინომ როგორ მასწავლა ჭიპლარის გადაჭრა და შემდგომ მისი კოხტად და მოხდენილად განასკვა იმისათვის, რომ ახალშობილს ლამაზი ჭიპი ჰქონოდა“, – იხსენებს დიზაინერი. თუმცა ახალგაზრდა ალაიას ყველაზე მეტად მაღამ პინოს სავაჭრო ცენტრების კატალოგები და ხელოვნების ნივთები აინტერესებდა. სწორედ ამ ბიბლიოთეკის მეშვეობით გაცნო ალაია პირველად პიკასოს შემოქმედებას.

15 წლის იყო, როცა მაღამ პინომ ტუნისში, ხელოვნების სკოლაში სკულპტურის კურსზე ჩაწერა. სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად, ალაია თავის დასთან, ჰაფიდასთან ერთად მკერავის ასისტენტად მო-

ენყო. სწორედ ამ პერიოდში გაიცნო შემდეგში მისი მეგობარი, ლეილა მენცარი, რომლის დახმარებით, დაბნეულობა დიზაინერმა Christian Dior-ის ლეგენდარულ სახლში ამოჰყო თავი, თან ზუსტად იმ პერიოდში, როცა ფრანგული მაღალი მოდის სახლი დიდების და პოპულარობის მწვერვალზე იმყოფებოდა (საქმე ის გახლავთ, რომ მენცარის დედა დიორის სახლის არაერთ მნიშვნელოვან კლიენტს იცნობდა). „იქ მხოლოდ 5 დღე დაეყავი“, – იხსენებს ალაია, „ალჟირის ომი ახალი დამთავრებული იყო, ამიტომაც, ტუნისის წარმომავლობა ჩემს ბიოგრაფიაში ერთგვარი შავი ლაქა აღმოჩნდა“.

1960 წლისთვის ალაია პარიზში, ბარონესა დე ზლეჟერის სახლში, მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილ ფლიგელში ცხოვრობდა. ამ სახლში გატარებული ხუთი წლის განმავლობაში ალაია „სახლის მკერავის“ ფუნქციებს ასრულებდა და მამაკაცი ძიძის მოვალეობებსაც ითავსებდა. სწორედ ამ პერიოდში აუღო ალაიამ ალლო მოსამსახურის უნიფორმას, რომლის შავ, კოტონის ვერსიას (Chinese pajamas) დიზაინერი დღემდე, ყოველდღიურად ატარებს უცვლელად. ამ პერიოდში ცნობილი არქიტექტორის, ბერნარ ზერფუსის მეუღლემ, სიმონმა გადაწყვიტა, რომ ალაია თავისი მფარველობის ქვეშ აეყვანა და ახალგაზრდა ტუნისელი პარიზის ინტელექტუალურ ელიტას წარუდგინა. მალევე ალაია ელეგანტურობით გამორჩეული ცნობილი მწერლის, ლუიზა დე ვილმორანისთვის უალტერნატივო დიზაინერად იქცა, რომელიც დიზაინერს „ჩემი არტისტის“ სტატუსით მოიხსენიებდა და საკუთარ ელეგანტურობასა და სილამაზეს მხოლოდ მას უმაღლიდა.

ეპოქაში, როცა დიზაინერები ჯერ კიდევ არ აწარმოებდნენ მზა სამოსის კოლექციებს და ქალები თავიანთ გარდერობს რამდენიმე გამოცდილ, განაფულ მკერავს ანდობდნენ, ალაია პარიზის არისტოკრატთა და ინტელექტუალთა წრისთვის ერთგვარ „საიდუმლო იარაღად“ იქცა – ალაიას ქმნილებების წყალობით, ქალები ყოველთვის უზადოდ გამოიყურებოდნენ.

1960-იანი წლების მიწურულს ალაია პარიზის მარცხენა სანაპიროზე, ბელშასის ქუჩაზე დასახლდა, სადაც პატარა ოროთახიან ბინაში ატელიეს მოწყობაც მოახერხა. საქმიანობის პოპულარიზებაში მას დაეხმარა ახლად დახურული Balenciaga-ს სახლის ყოფილი გაყიდვების კონსულტანტი ქალი, რომელმაც შეძლო, ლეგენდარული კრისტობალ ბალენსიას კლიენტურა ალაიას ქმნილებებით დაეინტერესებინა. ატელიეს ფინანსური მხარე ალაიას დამ, ჰაფიდამ ჩაიბარა, რომელიც ძმასთან ერთად იქვე ცხოვრობდა.

სესილ დე როტშილდმა ალაიას კლინტა რიცხვს გრეტა გარბო შემატა, რეჟისორმა რენე კლერმა კი – კლოდეტ კოლბერი. სილამაზის სალონების ცნობილ ქსელში Alexandre-ში მომუშავე პარიკმახერის დახმარებით ალაიამ მისთვის საკულტო კინომსახიობის, არლეტის გაცნობა და საკუთარი შემოქმედებით მისი მოხიზვლაც მოახერხა. „მიჭირს იმის ახსნა, თუ რატომ დასჭირდა



ბენიეტა პალტროუ



ლაიანა კრიუბერი



ჯადინ ალაია ტინა ტერნოტან მართა



ალაიას ამდენი წელი იმისთვის, რომ მისი სახელი მოდის სამყაროსთვის ცნობილი გამხდარიყო. ყველაზე მეტად ალაია საკუთარი ხელობის დახვეწაზე იყო ორიენტირებული და მისთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სახელს და ფულს“, – ამბობს მათილდა დე როტშილდი.

1979 წელს ფეხსაცმელების დიზაინერმა ჩარლზ ჟორდანმა ალაიას მზა სამოსის კოლექციის შექმნა სთხოვა. ეს პატარა კოლექცია ტყავისგან დამზადებული სამოსისგან შედგებოდა, რომელიც ელვით, ბალთებით და სხვა მეტალის აქსესუარებით იყო განწყობილი. ალაია იხსენებს, რომ მაშინ ჟორდანმა უარი თქვა კოლექციაზე, რადგან ის ზედმეტად უხეში ერჩენა. განსხვავებულ აზრზე იყო ცნობილი სკულპტორის მეუღლე, როზინ ბალდაჩინი, რომელმაც ალაიას ეს კოლექცია ქალების ცნობილი ჟურნალის Elle-ის ფრანგული გამოცემის რედაქტორს, ნიკოლ კრასას აჩვენა. კრასა იმდენად მოიხიბლა კოლექციით, რომ მეტალებით განწყობილი შავი, ტყავის კაბა ჟურნალის ყდაზე აღმოჩნდა, ხოლო თავად კრასა კი ალაიას „უხეში“ სამოსის ერთ-ერთ ლოიალურ მომხმარებლად და ამ სახლის „მოდურ ელჩად“ იქცა.

მატილდა როტშილდი იხსენებს: „1980 წელს ნიუ იორკში ვცხოვრობდი და პარიზში გამგზავრება მქონდა დაგეგმილი. ერთ-ერთმა მეგობარმა მითხრა: ის კაცი უნდა ნახო აუცილებლად, ტყავი ხელახლა რომ გამოიგონა!“ მაშინ ვერ წარმოვიდგინე, რაზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი. პარიზში რომ ჩამოვედი, ბელშასის ქუჩას მივაშურე, ზარი დავრეკე და მასხოვს, თვითონ ალაიამ გამიღო კარი. ნიუ იორკში მისი სამოსით დაგბრუნდი. ქალები ქუჩაში მაჩერებდნენ და მეკითხებოდნენ, ვისი სამოსი მეცვა. ისეთი რამ მეცვა, რაც ადრე არავის ენახა – ლეგინსები“.

1980 წლის ზაფხულში, პარიზის მოდის კვირეულის მიმდინარეობისას ალაიამ მისი კოლექციიდან სამი ანსამბლი ფრანგული Elle-ის რედაქტორს, ნიკოლ კრასას და მის ორ კოლეგას ათხოვა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ქალებს ანდროგენური, ენი ჰოლის სტილის მამაკაცური მინიმალიზმი იზიდავდა. ამ დროს გამოჩნდა ნიკოლ კრასა ტყავის, წელში გამოყვანილ შავ კოსტიუმში, მისი მეგობარი სერფი – მეტალის რგოლებით განწყობილ, შიფონის გრძელ ქვედაბოლოში, ხოლო მესამე მეგობარი – ტანზე მომდგარ, ნაქსოვ კაბაში, რომელსაც, სპირალის მსგავსად, ერთი, გრძელი ელვა ჰქონდა გარშემორტყმული. ლეგენდარული ფოტოჟურნალისტი ბილ ქანინგემი, რომელიც იმ დროს Women's Wear Daily-ს ჟურნალისტი იყო, მონუსხული დარჩა ამ რადიკალურად განსხვავებული და ახალი სილუეტი: განიერი მხრები, წვრილი წელი და გრძელი ფეხები – ეს რევოლუციის ტოლფასი იყო. 1981 წლის 23 ნოემბრის ნომერში ბილ ქანინგემის ფოტოები ამგვარი მინაწერით გამოქვეყნდა: „უცნობი დიზაინერი ქალებს უბრუნებს სამოსს, რომელიც მათ ბუნებრივ ფორმებს წარმოაჩენს“. ალაია იხსენებს: „ბილიმ დაწერა, რომ მან იმ დღეს მომავალი დაინახა. ბილი ის ადამიანი იყო, ვისაც ხედვა გააჩნდა. მე ყველაფერს მას ვუმაღლი“.



პულოვერი
59 GEL

MANGO.COM

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №16 პეკინის გამზ. №19 / TBILISI, 16 CHAVCHAVADZE AVE. 19 PEKINI AVE.

MANGO

შემოდგომა

ფოტო: მარინა სიჭინავა





















ALLA BOBOR

ავტორი თამარ სულავა



ყოველთვის მაინტერესებდა მოდის ისტორია და აი, უკვე რამდენიმე თვეა, რომის მოდის აკადემიის სტუდენტი გავხდი (AccademiaModa di Roma). ამ სკოლის შესახებ ფლორენციაში, ცნობილი დიზაინერის, გუჩის სახლ-მუზეუმში სტუმრობისას შევიტყვე. ისეთი ცნობისმოყვარე ადამიანი ვარ, გამიკვირდა, მანამდე რომ არაფერი ვიცოდი მისი არსებობის შესახებ. რომში დაბრუნებული, სასწრაფოდ ჩემს მინიატურულ მაგიდას მივუჯექი და ჯადოსნური „გუგლი“ გავხსენი. მრავალბროფილიანი აკადემია, მაღალი მოდის დიზაინერმა და თეატრის კოსტიუმების შემქმნელმა, პისტოლეზე რომანამ დააარსა 1964 წელს და მას მერე აქ არაერთ, დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილ მოდის სპეციალისტს უსწავლია.

მომდევნო დღეებში, სწავლის პირობების გასაგებად, აკადემიას მივაშურე,

რომელიც ტიბროსის სანაპიროზე, მეორე საუკუნეში აგებული „წმინდა ანგელოზის“ ციხე-სიმაგრეს გააყურებს; გემახსოვრებათ, ეს ის ციხე-სიმაგრეა, საიდანაც ჯაკომო პუჩინის ოპერის, „ტოსკას“ პერსონაჟი, ბონაპარტისტი ტუსალი ანჯელოტი გაიქცევა. შენობაში შესვლისას, ჩემთვის კარგად ნაცნობი რომაული ატმოსფერო დამხვდა – სიძველე, ჩამქრალი ფერები, ცოტათი მორყეული კარადები, მაღალი კიბეები და ჭერი; კიბეებზე, კუთხეებში მდგარ მანეკენებს სტუდენტების მიერ შექმნილი გლადიატორებისა და პაპების უნიფორმები ეცვათ. რომში, ამგვარ შენობებში შესვლისას, მაშინვე იმპერიულ ეპოქებში გადავშვები ხოლმე და ვფიქრობ, როგორ წირავდნენ თავს მეომრები, როგორ ყვიროდნენ გლადიატორები – „კეისარნო, სიკვდილისკენ მიმავალნი მოგესალმებით“; როგორ ზრუნავდა „კონსტანტინე

დიდი ქრისტიანებზე, და, ძალაუნებურად, ისეთი მოკრძალების შეგრძნება მეუფლება, რომ ხმის ამოღებისაც კი მრცხვენია.

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ოთახიდან სასიამოვნო გარეგნობის გოგონა გამოვიდა, ღია ფერებით, და ღიმილით მომესალმა, მკითხა, რაში დამხმარებოდა, შემდეგ კი, ნახევარი საათის განმავლობაში მისხნიდა დეტალებს. შევთანხმდით, ერთმანეთს ერთ კვირაში, სასწავლო კურსის დაწყებისას შევხვდებოდით.

მაღე მოდის გაკვეთილებიც დაიწყო. ოთახში პედაგოგი – დოცენტი პაოლა პარანეზე შემოვიდა, გაგვეცნო და მოგვიბოდიშა, თქვენთან პირდაპირ მილანიდან მოვდივარ, ჩემოდნით ვარ მოსულიო. გვთხოვა, შენობით მიგვემართა, ასე უფრო გავგიადვილდება ურთიერთობაო. პაოლა საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება – ლიბერალ-დოცენტურად. კლასში კი ჩემთან ერთად სხედან: ჯუზი, მარტინა, დანიელა, ფედერიკო, ფილიპო, კაროლინა, მარკო და ვირჯინია. თითოეული მათგანი განსხვავებული ასაკის და წარმოშობისაა. ჯუზის უნდა, რომ „პერსონალ შოპერი“ იყოს (პირადი კონსულტანტი საყიდლებზე წასვლისას, რომელიც კლიენტს ტანსაცმლის შერჩევაში ეხმარება) და აქ ფანტაზიის გასაღრმავებლად მოვიდა; მარტინა ცნობილი ბრენდის „მარნი“-ს პარიზულ ბუტიკში მუშაობს, ინტერესი მოდის სამყაროს მიმართ მას შემდეგ გაუჩნდა, როცა, ერთ მშვენიერ დღეს, მაღაზიაში, ინეს დელა ფრესანჯი (ფრანგი დიდგვაროვანი და შანელის სახლის 70-იანი წლების მოდელი) გაიცნო; დანიელა იტალიის სამხრეთით, ერთ-ერთ პატარა სოფელში ცხოვრობს და იქვე, თავისი საქმროს სპორტულ მაღაზიაში მუშაობს; ფედერიკო გრაფიკოსია და აინტერესებს, თუ



როგორ იქმნებოდა სხვადასხვა ბრენდის ლოგოები. ამ მრავალფეროვანი ჯგუფის წევრები კი, საბოლოოდ, ერთ-მა კონკრეტულმა ინტერესის სფერომ – მოდამ გაგვანათიანა.

გაკვეთილები 5 საათს გრძელდება, მაგრამ თითქოს დალლას ვერ გრძნობ, ისე თავისუფლად ვართ, თითქოს, სახლში ვიყოთ. ლექციების დროს ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას ვუზიარებთ, შესვენებაზე კი ტერასაზე ვიკრიბებით და ყავის დისტრიბუტორისთვის ხურდებს ვეძებთ, უფრო ფხიზლად რომ შევუდგეთ ლექციების მეორე ნაწილს... ტერასაზე განვლილი დღეების მსოფლიო სიახლეებს დიდი ინტერესით ვისმენ ხოლმე: „გოგოებო, გაიგეთ ბულგარეთში ტერორისტებს აეროპორტი დაუბომბიათ!“ „ოზამას და ერდოლანს ბევრი უსაუბრიათ სირიის პრობლემებზე, ვნახოთ, რა იქნება“; „ახლახან ტოკიოდან დავბრუნდი და მივხვდი, რომ იქაურები 50 წლით უსწრებენ იტალიურ მოდას“...

ერთ დღეს მარტინას რკინის ფული არ ჰქონდა და ფინჯანი ყავის გარეშე რჩებოდა, როცა დაპატიჟება შეეთავაზებოდა, მილიონი მადლობა გადამიხადა და იმ დღის შემდეგ, მგონი, მისი საუკეთესო მეგობარი გავხდი...
ერთ-ერთი ასეთი შესვენების დროს ტერასაზე ახოვანი, ჭაღარათმიანი, სიმპათიური გარეგნობის მამაკაცი გამოვიდა. მალევე ვიცანით, ის აკადემიის დირექტორი იყო. მოგვესალმა, ჯგუფიდან გამომარჩია და კომპლიმენტი მითხრა: „ნახე, როგორი ბობორი სტილით გაცვია!“ ცოტა დავიბენი, მივხვდი, რომ რალაც სასიამოვნო მითხრა, მაგრამ სიტყვა „ბობორი“ მანამდე არასდროს გამეგო. მოგვიანებით, დოცენტ პაოლას ვკითხე და სწორედ მან ამიხსნა: „ეს ტერმინი მოდურ წრეებში ჯერ კიდევ ძალიან ახალია. ის სიტყვა „ბურჟუაზიიდან“ მოდის და აღნიშნავს ქალს, რომელიც გახსნილი გულით უყურებს სამყაროს, მრავალმხრივი ინტერესები აქვს, ჰუმანურია,



უყვარს ოჯახი, გარშემომყოფთა მიმართ ყურადღებიანია, მისი ინსპირაცია, ხელოვნება, კინო და, ზოგადად, კულტურა; „ბობორი“ ქალბატონი სადა, რაფინირებული და მგრძობიარეა და თან – ძლიერი“, – დაასრულა პაოლამ ახსნა.

...ალბათ, მოდის აკადემიის დირექტორის შეფასება ზედმეტი იყო ჩემთვის, მაგრამ მაინც შევიფერე. მახსოვს, ერთ კვირას გამყვა ამ კომპლიმენტით გამონეული სასიამოვნო განცდა და ჩემს თავს დავპირდი, ნამდვილად ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ, წლების შემდეგ, ნამდვილი „ბობორი“ ქალბატონი დავდგე.

Cafe Kala
acidbar
K&B
still watching you

კანსტორიანი პასტორალი

მეგობარი საზოგადოებრივი





PASTORAL RESTAURANT

MENGRELIAN CUISINE 6 Erekle II str. T: 592 31 19 19, 2 99 90 19

New!
Fantastic Duhan
8 Chanturia st.
Tel: 592 681166



kala.ge

Kala group

Cafe Kala: 8/10 Erekle II str. tel: 599 799 737. Acid Bar /1/: 3a Al. Kuzbegi Ave. tel: 599 101 238. Acid Bar /2/: 37 Abashidze str. tel: 591 681 000. Acid Bar /3/: 9 Leonidze st. tel: 592 221 13. Acid Bar /4/: Oldani 2 Mkr. building N24.T: 592 411980. Cafe K&B: 8/10 Erekle II str. tel: +995 32 2 985 013, 599 67 44 88.

IMPOSSIBLE WARDROBE

ავტორი თეო ქავთარაძე
ფოტო პიერო ზიანონი



ტილდა სვინტონი

სექტემბრის თვე ყოველთვის განსაკუთრებულად გადატვირთული და დამქანცველია მოდის მოყვარულებისთვის. მსოფლიო მოდის ოთხ დიდ ქალაქში (ნიუ იორკი, ლონდონი, მილანი, პარიზი), ერთმანეთის მიყოლებით, ექვსთვიანი მზადების შემდეგ მოდის სახლები გაზაფხული-ზაფხულის ახალ კოლექციებს წარადგენენ. მოდის ინდუსტრიის მარკეტოლოგები სანახაობრივი შოუებით ცდილობენ პოტენციურ მყიდველს თავბრუ დაახვიონ და ძვირადღირებული კოქტილის კაბები ახალგაზრდა გოგონებს ოცნებად გადაუქციონ. თუმცა, პარიზში Palais de Tokyo-ში, Galliera Fashion Museum-ის დირექტორმა, ოლივიე სალიარმა და ოსკაროსანმა მსახიობმა ტილდა სვინტონმა მოდის მოყვარულებს სრულიად განსხვავებული რამ შესთავა-

ზეს: ისტორიულ სამოსს, რომელიც უკვე ათეული წლებია, სტაბილურ ტემპერატურაზე, განსაკუთრებულად დაცულ ადგილზე ინახება, სული შთაბერეს და დაუფინყარი პერფორმანსით გააცოცხლეს.

თეატრალური სანახაობის მთავარი მოქმედი გმირი ტილდა სვინტონი იყო, რომელსაც მსგავს ორიგინალურ პერფორმანსებში არაერთხელ მიუღია მონაწილეობა. 1995 წელს Serpentine Gallery-ში მსახიობს ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღე 8 საათი მინის კუბში ეძინა. 17 წლის წინ ეს უცნაური პერფორმანსი 22 ათასმა ადამიანმა ნახა. არისტოკრატიული წარმომავლობის მსახიობი, განსაკუთრებული ნიჭისა და დახვეწილი მანერების გარდა, არასტანდარტული ფიზიკური მონაცემებითაც

გამოირჩევა: ფერმკრთალი სახის კანი და წითური თმა ტილდა სვინტონს თითქოს არამქვეყნიურ ელფერს სძენს. ამიტომაც, ერთი წლის წინ, როცა ოლივიერ სალიარს The Impossible Wardrobe-ის გამოფენის იდეა დაებადა, სვინტონის გარდა სხვა შემსრულებელზე არც უფიქრია.

სალიარისგან ეს ორიგინალური იდეა არავის გაჰკვირვებია: ჯერ კიდევ, 2005 წლიდან თეატრალური პერფორმანსებით მან არაერთხელ სცადა მივიწყებული სამოსის გაცოცხლება. მის მიერ წლების განმავლობაში ორგანიზებულ CHRISTIAN LACROIX-ს, SONIA RYKIEL-ის, YOHJI YAMAMOTO-ს და ANDY WARHOL-ის გამოფენებს ერთი გამაერთიანებელი ძაფი ჰქონდა: ყველა ეს გამოფენა კონსიუმერული კონტექსტისგან სრულად დაცლილი იყო.

2012 წლის საუკეთესო "მწვანე კოსმეტიკა"



NATURA SIBERICA

COSMETICS OF WILD HERBS AND FLOWERS



აღიარებული საერთაშორისო კოსმეტიკური გამოფენა Cosmoprof-ის მიერ, გოლდენი, იტალია

სახის მოვლა

მზიური კანის მოვლის საშუალებების სერია



სახის მკვლევარი ლაქონ-შიდაი
სახის მკვლევარი ლაქონ-შიდაი
სახის მკვლევარი ლაქონ-შიდაი

ბაზაპროტეინო-ვიტამინური სერია



სახის ღარი კრემ-ლაქონი
სახის ალენური ღამის კრემი
სახის მკვლევარი ლაქონ-შიდაი



ღამის ალენური კანის მოვლის კრემი
ლაქონ-შიდაი ჭეხილვისთვის

სხმიანზე და კონტორინგული კანის მოვლის საშუალებების სერია



ღამის კრემი (მოლა და დაქონივის)
ღამის კრემი (მოლა და ალენური)
სახის შრავი (კერპოლის ღორბი)

ABSOLUT – ნაძვრარული მკვიტი ხიზოლარული მკვიტი კანზე
ფაზაპროტეინო-ვიტამინური სერია



სახის კრემი კანის გაღიზიანების (არტენიზიზი-ვიტამინური სერია) მოვლისთვის
ფაზაპროტეინო-ვიტამინური სერია



ღამის შრავი სხმიანზე (ღამის სერია) მოვლისთვის
საძინების პროცედურისთვის მკვიტი (ღამის სერია) მოვლისთვის

მზიური კანის მოვლის საშუალებების სერია



ღამის კრემი (მოლა და დაქონივის)
ღამის კრემი (მოლა და ალენური)
სახის შრავი (მოლა და კანის)

სახის მოვლა



„Anti-Age“ – ღამის კანის მოვლის (არტენიზიზი-ვიტამინური სერია) მოვლისთვის
„Anti-Age“ – ღამის კანის მოვლის (არტენიზიზი-ვიტამინური სერია) მოვლისთვის



ღამის კანის მოვლის (არტენიზიზი-ვიტამინური სერია) მოვლისთვის
ღამის „Anti-Age“ (არტენიზიზი-ვიტამინური სერია) მოვლისთვის
ღამის „Night Doctor“ (არტენიზიზი-ვიტამინური სერია) მოვლისთვის

0% SLS 0% PARABENS 0% SILICONES



შ.პ.ს. ოდრეი, ოფისი/საბინო ფაბრიკის მდებარეობის საბარათი/საბარათი
საბარათი/საბინო, თბილისი, ძაგის რაიონი d.21
ტელ/ფაქსი: +995 32 243 22 07
e-mail: audrey@audrey.ge

სტილის დღიური

თეატრალურ სანახაობაში სალიარი და ტილდა სვინტონი მუზეუმის თანამშრომლების როლებს განასახიერებდნენ. კონსერვაციის წესების ზედმიწევნით დაცვით, ორივეს სადა, თეთრი ხალათები ეცვა, ხელეზზე კი ქათვითა ხელთათმანები ეკეთათ. სალიარმა და სვინტონმა მუზეუმის მცველისა და რესტავრატორის როლები ოსტატურად გაითამაშეს: ოლივიერი სათუთად გადასცემდა მსახიობს ისტორიულ სამოსს, რომელიც მხოლოდ გამომეტყველებით და უნიკალური მოძრაობით, ყოველგვარი არტიკულაციის გარეშე ახერხებდა ტანსაცმლის წინა მფლო-

ბელთან კონტაქტის დამყარებას: ნაპოლეონის მოქარგული სამხედრო კოსტიუმი, აისიდორა დუნკანის კაბა, მაღამ გრეს 1942 წლის კოქტილის ანსამბლი. სრულიად განსხვავებულად წარმოადგინა მსახიობმა ივ სენ ლორანის მიერ შექმნილი კომბინეზონი, რომელიც ერთ დროს ბეტი კატრუს ეკუთვნოდა. მუყაოს დაფაზე მოთავსებული, 1936 წელს ელზა სკიაპარელის მიერ შექმნილი ოქროსკლანჭებიანი ხელთათმანები სვინტონმა აუდიტორიის წინაშე ისე ჩამოატარა, როგორც – ხელოვნების ნიმუში. თითოეული „ნივის“ პრეზენტაცია მოკლემეტრაჟიან ფილმებს ჰგავდა,

რომლებშიც ტილდა სვინტონი განსხვავებულ როლებს თამაშობდა.

თეატრალური პერფორმანსისთვის ორგანიზატორებმა 50-მდე კოსტიუმი აარჩიეს. საკულტო ნამუშევრების გარდა წარმოდგენილი იყო უცნობი ადამიანების ტანსაცმელიც, რომელიც წლების წინ მეპატრონეებმა და მათმა ოჯახებმა მუზეუმებს უსახსოვრეს. 1968 წლით დათარიღებული პაკო რაბანის კაბა, რომელიც ბრიჯიდ ბარდოს ეკუთვნოდა; 1924 წლის Lanvin-ის მეტალის საცურაო კოსტიუმი, Balmain-ის, Christian Dior-ის და Chanel-ის ვინტაჟი. 45-წუთიანი პერფორმანსის შემდეგ დარბაზში ოვაციები დიდ ხანს არ წყდებოდა. იდეის ავტორის ჩანაფიქრმა გაამართლა – სალიარმა და სვინტონმა ისტორიის თხრობის თანამედროვე და უნიკალური ხერხი იპოვეს.

მთელი ეს წარმოდგენა ბრიტანელმა არტისტმა, ფოტოგრაფმა და კინორეჟისორმა კატერინა ჯებიმ ფირზე ასახა. ფილმის გადაღების პროცესი თითქმის უსიტყვოდ მიმდინარეობდა, ყოველგვარი განხილვის გარეშე. მსახიობიც და რეჟისორიც მხოლოდ თავიანთ ინტუიციას მიენდნენ. რვანწუთიანი ფილმი კარგად აღწერს ტილდა სვინტონის როლზე მუშაობის პროცესს. როგორ შედის მორგის მსგავს არქივში მსახიობი და როგორ იწყებს ნაპოლეონის მუნდირის ყურადღებით შესწავლას ისე, როგორც ამას პროფესიონალი რესტავრატორები აკეთებენ. ერთ-ერთ კადრში მსახიობი აისიდორა დუნკანის, ელზა სკიაპარელის და მარია ანტუანეტას ფოტოებში ჩაფლული უსიტყვოდ ზის და ასე ცდილობს ცნობილ, უკვე გარდაცვლილ ქალბატონებთან „დაახლოებას“.

რამდენიმე თვის წინ Women's Wear Daily-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ჟურნალისტი წერდა: „დღეს უფრომეტი მოდაა საჭმელში და ტექნიკაში, ვიდრე თავად მოდაში“. არ ვიცი, წარსულზე ფოკუსირება ნიშნავს თუ არა დღეს არსებულ შემოქმედებით კრიზისს, მაგრამ ფაქტია, რომ სტილი და სამოსი აღარ წარმოადგენს იმგვარ ფასეულობას, როგორც ეს წლების წინ იყო. ოლივიერ სალიარის მცდელობაც სწორედ ამას ემსახურება: დაუბრუნოს მოდას პირვანდელი აქტა, თავისი რეალური კულტურული კონტექსტი.





www.radiokalaki.ge



ნაკბიურათ, მიიღეთ მონაწილეობა

RADIOKALAKI.GE-ს გამოკითხვებში

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები და რჩევები
მისამართზე

INFO@RADIOKALAKI.GE

თქვენი რადიო - ხიდი მსოფლიოსთან



სხარი
შოკოლადი
98.5 FM

www.facebook.com/RadioTskheliShokoladi

98.5

